ადამიანთა მიწა

ანრი გიომე! შენ, ჩემო მეგობარო,

გიძღვნი ამ წიგნს.

დედამიწა ყველა წიგნზე უკეთ გვასწავლის საკუთარი თავის შეცნობას. იმიტომ, რომ იგი წინააღმდეგობას გვიწევს ჩვენ. ადამიანი ვლინდება დაბრკოლებებთან ბრძოლაში, მაგრამ დაბრკოლებათა დასაძლევად მისთვის აუცილებელია იარაღი. აუცილებელია შალაშინი ან გუთანი. მიწის დამუშავებისას გლეხი თანდათანობით გამოგლეჯს ბუნებას ზოგიერთ საიდუმლოებას და მის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტება საყოველთაოა. ასევე თვითმფრინავი — საჰაერო გზების ათვისების ეს იარაღი — ადამიანს უძველეს პრობლემათა რკალში ითრევს.

მე მუდამ თვალწინ მიდგას ჩემი პირველი ღამის ფრენა არგენტინაში. თვალწინ მიდგას ბნელი ღამე და ქვევით, ველზე მიმოფანტული, ვარსკვლავებივით მოციმციმე სინათლეები.

წყვდიადის ამ ოკეანეში ყოველი მათგანი ადამიანის სასწაულებრივ გონებაზე მეტყველებდა. აი ამ კერასთან კითხულობენ, ფიქრობენ, ერთმანეთს საიდუმლოს უმხელენ. აი იმასთან — შესაძლოა, სივრცის გაზომვას ცდილობენ, თავს იმტვრევენ ანდრომედას ნისლოვანების გამოთვლაზე. აგერ იქ კი სიყვარულს ეძლევიან. ციმციმებდნენ ეს სინათლეები ველზე, ერთმანეთისგან მოშორებით, და ითხოვდნენ საზრდოს. საზრდოს ითხოვდნენ ყველაზე მოკრძალებულნიც კი მათ შორის — სინათლეები პოეტის, მასწავლებლებისა და ხუროსი. მაგრამ ამ ცოცხალ ვარსკვლავებს შორის რამდენი ჩამქრალი ვარსკვლავია, რამდენი დახშული სარკმელი, რამდენი ჩაძინებული ადამიანი...

კარგი იქნებოდა, გავერთიანებულიყავით. კარგი იქნებოდა, დავკავშირებოდით იმ სინათლეებს, რომლებიც ანთია ქვევით, ბარში, ერთმანეთისაგან მოშორებით.

1. ხაზი

ეს იყო 1926 წელს. ისის იყო პილოტად დავიწყე მუშაობა ლატეკოერის კომპანიაში, რომელიც აეროპოსტალსა და ელფრანსზე ადრე უზრუნველყოფდა ტულუზადაკარის საჰაერო კავშირს. მე აქ ჩემს ხელობას ვსწავლობდი. სანამ პატივს დამდებდნენ და საფოსტო თვითმფრინავის პილოტირებას მომანდობდნენ, სხვა ახალბედებივით მეც უნდა გამევლო განსაზღვრული საგამოცდო ვადა: საცდელი აფრენები, ფრენა ტულუზასა და პერპენიანს შორის და მეტეოროლოგიის მოსაწყენი გაკვეთილები გაყინულ ანგარში. ამასობაში მეც და სხვა ახალბედებსაც დაგვეუფლა რაღაც იდუმალი შიში ესპანეთის ჯერ კიდევ უცნობი მთაგრეხილებისადმი და გული აგვევსო `ბებერი~ მფრინავების თაყვანისცემით.

`ბებრებს~, რომლებსაც რესტორანში ვხვდებოდით, თავი ცოტა არ იყოს, განკერძოებით ეჭირათ და დარიგებასაც მოწყალებასავით ბუზღუნით გვაძლევდნენ. როდესაც რომელიმე მათგანი, ერთერთ უპირქუბო დღეს ალიკანტედან ან კასაბლანკიდან დაბრუნებული, წვიმისგან გაჟღენთილი ტანისამოსით, ჩვენს მოკრძალებულ შეკითხვებზე ნაწყვეტნაწყვეტად იძლეოდა პასუხს თავისი ძნელი რეისის შესახებ, ჩვენ წინ იშლებოდა ზღაპრული სამყარო, სავსე ხაფანგებით, ჩავარდნებით, ანაზდეულად წამომართული კლდეებითა და უცაბედად ამოვარდნილი ქარტეხილებით, რომლებიც ძირფესვიანად გლეჯდნენ კედრებს; შავი ურჩხულები დარაჯობდნენ ხეობათა კარიბჭეებს, ელვათა ხელეურები გვირგვინივით ევლებოდნენ თავს მთის მწვერვალებს. ამით `ბებრები~ ოსტატურად აღვივებდნენ ჩვენში თაყვანისცემის ცეცხლს, მაგრამ ჟამით ჟამს რომელიმე მათგანი ხარკს უხდიდა მარადისობას — უკან აღარ ბრუნდებოდა.

მაგონდება, როგორ დაბრუნდა ერთხელ ბიური, რომელიც მერე კორბიერებში დაიღუპა. ძველი პილოტი ისის იყო მოუჯდა ჩვენს მაგიდას და დაქანცული, ხმისამოუღებლად, ნელნელა შეუდგა ჭამას. მას მხრებზე თითქოს ჯერ კიდევ აწვა განვლილი დაძაბულობის ტვირთი. ეს იყო იმ ერთერთი დღის მიწურულს, როცა მთელ საფრენოსნო ხაზზე ცას თავპირი ჩამოსტირის და პილოტს ეჩვენება, რომ მთები ტალახში გორავენ ძველ,

იალქნიან ხომალდზე აწყვეტილი ზარბაზნებივით, რომლებიც უწყალოდ ამსხვრევენ გემბანს.

მე მორიდებით შევყურებდი ბიურის. მერე, როგორც იქნა, გავბედე, ნერწყვი გადავყლაპე და ვკითხე, როგორი იყო რეისი. ბიურის ჩემი შეკითხვა არ გაუგონია: შუბლშეკრულს თეფშში ჰქონდა თავი ჩარგული.

ღია თვითმფრინავის პილოტი უამინდო დღეებში, გზის უკეთ დასანახად, დროდადრო თვითმფრინავიდან გამოიხედავს ხოლმე და ამის შემდეგ მას კიდევ დიდხანს უდგას ყურებში ქარის წივილი. ასეთ მდგომარეობაში იყო ბიურიც. ბოლოს თავი ასწია, თითქოს ახლაღა ჩასწვდა ყურში შეკითხვაო, შემომხედა და გულიანად გადაიხარხარა. ბიური იშვიათად იცინოდა და ახლა მე აღტაცებაში მომიყვანა ამ სიცილმა, სიცილმა, რომელმაც ჩემს თვალში ერთბაშად გაასხივოსნა მისი მოქანცულობა. თავისი გამარჯვების შესახებ მას აღარაფერი დაუმატებია. დახარა თავი და კვლავ მდუმარედ განაგრძო ჭამა. ამ რუხ, პაპიროსით შებოლილ რესტორანში, წვრილ მოხელეთა შორის, რომლებიც, ყოველდღიური ზრუნვით მოქანცულნი, აქ იბრუნებდნენ სულს, ეს ამხანაგი საოცრად კეთილშობილი მეჩვენა; მისი უხეში საბურველიდან გამოიყურებოდა ანგელოსი, რომელმაც ესეს არის ურჩხულს სძლია.

ბოლოს დადგა საღამო, როცა მეც გამომიძახა დირექტორმა და მითხრა:

თქვენ გაფრინდებით ხვალ.

მე ვიდექი და ვუცდიდი, როდის გამიშვებდა კაბინეტიდან. მან კი მცირე სიჩუმის შემდეგ დასძინა:

— ინსტრუქციას კარგად იცნობთ?

ძრავები იმ დროს ისე საიმედონი არ იყვნენ, როგორც ახლა. ხშირად გვიმტყუნებდნენ ხოლმე და უეცრად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, დამსხვრეული ჭურჭლის

გამაყრუებელი ზრიალით გამოდიოდნენ წყობიდან. და მაშინ ჩვენ ძალაუნებურად ვნებდებოდით ესპანეთის არასტუმართმოყვარე კლდეებს.

`როცა ძრავა გამოდის წყობიდან, — ვამბობდით ჩვენ, — ვაი, რომ თვითმფრინავიც მაშინვე მის მაგალითს მიჰყვება~, მაგრამ თვითმფრინავის შეცვლა შეიძლება. მთავარია, ბრმად არ იფრინო და კლდეს არ წამოედო ალალბედზე. ამიტომ უმკაცრესი სასჯელით ისჯებოდა ის, ვინც მთიან ზონაში ღრუბლების ზემოთ ასვლას გაბედავდა. იძულებითი დაშვების შემთხვევაში თეთრ ღრუბლებში გახვეულ მფრინავს ადვილად შეეძლო დასჯახებოდა უხილავ მწვერვალებს.

აი რატომ იყო, რომ იმ საღამოს მშვიდი ხმა დაჟინებით მახსენებდა ფრენის წესებს:

— რა თქმა უნდა, მომხიბლავია ესპანეთისკენ თვითმფრინავის წაყვანა კომპასის მიხედვით, რა თქმა უნდა, მეტად წარმტაცია ღრუბლებს ზემოთ ფრენა, მაგრამ...

და სიტყვები უფრო მძიმედ ჩამოიმარცვლა:

— მაგრამ გახსოვდეთ, მოზღვავებულ ღრუბლებს ქვევით... თქვენ მარადისობა გელით.

და აი უცებ ამ უშფოთველ სამყაროს, ასეთ ერთფეროვანს და ასეთ უბრალოს, — სამყაროს, რომელიც თვალწინ გეშლება, რაწამს ღრუბლებიდან ამოყურყუმელავდები, — ჩემს თვალში სრულიად ახალი აზრი მიეცა: მის მიმზიდველობაში რაღაც მახე იმალებოდა. მე წარმოვიდგინე იქ, ქვევით, ჩემ ფერხთქვეშ დაგებული უშველებელი თეთრი მახე. წინააღმდეგ ყოველგვარი ვარაუდისა, ქვევით მეფობდა არა ფუსფუსი ადამიანთა, არა ხმაური, არა ჟრიამული ქალაქთა, არამედ — მდუმარება, — კიდევ უფრო სრული, ვიდრე აქ, ზევით; სუფევდა სიმშვიდე მარადიული. ეს თეთრი წებო ჩემთვის ქმნიდა საზღვარს რეალურსა და არარეალურ სამყაროს შორის, შეცნობილსა და შეუცნობელს შორის. და ჩემთვის თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ ყველაფერს — ჩვენ ირგვლივ არსებულს და თვალით დანახულს — აზრს აძლევს მხოლოდ კულტურა, ცივილიზაცია და ადამიანის ხელობა... მთიელებიც კარგად ხედავენ ღრუბელთა ოკეანეებს, მაგრამ იმას კი ვერ ამჩნევენ, რომ იგი ფარდაა, იდუმალების სამყაროზე დაშვებული.

კაბინეტიდან გამოსულმა რაღაც ბავშვური სიამაყე ვიგრძენი: გარიჟრაჟზე მეც დამეკისრება აფრიკის ფოსტისა და მგზავრების გადაყვანის პასუხისმგებლობა. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ არ ვიყავი ამ პატივის ღირსი, ვფიქრობდი, რომ არ ვიყავი სათანადოდ მომზადებული. ესპანეთი ღარიბია თვითმფრინავის დასაჯდომი მოედნებით. შიშს მგვრიდა ის, რომ, ავარიის შემთხვევაში, არ მეცოდინებოდა, სად დავშვებულიყავი. უსულგულო რუკებში თავჩარგული, ამაოდ ვცდილობდი ამომეკრიბა იქიდან ჩემთვის საჭირო ცნობები. და ბრძოლის ამ წინა დღეს, როდესაც გული სავსე მქონდა გაუბედაობითაც და სიამაყითაც, მე ჩემს მეგობარ გიომეს მივაშურე. გიომემ ჩემზე ადრე იგემა ამ გზების სიძნელენი და მათი დაძლევის ხერხებს დაეუფლა. მას ხელთ ეპყრა ესპანეთის კარის გასაღები. მას უნდა გაეზიარებინა ჩემთვის თავისი გამოცდილება.

იგი ღიმილით შემეგება:

— მე უკვე ვიცი ახალი ამბავი. კმაყოფილი ხარ?

კედლის კარადასთან მივიდა, ერთი ბოთლი პორტვეინი და ჭიქები გადმოიღო, მომიახლოვდა და ღიმილითვე მითხრა:

— შენ ეს შეიშხაპუნე და ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება!

ჩემი მეგობარი, რომელმაც შემდეგში ანდების კორდილიერებსა და სამხრეთ ატლანტიკაზე საფოსტო ფრენის რეკორდები დაამყარა, ისე აფრქვევდა რწმენას, როგორც ნათურა — სინათლეს.

იმ საღამოს იგი უპიჯაკოდ, გულხელდაკრეფილი იჯდა ლამპასთან და გამამხნევებელი ღიმილით უბრალოდ მეუბნებოდა: `ქარიშხალი, ნისლი, თოვლი, — რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს თავს მოგაბეზრებს, მაგრამ მაშინ იფიქრე მათზე, ვინც შენზე ადრე განიცადა იგივე, და უთხარი საკუთარ თავს: თუ სხვამ დაძლია და გაართვა თავი, მეც დავძლევ და თავს გავართმევთქო~. მე მაინც გავშალე რუკები და ვთხოვე, ჩემთან ერთად გადაესინჯა მარშრუტი. და აი ლამპის შუქზე თავდახრილმა და უფროსი ამხანაგის მხარზე დაყრდნობილმა, კვლავ მოწაფეობისდროინდელი სიმშვიდე ვიგრძენი.

მაგრამ ეს რა უცნაური გეოგრაფიის გაკვეთილი იყო! გიომე უბრალოდ კი არ ამიწერდა ესპანეთს; მისი წყალობით, ესპანეთი ჩემი მეგობარი ხდებოდა. ის არ ლაპარაკობდა არც ჰიდროგრაფიაზე, არც მოსახლეობაზე, არც პირუტყვის სულადობაზე. ის მელაპარაკებოდა არა გვადიქსზე, არამედ ფორთოხლის სამ ხეზე, — გვადიქსის ახლოს, მინდვრის განაპირას რომ იზრდებოდა: `ფრთხილად, არ ენდო მათ! აღნიშნე ისინი შენს რუკაზე~... და ფორთოხლის სამმა ხემ უფრო დიდი ადგილი დაიკავა რუკაზე, ვიდრე სიეანევადამ. ის მიამბობდა არა ლორკაზე, არამედ მის ახლოს მდებარე ჩვეულებრივ ფერმაზე, მის ცხოვრებაზე, ფერმერზე და ფერმერის ცოლზე. და ამ ცოლქმარს, მიკარგულს სადღაც სივრცეში, ჩვენგან ათას ხუთას კილომეტრ მანძილზე, უსაზღვრო მნიშვნელობა ეძლეოდა. ისინი დასახლებულიყვნენ მთის კალთაზე და, შუქურას ზედამხედველივით, მუდამ მზად იყვნენ დახმარებოდნენ ადამიანებს თავიანთი სახლიდან გამომკრთალი ვარსკვლავივით მოციმციმე სინათლეებით.

ასე ვკრეფდით უსაზღვროებიდან, უშორესი სივრცეებიდან ისეთ წვრილმანებს, რომლებიც ქვეყანაზე არც ერთი გეოგრაფისთვის არ იყო ცნობილი, ვინაიდან გეოგრაფებს აინტერესებთ მხოლოდ წყალუხვი ებრო, დიდ ქალაქებს რომ უკლავს წყურვილს, და არა მოტრილის დასავლეთით ბალახებში ჩამალული პატარა ნაკადული, რომელიც მდელოზე ამოსულ რამდენიმე ყვავილს თუ უსველებს ფესვებს. `უფრთხილდი ამ ნაკადულს, ის აფუჭებს მინდორს. აღნიშნე ისინი შენს რუკაზე~. ო! მე ყოველთვის მეხსომება მოტრილის გველი! ეს იყო მთლად უმნიშვნელო ნაკადული; ათიოდე ბაყაყს თუ ხიბლავდა მისი ჩუხჩუხი, მაგრამ აქედან ორი ათას კილომეტრზე ბალახებქვეშ გაჭიმულს მხოლოდ ცალი თვალით ეძინა. და ამ ხსნის მოედანზე ჩასაფრებულს შეეძლო პირველივე შემთხვევაში ცეცხლის შადრევნად ვექციე.

ახლა სრულიად მომზადებული ვხვდებოდი მთის ფერდობზე მობალახე ოცდაათიოდე მარქენალ ცხვარსაც. `ეს მდელო თავისუფალი გეჩვენება, მაგრამ უცბად ოცდაათივე ცხვარი გამოექანება თვითმფრინავის თვლებისაკენ~. და ჩემში განცვიფრების ღიმილს იწვევდა ეს მუხანათური საფრთხე.

ლამპის შუქის ლიცლიცში ესპანეთი თანდათანობით სასწაულთა ქვეყნად იქცა ჩემს რუკაზე. მე ჯვრებით აღვნიშნავდი დასაშვებ მოედნებსა და მახეებს. აღვნიშნავდი იმ ფერმერს, იმ ოცდაათ ცხვარს, იმ ნაკადულს. დიდი სიზუსტით ვინიშნავდი ცხვრის საძოვარს, რომელსაც უგულებელყოფდნენ გეოგრაფები.

გიომეს გამოვეთხოვე თუ არა, ხეტიალის გუნებაზე დავდექი. ზამთრის სუსხიანი საღამო იყო. პალტოს საყელო ავიწიე. ჭაბუკური აღტაცებით მივაბიჯებდი გამვლელთა შორის და გული სიამაყით მევსებოდა, რომ მათ არაფერი იცოდნენ ჩემი საიდუმლოების შესახებ.

ეს ბარბაროსები სრულიადაც არ მიცნობდნენ, მაგრამ განთიადისას, საფოსტო ტვირთთან ერთად, ისინი სწორედ მე მომანდობენ თავიანთ საზრუნავს, თავიანთი სულის სწრაფვას. სწორედ ამ ხელებს ჩააბარებენ ისინი თავიანთ იმედებს. ასე, საყელოაწეული, მივაბიჯებდი ქუჩაში და თავს მათ მფარველად ვგრძნობდი. ხალხს კი აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მათი მზრუნველი ვიყავი.

მათ არც სიგნალები ესმოდათ, ღამე რომ მაწვდიდა მე. თოვლის ქარბუქი, რომელიც შეიძლება წუთი წუთზე ამოვარდნილიყო და ჩემი რეისი გაერთულებინა, — მხოლოდ და მხოლოდ მე მეხებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს. ვარსკვლავები ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ ცაზე. მაგრამ განა შეეძლო მოსეირნე ხალხს ამის შემჩნევა? მხოლოდ მე ვიყავი საიდუმლოს ნაზიარები. ბრძოლის წინ მხოლოდ მე ვიღებდი ცნობებს მტრის პოზიციების შესახებ...

და მაინც, ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვან მითითებებს ვიღებდი განათებულ ვიტრინებთან, სადაც ბრწყინავდნენ საშობაო საჩუქრები. აქ ამ ღამით თითქოს მთელი ამქვეყნიური სიკეთე გამოეფინათ და მე თავბრუს მახვევდა მათგან ჩემი განდგომით გამოწვეული სიამაყე. მე ვიყავი ის მებრძოლი, რომელსაც განსაცდელი ჩასაფრებია; მაშ რიღასთვის მინდოდა ეს მოელვარე, სადღესასწაულო ბროლი, ეს ჭაღები, ეს წიგნები? მე უკვე ნისლში მივცურავდი. მე, სამოქალაქო ავიაციის მფრინავი, უკვე ვგრძნობდი საფრენი ღამეების სუსხს.

ღამის სამი საათი იყო, როცა გამაღვიძეს. სწრაფად გამოვაღე დარაბები და ნაწვიმარ ქალაქს გადავხედე. ვიგრძენი, რომ დადგა მნიშვნელოვანი წუთი, და აუჩქარებლად დავიწყე ჩაცმა.

ნახევარი საათის შემდეგ წვიმისაგან ალაპლაპებულ ტროტუარზე დავდგი ჩემი ჩემოდანი, ზედ ჩამოვჯექი და ავტობუსს დავუწყე ლოდინი. ჩემამდე რამდენ ამხანაგს შეკუმშვია გული ამ მოლოდინში თავისი პირველი ზიარების დღეს! ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდა ჩვენი დანჯღრეული ავტობუსი და მე, როგორც ადრე ჩემმა ამხანაგებმა, უფლება მივიღე, ნახევრად მძინარე მებაჟესა და რამდენიმე მოხელეს შორის ჩავჭედილიყავი. ამ ავტობუსში იდგა შმორის, მტვრიანი კანცელარიისა და დამყაყებული კაბინეტის სუნი, —კაბინეტისა და კანცელარიისა, სადაც ასე უღვთოდ ჭკნება ადამიანის სიცოცხლე. ყოველი ნახევარი კილომეტრის შემდეგ ავტობუსი ჩერდებოდა, რათა შემოჭედილიყო კიდევ ერთი მოხელე, კიდევ ერთი მებაჟე ან ინსპექტორი. უკვე ჩაძინებული მგზავრების მისალმებაზე გაურკვეველი ბურტყუნით პასუხობდნენ ახალმოსულს, რომელიც ვაივაგლახით ეწყობოდა სკამზე და მაშინვე თვლემას იწყებდა. ეს იყო საკმაოდ მოსაწყენი მგზავრობა ტულუზის უსწორმასწორო ქვაფენილზე. და მოხელეებში მოხვედრილი სამოქალაქო მფრინავი თავდაპირველად მათგან არაფრით განსხვავდებოდა. მაგრამ ქუჩის ფარნების კიაფში აეროპორტი ახლოვდებოდა და ეს ძველი, დანჯღრეული ავტობუსი თანდათანობით ემსგავსებოდა ნაცრისფერ ჭუპრს, საიდანაც ადამიანი გარდაქმნილი უნდა გამოსულიყო.

ხელმძღვანელთა მორჩილებას, შარიანი ინსტრუქტორების მოთმინებით მოსმენას მიჩვეული ყოველი ამხანაგი, ასეთ დილას გრძნობდა, როგორ იბადებოდა მასში ესპანეთისა და აფრიკის ფოსტისათვის პასუხისმგებელი ადამიანი. როგორ იბადებოდა ის, ვინც სამი საათის შემდეგ ელვათა კაშკაშში პირისპირ შეებმებოდა საშინელ ურჩხულს... ის, ვინც ოთხი საათის შემდეგ, ამ ურჩხულზე გამარჯვებული, უფლებამოსილი, სრულიად დამოუკიდებლად გადაწყვეტდა, პირდაპირ მიეტანა იერიში

ალკოის მასივზე, თუ შემოევლო მისთვის ზღვაზე გადავლით; იბადებოდა ის, ვინც ამიერიდან ვაჟკაცურად შეერკინებოდა დარსა თუ ავდარს, მთებსა თუ ოკეანეებს.

ასეთ დილას ყოველ ამხანაგს, რომელიც აქამდე არაფრით გამოირჩეოდა ადამიანთა უსახელო ჯგუფიდან, ტულუზის ზამთრის პირქუში ცის ქვეშ უგრძვნია, როგორ იღვიძებს მასში მბრძანებელი, რომელიც ხუთი საათის შემდეგ უკან მოიტოვებს ჩრდილოეთის წვიმებს და თოვლს, ყოველგვარ კავშირს გაწყვეტს ზამთართან, შეანელებს სვლას და დაეშვება ზაფხულის მზით გავარვარებულ ალიკანტეში.

უკვე აღარ არსებობს ის ძველი ავტობუსი, მაგრამ მისი კეთილმოუწყობლობა და უბადრუკობა ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში, როგორც სიმბოლო იმისა, რომ ჩვენს ხელობაში სიხარულიც კი მკაცრია. აქ ყველაფერს თან ახლდა უდიდესი თავშეკავება.

მახსოვს, ჩემი პირველი გაფრენიდან სამიოდე წლის შემდეგ მე და ჩემს თანამგზავრებს ერთმანეთისთვის ათიოდე სიტყვაც კი არ გვითქვამს, ამ ავტობუსში ისე გავიგე მფრინავ ლეკრივენის სიკვდილი, — ერთი იმ ამხანაგის სიკვდილი, რომელთანაც ერთ ხაზზე ფრენა გვაკავშირებდა და რომელმაც, სხვა მრავალი ამხანაგის მსგავსად ერთ ნისლიან დღესა თუ ერთ ნისლიან ღამეს სამარადისოდ განისვენა.

მაშინაც ასევე სამი საათი იყო, ასევე დუმდა ირგვლივ ყველაფერი, როდესაც უეცრად სიბნელეში დირექტორის ხმა გაისმა:

— წუხელ ლეკრივენი არ დაშვებულა კასაბლანკაში.

— აა! — აღმოხდა ინსპექტორს, — რაო?

უცებ გამოღვიძებულმა, მან ძალა დაატანა თავს, რომ საბოლოოდ გამოფხიზლებულიყო, და უფრო მეტი გულისყურის გამოსაჩენად დაუმატა:

— ჰა? რაო? გზა ვეღარ გაიკვლია? უკან გამობრუნდა?

ამაზე ავტობუსის სიღრმიდან მოკლედ უპასუხეს: `არა~. ჩვენ ლაპარაკის გაგრძელებას ველოდით, მაგრამ აღარც ერთი სიტყვა არ თქმულა. მიქროდნენ წამები და ჩვენთვის

სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამ `არას~ უკვე აღარაფერი მოჰყვებოდა; რომ ამ `არას~ შეცვლა აღარავის შეეძლო. რომ ლეკრივენი არამც თუ არ დაეშვა კასაბლანკაში, არამედ აღარასოდეს და აღარსად დაეშვებოდა.

ამ დილას, ჩემი პირველი რეისის გარიჟრაჟზე, მეც უხმოდ ვემორჩილებოდი ჩვენი ხელობის რიტუალს. ავტობუსიდან გავყურებდი სველ, მოლაპლაპე ქვაფენილს, რომელიც ფარნების შუქს ირეკლავდა, და ვგრძნობდი, როგორ ვკარგავდი საკუთარი თავისადმი რწმენას. ფანჯრიდან ვხედავდი უშველებელ გუბეებზე არეკლილ პალმის ფოთლების მსგავს ჭავლებს, რომელთაც ქარი შეუსვენებლივ სადღაც მიერეკებოდა, და ვფიქრობდი: `კაცმა რომ თქვას... ჩემს პირველ რეისს ბედი არ სწყალობს~.

`ცუდი ამინდია?~ — გადავხედე ინსპექტორს. ინსპექტორმა დაღლილი თვალებით გაიხედა ფანჯარაში. `ეს არაფერს ნიშნავს~, — წაიბურტყუნა მან ბოლოს. `მაშ როგორიღაა უამინდობის ნიშნები?~ — ჩავეკითხე საკუთარ თავს. წინა საღამოს გიომემ ერთი გაღიმებით წაშალა ყველა ის ავის მომასწავებელი წინასწარმეტყველება, რომლებითაც თავს გვაბეზრებდნენ `ბებრები~, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მაინც წამოტივტივდა რომელიღაც მათგანის სიტყვები: `საბრალოა, ვინც თოვლის გრიგალში მოხვდება, თუ მთელ ხაზს კარგად არ იცნობს, თვით უკანასკნელ კენჭამდე... დიახ, ნამდვილად საბრალოა!~ `ბებრები~ თავიანთი პრესტიჟის დასაცავად ამბობდნენ ამას, თან თანაგრძნობით გვიყურებდნენ და სინანულით აქნევდნენ თავს, თითქოს ჩვენი მიამიტობა აწუხებდათ. ეს კი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებდა ჩვენ.

და მართლაც, რამდენი ჩვენგანისთვის აღმოჩნდა ეს ავტობუსი უკანასკნელი თავშესაფარი? სამოცისთვის? ოთხმოცისთვის? ყველა მათგანი იმავე პირქუშ მძღოლს მიჰყავდა ხოლმე წვიმიან დილას დანიშნულ ადგილამდე. მივიხედმოვიხედე, სიბნელეში სიგარეტები ისე ინთებოდა, თითქოს ყოველ განაფიქრს წერტილს უსვამსო, — დაბერებულ მოხელეთა უნიათო განაფიქრს. და რამდენ ჩვენგანს გაჰყოლიან ეს თანამგზავრები უკანასკნელ კორტეჟად?

მე ყურს ვუგდებდი ჩუმ, გულითად საუბრებს. ეს საუბრები ეხებოდა ავადმყოფობას, ფულს, ყოველდღიურ ოჯახურ საზრუნავს. ისინი აჩუქურთმებდნენ იმ საპყრობილის უღიმღამო კედლებს, რომლებშიც ამ ადამიანებმა თვითონ ჩაიკეტეს თავი. და უცებ ჩემ წინაშე ბედის საკითხი წამოიჭრა.

შენ, კანცელარიის ძველო მოხელე, ჩემო თანამგზავრო! არასოდეს არავის უშველია შენთვის, რომ გაქცეულიყავი ამ საპყრობილიდან, და ამაში შენ არა ხარ დამნაშავე. შენ შენი მყუდროება ააშენე და ტერმიტთა მსგავსად ამოქოლე ყველა გასასვლელი სინათლისაკენ. შენ მოიკუნტე და გამოეხვიე ბურჟუაზიულ კეთილდღეობაში, პროვინციული ცხოვრების წუმპეში მოიკალათე, შენ აღმართე ეს უბადრუკი ზღუდე ქარისაგან, მოქცევათაგან, ვარსკვლავთაგან თავის დასაცავად. შენ არ გინდა თავს იღელვებდე დიდი პრობლემების გადაჭრით: შენთვის ისედაც ძნელია დაივიწყო, რომ ადამიანი ხარ. არა, შენ არა ხარ ცთომილი პლანეტის მკვიდრი და არც უსვამ საკუთარ თავს კითხვებს, რომლებზეც პასუხი არ არის: შენ პატარა ტულუზელი ფილისტერი ხარ მხოლოდ. შენ არავინ დაგწვდა მხრებში და შეგაჩერა, როცა ჯერ კიდევ დრო იყო. ახლა ის თიხა, რომლიდანაც გამოგძერწეს, გახმა, გაკაჟდა და უკვე ვეღარავინ გააღვიძებს შენში მუსიკოსს, პოეტსა თუ ასტრონომს, რომელიც შესაძლოა, სუნთქავდა შენში თავდაპირველად.

მე აღარ ვუჩივი თავსხმას. ჩემი ხელობის ჯადოსნური ძალა ჩემ წინაშე შლის სამყაროს, სადაც ორი საათის შემდეგ მომელის შეტაკება შავ ურჩხულთან, ელვის ლურჯი დალალებით შემკულ მწვერვალებთან; შლის სამყაროს, სადაც შეღამებისთანავე მე, აზატქმნილი, ვარსკვლავთა მიხედვით გავიკვლევ გზას.

ასეთი იყო ჩვენი პროფესიული ნათლობა და ასე იწყებოდა ჩვენი რეისები. ეს რეისები უმეტესად მშვიდობიანად მთავრდებოდა. პროფესიონალი მყვინთავებივით მშვიდად გადავეშვებოდით ხოლმე ჩვენს საჰაერო სამფლობელოთა სიღრმეებში. ახლა ეს სიღრმეები კარგადაა შესწავლილი. ახლა მფრინავი, მექანიკოსი, რადისტი ალალბედზე კი აღარ მოქმედებენ, არამედ ლაბორატორიებში იკეტებიან. ისინი ემორჩილებიან ისართა თამაშს და არა პეიზაჟის მოძრაობას. აგერ, წყვდიადში მთები იხატება, მაგრამ ეს

უკვე მთები კი არა, ის უჩინარი ძალებია, რომელთა მოახლოება აუცილებლად უნდა გამოთვალო. ლამპის შუქზე რადისტი გულმოდგინედ იწერს ციფრებს, მექანიკოსი რუკაზე ინიშნავს მდებარეობას, მფრინავი კი მაშინვე ასწორებს გეზს, თუ მთები მას სხვა მხრიდან მოექცნენ; თუ მწვერვალები, რომლებისთვისაც მარცხნივ უნდა შემოევლო, ჩუმად და საიდუმლოდ დაირაზმნენ მის წინააღმდეგ, რათა შიგ გულში აძგერონ მახვილი.

რადისტები კი, რომლებიც მიწაზე მორიგეობენ, თვითმფრინავში მჯდომი ამხანაგის კარნახით ერთდროულად წერენ რვეულებში: `ნული საათი და ორმოცი წუთი. კურსი ორას ოცდაათი. თვითმფრინავზე არავითარი ცვლილება არ არის“.

ასე მგზავრობს ეკიპაჟი დღეს. ის ვერც კი გრძნობს, რომ მოძრაობაშია. ისევე როგორც ზღვაში ღამით, იგი აქ მოკლებულია ყოველგვარ ორიენტირს. მაგრამ ძრავების ცახცახი, რომელსაც აჰყოლია ეს განათებული ოთახი, სახეს უცვლის მას. და მიქრის დრო. ციფერბლატებზე, რადიოლამპებში, ისრებში იგრძნობა რაღაც უხილავი ალქიმია. ყოველ წამს ხელების იდუმალი მოძრაობა, ყრუდ წარმოთქმული სიტყვები, დაძაბული ყურადღება ამზადებენ სასწაულს. და დგება წუთი, როცა რწმენით აღვსილი მფრინავი შუბლს აბჯენს კაბინის მინას და გასცქერის სივრცეს. იქ არარაობიდან იშვა ოქრო. იგი ელვარებს დასაშვები მოედნის ცეცხლის შუქზე.

და მაინც ყოველ ჩვენგანს ჰქონია რეისები, როცა აეროდრომიდან ორი საათის საფრენზე აუწონდაუწონია თავისი მდგომარეობა და უცებ ისე შორს უგრძვნია თავი, თითქოს ინდოეთში ყოფილიყოს და იქიდან უკან დაბრუნების იმედი დაჰკარგოდეს.

ასე დაემართა მერმოზს, როცა ჰიდროპლანით პირველად გადაკვეთა სამხრეთ ატლანტიკა და დღის ბოლოს პოტონუარის რაიონს მიუახლოვდა. მან დაინახა პირდაპირ მის წინ აღმართული გრიგალის უშველებელი სვეტები, რომლებიც ყოველ წუთს უფრო და უფრო მიჯრით ეწყობოდნენ ერთმანეთს, თითქოს კედელი აჰყავთო. მერე ღამემ

დაფარა გრიგალის ეს საბრძოლო მზადება და თვალს მიაფარა იგი. ერთი საათის შემდეგ ღრუბლებიდან გამოსული მერმოზი ფანტასტიკურ სამეფოში აღმოჩნდა.

შავი, გარეგნულად ტაძრის სვეტებივით უძრავი გრიგალი წამომართულიყო ფეხზე და წელში სწორდებოდა. მისი იალქნებივით დაბერილი მწვერვალები ქვემოდან ებჯინებოდნენ ქარიშხლის დაბალ და პირქუშ გუმბათს, აქაიქ გარღვეული გუმბათიდან ზოლებად ეშვებოდა სინათლე. გრიგალის სვეტებს შორის სავსე მთვარე კაშკაშებდა და თავს დანათოდა ზღვის მარმარილოსავით ცივ ფილებს. და მერმოზი გამონაშუქიდან გამონაშუქამდე გარს უვლიდა გიგანტურ სვეტებს, რომლებშიც ბობოქრობდა ყალყზე შემდგარი ზღვა; ოთხი საათის განმავლობაში მიიკვლევდა იგი გზას მთვარის სხივების გასწვრივ და ამ დიდებული ტაძრის უკაცრიელ ნანგრევთა შორის შეუპოვრად მიიწევდა გასასვლელისაკენ. სანახაობამ იმდენად გაიტაცა მერმოზი, პოტონუარის დაძლევის შემდეგღა მიხვდა, რომ შიშიც კი არ უგრძვნია.

მახსოვს წუთებიც, როცა რეალური სამყაროს საზღვრებს გავცდი. იმ ღამეს საჰარის აეროდრომებიდან რადიოთი მიღებული ყველა მითითება არასწორი აღმოჩნდა და მათ შეგვაცდინეს რადისტი ნირი და მე. როდესაც გარღვეულ ნისლში, სადღაც ქვემოთ, წყალი ალაპლაპდა და მე ერთბაშად ნაპირისკენ გამოვბრუნდი, ძნელი იყო გარკვევა, რამდენად შორს შევიჭერით ღია ზღვაში.

ჩვენ დარწმუნებულები არ ვიყავით, რომ ნაპირამდე მივაღწევდით – შეიძლებოდა, საწვავი აღარ გვყოფნოდა; ნაპირს მიღწეულებს კი დასაშვები მოედანი უნდა გვეძებნა. ამასობაში მთვარის ჩასვლის დროც დადგა. უკვე სმენადაკარგულები, თანდათან თვალის სინათლესაც ვკარგავდით კოორდინატების უქონლობის გამო. ნისლში, რომელიც თოვლის მეჩეჩს წააგავდა, მთვარე დაფერფლილი ნაკვერჩხალივით ქრებოდა. ცა ღრუბლებით იფარებოდა და ჩვენ განვაგრძობდით გზას ამ ღრუბლებსა და ნისლს შორის, სინათლესა და სიცოცხლეს მოკლებულ სამყაროში.

რომელი აეროპორტებიც გვპასუხობდნენ, უარს ამბობდნენ ჩვენი ადგილმდებარეობის გარკვევაზე: `ადგილმდებარეობა უცნობია... ადგილმდებარეობა უცნობია“, — რადგან ჩვენი ხმა ესმოდათ ყოველი მხრიდან და არსაიდან.

და უეცრად, როდესაც სრულიად დავკარგეთ იმედი, მარცხნივ, ჰორიზონტთან გამოჩნდა მოკიაფე წერტილი. უდიდესმა სიხარულმა შემიპყრო; ნერი ჩემკენ დაიხარა და ყურში მისი სიმღერა ჩამესმა! ეს მხოლოდ აეროპორტი შეიძლებოდა ყოფილიყო, მხოლოდ შუქურა. ღამით ხომ საჰარა, უზარმაზარ მკვდარ სივრცეებად გაშლილი, უკუნში იძირება! ამასობაში შუქურამ იციმციმა, იციმციმა და ჩაქრა. კურსი ჩამავალ ვარსკვლავზე ავიღეთ, რომელმაც ჰორიზონტზე, ნისლის ზოლსა და ღრუბლებს შორის გაიელვა.

ჩვენ წინ სულ ახალახალი შუქურები ჩნდებოდა და ჩვენც, ოდნავ იმედმოცემულები, ხან ერთისკენ ვიღებდით გეზს, ხან მეორისკენ. და, როცა შუქურა არა ქრებოდა, უკანასკნელ საშუალებას მივმართავდით: `წინ სინათლეა, — გადასცემდა ნერი სისნეროსის აეროპორტს, — სამჯერ ჩააქრეთ და აანთეთ შუქურა~, და სისნეროსიც აქრობდა და ანთებდა შუქურას. მაგრამ დაუნდობელი სინათლე, რომელსაც მივჩერებოდით, თვალსაც არ ახამხამებდა — მოუსყიდველი ვარსკვლავი!

და მიუხედავად იმისა, რომ საწვავი თანდათან გველეოდა, ჩვენ ყოველ ჯერზე ახალ ოქროს ანკესზე ვეგებოდით, ყოველ ჯერზე გვეჩვენებოდა, რომ ეს ნამდვილი შუქურაა, რომ ეს ჩვენი მხსნელი დასაშვები მოედანია, ჩვენი სიცოცხლე, და მერე ისევ ახალი ვარსკვლავისკენ ვიღებდით კურსს.

და მაშინ ვიგრძენით, რომ ნამდვილი პლანეტის, ჩვენი პლანეტის ძებნაში, — იმ ერთადერთი პლანეტის ძებნაში, სადაც ჩვენი ნაცნობი პეიზაჟებია და ჩვენი მეგობრების სახლები, სადაც ჩვენი საყვარელი ადამიანები ცხოვრობენ, — დაკარგულები აღმოვჩნდით პლანეტათა შორის სივრცეებში, ასეულ მიუწვდომელ პლანეტებს შორის.

იმ ერთადერთი პლანეტის ძებნაში, რომელზეც... მე თქვენ გიამბობთ, როგორი სურათი წარმომიდგა თვალწინ, თუმცა შეიძლება ეს ბავშვობადაც კი მოგეჩვენოთ. განსაცდელის მოლოდინშიც არ ტოვებს ადამიანს მისთვის ჩვეული საზრუნავი და მეც შიმშილი და წყურვილი მაწუხებდა. `თუ სისნეროსს მივაღწიეთ, — ვფიქრობდი მე, — საწვავს ავიღებთ, გზას განვაგრძობთ და დილაადრიან, სიგრილეში, კასაბლანკაში დავეშვებით. სამსახურის ვალი მოხდილი იქნება! მე და ნერი გავალთ ქალაქში, ვიპოვით პატარა კაფეს —განთიადისას რომ იღება ხოლმე... მივუსხდებით მაგიდას და, ხიფათს გადარჩენილები,

შევექცევით რძიან ყავას ცხელი ფუნთუშებით, გასული ღამის სიძნელენი კი სიცილადაც არ გვეყოფა. და ორივენი — მეც და ნერიც — ამ დილას მივიღებთ, როგორც სიცოცხლის გულუხვ საჩუქარს~. მოხუცი გლეხი ქალიც ასე შეიცნობს თავის ღმერთს — მარტოოდენ ხატის, საკმევლისა და კრიალოსნის მეშვეობით; ჩვენზე ზემოქმედებისათვის მარტივი ენაა საჭირო. პირადად ჩემთვის ყოფიერების მთელმა სიხარულმა თავი მოიყარა ცხელი, სურნელოვანი ყავის პირველ ყლუპში, — ყავის, რძისა და ხორბლის იმ ნარევში, რომლის მეშვეობითაც გრძნობ კავშირს ჩუმ საძოვრებთან, ეგზოტიკურ პლანტაციებსა და ყანებთან, გრძნობ კავშირს მიწასთან. ამდენ ვარსკვლავებში არის მხოლოდ ერთი ვარსკვლავი, რომელმაც შექმნა ამ სურნელოვანი სასმელით ავსილი ფიალა ჩვენი დილის ტრაპეზისათვის.

მაგრამ დაუძლეველი მანძილი ჩვენს ხომალდსა და დასახლებულ დედამიწას შორის სულ უფრო და უფრო იზრდება. სამყაროს მთელი სიმდიდრე ჩვენთვის თავმოყრილი იყო თანავარსკვლავედში მიკარგული მტვრის ერთ პატარა ნაწილაკში და ასტროლოგი ნერი, რომელიც მის შეცნობას ცდილობდა, დაუღალავად ავედრებდა ჩვენს თავს ვარსკვლავებს.

უცებ მან მხარზე მუშტი დამკრა. ბარათზე, რომელიც ამ მუჯლუგუნის საშუალებით შემომაჩეჩა, ეწერა: `ყველაფერი რიგზეა, შესანიშნავ ცნობას ვიღებ~... გულის ფანცქალით ველოდი, როდის გადამიწერდა იგი ამ ხუთიოდე მხსნელ სიტყვას. ბოლოს, როგორც იყო, მივიღე ეს ზეციური საჩუქარი.

ცნობა იყო კასაბლანკიდან, საიდანაც გუშინ საღამოს გამოვფრინდით. გადაცემამ შეიგვიანა და უეცრად მოგვეწია ქალაქიდან ორი ათას კილომეტრ მანძილზე, მაშინ, როდესაც ზღვის თავზე, სივრცეებში დაკარგულები, ნისლსა და ღრუბლებს შორის დავბორიალებდით. დეპეშას გზავნიდა კასაბლანკის აეროპორტის მთავრობის მოხელე. იგი იწერებოდა: `ბატონო დე სენტეკზიუპერი, იძულებული ვარ, ვთხოვო პარიზს, დაგადოთ სასჯელი: კასაბლანკიდან გაფრენის დროს თქვენ ძალიან ახლოს ჩაუარეთ ანგარებს~. მართალია, მე ანგარებს მეტისმეტად ახლოს ჩავუარე. ისიც მართალი იყო, რომ ეს გაჯავრებული ადამიანი თავის მოვალეობას ასრულებდა. აეროპორტის

კანცელარიაში მე მორჩილებით მოვისმენდი ამ საყვედურს. მაგრამ ცნობა მოგვეწია იქ, სადაც არ უნდა მოგვწეოდა. ეს საუბარი სრულიად შეუფერებელი გახლდათ ამ სქელ ნისლში, ამ კანტიკუნტ ვარსკვლავებს შორის, ამ მუქარით სავსე ზღვის თავზე. ჩვენ ვიყავით საკუთარი ბედის, ფოსტის ბედისა და ჩვენი ხომალდის ბედის გამგებელნი. არცთუ ისე ადვილი იყო ჩვენთვის სიცოცხლის შენარჩუნება, ეს ადამიანი კი თავზე გვახვევდა თავის წვრილმან გულარძნილობას. მაგრამ გაჯავრების ნაცვლად, მეც და ნერიმაც აღტაცების მოზღვავება ვიგრძენით. აქ ჩვენ სრული ბატონპატრონები ვიყავით და ამ ჭეშმარიტების აღმოჩენაში სწორედ ის მოხელე დაგვეხმარა. ნუთუ ვერ შენიშნა მან, ამ ეფრეიტორმა, რომ კაპიტნის წოდება მივიღეთ? იგი შემოიჭრა ჩვენს ზმანებებში მაშინ, როდესაც, დაძაბულები, დიდ დათვსა და კირჩხიბს შორის ვტრიალებდით, როდესაც ჩვენი აღელვება მხოლოდ ისეთი მასშტაბის მოვლენას შეეძლო, როგორიცაა, მაგალითად, მთვარის მუხანათობა.

პლანეტას, საიდანაც ეს ადამიანი თავის არსებობას გვამცნობდა, მხოლოდ ერთი რამ ევალებოდა — მოეცა ჩვენთვის ზუსტი ცნობები ვარსკვლავთა შორის ორიენტირებისათვის. ყველა მის მიერ მოწვდილი ცნობა მცდარი იყო; რაც შეეხება სხვა დანარჩენს, პლანეტას ერჩია ყოფილიყო თავისთვის ჩუმად და მეტი არაფერი. და ნერიმ მომწერა: `რაღაცეების ჩმახვას მათ ის ერჩიათ, სადმე მივეყვანეთ...~ `მათ~ — ამ სიტყვაში იგი აერთიანებდა დედამიწის ყველა ხალხს მათი პარლამენტებითა და სენატებით, მათი ფლოტილიით, არმიებითა და იმპერატორებით. კიდევ ერთხელ გადავიკითხეთ იმ უგუნურის მოწერილობა, რომელიც ჩვენთან ანგარიშის გასწორებას აპირებდა, და კურსი მერკურისაკენ ავიღეთ.

საოცარმა შემთხვევამ გადაგვარჩინა: დადგა წუთი, როდესაც თავი ვანებე ოცნებას, მიგვეღწია სისნეროსამდე, პირი ვიბრუნე ნაპირისაკენ და გადავწყვიტე, საწვავის უკანასკნელ წვეთამდე ამ კურსით მევლო. მხოლოდ ასე ფრენა იძლეოდა იმის იმედს, რომ ზღვაში არ დავიხრჩობოდით. საუბედუროდ, თვალმა მომატყუა და კიდევ უფრო

ამებნა გზა. საუბედუროდ, ის სქელი ნისლი, რომელშიც უნდა შევჭრილიყავით ამ ღამის წყვდიადში, მშვიდობიანად დაშვების ნაკლებ შანსს იძლეოდა. მაგრამ არჩევანი არ იყო.

მდგომარეობა იმდენად ნათელი იყო ჩემთვის, რომ მე მხოლოდ ნაღვლიანად ავიჩეჩე მხრები, როცა ნერიმ შემომაჩეჩა ცნობა, რომელსაც ჯერ კიდევ ერთი საათის წინ შეეძლო ჩვენი გადარჩენა: `სისნეროსი, როგორც იქნა, იღვიძებს და ჩვენი ადგილმდებარეობის გარკვევას ცდილობს. სისნეროსი გვატყობინებს: ორას თექვსმეტი, მაგრამ საეჭვოა...~ სისნეროსი აღარ იყო წყვდიადით მოცული. სისნეროსი ხმას გვაწვდენდა, ჩვენ მას სადღაც მარცხნივ ვგრძნობდით. ჰო, მაგრამ რა მანძილზე!

მე და ნერიმ სწრაფად ავწონდავწონეთ მდგომარეობა. მეტისმეტად გვიან იყო. ორივე ერთი აზრისა ვიყავით: სისნეროსის დევნაში, იქნებ ნაპირისთვისაც ვეღარ მიგვეღწია. და ნერიმ უპასუხა: `ერთი საათის საწვავიღა დაგვრჩა. ვაგრძელებთ გზას. კურსი — ორმოცდაცამეტი~.

ამასობაში აეროპორტები ზედიზედ იღვიძებდნენ. ჩვენს საუბარს შემოუერთდა აგადირი, კასაბლანკა, დაკარი. ამ ქალაქების რადიოსადგურებმა აეროპორტებში განგაში ატეხეს. აეროპორტის უფროსებმა, თავის მხრივ, ყველა ჩვენს ამხანაგს შეატყობინეს ჩვენი ამბავი. და ნელნელა ყველანი თავს იყრიდნენ ჩვენ გარშემო, როგორც ავადმყოფის საწოლთან. უსარგებლო თანაგრძნობა, მაგრამ მაინც თანაგრძნობა! უნაყოფო რჩევები, მაგრამ რაოდენ სათუთი!

და უცებ ტულუზა ამოტივტივდა ეთერში, — ტულუზა, საავიაციო ხაზის დასაწყისი, სადღაც ოთხი ათას კილომეტრ მანძილზე მიკარგული. ტულუზა ერთბაშად შემოიჭრა და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე გამოგვიცხადა: `თვითმფრინავი, რომელსაც თქვენ მართავთ, ხომ ესა და ესაა?~ (ნომერი დამავიწყდა) — `დიახ~, — `მაშ, საწვავი კიდევ ორი საათის სამყოფი გაქვთ. მაგ თვითმფრინავს არასტანდარტული ბაკი აქვს. კურსი სისნეროსისაკენ!~

ასე გარდაქმნიან და ამდიდრებენ სამყაროს ხელობის მოთხოვნილებანი, ამგვარი ღამის გადატანა არც კია საჭირო იმისათვის, რომ მფრინავმა ძველ სანახაობაში ახალი აზრი აღმოაჩინოს. მგზავრისათვის დამღლელი, ერთფეროვანი პეიზაჟი სულაც არ არის ერთფეროვანი ეკიპაჟისათვის. მისთვის ღრუბელთა მასა, რომელიც თანდათანობით ფარავს ჰორიზონტს, უბრალო დეკორაცია როდია: იგი განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს ეკიპაჟის კუნთებს და მის წინაშე განსაზღვრულ პრობლემებს სვამს. მფრინავი მაშინვე გრძნობს ამ ღრუბლების მნიშვნელობას და შესაბამის ძალას იკრებს; ღრუბლები მფრინავისათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობენ. აგერ, მთის მწვერვალიც. იგი ჯერ შორსაა და ვინ იცის, როგორი აღმოჩნდება! მთვარის შუქზე ის კარგი ორიენტირია. მაგრამ თუ პილოტი ბრმად მიფრინავს, დიდი გაჭირვებით ასწორებს მიმართულებას და დარწმუნებული არ არის თვითმფრინავის ზუსტ ადგილმდებარეობაში, მწვერვალი დენთად იქცევა, — იგი მუქარით ავსებს ღამეს ისევე, როგორც დინებას აყოლილი ერთადერთი ნაღმი აფუჭებს ხოლმე მთელ ზღვას.

მფრინავს ოკეანეც სხვაგვარად წარმოუდგება. ჩვეულებრივი მგზავრი ქარიშხალს ვერც კი ამჩნევს: დიდი სიმაღლიდან ტალღების ამობურცულობა არა ჩანს, შხეფების ღრუბელი კი კაცს უძრავად ეჩვენება, თითქოს ქვევით პალმის ფოთლებიაო გაშლილი, ძარღვებითა და ნაჭდევებით დახაზული და რაღაც უცნაური თრთვილით დაფარული. მაგრამ ეკიპაჟმა კარგად იცის, რომ წყალზე დაშვება შეუძლებელია. მისთვის ეს ფოთლები უზარმაზარი შხამიანი ყვავილებია.

და თუნდაც ფრენა მშვიდობიანად მიმდინარეობდეს, ხაზის არც ერთ მონაკვეთზე მფრინავი უბრალო მაყურებლად არ რჩება. დედამიწისა და ცის შეფერილობა, ქარიშხლის კვალი ზღვაზე, მწუხრისას ღრუბლების ოქროსფრად მოსევადება მასში იწვევს არა აღტაცებას, არამედ დაფიქრებას. მსგავსად იმ გლეხისა, რომელიც თავის მიწის ნაკვეთს ათვალიერებს და ათასგვარი ნიშნებით ხვდება, როგორი იქნება გაზაფხული, — მოსალოდნელია თუ არა წაყინვები, მალე მოვა თუ არა წვიმა, — პროფესიონალი მფრინავიც ამჩნევს თოვლის ნიშნებს, ნისლისა და კარგი ღამის ნიშნებს. მანქანა, რომელიც ადამიანს თითქოს აშორებს ბუნებას, სინამდვილეში კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს მას ბუნების დიდ პრობლემებთან. ზეციურ ქარიშხალთა დაუნდობელი

მსჯავრის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილი პილოტი თავისი ტვირთის გადასარჩენად ერკინება ბუნების სამ ღმერთს: მთებს, ზღვასა და ავდარს.

II. ამხანაგები

1.

რამდენიმე ამხანაგმა, მათ შორის მერმოზმა, საჰარის დაუმორჩილებელ რაიონებში დააარსა ფრანგული საავიაციო ხაზი კასაბლანკადაკარი. ძრავები იმ დროს ერთობ სუსტი იყო და, ავარიის შედეგად, მერმოზი არაბებს ჩაუვარდათ ხელში. მათ ვერ გაბედეს მისი მოკვლა, თხუთმეტი დღე ტყვედ ჰყავდათ, მერე გამოსასყიდი მიიღეს და გაუშვეს. და მერმოზმა იმავე ტერიტორიაზე განაახლა ფრენა.

როცა სამხრეთ ამერიკის ხაზი გაიხსნა, მერმოზს, რომელიც ყოველთვის ავანგარდში იყო, დაავალეს აეთვისებინა მონაკვეთი ბუენოსაირესსა და სანტიაგოს შორის და საჰარაზე გადებული ხიდის შემდეგ ხიდი გაედო ანდებზეც. მან მიიღო თვითმფრინავი ხუთი ათას ორასმეტრიანი ჭერით მაშინ, როდესაც კორდილიერების მწვერვალები შვიდი ათას მეტრზეა ატყორცნილი. და მერმოზი გასასვლელთა საძებნელად გაფრინდა. ქვიშების შემდეგ მერმოზი შეება მთებს, მწვერვალებს, რომლებიც თავიანთ თოვლის მანდილებს აფრიალებენ ქარში და დედამიწას ახვევენ წყვდიადში — ამ ღვართქაფების წინამორბედის საბურველში; შეება ჰაერის ისეთი ძალის ნაკადებს, რომ ეს ბრძოლა კლდეების ქიმებს შორის წააგავდა მფრინავისა და ქარის დაუნდობელ ორთაბრძოლას პირწამახული ორლესულებით. მერმოზი ისე გადიოდა ბრძოლაში, რომ არაფერი იცოდა მოწინააღმდეგის ძალების შესახებ, არც ის იცოდა — ასეთი შეტაკებიდან ცოცხლები ბრუნდებიან თუ არა. მერმოზი `დაზვერვას აწარმოებდა~ სხვებისათვის.

ბოლოს, ერთი ასეთი დაზვერვის დროს, იგი ანდების ტყვე აღმოჩნდა.

ოთხი ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარე ციცაბოკედლებიან მოედანზე იძულებით დაშვებულნი, ისა და მისი მექანიკოსი ორი დღე ცდილობდნენ გამოსულიყვნენ ამ მახიდან, მაგრამ ამაოდ. მაშინ მათ გადაწყვიტეს, უკანასკნელად ეცადათ ბედი: აამუშავეს ძრავა და უფსკრულისკენ გაქანდნენ. თვითმფრინავი უსწორმასწორო ნიადაგზე რამდენჯერმე შეხტომის შემდეგ უფსკრულში გადაეშვა. ვარდნისას მან, ბოლოს და ბოლოს, აიღო სიჩქარე და თანდათან დაემორჩილა საჭეს. მერმოზმა სიმაღლის აღება დაიწყო, რომ თავს გადავლებოდა თხემს, მაგრამ გამოედო მას. წინა ღამეს ყინვისგან დამსკდარი რადიატორის ყველა მილიდან წყალმა გადმოხეთქა და, როცა შვიდი წუთის ფრენის შემდეგ მერმოზს კვლავ ავარია შეემთხვა, მის წინ ჩილის დაბლობი გადაიშალა, როგორც აღთქმული ქვეყანა.

მეორე დღეს ყველაფერი თავიდან დაიწყო.

როცა ანდები კარგად შეისწავლა, როცა გამოიმუშავა მათზე ფრენის ტექნიკა, მერმოზმა ხაზის ეს მონაკვეთი თავის ამხანაგ გიომეს მიანდო, თვითონ კი ღამის ათვისებას შეუდგა.

ჩვენი აეროდრომები ჯერ კიდევ არ იყო განათებული და ბნელ ღამეებში მერმოზს დასაშვებ მოედნებზე ხვდებოდა ბენზინის მხოლოდ სამი კოცონის მბჟუტავი სინათლე.

მან დაძლია ეს სიძნელე და გახსნა გზა.

როცა ღამე სავსებით მოიშინაურა, მერმოზი ოკეანის დამორჩილებას შეუდგა. და 1931 წელს ტულუზიდან ბუენოსაირესში ფოსტა პირველად მივიდა ოთხ დღეში. უკან გამობრუნებისას, ზეთის გამტარი მილაკების მცირე დაზიანების გამო, მერმოზი იძულებული იყო, საშინელ ქარიშხალში სამხრეთ ატლანტიკის შიგ შუაგულში დაშვებულიყო. იგი თავისი ფოსტითა და ეკიპაჟით რომელიღაც გემმა გადაარჩინა.

ასე იმორჩილებდა მერმოზი ქვიშებს, მთებს, ღამესა და ზღვას. არაერთხელ შთაუნთქავს იგი ქვიშებს, მთებს, ღამესა და ზღვას, მაგრამ ყოველი დაბრუნების შემდეგ ის იმავე გზებით განაგრძობდა ფრენას.

და აი თორმეტი წლის მუშაობის შემდეგ, სამხრეთ ატლანტიკაზე მორიგი რეისის დროს, მან მოკლედ გადასცა ეთერში, რომ გამორთო მარჯვენა უკანა ძრავა და დადუმდა. ეს ცნობა თითქოს არავითარ საფუძველს იძლეოდა შეშფოთებისათვის და მაინც, ათი წუთის დუმილის შემდეგ ყველა რადიოსადგური — პარიზიდან ბუენოსაირესამდე — სევდიან ვახტზე დადგა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ათი წუთით დაგვიანება არავითარ როლს თამაშობს, საფოსტო ავიაციაში კი იგი იძენს უზარმაზარ მნიშვნელობას. ამ მკვდარ შუალედში ხომ იდუმალებით სავსე ამბავია დამალული, უმნიშვნელო თუ სამწუხარო, მაგრამ უკვე მომხდარი. ბედმა თავისი მსჯავრი გამოიტანა და უკვე აღარავის ძალუძს მისი შეცვლა: რკინის ხელმა ან აიძულა ეკიპაჟი, უშიშარ ადგილას დაშვებულიყო, ან დაამსხვრია თვითმფრინავი. მაგრამ მათთვის, ვინც მოლოდინშია, გამოტანილი მსჯავრი ჯერ არ გამოუცხადებიათ.

რომელი ჩვენგანი არ იცნობს ამ იმედებს — თანდათანობით რომ ქრება; ამ დუმილს — წუთი წუთზე რომ უკურნებელი სენივით მძიმდება. ჩვენ არ ვკარგავდით იმედს, მაგრამ საათები მიდიოდა და ახალი ცნობა იგვიანებდა. იძულებული ვხდებოდით, საკუთარ თავს გამოვტეხოდით, რომ ამხანაგები აღარ დაბრუნდებიან, რომ ისინი უკვე განისვენებენ სწორედ იმ სამხრეთ ატლანტიკაში, რომლის ზეცასაც ასე ხშირად სერავდნენ. მერმოზმა მოიხადა თავისი ვალი და განისვენა, მსგავსად იმ მომკელისა, რომელმაც გულმოდგინედ შეკრა უკანასკნელი ძნა და იქვე, მინდორში მიიძინა.

ჩვენს ხელობაში ამხანაგის ასეთი სიკვდილი ბუნებრივად გვეჩვენება და პირველ ხანებში, შესაძლოა, ნაკლებ ჭრილობასაც გვაყენებდეს, ვიდრე სხვაგვარი სიკვდილი.

დიახ, ამხანაგი წავიდა ჩვენგან და ნაცვლად იმისა, რომ დასაჯდომ მოედანზე დაშვებულიყო, უკანასკნელად განიცადა მარადისობაში დაშვების სიძნელე, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვიგრძვნია ამ დანაკარგის მთელი სიმძიმე, არ გვიგრძვნია, რომ მოგვაკლდა პური ჩვენი არსობისა.

მართლაცდა, ჩვენ, მფრინავები, მივეჩვიეთ ურთიერთთან ხანგრძლივ განშორებას. პარიზსანტიაგოს ხაზზე მომუშავე ამხანაგები ხომ მთელ ქვეყანაზე არიან მიმოფანტულნი და ისე განცალკევებულნი ერთმანეთისაგან, როგორც თავთავის სადარაჯოზე მდუმარედ მდგარი გუშაგები. მხოლოდ რეისთა უცაბედმა დამთხვევამ შეიძლება ამა თუ იმ ადგილას ერთად შეყაროს პროფესიული ოჯახის წევრები. კასაბლანკაში, დაკარსა თუ ბუენოსაირესში, მაგიდასთან, რომელსაც მხოლოდ ერთ საღამოს მიეკედლე, უბრუნდები მრავალი წლის წინ შეწყვეტილ საუბარს და ეძლევი მოგონებებს. მერე — ისევ გზა. ამიტომ დედამიწა ერთსა და იმავე დროს უდაბურიც არის და მდიდარიც. მდიდარია მეგობრობის ფარული, უჩინარი, ძნელად მისაწვდომი ოაზისებით, რომლებთანაც ამა თუ იმ დღეს აუცილებლად მივყავართ ჩვენს ხელობას. ცხოვრება შეიძლება გვაშორებდეს კიდეც ამხანაგებს, არ გვაძლევდეს მათზე ფიქრის უფლებას, მაგრამ მაინც სადღაც — ყოველთვის არც კი იცი სად — ისინი არსებობენ, მივიწყებულნი და უთქმელნი, სამაგიეროდ, ისეთი ერთგულნი! და, როდესაც გზად შემოგვეყრებიან, სიხარულისაგან მხარზე ხელს დაგვკრავენ მხოლოდ! თქმა არ უნდა, ჩვენ მიჩვეულნი ვართ ლოდინს...

მაგრამ თანდათანობით ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ერთერთი მეგობრის გულიან სიცილს ვეღარასოდეს გავიგონებთ, რომ ეს ოაზისი სამუდამოდ დახშულია ჩვენთვის. და აი მხოლოდ მაშინ ვიმოსებით ნამდვილი ძაძით, ვიმოსებით ძაძით არა სასოწარკვეთის, არამედ სიმწრის გამო.

და მართლაც, ვერასოდეს ვერავინ შეცვლის დაკარგულ მეგობარს. ძველ მეგობრებს ხომ უცბად ვერ გაიჩენ. რა შეიძლება იყოს ამდენ მოგონებათა, ამდენი ერთად გადატანილი მძიმე წუთების, ამდენი უთანხმოებისა და შერიგების, ან ზიარ სულიერ სწრაფვათა საგანძურზე უფრო ძვირფასი! ასეთ მეგობრებს ხელახლა ვერ გაიჩენ. როცა რგავ მუხას, ხომ ამაოა იმაზე ოცნება, რომ მალე შეეფარები მის ჩრდილს!

ასე მიდის ცხოვრება. მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ ვრგავთ ხეებს, ვმდიდრდებით, მაგრამ დგება ჟამი, როცა დრო ანადგურებს ჩვენს ნაშრომს და ძირკვავს ჩვენ მიერ ჩაყრილ ტყეს. ერთიმეორის მიყოლებით გვაკლებენ თავიანთ ჩრდილს მეგობრობის

ოაზისები. და ამიერიდან ჩვენს მძიმე ძაძებს კიდევ უფრო ამძიმებს ნაღვლიანი შეგნება იმისა, რომ ვბერდებით.

ასეთია მერმოზისა და სხვა ამხანაგების მიერ ნაანდერძევი მორალი. ყოველი ხელობის სიდიადე, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს ადამიანებს. არსებობს ერთადერთი ნამდვილი ღირებულება და ეს — ადამიანთა ურთიერთობაა.

როცა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისათვის ვშრომობთ, ჩვენივე ხელით ვაგებთ საკუთარ ციხეს და მარტოდმარტონი ვიკეტებით ამ ციხეში ჩვენს მოჩვენებით საუნჯესთან ერთად, რომლისთვის სიცოცხლე არც კი ღირს.

როცა ვიძირები იმ მოგონებებში, რომელთაც ჩემში ყველაზე ღრმა კვალი დატოვეს, როცა ვაჯამებ ჩემი ცხოვრების საუკეთესო საათებს, მე გონების თვალით ვაჩერდები მხოლოდ მათ, რომელთაც ოქროს ფასადაც ვერ იყიდი. არ შეიძლება იყიდო მეგობრობა მერმოზისა, ამხანაგისა, რომელთანაც სამუდამოდ გაკავშირებს მრავალი ერთად გადატანილი განსაცდელი.

არ შეიძლება იყიდო ფულით არც ეს რეისის ღამე თავისი ასი ათასი ვარსკვლავით, არც ეს სულიერი სიმშვიდე, არც ეს ხანმოკლე მეუფება სამყაროზე.

არც უნარი მძიმე გადაფრენის შემდეგ ყოველივეს ახლებურად ხილვისა, — ამ ხეების, ყვავილების, ქალების, სიცოცხლით გასხივოსნებული ღიმილისა — სიცოცხლით, რომელიც ესეს არის დაგვიბრუნა განთიადმა, — მთელი ამ სიხარულის მომტან წვრილმანთა ახლებურად ხილვის უნარი არ შეიძლება იყიდო ფულით. როგორც არ შეიძლება ყიდვა ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივებული ღამისა, რომელიც საჰარის მეამბოხეთა რაიონში გავატარე.

ჩვენ — აეროპოსტალის სამი ეკიპაჟი — საღამო ხანს შემთხვევით რიოდეოროს სანაპიროზე აღმოვჩნდით. ბარბაცას გატეხის გამო, პირველი დაჯდა ჩემი ამხანაგი რიგელი; მეორე ამხანაგი ბურგა, თავის მხრივ, რიგელის ეკიპაჟის დასახმარებლად დაეშვა აქ, მაგრამ პატარა დაზიანებამ ისიც მიწას მიაჯაჭვა. ბოლოს, როცა უკვე

ჩამობნელდა, დავეშვი მეც. გადავწყვიტეთ გადაგვერჩინა ბურგას თვითმფრინავი და მის შესაკეთებლად დილამდე მოგვეცადა.

ერთი წლით ადრე ამხანაგებს — გურპსა და ერაბლს იმავე ადგილას შეემთხვათ ავარია და ურჩმა მომთაბარეებმა დახოცეს ისინი. ჩვენ ვიცოდით, რომ თავდასასხმელად მომზადებული სამასკაციანი რაზმი ახლაც სადღაც ბოჟადორის მახლობლად იყო დაბანაკებული. სამი თვითმფრინავის ერთად დაშვებას შეეძლო ფეხზე დაეყენებინა ისინი და ჩვენც განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებდა, რათა ის ღამე უკანასკნელი არ ყოფილიყო ჩვენთვის.

დავბანაკდით. საბარგო კამერიდან ამოვათრიეთ ხუთი თუ ექვსი სავსე ყუთი, დავცალეთ, შემოვილაგეთ გარშემო და თითოეულ ყუთში, როგორც ჯიხურში, საცოდავად ავაბჟუტეთ სანთელი. და ასე, შუა უდაბნოში, პლანეტის შიშველ ზურგზე, ისეთივე მიუსაფრებმა, როგორიც იყო ადამიანი სამყაროს შექმნის პირველ დღეებში, ჩვენ პატარა დასახლება შევქმენით.

ჩვენი დასახლების ამ ცენტრალურ მოედანზე თავმოყრილებმა, ლოდინი დავიწყეთ ერთ პატარა ქვიშიან ადგილზე, რომელიც ყუთებიდან მომდინარე მთრთოლვარე სინათლით იყო გაშუქებული. ველოდით გათენებას, რომელიც გვიხსნიდა ან ჩვენ, ან არაბებს. მაგრამ ეს ღამე რაღაცნაირად შობის ღამეს დაემსგავსა. ჩვენ ერთმანეთს მოგონებებს ვუზიარებდით, ვხუმრობდით, ვმღეროდით კიდეც.

ეს ღატაკი ხალხი ისეთ გუნებაზე დავდექით, თითქოს მშვენივრად მოწყობილ დღესასწაულზე ვყოფილიყავით; ირგვლივ კი იყო მხოლოდ ქარი, ქვიშა და ვარსკვლავები, მკაცრი, ტრაპისტების საკადრისი გარემო. მაგრამ ეს ექვსი თუ შვიდი ადამიანი, რომელთაც არაფერი გაგვაჩნდა მოგონებათა გარდა, ამ სუსტად განათებულ სუფრის გარშემო ერთმანეთს უხილავ საუნჯეს ვუნაწილებდით.

როგორც იყო, ერთად შეგვყარა შემთხვევამ. ჩვეულებრივ კი ასე ხდება: მიჰყვები ადამიანს გვერდით და დუმილით იცავ მისგან თავს, ან ერთორ უმნიშვნელო სიტყვას თუ გადაუგდებ. მაგრამ აი დაჰკრავს განსაცდელის ჟამი და ამხანაგები მხარდამხარ დგებით.

ირკვევა, რომ შენც მათ თემს ეკუთვნი თურმე. ეზიარები მათ აზრებს და იზრდები. საკუთარ თავს ღიმილით შეჰყურებ და ემსგავსები საპყრობილიდან განთავისუფლებულ პატიმარს, რომელიც გაოცებულია ზღვის უკიდეგანობით.

2.

გიომე! მე რამდენიმე სიტყვას ვიტყვი შენზე. არა, ნუ გეშინია, მე არ გაგაწითლებ არც შენი სიმამაცისა და არც შენი პროფესიული ოსტატობის უადგილო ხოტბით. შენი ერთერთი ყველაზე შესანიშნავი თავგადასავლის აღწერით მე სრულიად სხვა რამის თქმა მინდა.

აქვს ადამიანს ერთი თვისება, რომელსაც არ ვიცი რა ვუწოდო. იქნებ `სერიოზულობა~. მაგრამ არა, `სერიოზულობა~ ამ თვისების შესაბამისი სიტყვა არ არის. ეს თვისება არ გამორიცხავს ყველაზე გულიან სიცილსაც კი. ეს სწორედ ის თვისებაა, რომელსაც ამჟღავნებს დურგალი, როცა მუშაობას იწყებს, როცა ხელში იღებს ხის დეტალს და ისეთი გულისყურით ეცნობა მას, როგორც ტოლი — ტოლს, სინჯავს, ხელში ატრიალებს, თვალით ზომავს, გრძნობს თავისი ამოცანის სიძნელეს და ამიტომ ყოველნაირად ემზადება მის შესასრულებლად.

გიომე, ერთხელ წავიკითხე წიგნი, რომელიც შენს თავგადასავალს უმღეროდა, და ახლა მინდა ანგარიში გავუსწორო იმ ყალბ წარმოდგენას, რომელსაც ეს წიგნი ქმნიდა შენზე. შენ მოგაწერდნენ გავროშის ახირებულობასა და გამოხდომებს, —თითქოს სიამამაცე ის იყოს, რომ ბიჭუკელობამდე დამდაბლდე განსაცდელისა და სიკვდილის ჟამს. ისინი არ გიცნობდნენ შენ, გიომე! შენ არ გჩვევია მოწინააღმდეგის დაცინვა მასთან შეჭიდებამდე. როცა საავდრო ღრუბელს ხვდები, შენ ამბობ შენთვის: `აი, საავდრო ღრუბელიც~. შენ პირისპირ ეგებები და საკუთარ ძალებს უსწორებ მას.

დაე, დაადასტურონ, გიომე, ეს ჩემი ნათქვამი ჩემმა მოგონებებმა.

ორმოცდაათი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ანდებზე გადაფრენისას დაიკარგე. ზამთარი იყო. შუა პატაგონიიდან დაბრუნებული, მე მფრინავ დელეის შევუერთდი მენდოსში. ხუთი დღის განმავლობაში ჩვენ ციდან ვათვალიერებდით მთების ქაოსს, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ჩვენი ორი თვითმფრინავი ამისათვის არ კმაროდა. იფიქრებდით, რომ ასი ესკადრილიაც კი ასი წლის განმავლობაში ვერ გადაჩხრეკდა ამ ვეებერთელა მთების მასივებს, რომელთა მწვერვალები შვიდი ათას მეტრამდე იყო აზიდული. ჩვენ ყოველგვარი იმედი დავკარგეთ. კონტრაბანდისტებიც კი, ყაჩაღები, რომლებიც მზად არიან, ხუთი ფრანკის გულისთვის კაცი მოკლან, ამ მთაგრეხილებში ვერ ბედავდნენ მაშველ ექსპედიციებში მონაწილეობის მიღებას. `ეს თავის გაწირვა იქნება, — ამბობდნენ ისინი. — ანდები ზამთრობით ადამიანებს უკან არასოდეს აბრუნებენ~. როცა დელეი ან მე სანტიაგოში ვეშვებოდით, ჩილელი ოფიცრებიც გვირჩევდნენ, შეგვეწყვიტა ძებნა. `ახლა ზამთარია. ჩამოვარდნისას რომც გადარჩენილიყო თქვენი ამხანაგი, სულ ერთია, ღამის ყინვას მაინც ვერ გაუძლებდა. იქ, ზევით, თუ ღამემ თავისი წამოსასხამი გადააფარა ადამიანს, აუცილებლად ყინულის ლოდად აქცევს~. და როცა კვლავ ანდების კედლებსა და გიგანტურ სვეტებს შორის დავსრიალებდი, მეჩვენებოდა, რომ კი არ გეძებდი შენ, არამედ თოვლის ტაძრის მდუმარებაში უკანასკნელად ვიდექი შენს კუბოსთან სამგლოვიარო ვახტზე.

და, ბოლოს, მეშვიდე დღეს, როცა რეისსა და რეისს შორის მენდოსის ერთერთ რესტორანში ვსაუზმობდი, ვიღაც შემოვარდა და შესძახა, ო, შესძახა სულ ორი სიტყვა:

— გიომე... ცოცხალია!

და იქ დამსწრე სრულიად უცნობი ადამიანები სიხარულისგან ერთმანეთს გადავეხვიეთ.

ათ წუთში მექანიკოს ლეფევრსა და აბრისთან ერთად უკვე ცაში ვიყავი. ორმოცი წუთის შემდეგ კი რაღაც სასწაულით ვიცანი მანქანა, რომელიც შენ სანრაფაელისკენ მიგაქროლებდა, და შესახვედრად შარაგზასთან დავეშვი. ეს იყო შესანიშნავი შეხვედრა. ჩვენ ყველანი ვტიროდით, ხვევნით გახრჩობდით შენ — ცოცხალს, მკვდრეთით აღმდგარს, რომელმაც სასწაული მოახდინე საკუთარი თავის გადარჩენით. და სწორედ

მაშინ იყო, რომ შენ მიერ წარმოთქმულ პირველივე ფრაზაში დიდი, ადამიანური სიამაყე გამოიხატა:

`ბეფიცები, მე გადავიტანე ის, რასაც ვერ გადაიტანდა ვერც ერთი პირუტყვი~.

მოგვიანებით შენ გვიამბე ამ კატასტროფის ამბავი.

ქარიშხალმა, რომელმაც ორმოცდარვა საათის განმავლობაში ჩილის ანდების ფერდობზე ხუთი მეტრი სიმაღლის თოვლი დააგროვა და სივრცეები ამოქოლა, პანამერიკის ხაზის მფრინავები აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ. შენ მაინც გაფრინდი და შეეცადე ტყვიასავით ჩამოწოლილ ღრუბლებში გზა გაგეკვლია. სამხრეთისკენ გადანაცვლების შემდეგ გარღვეული ღრუბელი იპოვე, თავი გაყავი ამ მახეში, ექვსი ათას ხუთას მეტრ სიმაღლეზე ახვედი და კურსი არგენტინისკენ აიღე. შენ მიფრინავდი ღრუბლებს ზემოთ, იქ, სადაც ექვსი ათას მეტრ სიმაღლეზე მხოლოდ მთების უმაღლეს მწვერვალებს ამოეყოთ თავი.

ჰაერის ქვედინებები მფრინავში ზოგჯერ ფიზიკური უძლურების გრძნობას იწვევს. ძრავა ნორმალურად მუშაობს და მაინც სადღაც ვარდები. თვითმფრინავს მიმართავ ზევით, ცდილობ აიღო სიმაღლე, ის კი სიჩქარეს კარგავს, დუნდება და ვარდნას განაგრძობს. იმის შიშით, რომ მეტისმეტად სწრაფად ავარდი ცაში, თავს ანებებ შტურვალს, საშუალებას აძლევ მას — გაგაქანოს მარჯვნივ და მარცხნივ, რათა მიეკრა მთის თხემს, რომელიც თითქოს ტრამპლინს ქმნის ქარისთვის, მაგრამ ისევ და ისევ ვარდნას განიცდი. თითქოს ზეცა გაწვება ზედ და ქვევით გეწევა. ისეთი გრძნობაა, თითქოს კოსმიურ კატასტროფაში მოხვდი და ვერსად წაუხვალ მას. ამაოა ყოველგვარი ცდა — მოტრიალდე და დაბრუნდე იმ ადგილას, სადაც ბოძივით მტკიცე, მკვრივი ჰაერი საყრდენს უქმნიდა თვითმფრინავს. მაგრამ აღარც ეს საყრდენია სადმე. ყველაფერი არამყარი გამხდარა და ამ სამყაროს რღვევის ჟამს თვითმფრინავი მიექანება ქვევით, ღრუბლებისკენ, რომლებიც ზლაზვნით მოიწევენ მის შესახვედრად და შეხვედრისთანავე ნთქავენ მას.

`მე უკვე თითქმის ჩიხში ვიყავი მომწყვდეული, — გვიამბობდი შენ, — მაგრამ იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავდი. ღრუბლებს ზემოთ, რომლებიც მყარად გამოიყურებიან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გამუდმებით ერთსა და იმავე დონეზე ირევიან, გვხვდება ქვედინებები. მთაში ყველაფერი ისეთი უცნაურია!..~

და მერე როგორი იყო ეს ღრუბლები!..

`როცა ვიგრძენი, რომ თვითმფრინავი ვარდებოდა, შტურვალს ხელი ვუშვი და, კაბინიდან რომ არ გადმოვვარდნილიყავი, სკამს ჩავეჭიდე. ბიძგები ისეთი ძლიერი იყო, რომ თასმები მხრებში ჩამეჭირა და კინაღამ დაწყდა. ამასთან, თვითმფრინავის მოყინვა დაიწყო და საშუალებას მისპობდა ჰორიზონტალური მდგომარეობა შემენარჩუნებინა. თვითმფრინავი ექვსი ათასი მეტრის სიმაღლიდან დაგორებული ქუდივით ჩაქანდა სამი ათას ხუთას მეტრამდე.

უცბად, სამი ათას ხუთას მეტრ სიმაღლეზე შავი, ჰორიზონტალური მასა შევნიშნე. ამან საშუალება მომცა, თვითმფრინავი გამესწორებინა. ეს იყო ტბა, რომელიც ვიცანი: ლაგუნა დიამანტა. მე ვიცოდი, რომ იგი მდებარეობდა ქვაბულში, რომლის ერთი მხარე — ვულკანი მაიპუ — ექვსი ათას ცხრაას მეტრზე იყო აწვდილი. თუმცა ღრუბლებს თავი დავაღწიე, მაგრამ ახლა საშინელი ქარბუქი მიბრმავებდა თვალებს. ტბას ისე ვერ მოვშორდებოდი, რომ ზედ არ შევმსხვრეოდი ქვაბულის რომელიმე კიდეს. და აი, მე თავს დავტრიალებდი მას ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე, ვიდრე საწვავი არ გამომელია. ორი საათის ამგვარი ჯამბაზობის შემდეგ დავჯექი და გადავტრიალდი. თვითმფრინავიდან გამოვძვერი თუ არა, ქარიშხალმა ძირს დამცა. წამოვდექი, მაგრამ კვლავ ძირს დამცა ქარიშხალმა. იძულებული გავხდი, თვითმფრინავის ქვეშ შევცოცებულიყავი და თოვლში საფარი ამომეთხარა. ზემოდან ფოსტით სავსე ტომრები გადავიფარე და ორი დღეღამე ლოდინში გავატარე.

მერე, როცა ქარიშხალი ჩადგა, გზას გავუდექი და ხუთი დღე და ოთხი ღამე ვიარე~.

მაგრამ რაღა დარჩა შენგან, გიომე? ჩვენ გიპოვეთ შენ, მაგრამ გიპოვეთ შერუჯული, დედაბერივით სახედამჭკნარი და გამხმარი. იმავე საღამოს თვითმფრინავით მენდოსში

მიგიყვანე. სხეულზე თეთრი ზეწრები გქონდა შემოხვეული ბალზამივით, მაგრამ ეს ტკივილებს ვერ გიყუჩებდა. ნატანჯი სხეული გაწუხებდა, ძილშიც ვერ პოულობდი მისთვის მოხერხებულ ადგილს და ერთთავად ბორგავდი. შენი სხეული ვერ ივიწყებდა კლდეებსა და თოვლს. შენს სხეულს მათი დაღი აჩნდა. მე თვალს ვერ ვაშორებდი შენს გაშავებულ და შესივებულ სახეს, რომელიც გადამწიფებულ, დაბეჟილ ვაშლს ჰგავდა. შენ დამახინჯებული, გასაცოდავებული იყავი და აღარ შეგწევდა უნარი, თავისუფლად გეხმარა ხელები — შრომის ეს შესანიშნავი იარაღი: ისინი შეშუპებული გქონდა; და როცა საწოლის კიდეზე ჯდებოდი, რომ უფრო ადვილად გესუნთქა, მოყინული ფეხები მძიმე ტვირთივით გეკიდა ისე, თითქოს შენი კი არა, სხვისი ფეხები ყოფილიყოს. გეჩვენებოდა, თითქოს ჯერ ისევ ანდებში მიაბიჯებდი და ისევ სული გეხუთებოდა. და როცა ბალიშში თავწარგული სიმშვიდეს ეძებდი, შენს მეხსიერებაში ერთი მძიმე სურათი მეორეს ცვლიდა და მათ დავიწყებას ვერა და ვერ ახერხებდი. ეს სურათები განუწყვეტლივ დეფილირებდნენ შენ თვალწინ. მეათედ და მეათასედ აახლებდი ბრძოლას შენს უკვე დამხობილ და ფეფრლად ქცეულ მტერთან, რომელიც ყოველ ჯერზე მკვდრეთით აღდგებოდა ხოლმე.

მე შენ სამკურნალო ნაყენს გასმევდი:

— დალიე, ბებერო!

— იცი... ყველაზე მეტად მე გამაოცა იმან, რომ...

გამარჯვებული მოკრივე, მოწინააღმდეგის მძიმე დარტყმებით დაბორიალებული, შენ ხელმეორედ განიცდიდი შენს საოცარ თავგადასავალს. ნაწყვეტნაწყვეტი ფრაზებით იოხებდი გულს. და ღამე, როცა გისმენდი, მე ვხედავდი, როგორ მიდიოდი ორმოცგრადუსიან ყინვაში მშიერი, უალპენშტოკოდ, უთოკებოდ მიხოხავდი მაღალმთიან უღელტეხილებზე, მიცოცავდი ციცაბო კლდეებზე, და დახეთქილი ქუსლებიდან, მუხლებიდან, ხელებიდან სისხლი გდიოდა. თანდათანობით კარგავდი სისხლს, ძალას, გონებას და მაინც მიდიოდი წინ ჭიანჭველასავით შეუპოვრად, წყდებოდი კლდეს და ისევ ადიოდი ზედ, უკან ბრუნდებოდი, რომ გადაულახავი დაბრკოლებისთვის გარს მოგევლო, ფერდობებით მიხოხავდი მწვერვალისკენ, რომლის

იქით არაფერი იყო, გარდა უფსკრულისა. თავს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდი, რადგან ერთხელ მიწოლილი ვეღარც ადგებოდი თოვლის საწოლიდან.

მართლაც, თუ ფეხი დაგიცურდებოდა და დაეცემოდი, მაშინვე უნდა წამომხტარიყავი, თორემ ქვად იქცეოდი. სიცივე თანდათანობით ძვალრბილში გატანდა და დაცემის შემდეგ ერთი წუთით შესვენება კუნთების კვდომის ფასად გიჯდებოდა.

შენ ებრძოდი ცთუნებებს: `თოვლში, — მიხსნიდი შენ, — სრულიად გეკარგება თავდაცვის ინსტიქტი. ორი, სამი, ოთხი დღის სიარულის შემდეგ მხოლოდ ძილზეღა ოცნებობ. მეც ვოცნებობდი მასზე, მაგრამ თან ვფიქრობდი: ცოლს, თუკი მას სჯერა, რომ ცოცხალი ვარ, სჯერა, რომ მივდივარ. ამხანაგებს სჯერათ, რომ მივდივარ. ისინი მენდობიან მე და არამზადა უნდა ვიყო, რომ გავჩერდე!~

და შენ მიდიოდი. და ყოველდღე უფრო და უფრო მეტად სერავდი დანის წვერით ჩექმებს, რომ მოყინული, გასივებული ფეხები შიგ თავისუფლად გქონოდა.

მე შენგან საოცარი აღსარება მოვისმინე:

`შენ გესმის? ავარიის მეორე დღიდან ყველაზე მეტი ძალა მეხარჯებოდა იმაზე, რომ არ მეფიქრა. საშინლად ვიტანჯებოდი. ჩემი მდგომარეობა ძალზე უიმედო იყო. იმისათვის, რომ ვაჟკაცობა მყოფნოდა და მევლო, რაც შეიძლება ნაკლები უნდა მეფიქრა ამაზე. საუბედუროდ, გონებას ვერ ვიმორჩილებდი; იგი ტურბინივით მუშაობდა. მაგრამ მე მაინც შევძელი მისთვის სურათები შემერჩია. მე მას მოვმართავდი ხოლმე რომელიმე ფილმის, ან რომელიმე წიგნის მიხედვით, და ეპიზოდები ელვის სისწრაფით ქროდნენ ჩემ თვალწინ. მერე აზრი ისევ სინამდვილეს უბრუნდებოდა. და მე მას ისევ რომელიმე მოგონების მიხედვით ვმართავდი...~

და მაინც ერთხელ, როცა ფეხი დაგისხლტა და თოვლში პირქვე ჩაემხე, შენ აღარ მოისურვე წამოდგომა. შენ ჰგავდი ძირს დაცემულ მოკრივეს, რომელმაც უცბად დაკარგა ბრძოლის გაგრძელების სურვილი და ახლა ყურს უგდებს, როგორ თვლიან მისთვის უცხო სამყაროში წამებს ათამდე, რის შემდეგაც ყველაფერი გათავდება.

`რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. არაფრის იმედი აღარ არის. რა საჭიროა გაჯიუტება და ზედმეტი ტანჯვა?~ საკმარისი იყო, თვალი მოგეხუჭა, რომ ქვეყანაზე შენთვის სიმშვიდე გამეფებულიყო, რომ გამქრალიყო კლდეებიც, მყინვარებიც, თოვლიც. საკმარისი იყო, მხოლოდ ოდნავ მოგეხუჭა მაგიური ქუთუთოები და აღარ იქნებოდა აღარც დარტყმა, აღარც ვარდნა, აღარც კუნთების შემზარავი ტკივილი, აღარც მწველი სუსხი, აღარც სიცოცხლის მძიმე ტვირთი, რომელსაც მიათრევ თან, როგორც უღელში შებმული ხარი. შენ უკვე გრძნობდი შხამად ქცეული სიცივის ძალას, რომელიც მორფის მსგავსად ნეტარებას განიჭებდა. სიცოცხლე გულსღა აფარებდა თავს. შენში პატარა გუნდასავით შენივთდა რაღაც ნაზი და ძვირფასი. თანდათანობით ცნობიერება ტოვებდა შორეულ კუნჭულებს შენი სხეულისას, — ამ პირუტყვისას, რომელიც გაძღა ტანჯვით და ახლა ყველაფრისადმი მარმარილოსავით გულგრილი ხდებოდა.

მოვალეობის გრძნობაც კი თანდათანობით მიყუჩდა. ჩვენი ძახილი ვეღარ აღწევდა შენამდე. ან, უკეთ რომ ვთქვათ, იგი ზმანებად იქცა. შენ სიხარულით პასუხობდი ამ ძახილს, მაგრამ პასუხობდი ოცნებაში წარმოსახული სიარულით, და დიდ, მსუბუქ ნაბიჯებს ძალდაუტანებლად გაჰყავდი ვაკეზე. რა თავისუფლად მისრიალებდი სამყაროში, რომელიც უცებ ასეთი ალერსიანი გახდა შენთვის. შენ გადაწყვიტე, გიომე, არ გეჩუქებინა ჩვენთვის შენი თავი, აღარ დაგვბრუნებოდი უკან, შე ძუნწო, შენა!..

შენი ცხოვრების სიღრმიდან სინდისის ქენჯნა ამოტივტივდა და უცებ ზმანებაში შეიჭრა ზუსტი დეტალები. `მე გამახსენდა ცოლი, დაზღვევის პოლისი იხსნის მას სიღატაკისაგან. ჰო, მაგრამ დაზღვევის პოლისი...~

მფრინავი თუ დაიკარგა, მისი სიკვდილის იურიდიულ დადგენას ოთხი წელი სჭირდება. ეს ფაქტი ისეთი სიცხადით დადგა შენ წინაშე, რომ მან ყველა სხვა სურათი დაფარა. შენ ხომ თოვლით დაფარულ ციცაბო ფერდობზე გართხმული იწექი. ზაფხულის დადგომისთანავე შენი სხეული ტალახთან ერთად ჩაგორდებოდა ანდების რომელიმე ნაპრალში. შენ იცოდი ეს. მაგრამ იცოდი ისიც, რომ შენ წინ, შენგან ორმოცდაათი მეტრის მანძილზე კლდე იყო აღმართული!

`მე გავიფიქრე: თუ ავდექი, შესაძლოა მივაღწიო იქამდე; მივეკვრები კლდეს და ზაფხულში მიპოვიან~.

შენ მაშინვე წამოდექი, ხოლო, რაკი წამოდექი, უკვე შეუჩერებლივ იარე ორი ღამე და სამი დღე.

მაგრამ შენ არ გჯეროდა, რომ შორს წასვლას შეძლებდი.

`მე მრავალი რამ მაფიქრებინებდა, რომ აღსასრული ახლოვდებოდა. აი, ერთი მათგანი. ყოველი ორი საათის სიარულის შემდეგ იძულებული ვხდებოდი, შევჩერებულიყავი, რომ ცოტათი კიდევ გამეჭრა ჩექმები, თოვლით დამეზილა გასივებული ფეხები ანდა უბრალოდ შემესვენებინა გული. მაგრამ ბოლო დღეებში დამეწყო მეხსიერების დაქვეითება. და როცა მორიგი სულის მოთქმის შემდეგ კვლავ განვაგრძობდი სიარულს, უეცრად გონება მინათდებოდა და ვხვდებოდი, რომ გაჩერებაზე რაღაც დამრჩა. პირველად დამრჩა ხელთათმანი, — ეს კი ხუმრობა საქმე არ არის ისეთ ყინვაში! მე ის წინ დავიდე, მაგრამ წასვლისას აღება დამავიწყდა. ხელთათმანს მიჰყვა საათი, საათს — დანა, დანას — კომპასი. ყოველი შეჩერების შემდეგ მე თანდათან ვღატაკდებოდი...

ხსნა მხოლოდ იმაშია, რომ გადავდგა ერთი ნაბიჯი. კიდევ ერთი ნაბიჯი. და მუდამ ამ ერთი ნაბიჯით ვიწყებდი~.

`ბეფიცები, იმას, რაც მე გადავიტანე, ვერასოდეს ვერც ერთი პირუტყვი ვერ გადაიტანდა~.

მე არ მეგულება არაფერი ამ სიტყვებზე უფრო კეთილშობილური. მე ხშირად მაგონდება ეს სიტყვები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ნამდვილ ადგილს ბუნებაში, პატივს სდებენ მას, აღადგენენ ღირებულებათა ნამდვილ იერარქიას.

როცა იძინებდი, შენი ცნობიერება ითიშებოდა, მაგრამ იღვიძებდი და ისიც იღვიძებდა შენს დამტვრეულ, გალახულ, დამზრალ სხეულში და კვლავ ბატონობდა მასზე. და მაშინ სხეული იყო მხოლოდ მორჩილი იარაღი, სხეული იყო მხოლოდ მსახური. და შენ იმ სიამაყის გამოხატვაც შესძელი, გიომე, რომელსაც იწვევდა ამ მორჩილი იარაღის მფლობელობა!

`მე უკვე სამი დღეღამე მივდიოდი უჭმელი და, შენ ადვილად წარმოიდგენ, რომ მესამე დღეს ჩემი გული უკვე ისე მძლავრად აღარ სცემდა... ჰოდა, აი ავხოხდები უფსკრულზე გადაკიდებულ ფრიალო კლდეზე, ამოვთხრი პატარა ორმოებს ხელების დასაყრდნობად და უცბად ვგრძნობ, რომ გული მღალატობს. გაჩერდება და ისევ ამუშავდება. სცემს ნაწყვეტნაწყვეტად. ვგრძნობ, ოდნავ მეტ ხანს რომ შეჩერდეს, პირდაპირ უფსკრულში გადავეშვები. არ ვინძრევი, ყურს ვუგდებ საკუთარ გულისცემას. არასოდეს, — გესმის? — არასოდეს თვითმფრინავში ისე არ მიგრძვნია ჩემი კავშირი ძრავასთან, როგორც ვიგრძენი კავშირი გულთან იმ რამდენიმე წუთში. მე ვეუბნებოდი მას: აბა, ერთი დაძაბვა კიდევ. ერთი კიდევ... და მართლაც, ეს იყო საიმედო გული! ჩერდებოდა და კვლავ ანახლებდა მუშაობას... რომ იცოდე, როგორ ვამაყობდი მაშინ ჩემი გულით!~

მენდოსში, ოთახში, სადაც გივლიდი, ბოლოს და ბოლოს წაგიღებდა ხოლმე მძიმე ძილი. მე კი გიყურებდი და ვფიქრობდი: ვაჟკაცობა რომ შეუქო, იგი მხოლოდ მხრებს აიჩეჩს. თავმდაბლობას თუ მოუწონებ, ღირსების შელახვად მიიჩნევს. ის ამ ბანალობაზე ბევრად მაღლა დგას. და მთელი მისი სიბრძნეც სწორედ ამაშია. მან იცის, როგორც კი ადამიანი ჭირს შეეყრება, შიშიც მაშინვე გაქრება. მხოლოდ იდუმალის მოლოდინი აშინებს ადამიანს. განსაცდელი კი, რომელშიც ერთხელ მაინც ჩავარდნილხარ, უკვე აღარ არის იდუმალი შენთვის, მით უმეტეს, თუ წარბშეუხრელად შეხვდი მას. გიომეს სიმამაცე, პირველ ყოვლისა, ამ წარბშეუხრელობაშია.

და მაინც, მისი ნამდვილი გმირობა ეს როდია. მისი სულის სიდიადე პასუხისმგებლობის შეგრძნებაში მდგომარეობს. პასუხისმგებლობისა საკუთარი თავის, მინდობილი ფოსტის, ამხანაგების გამო, ამხანაგებისა, რომელთაც მისი იმედი აქვთ, რომელთა მწუხარება და სიხარული მასზეა დამოკიდებული. იგი მდგომარეობს პასუხისმგებლობის შეგნებაში იმ ახლისათვის, რაც შენდება იქ, ცოცხლებთან, რასაც უნდა შეეხოს მისი ხელიც; თუნდაც სულ მცირედი პასუხისმგებლობისა ადამიანთა მომავლისთვის იმდენად, რამდენადაც მათი მომავალი მის წვლილზეც არის დამოკიდებული.

გიომე ეკუთვნის დიდი გულისა და ფართო ჰორიზონტის ადამიანთა რიცხვს. იყო ადამიანი, ეს ნიშნავს, გრძნობდე პასუხისმგებლობას; გრძნობდე სირცხვილს თავს

დატეხილი უბედურების გამო, რომელიც თითქოს არც არის შენზე დამოკიდებული; ამაყობდე ყოველი გამარჯვებით, რომელიც შენმა ამხანაგებმა მოიპოვეს; გჯეროდეს, რომ შენი მიტანილი აგურით შენც შეგაქვს წვლილი ქვეყნის შენებაში.

და აი, ასეთ ადამიანებს ადარებენ ტორეადორებსა თუ ბანქოს მოთამაშეთ. ხოტბას ასხამენ მათ მიერ სიკვდილის უგულებელყოფას. მაგრამ მე მხოლოდ მეცინება სიკვდილის უგულებელყოფაზე, თუ მას საფუძვლად პასუხისმგებლობის შეგნება არ უდევს, იგი მარტოოდენ სულიერ სიღატაკეს ან ჭაბუკური გზნების სიჭარბეს მოასწავებს. მე ვიცნობდი ერთ ახალგაზრდას, რომელმაც თავი მოიკლა. აღარ მახსოვს, რა ტრფიალების ნაღველმა აიძულა, საკუთარი გული ტყვიით განეგმირა. არ ვიცი, რომელ ლიტერატურულ ცთუნებას აჰყვა, როცა თვითმკვლელობის წინ ხელებზე თეთრი ხელთათმანები დაიჭიმა, მაგრამ მახსოვს: ამ თავის გამოჩენის უბადრუკმა ცდამ ჩემზე დატოვა არა კეთილშობილების, არამედ სულიერი სიღატაკის შთაბეჭდილება. ერთი სიტყვით, ამ სანდომიანი გარეგნობის ადამიანის თავი სრულიად ცარიელი იყო, სრულიად ცარიელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხატებას რომელიმე სულელი გოგოსას, რომლის მსგავსიც ათასობით გვხვდება ყოველ ნაბიჯზე.

და ამ ახალგაზრდის ფუჭმა ბედმა მე მომაგონა ერთი ადამიანის ღირსეული სიკვდილი, — სიკვდილი მებაღისა, რომელიც მეუბნებოდა:

`იცით... ზოგჯერ ოფლად ვიღვრებოდი, როცა ბარით ვმუშაობდი; რევმატული შეტევები თავს მაბეზრებდა, ფეხი მტკიოდა და ვწყევლიდი ამ მონობას. ჰოდა, დღეს კი მინდა ვბარავდე და ვბარავდე მიწას. მიწის ბარვა, — ეს ხომ მშვენიერებაა! ისეთ თავისუფლებას გრძნობ, როცა ბარავ მიწას! ეჰ, ვიღა შეკვერცხავს ახლა ჩემს ხეებს?~

მიწა, რომელსაც იგი ტოვებდა, მისთვის იყო ყამირი. მთელი პლანეტა ყამირი იყო მისთვის. მას სიყვარული აკავშირებდა მთელ დედამიწასთან, დედამიწაზე არსებულ ყოველ ხესთან. სწორედ ის იყო გულუხვი, ხელგაშლილი პატრონი დედამიწისა. სწორედ ის იყო ვაჟკაცური ადამიანი და, გიომეს მსგავსად სიცოცხლის სახელით ებრძოდა სიკვდილს.

III. თვითმფრინავი

და დაე, შენ, გიომე, დღედაღამ მანომეტრებს აკვირდებოდე, ამოწმებდე ჰიროსკოპებს, ყურს უგდებდე ძრავების სუნთქვას, მართავდე თხუთმეტ ტონა ლითონს, — საბოლოო ჯამში, შენ წინაშე წამომდგარი პრობლემები მაინც საკაცობრიო პრობლემებია და შენი სიმამაცეც არაფრით ჩამოუვარდება მთიელის სიმამაცეს. პოეტის მსგავსად, შენ შეგწევს უნარი, ტკბებოდე განთიადის პირველი აკიაფებით. მძიმე ღამეების უძირო უფსკრულებში მოხვედრილს რამდენჯერ მოგწყურებია, თვალი მოგეკრა აღმოსავლეთიდან, წყვდიადით მოცული დედამიწის კიდიდან ამოჭრილ სხივთა მკრთალი კონისათვის. რამდენჯერ ყოფილა, რომ სინათლის ეს საუცხოო წყარო შენ თვალწინ ნელნელა გაშლილა და მხსნელად მოგვლენია მაშინ, როდესაც თავი უკვე დაღუპულად მიგაჩნდა.

რთული იარაღით სარგებლობის ჩვევამ ვერ გაქცია შენ გამოფიტულ ტექნიკოსად. მე ვფიქრობ, ისინი, ვისაც ასე აშინებს ჩვენი ტექნიკური პროგრესი, ვერ ხედავენ განსხვავებას მიზანსა და საშუალებას შორის. ის, ვინც ტექნიკისთვის იბრძვის მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად, რა თქმა უნდა, ვერაფერს მოიმკის ისეთს, რისთვისაც ეღირებოდა სიცოცხლე. მაგრამ მანქანა მიზანი არ არის, თვითმფრინავი მიზანი კი არა, საშუალებაა, ისეთივე საშუალება, როგორიც — გუთანი.

თუ ჩვენ გვეჩვენება, რომ მანქანა აფუჭებს ადამიანს, ეს ალბათ იმიტომ, რომ არ შეგვიძლია შორიდან შევხედოთ და მიუდგომლად შევაფასოთ ის უსწრაფესი გარდაქმნები, რომელიც ამ მოკლე ხანში განვიცადეთ. რას წარმოადგენს მანქანის ასი წლის ისტორია ადამიანის ორასი ათასი წლის ისტორიასთან შედარებით? ჩვენ ხომ ახლა ვეჩვევით მაღაროებისა და ელექტროსადგურების პეიზაჟებს; ჩვენ ახლა ვეჩვევით ახალ სახლს, რომლის შენება ჯერ არ დაგვიმთავრებია. ყველაფერი ისე სწრაფად შეიცვალა

ჩვენ გარშემო: ადამიანთა ურთიერთობანი, შრომის პირობები, ზნეჩვეულებანი. ჩვენი ფსიქოლოგიაც კი საძირკვლიანად არის შერყეული. ცნებები: განშორება, აქ არყოფნა, მანძილი, დაბრუნება — თუმცა მათი სიტყვიერი გამოხატულება იგივე დარჩა, დღეს უკვე იმ აზრს აღარ შეიცავენ. იმისათვის, რომ დღევანდელ სამყაროს ჩავწვდეთ, ჩვენ გუშინდელი სამყაროსთვის შექმნილი სიტყვებით ვსარგებლობთ. და წარსული ეპოქის ცხოვრება ჩვენი ბუნებისთვის უფრო შესაფერისად გვეჩვენება მხოლოდ იმის გამო, რომ იგი უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს ენას.

პროგრესის თითოეული ნაბიჯი ყოველთვის ოდნავ გვაშორებდა ჩვენ მიერ შეძენილ ჩვევათა რკალს. და ჩვენ ჭეშმარიტად ემიგრანტები ვართ, რომელთაც ჯერ თავიანთი სამშობლო არ შეუქმნიათ.

ჩვენ ის ახალგაზრდა ბარბაროსები ვართ, რომელნიც ახალ სათამაშოებს ჯერ კიდევ განცვიფრებით შეჰყურებენ, და ჩვენი საავიაციო შეჯიბრებების მიზეზიც ეს არის. ჩვენ ხშირად გვესმის: ესა და ეს აფრინდა უფრო ზევით, ესა და ეს დაეშვა უფრო სწრაფად, — და გვავიწყდება, რისთვის გვჭირდებოდა სისწრაფე. დროებით თვით შეჯიბრი ისე გვიტაცებს, რომ გვავიწყდება მისი მიზანი. და ასეა ყველაფერში. კოლონიალური არმიის ჯარისკაცისათვის, რომელიც საძირკველს უყრის იმპერიას, ცხოვრების მიზანი დამპყრობლობაშია. ჯარისკაცს სძულს კოლონისტი. მაგრამ განა მისი ბრძოლის მიზანს სწორედ კოლონისტის კეთილმოწყობა არ წარმოადგენდა? პროგრესის წარმატებით გატაცებულებმა ადამიანები გამოვიყენეთ რკინიგზების გასაყვანად, ქარხნების ასაგებად, ნავთობის ჭაბურღილების საბურღავად. ჩვენ დავივიწყეთ, რომ ეს ყველაფერი ადამიანისთვის კეთდებოდა. ვიდრე ვიპყრობდით, ჩვენი მორალი ჯარისკაცის მორალი იყო. მაგრამ ახლა საჭიროა ყოველივე ამის ათვისება. საჭიროა დავსახლდეთ ამ ახალ სახლში, რომელსაც ჯერ კიდევ საკუთარი სახე არ მიუღია.

ერთნი ჭეშმარიტებას ხედავდნენ აგებაში, მეორენი — აგებულის ათვისებაში.

ეჭვი არ არის, ჩვენი სახლი სულ უფრო და უფრო დაემსგავსება ადამიანის საცხოვრებელს. და მანქანაც, რაც უფრო სრულყოფილია, მით უფრო მკვეთრად გამოხატავს თავის დანიშნულებას. გვეჩვენება, რომ ადამიანის მთელი ტექნიკური დაძაბულობა, მთელი მისი გამოთვლები, ხაზვაში გატარებული ყველა უძილო ღამე, საბოლოო ჯამში, გარეგან გამოხატულებას პოულობს ფორმათა სისადავეში. თითქოს საჭირო იყო მრავალი თაობის გამოცდილება იმისათვის, რომ ნელნელა გამოკვეთილიყო საბრჯენი სვეტის, ხომალდის კორპუსის, თვითმფრინავის ფუზელაჟის კონტურები, დაბრუნებოდა მათ მკერდისა თუ მხრის მოხაზულობის პირველადი სიწმინდე. გვეჩვენება, რომ ინჟინრის, მხაზველის, კონსტრუქტორის შრომა გარეგან გამოხატულებას პოულობს გაპრიალებასა და მოსწორებაში, ამსუბუქებს შენაერთთა მეტისმეტ სიტლანქეს, აწონასწორებს ფრთებს, რათა მათი მიმაგრება ფუზელაჟზე თვალში საცემი კი არ იყოს, არამედ წარმოადგენდეს საკუთარი გარსისაგან განთავისუფლებულ ფორმათა სრულ განვითარებას, წააგავდეს, რაღაც იდუმალი გზებით ერთმანეთთან პოემასავით შედუღებულ თვითჩანასახს. როგორც ჩანს, სრულყოფილება მიღწეულია არა მაშინ, როცა აღარაფერია დასამატებელი, არამედ მაშინ, როცა აღარაფერია მოსაკლები. თავისი განვითარების მწვერვალზე მანქანა თითქოს მანქანა აღარ არის.

ამგვარად, გამოგონების სრულყოფილება მდგომარეობს იმაში, რომ უკვე ვეღარ ამჩნევ გამომგონებლობას. როგორც ინსტრუმენტში წაიშალა თანდათან მექანიზმის ყოველგვარი ხილულობა და მივიღეთ საგანი, ისეთივე ბუნებრივი, როგორიც ზღვის გლუვი კენჭია, ასევე ემართება მანქანას: რაც უფრო მეტად იყენებ მას, მით ნაკლებად გახსოვს, რომ იგი მანქანაა.

ოდესღაც მანქანა რთულ ქარხნად გვეჩვენებოდა. დღეს გვავიწყდება, რომ ძრავა ბრუნავს. ძრავას დანიშნულებაა — ბრუნავდეს, ისევე, როგორც გულის დანიშნულებაა — ძგერდეს, და ჩვენ ხომ ყურადღებას არ ვაქცევთ გულის ძგერას. დღეს ჩვენი ყურადღება აღარ არის იარაღზე მიჯაჭვული. იარაღთან ერთად, და მისი საშუალებით, ჩვენ კვლავ ვეუფლებით დედაბუნებას, — ბუნებას, ახლობელს მებაღის, მეზღვაურისა თუ პოეტისათვის. აფრენისას მფრინავი ეხება წყალს, მისი კორპუსი, ტალღების დარტყმათა საპასუხოდ,

გონგივით გუგუნებს და ადამიანს შეუძლია თვალყური ადევნოს მთელ ამ მუშაობას მანქანის რიტმს აყოლილი საკუთარი სხეულის მეშვეობით. სიჩქარის აღებასთან ერთად, თვითმფრინავის სიმძლავრეც იზრდება. ადამიანი გრძნობს, როგორ მწიფდება ამ თხუთმეტ ტონა ნივთიერებაში ძალა, რომელიც შესაძლებელს გახდის მის გაფრენას. მფრინავი ხელს უჭერს საჭეს და მისი ხელისგულებიც ივსება ამ ძალით, როგორც დიდი რამ წყალობით. მატულობს წყალობა და საჭის ლითონის ნაწილები მთელ მანქანას გადასცემენ ადამიანის ნებას. როცა ძალა საბოლოოდ მომწიფებულია, მფრინავი უმსუბუქესი მოძრაობით, თითქოს ყვავილი მოწყვიტაო, მოსხლეტს წყალს თვითმფრინავს და განმატკიცებს მას ჰაერში.

IV. თვითმფრინავი და პლანეტა

1.

თვითმფრინავი უეჭველად მანქანაა, მაგრამ იგი, ამავე დროს, შემეცნების შესანიშნავი იარაღიც არის. ამ იარაღმა მოგვცა საშუალება, დედამიწის ნამდვილი სახე დაგვენახა. და მართლაც, გზებს საუკუნეების განმავლობაში შევყავდით შეცდომაში. ჩვენ ვგავდით იმ დედოფალს, რომელმაც მოისურვა დაეთვალიერებინა თავისი სამფლობელო და ენახა — ახარებთ თუ არა ქვეშევრდომებს მისი მეფობა. დედოფლის თვალის ასახვევად კარისკაცებმა გზების გასწვრივ ლამაზი დეკორაციები მოაწყვეს და მოცეკვავეები იქირავეს. და ამ გზებისა და დეკორაციების გარდა, დედოფალმა ვერაფერი დაინახა თავის სამეფოში და ვერც ის გაიგო, რომ ვრცელ მინდვრებში შიმშილისგან სიკვდილის პირას მისული გლეხები წყევლაკრულვას უთვლიდნენ მას.

ჩვენც ასევე ჩანჩალით მივუყვებოდით დაკლაკნილ გზებს. ეს გზები მხარს უქცევენ უნაყოფო მიწებს, კლდეებს, ქვიშებს; ისინი ადამიანის საჭიროებებს ემსახურებიან და მხოლოდ წყაროდან წყარომდე არიან გაჭიმული. მათ მიჰყავთ გლეხები ბეღლებიდან ყანებისაკენ, დილაობით ჯერ კიდევ ნამძინარევ საქონელს უხვდებიან ბოსლების კართან

და საბალახოდ გაჰყავთ იონჯის ველებზე. ისინი აკავშირებენ სოფელს სოფელთან, რადგან ერთმანეთზე ქორწინდებიან სოფლელები. და მაშინაც კი, როცა რომელიმე გზა გაბედავს უდაბნოს გადაკვეთას, იგი ათი ათასჯერ გადაუხვევს სწორ ხაზს, რათა ოაზისებში შეისვენოს.

და აი, მოტყუებულნი გზების ხვეულებით, როგორც მანუგეშებელი სიცრუით, ამდენ სარწყავ მიწაზე, ამდენ ხილის ბაღსა და ამდენ მდელოზე მავალნი, ჩვენ დიდხანს ვალამაზებდით ჩვენს საპყრობილეს. ჩვენ გვჯეროდა, რომ ჩვენი პლანეტა თბილი და ტენიანი იყო.

მაგრამ მხედველობა გაგვიმახვილდა და სასტიკი სინამდვილე დავინახეთ. თვითმფრინავის წყალობით გავიგეთ, რას ნიშნავს პირდაპირი გზა. საკმარისია მოვწყდეთ მიწას, რომ მაშინვე წაიშალოს გზები, რომლებიც სარწყულებლებისა და ბოსლებისაკენ მიემართებიან ან გველებივით მიიკლაკნებიან ქალაქიდან ქალაქისკენ. ამიერიდან ჩვენ თავისუფალნი ვართ ამ გზებისაგან, აღარ ვგრძნობთ წყაროებით სარგებლობის აუცილებლობას და კურსს შორეული წერტილებისკენ ვიღებთ. და მხოლოდ ახლა, ჩვენი სწორხაზოვანი ტრაექტორიების სიმაღლიდან, აღმოვაჩენთ პლანეტის საფუძველთა საფუძველს — კლდეების, ქვიშისა და მარილის ფუნდამენტს, რომელზეც ზოგჯერ ბედავს სიცოცხლე გაღვივებას, მსგავსად ხავსისა ნანგრევთა შორის.

და აი, ჩვენ ვიქცევით ფიზიკოსებად და ბიოლოგებად, რომლებიც გაშლილი ველების სიღრმეში აკვირდებიან ცივილიზაციის მშვენიერ ქმნილებებს, აყვავებულებს, როგორც ჰყვავიან ხოლმე პარკები, როცა ხელს უწყობს ჰავა. დაკვირვებებისათვის ილუმინატორებს ვიყენებთ, როგორც მეცნიერულ ხელსაწყოებს, და ადამიანზე სამყაროს მასშტაბებით ვმსჯელობთ. ჩვენ ახლებურად ვკითხულობთ ჩვენს ისტორიას.

2.

მფრინავი, რომელიც მაგელანის სრუტისაკენ მიემართება, რიო გალეგოსის ცოტა სამხრეთით დიდი ხნის წინ გაყინული ლავის ნაკადზე გადაიფრენს. ლავის ოცმეტრიანი

ფენა აწვება დაბლობს. უფრო იქით მეორე და მესამე ნაკადია, მერე კი ყოველ ბორცვზე, ყოველი გორაკის ფერდობზე, რომელსაც ორასი მეტრი სიმაღლე აქვს, მფრინავი კრატერს ხედავს. აქ ამაყი ვეზუვის ხსენებაც არსად არის: ჰაუბიცები პირდაპირ ვაკეზეა განლაგებული.

მაგრამ ახლა ირგვლივ სრული სიმშვიდეა. სიჩუმე უცნაურად გეჩვენება ამ ლანდშაფტში, რომელიც აღარ ასრულებს თავის დანიშნულებას, ლანდშაფტში, სადაც ოდესღაც ათასობით ვულკანი აფრქვევდა ცეცხლს და მიწისქვეშა გიგანტური ორგანებით ერთმანეთს ბანს აძლევდა. დღეს კი მხოლოდ შავი მყინვარებით შემკულ მდუმარე მიწას დასტრიალებ თავს.

იქით კიდევ უფრო ხანდაზმული ვულკანებია, უკვე ოქროსფერი ბალახით შემოსილი. ზოგჯერ ვულკანის ყელში ხე იზრდება, როგორც ყვავილი ძველ ქოთანში. დაბლობი სულ ოდნავ ამოზნექილა გიგანტური კრატერების ირგვლივ და მიმქრალ დღის შუქზე საუცხოოდ მოვლილ პარკს წააგავს. გაირბენს კურდღელი, აფრინდება ფრინველი, — სიცოცხლე ეუფლება ახალ პლანეტას, იგი მიწის ნოყიერი ფენით იფარება.

ბოლოს, პუნტაარენასის მისადგომებთან, უკანასკნელი კრატერებიც დაბლობს უსწორდებიან. თანაბარი მცენარეული საფარი ეფინება ვულკანების ნაოჭებს და არბილებს მათ მოხაზულობას. ყოველი ბზარი ამ ნაზი სელითაა ამოვსებული. მიწა სწორია, ფერდობები — დაქანებული, და გავიწყდება მათი წარმოშობის ისტორია. ბალახი შლის გორაკების ფერდობებზე წარსულის პირქუშ ნიშნებს.

აი, დედამიწის ყველაზე სამხრეთი ქალაქიც, რომელიც თავის არსებობას ლავის ძველისძველ ველებსა და სამხრეთის ყინულებს შორის ტალახის შემთხვევით დაგროვებას უნდა უმადლოდეს. როგორ იგრძნობა, შავ ნიაღვრებთან ასე ახლოს, ადამიანის არსებობის სასწაული! საოცარი დამთხვევაა! როგორ ან რისთვის ესტუმრება მგზავრი მისთვის გამზადებულ ბაღებს, სადაც შეიძლება ცოცხლობდე ესოდენ მოკლე ხანს — მხოლოდ ერთი გეოლოგიური ეპოქის განმავლობაში?

ერთ თბილ საღამოს მე ძირს დავეშვი. პუნტაარენასი! ვეყრდნობი წყალსატევის კედელს და ვტკბები ქალიშვილების მზერით. ამ ნატიფ ქმნილებათა სიახლოვეს მე მეტი სიმძაფრით შევიგრძნობ ადამიანის მყოფობის საიდუმლოებას. სამყაროში, სადაც სიცოცხლე სიცოცხლეს უკავშირდება, სადაც ქარის სარეცელზე ყვავილები ყვავილებს უერთდებიან, სადაც გედი ყველა გედს შეიცნობს, მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი მარტოობა.

ზღუდესავით აღმართულა ადამიანთა შორის თითოეული მათგანის სულიერი სამყარო! ქალიშვილის ოცნებები დებენ ზღვარს ჩვენ ორს შორის, — მაშ, რანაირად მივუახლოვდე მას? რა შემიძლია ვიცოდე ქალწულზე, რომელიც თვალებდახრილი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიდის შინ და, მის მიერვე შეთხზული ამბებითა და მომხიბლავი სიცრუით სავსე, თავის თავს უღიმის? ახლა მას სატრფოს გულისთქმის, მისი საუბრისა და დუმილისაგან საკუთარი სამყარო აქვს შექმნილი და ამიერიდან, გულისსწორის გარდა, ყველა მამაკაცი მისთვის მარტოოდენ ბარბაროსია და სხვა არაფერი. ეს ქალიშვილი უკვე ჩაკეტილია თავის საიდუმლოებაში, თავის ჩვეულებებში, თავის მეხსიერების მელოდიურ გამოძახილებში. მე ვგრძნობ, რომ იგი ამჟამად უფრო შორსაა ჩემგან, ვიდრე სხვა პლანეტაზე ყოფნისას იქნებოდა. იგი მხოლოდ გუშინ იშვა ვულკანის, აბალახებული მდელოებისა თუ ზღვის მარილიანი წყლისაგან და დღეს უკვე ნახევარღმერთია.

პუნტაარენასი! ვეყრდნობი წყალსატევის კედელს. მოხუცი ქალები იღებენ აქ წყალს; მოახლეების მიმოხვრა, — აი, ყველაფერი, რაც შემიძლია დავინახო მათი ცხოვრების დრამიდან. კედელზე ზურგით მიყრდნობილი ბავშვის ტირილი გაისმის სიჩუმეში; მხოლოდ ამ ლამაზი, მარად უნუგეშო ბავშვის სახე დარჩება ჩემს მეხსიერებაში. მე აქ უცხო ვარ. მე არაფერი ვიცი. მე არა ვარ ნაზიარები მათ სამყაროს.

რაოდენ უფერულია ის დეკორაციები, რომელთა ფონზეც ადამიანთა სიძულვილის, მეგობრობის, ბედნიერების დიადი გათამაშება ხდება! საიდანა აქვთ მარადიულობის ეს შეგრძნება ადამიანებს, რომელნიც მხოლოდ რაღაც შემთხვევამ შეყარა ერთად ჯერ კიდევ გაუნელებელ ლავაზე და რომელთაც უკვე ქვიშისა და თოვლის შემოტევა ემუქრება. მათი

ცივილიზაცია ხომ მხოლოდ და მხოლოდ ნაზი ვარაყია, რომელსაც ადვილად შლის ვულკანის ამოფრქვევა, ახალი ზღვა, ქვიშათა სუნთქვა.

გეჩვენება, რომ ეს ქალაქი გაშენებულია ნამდვილ, ღრმა, ბოსის ნიადაგებივით ნოყიერ ნიადაგზე. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სიცოცხლე ყველგან — აქაც და სხვაგანაც — ფუფუნებაა, და რომ ადამიანის ფეხქვეშ მიწა არასოდეს არის ღრმა და მყარი. მე ვიცი ერთი გუბურა პუნტაარენასიდან ათი კილომეტრის მოშორებით, რომელიც ამას ადასტურებს. დაბალი ხეებითა და პატარა სახლებით გარშემორტყმული ეს გუბურა — ისეთივე მცირე და უმნიშვნელო, როგორც ფერმის ეზოში დაგუბებული წყალი, — რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო, მოქცევათა და მიქცევათა ზეგავლენას განიცდის. ამ მყუდრო გარემოში, ლერწმებსა და ანც ბავშვებს შორის მოქცეული ამ გუბურის ნელი სუნთქვა სულ სხვა კანონებს ემორჩილება. მის მთვლემარე სარკისებურ ზედაპირსა და ერთადერთი დაფუტუროებული ნავის ფსკერქვეშ მთვარის ზემოქმედება ვლინდება. ზღვის მორევები ამოძრავებენ გუბურის სიღრმეთა შავ მასას. ყველგან, თვით მაგელანის სრუტემდე, ბალახისა და ყვავილების თხელი ფენის ქვეშ მიმდინარეობს საოცარი გარდაქმნები. იმ ქალაქის ზღურბლზე, სადაც ადამიანს ეჩვენება, რომ იგი საკუთარ სახლშია, რომ საფუძვლიანად არის დამკვიდრებული ადამიანების მიწაზე, — რაღაც ასმეტრიან გუბეში ზღვის მაჯა ფეთქავს და ემუქრება მას.

3.

ჩვენ ვცხოვრობთ მოხეტიალე პლანეტაზე. დროდადრო, თვითმფრინავის წყალობით, ჩვენ რაღაცას ვიგებთ მისი წარმოშობის შესახებ. გუბე, დაკავშირებული მთვარესთან, მასთან ფარულ ნათესაობას ამჟღავნებს. მაგრამ მე მქონია შემთხვევა, მენახა სხვა ნიშნებიც.

საჰარის სანაპიროზე, კაპჯუბსა და სისნეროსს შორის ფრენისას დროდადრო გვხვდება წაკვეთილ კონუსთა მსგავსი მაღლობების მთელი წყება. მათი მოედნები სხვადასხვა სიგანისაა — ასეული ნაბიჯიდან ოცდაათ კილომეტრამდე. ამ გორაკების სიმაღლე

საოცრად ერთნაირია — სამასი მეტრი. მაგრამ, გარდა სიმაღლისა, ერთნაირია მათი შეფერილობა, ქანების შედგენილობა, კლდეების კონტურები, და როგორც ქვიშაზე აღმართული ძველი ტაძრის სვეტებზე ჯერ კიდევ შერჩენილი ჩამომზღვლეული გუმბათის ნანგრევები მოწმობენ აქ ტაძრის არსებობას, ასევე ეს ერთნაირი მაღლობები მოწმობენ, რომ წარსულში აქ მათი გამაერთიანებელი დიდი ზეგანი არსებობდა.

კასაბლანკადაკარის ხაზის გახსნის პირველ წლებში, როცა ტექნიკა ჯერ კიდევ არ გამოირჩეოდა სიმტკიცით, ავარიები, დაკარგული ამხანაგების ძებნა და მათი გადარჩენა ხშირად გვაიძულებდა, დავშვებულიყავით ურჩი ტომების რაიონებში. ქვიშა აქ მაცთურია: მყარი გეჩვენება და შიგ კი ეფლობი. რაც შეეხება მლაშობებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ასფალტს წააგვანან, ხანდახან ვერც ისინი უძლებენ თვლების სიმძიმეს. მათი თეთრი ქერქი იმსხვრევა და თვითმფრინავი შავ, მყრალ ჭაობში ეფლობა. ამიტომაც, თუკი შესაძლებლობა მოგვეცემოდა, ჩვენ ყოველთვის ზეგანის სწორ ზედაპირს ვარჩევდით თვითმფრინავის დასაჯდომად: მასში არავითარი მახე არ იმალებოდა, ამის გარანტიას იძლეოდა მსხვილი, მძიმე ქვიშა — ეს წვრილწვრილ ნიჟარათა უშველებელი გროვა. ზეგანის ზედაპირზე ნიჟარები ჯერ კიდევ მთელმთელი ეყარა, ფერდობების დაყოლებით კი, სულ უფრო და უფრო წვრილ ნამსხვრევებად ქცეულნი, ერთმანეთს შეწებებოდნენ, ყველაზე ძველ ნაფენებში — მასივის ძირში — ისინი უკვე ნამდვილ კირქვებს ქმნიდნენ.

და აი, როცა მომთაბარეთა მიერ შეპყრობილი ჩვენი ამხანაგები — რეინი და სერი — ტყვეობაში იყვნენ, მე მომიხდა დაშვება ერთ ასეთ ზეგანზე, რათა სამოციქულოდ გაგზავნილი არაბი მიწაზე გადმომესვა. მოციქულის გზაზე გასაყვანად მე შევეცადე მასთან ერთად ზეგანიდან ქვევით ჩასასვლელი რაიმე ბილიკი გამომენახა. მაგრამ ჩვენი ტერასა ყოველი მხრიდან შემორტყმული აღმოჩნდა კლდოვანი ხრამით, რომელიც ფარდასავით ნაკეცნაკეცად ეშვებოდა უფსკრულში. აქედან თავის დაღწევის არავითარი საშუალება არ ჩანდა.

და მე მაინც ცოტა ხნით შევჩერდი აქ, ვიდრე სხვა მოედნის მოსაძებნად გავფრინდებოდი. მე მიხაროდა — და, შეიძლება, ეს ბავშვური სიხარული იყო, — როცა ვფიქრობდი, რომ

ვაბიჯებდი ადამიანისა და პირუტყვისაგან წაუბილწავ მიწას. ვერც ერთი არაბი ვერ შეძლებდა იერიშით აეღო ეს სიმაგრე. ჯერ არც ერთ ევროპელს არ ჰქონდა გამოკვლეული ეს მოედანი. მე ვაბიჯებდი უსაზღვროდ უბიწო ქვიშას. მე ვიყავი პირველი ადამიანი, რომელსაც ძვირფასი თვლებივით ხელიდან ხელში გადაჰქონდა ნიჟარების ეს მტვერი. მე პირველმა დავარღვიე აქ დუმილი. ამ თავისებურ პოლარულ ყინულზე, რომელზეც ბალახსაც კი ვერ მოეკიდა ფეხი, მე ვიყავი ქარისგან გადმოსროლილი თესლივით — სიცოცხლის პირველი ნიშანი.

ცაზე უკვე ვარსკვლავი კაშკაშებდა. მე ვუცქერდი მას და ვფიქრობდი იმაზე, რომ ასეული ათასი წლის განმავლობაში მოედნის თეთრ ზედაპირს — ამ ღია ცის ქვეშ გაშლილ დაულაქავებელ სუფრას — მარტოოდენ ვარსკვლავებთან ჰქონდა კავშირი. და უეცრად გული ისე ამიჩქროლდა, თითქოს დიდი აღმოჩენის ზღურბლზე შევდექი, იმიტომ, რომ ამ სუფრაზე, ჩემგან თხუთმეტი თუ ოცი მეტრის მოშორებით, შავი ქვა შევნიშნე.

ჩემ ფეხქვეშ ნიჟარების სამასმეტრიანი ფენა იდო. ეს ვეება ფენა უცილობლად იმაზე მეტყველებდა, რომ არავითარი ქვა იქ არ უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, კაჟი — ეს პლანეტის რაღაც გარდაქმნითი პროცესების შედეგი — განისვენებდა ამ მასის სიღრმეში. მაგრამ რა სასწაულით შეიძლებოდა ერთი მათგანი აღმოჩენილიყო ამ ქალწულებრივ ზედაპირზე? გულის ფანცქალით დავწვდი და ავიღე: ეს იყო მუშტისოდენა, ლითონივით მძიმე და ცრემლივით ჩამოქნილი შავი ქვა.

ვაშლის ძირში გაშლილ სუფრაზე შესაძლოა დაეცეს მხოლოდ ვაშლი, ვარსკვლავების ქვეშ გაშლილ სუფრაზე მხოლოდ ვარსკვლავთა ანასხლეტები შეიძლება ჩამოცვივდეს. არასოდეს არც ერთ მეტეორიტს ასე ცხადად არ დაუმტკიცებია თავისი წარმოშობა.

რა თქმა უნდა, როცა ზევით ავიხედე, გავიფიქრე, რომ ზეციური ვაშლის ხიდან სხვა ნაყოფებიც უნდა ჩამოცვენილიყო და მე უეჭველად ვიპოვიდი მათ იქ, სადაც ისინი ოდესღაც დაეცნენ, იმიტომ, რომ ასეული წლების განმავლობაში მათი ხელის ხლება არავის შეეძლო, სხვა ნივთიერებებს კი, საეჭვოა, შეერთებოდნენ. მე მაშინვე ზეგანის დასათვალიერებლად გავემართე, რომ ჩემი ვარაუდი შემემოწმებინა.

იგი დადასტურდა. თითქმის ყოველი ჰექტარის შემდეგ იზრდებოდა ჩემი კოლექცია. თითოეული ქვა ლავისაგან გამოძერწილს ჰგავდა და შავი ალმასივით მაგარი იყო. დრო თითქოს შეიკუმშა და მე, გაოცებულმა, ჩემი ვარსკვლავების წვიმსაზომის მწვერვალზე მდგარმა, თითქოს საკუთარი თვალით დავინახე ცეცხლის მთელი ეს მრავალსაუკუნოვანი ნიაღვარი.

4.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ის იყო, რომ აქ, პლანეტის ამ მომრგვალებულ ზურგზე, დამაგნიტებულ სუფრასა და ვარსკვლავებს შორის, აღმოჩნდა ადამიანის გონება, რომელშიც სარკესავით ირეკლებოდა ეს წვიმა. ასეთ ვითარებაში ზმანება სასწაულია. მე მაგონდება ერთი ასეთი ზმანება...

ერთხლ, ქვიშების რაიონში იძულებით დაშვებული, გათენებას ველოდი. ოქროსფერი ქვიშის ბორცვები მთვარეს თავის გაკაშკაშებულ ფერდობებს უშვერდნენ და ჩრდილი და სინათლე ერთმანეთს ემიჯნებოდა. ამ მთვარის შუქისა და ჩრდილის უდაბურებაში შეწყვეტილი მუშაობის მდუმარება მეფობდა. მეფობდა ხაფანგის მდუმარება. და მე დავიძინე.

როცა გავიღვიძე, ვერაფერი დავინახე, გარდა ღამეული ცის გუმბათისა, რადგან ბარქანის თხემზე გულაღმა ვიწექი. ვარსკვლავებისკენ პირშექცეული ერთბაშად ვერ მივხვდი, რა სიღრმეები იყო ჩემ წინაშე. ამ სიღრმეებსა და ჩემ შორის ვერაფერს ვხედავდი ხელმოსაკიდს, ვერც სახლის სახურავს, ვერც ხის ტოტს, და თავბრუსხვევა ვიგრძენი, ვიგრძენი, რომ უკვე მოვწყდი ადგილს და უფსკრულისკენ დავექანე.

მაგრამ არსად ჩავვარდნილვარ. მე თხემით ტერფამდე მიწაზე ვიყავი მიჯაჭვული. ჩემი სხეულის მთელი სიმძიმით მას მივენდე და რაღაცნაირი სიმშვიდე ვიგრძენი, მიზიდულობის ძალა სიყვარულივით ყოვლისშემძლე მეჩვენა.

მე ვიგრძენი, რომ დედამიწა მკერდზე მიყრდნობს, ხელს მაშველებს, ზევით მწევს და ღამეულ სივრცეში მიმაქანებს. მე აღმოვაჩინე, რომ სხეულის სიმძიმე პლანეტას

მაკრავდა, ისე როგორც მოსახვევებში მანქანას მიგვაკრავს ხოლმე იგი. მე ვტკბებოდი ამ საიმედო საყრდენის სიმტკიცით და ჩემმა დამძიმებულმა სხეულმა საკუთარი ხომალდის გაღუნული გემბანი შეიგრძნო.

გაფრენის გრძნობა იმდენად მკვეთრი იყო, რომ არ გამიკვირდებოდა, თუ დედამიწის სიღრმიდან შემომესმებოდა საწყალობელი კვნესა მასალებისა, რომლებიც ძლივს ახერხებდნენ ამ მოძრაობის აყოლას; თუ შემომესმებოდა სევდის მომგვრელი კვნესა ძველი იალქნიანი გემებისა, რომლებიც იძირებოდნენ; ანდა გაჯავრებული ჭრიალი შეშფოთებული კარჭაპებისა. მაგრამ მიწის სიღრმეში სრული სიჩუმე სუფევდა. მაინც მხრებში მე ვგრძნობდი მიზიდულობის ამ ძალას — ჰარმონიულს, უცვლელს, საუკუნეთა მანძილზე თანაბარს. მსგავსად გალერებმისჯილი მკვდარი მენიჩბეების სხეულებისა, რომელთაც ფეხებზე მიბმული სიმძიმე ზღვის ფსკერზე აკავებს, მე მშობელ მიწაზე ვიყავი მიჯაჭვული.

და უდაბნოში მიკარგულს, განსაცდელშემოჯარულს, მიუსაფარს, ქვიშასა და ვარსკვლავებს შორის გამოკიდებულს, ჩემი ცხოვრების პოლუსებისგან მდუმარების თვალუწვდენელი სივრცით დაშორებულს, მაფიქრებდა ჩემი მდგომარეობა, რადგან ვიცოდი, რომ, თუ ვერც ერთი თვითმფრინავი ვერ მომაგნებდა და არაბებიც არ მომიღებდნენ ბოლოს, — დღეები, კვირები და მთელი თვეებიც დამჭირდებოდა იმ პოლუსებამდე მისაღწევად. აქ ყოველივეს მოკლებული ვიყავი. მე ვიყავი ქვიშებსა და ვარსკვლავებს შორის გზადაბნეული მოკვდავი, რომელსაც ერთადერთ ნუგეშად სუნთქვაღა დარჩენია.

ამასობაში კი სულ თავს დამტრიალებდნენ ათასგვარი ზმანებები, მათი გამოცხადება უხმო იყო, როგორც წყაროს დინება, და მე ერთბაშად ვერც კი მივხვდი, რა ნეტარებამ შემიპყრო. არცა რა ხმა ისმოდა, არც სახეები ჩანდა, იყო მხოლოდ ვიღაცის იქ ყოფნის, ძალიან სასიამოვნო და იდუმალებით სავსე მეგობრული სიახლოვის გრძნობა. მერე ყველაფერს მივხვდი, დავხუჭე თვალები და დავემორჩილე ჩემი მოგონებების ჯადოსნურ ძალას.

სადღაც იყო პარკი, მუქი ნაძვებითა და ცაცხვებით სავსე, და ძველი სახლი, რომელიც მიყვარდა. ამ წუთში სრულიადაც არაფერს ნიშნავდა, ახლოს იყო იგი თუ შორს, შეეძლო თუ არა ჩემი სხეულის გათბობა და თავშესაფრის მოცემა, — ის ხომ ახლა მარტოოდენ ზმანება იყო ჩემთვის, — მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ იგი სადღაც არსებობდა, ამ ღამეს თავისი აქ ყოფნით ავსებდა. მე უკვე აღარ ვიყავი ქვიშიან ნაპირზე გამორიყული სხეული, მე ვიცნობდი იმ ადგილებს. მე იმ სახლიდან გამოსული ბავშვი ვიყავი, მე ვიგონებდი მის სუნს, მისი დერეფნების სიგრილეს, ხმებს, რომლებიც მის კედლებში გაისმოდა. ვხედავდი ძველ, მწვანე პარკს; მისი გუბეებიდან ბაყაყების ყიყინიც კი აღწევდა ჩემამდე, ეს ათასობით ნიშანი მე მჭირდებოდა იმისათვის, რომ გავრკვეულიყავი საკუთარ თავში, მჭირდებოდა იმისათვის, რომ გამეგო, სახელდობრ, რა მაკლდა ისეთი, რაც იწვევდა უდაბნოში ყოფნის შეგრძნებას, რომ ამეხსნა აზრი უდაბნოს ათასობით სიჩუმისაგან ნაქსოვი მდუმარებისა, რომელშიც ბაყაყების სიჩუმეც კი იყო ჩაქსოვილი.

არა, მე აღარ მივცურავდი ქვიშებსა და ვარსკვლავებს შორის. ჩემ გარშემო ლანდშაფტი ცივ დუმილში გაყინულიყო, და ახლა მესმოდა, რომ მარადისობის შეგრძნებას, რომელიც თითქოს ამ ლანდშაფტიდან იღებდა სათავეს, სრულიად სხვა მიზეზი ჰქონდა. მე თვალწინ მეხატებოდა სახლში მდგარი დიდებული კარადები. მათი გამოღებული კარებიდან ჩანდა წყებაწყებად დალაგებული თოვლივით ქათქათა, გრილი ზეწრები, კარადებს შორის თაგვივით დაცუცუნებდა ჩვენი მოხუცი მნე ქალი. იგი ამოწმებდა, შლიდა, კვლავ კეცავდა და ითვლიდა გაქათქათებულ თეთრეულს და როცა მათზე შეამჩნევდა სიძველის ნიშნებს, რაც, მისი აზრით, სახლის მარადიულ არსებობას ემუქრებოდა, დროდადრო წამოიძახებდა: `ო, ღმერთო, ეს რა უბედურებაა!~ — მაშინვე ჯდებოდა ლამპასთან და იწყალებდა თვალებს, რათა გაეახლებინა ეს საკურთხეველთა საფარებლები, დაეკერებინა სამაფრიანი ხომალდის იალქნებივით უზარმაზარი ზეწრები, და ამას ასრულებდა ისეთი სასოებით, როგორც ღვთისმსახურებას რაღაც მიუწვდომელის — ღმერთისა თუ ხომალდისადმი.

ო! მე შენ უნდა მოგიძღვნა ამ წიგნის ერთი გვერდი. პირველი მოგზაურობებიდან დაბრუნებულს, შენ მე მხვდებოდი, მადმუაზელ, ნემსით ხელში, მუხლებამდე ჩაფლული თეთრ საფარებში, წლითიწლობით უფრო და უფრო სახედაღარული, უფრო და უფრო

გაჭაღარავებული. და, როგორც ყოველთვის, შენი ხელები ახლაც ზრუნავდნენ, რომ ძილისთვის არ მოგვკლებოდა გატკეცილი ზეწრები, ხოლო სადილობისთვის — სინათლისა და ბროლის ამ დღესასწაულისთვის — გატკეცილი სუფრები. მე მოვდიოდი თეთრეულის ოჯახში, ვჯდებოდი შენ წინ და, რომ ამეღელვებინე, შენ წინაშე რომ ფართო სამყარო გადამეშალა, შენი სულიერი სიმშვიდე რომ დამერღვია, — გიამბობდი იმ სამკვდროსასიცოცხლო განსაცდელთა შესახებ, რომლებიც გამომევლო. და თურმე მე სრულიადაც არ ვიყავი გამოცვლილი, როგორც შენ ამბობდი. ბავშვობაშიც ხალათებს ვიხევდი და მუხლებს ვიქლეტდი. ო, ეს ხომ უბედურება იყო! მერე კი შინ ვბრუნდებოდი, რომ მოევლოთ ჩემთვის ისევე, როგორც ამ საღამოს. ო, არა, არა, მადმუაზელ! მე ვბრუნდები არა პარკიდან, არამედ დედამიწის მეორე კიდიდან. მე თან მომაქვს უდაბნოს მძაფრი სუნი, ქვიშის კორიანტელი, ტროპიკული მთვარის თვალისმომჭრელი კაშკაში! რა თქმა უნდა, ამბობდი შენ, ბიჭები დარბიან, იმტვრევენ კისრებს და თან ფიქრობენ, რა ყოჩაღები ვართო. ო, არა, არა, მადმუაზელ, მე ვნახე სამყარო ბევრად უფრო უზარმაზარი, ვიდრე ეს პარკია! რომ იცოდე, რაოდენ მცირე და უმნიშვნელოა იგი თავისი ჩრდილებით იმ სამყაროსთან შედარებით, რა უჩინარია ის უდაბნოს ქვიშებს, გრანიტის კლდეებს, უღრან ტყეებსა და ჭაობებს შორის! იცი შენ თუ არა, რომ არის ადგილები, სადაც ადამიანები ერთმანეთთან შეხვედრისთანავე თოფებს იმარჯვებენ. იცი შენ თუ არა, მადმუაზელ, რომ არის უდაბნოები, სადაც სუსხიან ღამეებში ადამიანებს სძინავთ ღია ცის ქვეშ — უქვეშაგებოდ, უზეწროდ...

— ო, შე ბარბაროსო! — ამბობდი შენ.

მისი რწმენის შერყევა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ეკლესიის მსახურისა, და მე გული მწყდებოდა მისი უბადრუკი ბედის გამო, რომელმაც იგი ბრმად და ყრუდ აქცია.

მაგრამ იმ ღამეს, საჰარაში, ქვიშებსა და ვარსკვლავებს შორის უთავშესაფროდ დარჩენილმა, გავუგე მას.

არ ვიცი, რა ხდება ჩემში. მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავები დამაგნიტებულნი არიან, მიზიდულობამ დედამიწას მიმაჯაჭვა. მეორე მიზიდულობა საკუთარ თავთან მაბრუნებს. მე ვგრძნობ, როგორ მაკავშირებს ჩემი სხეულის სიმძიმე მრავალ საგანთან! ჩემი ზმანებანი უფრო რეალურია, ვიდრე ეს დიუნები, ვიდრე ეს მთვარე, ვიდრე ყველაფერი, რაც ჩემ ირგვლივ არის. ო! ოჯახური კერის ჯადოსნობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეუძლია შეგიფაროს და გაგათბოს, არც იმაში, რომ საკუთარი სახლის კედლების მეუფე ხარ. მისი ჯადოსნობა იმაშია, რომ იგი გულს თანდათანობით ავსებს უდიდესი სინაზით და ეს სინაზე სჯულის სიღრმეში ქმნის რაღაც იდუმალს, რომელშიც, როგორც წყალი — წყაროში, ზმანებანი იბადებიან.

ო, საჰარა, ჩემო საჰარა, შენ ახლა მთლიანად მოჯადოებული ხარ ოჯახური კერის ფერიის თილისმით.

V. ოაზისი

უკვე იმდენი რამ გიამბეთ უდაბნოზე, რომ ახლა, ვიდრე კვლავ მასზე საუბარს დავიწყებდე, მინდა ოაზისი აგიწეროთ; ის ოაზისი კი, რომელიც ამწუთას თვალწინ მიდგას, საჰარაში როდი მდებარეობს. თვითმფრინავის ერთერთი ჯადოსნური თვისება ის არის, რომ მას თვალის დახამხამების უმალ შეუძლია თავი ამოგაყოფინოთ საოცრებათა სამყაროს შიგ შუაგულში. დავუშვათ, ბიოლოგი ხართ და ილუმინატორის მეშვეობით აკვირდებით — როგორ ჭიანჭველებივით ირევიან ქვევით ადამიანები; გულგრილი ცნობისმოყვარეობით აკვირდებით ვაკეზე, მარაოსავით გაშლილი გზების შესაყარში გაშენებულ ქალაქებს, რომლებსაც ეს გზები, არტერიების მსგავსად, მინდვრების წვენით კვებავენ. მაგრამ აი, მანომეტრის ისარი იწყებს ცახცახს და ერთი ბღუჯა ბალახი იქ, ქვევით, უცებ მთელ სამყაროდ იქცევა. თქვენ ახლა უკვე ტყვე ხართ მიძინებული პარკის შუაგულში გადაშლილი პაწია მდელოსი.

სიშორე და სიახლოვე მანძილით როდი იზომება. ზოგჯერ აქვე, ახლოს, ბაღს შემოვლებული მესერი მეტ საიდუმლოს ფარავს, ვიდრე ჩინური კედელი, და პატარა გოგონას სული უფრო ძლიერ არის დაცული მისივე დუმილით, ვიდრე საჰარის ოაზისი — ქვიშით.

მე თქვენ გიამბობთ ერთი პატარა შესვენების შესახებ სადღაც მიწაზე. ეს მოხდა კონკორდის მახლობლად, არგენტინაში, მაგრამ იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო სადაც გნებავთ, — ქვეყანაზე იმდენი სასწაული ხდება!

მე ველზე დავეშვი და ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ზღაპარში მოვხვდებოდი. არც ფორდის ძველი მანქანა და არც ცოლქმარი, რომლებმაც ამ მანქანაში მიმიპატიჟეს, განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდნენ.

— ღამეს ჩვენთან გაათევთ...

ჰოდა, აი მოსახვევში გამოჩნდა მთვარის შუქით განათებული ხეების ჯგუფი, ხეებს იქით კი — სახლი, რა უცნაური იყო იგი! მკვიდრი, მასიური, უფრო ციხესიმაგრე, ვიდრე სახლი. მაგრამ საკმარისი იყო მის ზღურბლზე ფეხის შედგმა, რომ, ზღაპრული ციხედარბაზის ნაცვლად, თავი მონასტერივით მშვიდ, წყნარ და საიმედო თავშესაფარში გეგრძნოთ.

უეცრად ჩემ წინ ორი ასული გაჩნდა. მათ ისეთი ყურადღებით შემათვალიერეს, თითქოს შეუვალი სამეფოს კარიბჭესთან მდგარი მსაჯულები ყოფილიყვნენ; უმცროსს სახეზე იმედის გაცრუება გამოეხატა და მან რამდენჯერმე დაჰკრა იატაკს ახლად მოჭრილი ჯოხი. ურთიერთწარდგენის შემდეგ ქალიშვილებმა უსიტყვოდ გამომიწოდეს ხელი, ცნობისმოყვარეობითა და გამომწვევად შემომხედეს და გაქრნენ.

მათმა ასეთმა საქციელმა კიდეც გამართო და კიდეც მომხიბლა. ყველაფერი ეს ისე სწრაფად და ჩუმად მოხდა, თითქოს რომელიღაც საიდუმლოების პირველი სიტყვა წარმოითქვაო.

— ო! ო! ნამდვილი ველურები არიან, — ჩაილაპარაკა მამამ და ჩვენ სახლში შევედით.

მე მიყვარდა პარაგვაიში დამცინავი ბალახი, რომელიც ისე გამოყოფდა ხოლმე ქვაფენილის ქვებს შორის თავს, თითქოს უსიერი ტყის მოციქულია და აქ იმისათვის მოსულა, რომ გაიგოს ისევ ადამიანთა ხელშია ქალაქი, თუ უკვე დადგა ამ ქვების შევიწროების ჟამიო. მე მომწონდა ამგვარი გაუდაბურება, რადგან დიდი სიმდიდრის გამოხატულებად ვთვლიდი მას. მაგრამ ამ სახლის უდაბურმა შეხედულებამ მეც კი განმაცვიფრა.

აქ ყველაფერს დიდი სიძველის ნიშანი ედო, წარმტაცი სიძველის ნიშანი, — ხავსით დაფარული, დაფუტუროებული ბებერი ხის მსგავსად, მსგავსად იმ ხის სკამისა, რომელზეც შეყვარებულთა მთელი თაობები მსხდარან. პანელები დამსკდარიყო, კარის ამყოლები ჭიას დაეხრა, სკამები დაკოჭლებულიყო, მაგრამ თუ მათი შეკეთებისთვის არავინ შეწუხებულა, სამაგიეროდ, სისუფთავისთვის გადაუდვიათ თავი. აქ ყველაფერი დალაგებული იყო, გაკრიალებული, ყველაფერი ელავდა. ამის გამო სასტუმრო ოთახს არაჩვეულებრივი იერი ედო და ისე გამოიყურებოდა, როგორც მოხუცი ქალის ჩამოღარული სახე. კედლების ბზარებს, ჭერის ხვრელებს — ყოველივეს აღტაცებაში მოვყავდი, ყველაზე მეტად კი — პარკეტს, რომელიც ადგილადგილ ამოვარდნილიყო, ადგილადგილ დაძაბუნებულიყო, მაგრამ ისე იყო გაწმენდილი, რომ სულ ბზინავდა. საინტერესო იყო ეს სახლი: მასში იგრძნობოდა არა უპატრონობა და გაპარტახება, არამედ — ყველაფრისადმი ღრმა პატივისცემა. როგორც ჩანს, ყოველწლიურად მატულობდა მისი მომხიბლაობა. დროის კვალი აქ უფრო და უფრო მეტყველი ხდებოდა, მეგობრული ატმოსფერო — უფრო და უფრო თბილი, სასტუმროდან სასადილომდე მოგზაურობა კი — უფრო და უფრო სახიფათო.

— ფრთხილად!

აქ იატაკში ხვრელი იყო, მე გამაფრთხილეს, რომ ასეთ ხვრელში სულ ადვილად შეიძლება ფეხის მოტეხა, არავისი ბრალი არ იყო ამ ხვრელების არსებობა, უბრალოდ, დროს თავისი გაეტანა! რა დიდებული იყო ყოველგვარი თავის მართლების ეს არისტოკრატული უგულებელყოფა. ჩემთვის არ უთქვამთ: `ჩვენ შეძლებულნი ვარ, შეგვეძლო ყველა ამ ხვრელის ამოვსება, მაგრამ...~ არ უთქვამთ არც ის, რაც სხვათა შორის,

მართალიც იქნებოდა: `ეს სახლი ჩვენ ოცდაათი წლით გვაქვს აღებული იჯარით ქალაქისაგან და შეკეთება მისი ვალია. ახლა საქმე მხოლოდ ის არის, ვინ ვის აჯობებს სიჯიუტეში~. აქ ზედმეტად მიაჩნდათ ყოველგვარი ახსნაგანმარტება და ასეთ უშუალობას მე აღტაცებაში მოვყავდი. ისე, სხვათა შორის თუ იტყოდნენ:

— ეჰ, რას იზამ, ცოტა დაძველდა...

მაგრამ ის მსუბუქი ტონი, რომლითაც ეს სიტყვები იყო წარმოთქმული, მაფიქრებინებდა, რომ ჩემს მასპინძლებს დიდად არ აწუხებდათ ეს ამბავი....

წარმოგიდგენიათ კალატოზების, ხუროების, დურგლებისა და მღებავების არტელი, რომელიც თავისი მკრეხელური იარაღებით მიადგებოდა ამ სიძველეებს და ყოველივე ამას ერთი კვირის განმავლობაში აქცევდა სახლად, სადაც თქვენ სტუმარივით იგრძნობდით თავს? აქცევდა სახლად, რომელსაც აღარ ექნებოდა თავისი საიდუმლოებანი, თავისი მყუდრო კუთხეები, პირდაღებული ხვრელები ფეხქვეშ, სამალავები, — აქცევდა მას ქალაქის რატუშის უღიმღამო მისაღებ ოთახად.

ამ საიდუმლო გასასვლელებით სავსე სახლში სრულიად ბუნებრივი იყო ქალიშვილების გაუჩინარება. როგორიღა უნდა ყოფილიყო აქ სხვენები, როცა სასტუმრო ოთახიც კი სავსე იყო სხვენის შესაფერისი განძეულით? ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს, საკმარისი იყო გამოგეღოთ რომელიმე განჯინის კარი, რომ იქიდან გადმოცვენილიყო გაყვითლებული წერილები, მამაპაპათა ქვითრები, უფრო მეტი გასაღებები, ვიდრე კლიტეები იყო მთელ ამ სახლში, გასაღებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, აღარც ერთ კლიტეს აღარ მოერგებოდა; გადმოცვენილიყო გამოუსადეგარი და ამავე დროს, შესანიშნავი გასაღებები, რომლებიც შეცდომაში შეგიყვანდნენ და თავზე მოგახვევდნენ ოცნებას მიწისქვეშა ჯურღმულებზე და იქ დაფლულ განძითა და ოქროს ფულით სავსე ზანდუკებზე.

— ნება მოგვეცით, სუფრასთან მიგიწვიოთ.

— ჩვენ სუფრისკენ გავემართეთ. ოთახიდან ოთახში გასვლისას მე ვისუნთქავდი ძველი წიგნების სურნელებას, რომელიც საკმეველივით იყო დაკმეული ოთახებში და რომელიც

ამქვეყნად არსებულ ყველა სურნელებაზე ძვირფასია. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ლამპების გადატანა მომწონდა, ნამდვილი მძიმე ლამპების გადატანა ოთახიდან ოთახში სწორედ ისე, როგორც ჩემი ბავშვობის გარიჟრაჟზე იცოდნენ ხოლმე. ლამპებში აფეთქებული ალის ენები წააგავდნენ შავარშიაშემოვლებულ პალმის ფოთლებს და ჯადოსნური ჩრდილები მიმოქროდნენ კედლებზე. მერე, როცა ლამპებს ერთ ადგილზე დადგამდნენ, კედლებს ზედ ეყინებოდა სინათლის ლაქები, მათ ირგვლივ შემოჯარული უკუნი ღამე წააგავდა უსიერი ტყის ნაკრძალს, საიდანაც ხეების ჭრაჭაჭრუჭიც კი ისმოდა.

ორივე ქალიშვილი ისეთივე იდუმალი გზითა და ისევე უსიტყვოდ გაჩნდა, როგორც ადრე გაუჩინარდა. ისინი დარბაისლურად შემოუსხდნენ სუფრას. მანამდე ალბათ თავიანთ ძაღლებსა და ფრინველებს აპურებდნენ, ალბათ ღია ფანჯარაში გადამდგარნი შესტრფოდნენ ნათელ ღამეს, ტკბებოდნენ ქარის სუნთქვაში ჩაქსოვილი ბალახის სურნელით. ახლა კი ხელსახოცებს შლიდნენ და თან ცალი თვალით ფარულად მითვალთვალებდნენ: ჩავეთვალე შინაურ ცხოველად თუ არა. მათ ხომ უკვე ჰყავდათ იგუანა, მანგუსტი, მაიმუნი, მელია და ფუტკარი. და ყველანი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთად, როგორც ამქვეყნიურ სამოთხეში. ქალიშვილები, — ყველა ამ ცოცხალ არსებათა დედოფლები, — აჯადობდნენ მათ თავიანთი პაწია, მზრუნველი ხელებით; არ აკლებდნენ საჭმელსასმელს და უამბობდნენ ზღაპრებს. და ყველანი მანგუსტიდან დაწყებული და ფუტკრით დამთავრებული, მორჩილად უსმენდნენ მათ.

მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს ქალიშვილები მთელ თავის საზრიანობას, მთელ თავის გამჭრიახობას გამოიყენებდნენ იმისათვის, რომ მათ პირდაპირ მჯდარი მამრობითი სქესის არსებისათვის გამოეტანათ მსჯავრი, — მსჯავრი სწრაფი, საიდუმლო და საბოლოო. ბავშვობაში ჩემი დები სწორედ ასე უწერდნენ ხოლმე ნიშნებს სტუმრებს, რომლებიც პატივს დაგვდებდნენ და პირველად ეწვეოდნენ ჩვენს სუფრას. და, როცა ლაპარაკი მიწყდებოდა, ჩამოვარდნილ სიჩუმეში უცებ გაისმოდა:

— თერთმეტი!

შეძახილი, რომლის სიმშვენიერეს ვგრძნობდით მხოლოდ მე და ჩემი დები.

ახლა ამ თამაშის გახსენება ცოტა მაღელვებდა. ჩემს უხერხულობას ზრდიდა იმის შეგნება, რომ ჩემი მსაჯულნი უფრო დახელოვნებულნი იყვნენ, ვიდრე ჩვენ ვიყავით მაშინ. ამ მსაჯულებს შეეძლოთ ეშმაკი ცხოველი გულუბრყვილოსგან გაერჩიათ, მელიის ნაკვალევით ხვდებოდნენ, კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა ის თუ ცუდზე; მათ ასევე ღრმად ესმოდათ ადამიანის სულის მოძრაობა.

მე შემიყვარდა მათი გამჭრიახი თვალები, მათი პირდაპირი, ახალგაზრდული სული, მაგრამ ვამჯობინებდი, ეს თამაში სხვა თამაშით შეეცვალათ. იმის შიშით, რომ `თერთმეტი~ არ მიმეღო, მე გადაჭარბებული ზრდილობით ვაწვდიდი მათ მარილს, ვუსხამდი ღვინოს, მაგრამ ყოველ შეხედვაზე ისევ და ისევ ვამჩნევდი იმ შერბილებულ სერიოზულობას მსჯელობისას, რომელთაც ვერაფრით მოისყიდი. პირფერობაც ამაო იქნებოდა: პატივმოყვარეობა სრულიად უცხო იყო მათთვის, უცხო იყო პატივმოყვარეობა და არა სიამაყე: ისინი თავიანთ თავზე უჩემოდაც იმაზე უკეთესი აზრის იყვნენ, ვიდრე მე გავბედავდი მეთქვა. მე ფიქრადაც არ მომსვლია, გამომეყენებინა ჩემი ხელობის პრესტიჟი. განა ნაკლები გამბედაობაა — კენწეროზე მოექცე ჭადარს იმისთვის, რომ მოინახულო შენი ფრთოსანი მეგობრები და შეამოწმო — შეიბუმბლნენ თუ არა ბარტყები?

ჩემი მდუმარე ფერიები ისეთი ყურადღებით მადევნებდნენ თვალს, როგორ ვჭამდი; ისე ხშირად ვიჭერდი მათ მზერას, რომ ლაპარაკი შევწყვიტე.

სიჩუმე ჩამოვარდა და სწორედ ამ დროს რაღაც ძლივს გასაგონად ასისინდა. რაღაც აშრიალდა მაგიდის ქვეშ, პარკეტზე, და მერე კვლავ სიჩუმე გამეფდა. მე გაკვირვებით შევხედე მასპინძლებს, და მაშინ უმცროსმა ქალიშვილმა, რომელიც ალმასის კბილებით კბეჩდა პურს, კმაყოფილმა თავისი დაკვირვების შედეგებით, ეტყობა, გადაწყვიტა უკანასკნელი სასინჯი კენჭი ესროლა ჩემთვის, და იმ იმედით, რომ თავზარს დასცემდა ბარბაროსს, — თუკი ბარბაროსი აღმოვჩნდებოდი, — გულუბრყვილო გამომეტყველებით ამიხსნა:

— ეს გველებია!

და გულდამშვიდებული დადუმდა. იგი თვლიდა, რომ ასეთი განმარტება სრულიად საკმარისი იყო ყველა ცოტად თუ ბევრად გონიერი ადამიანისთვის. მისი დის მზერა ელვისებური სისწრაფით მწვდა, რათა დაენახა ჩემი პირველი რეაქცია, და ქალიშვილებმა მაშინვე თეფშებში ჩარგეს თავიანთი ყველაზე ნაზი, ყველაზე უბიწო სახეები ამქვეყნად.

— შეხედე ერთი!.. გველები...

რა თქმა უნდა ასეთი შეძახილისგან თავი ვერ შევიკავე. რაღაც გასრიალდა ფეხებშორის, წვივებზე შემეხო: გველი იყო...

ჩემდა საბედნიეროდ, გავიღიმე... და უნდა ითქვას, ძალდაუტანებლადაც: ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ისინი ხელად მიმიხვდებოდნენ. გავიღიმე, იმიტომ, რომ მხიარულად ვიყავი, იმიტომ, რომ ეს სახლი სულ უფრო და უფრო მომწონდა და კიდევ იმიტომ, რომ მინდოდა, რაც შეიძლება მეტი გამეგო ამ ქვეწარმავლების შესახებ. უფროსი და წამომეშველა....

— ისინი მაგიდის ქვეშ, ხვრელში ბუდობენ.

— საღამოს ათი საათისთვის ბრუნდებიან, — დაუმატა უმცროსმა, — დღისით ნადირობენ.

ახლა მე შევხედე ქალიშვილებს მალულად. ისინი გულში სიცილით იგუდებოდნენ, მაგრამ მათ ნატიფ, შეუშფოთებელ სახეებზე არაფერი იხატებოდა. მე აღტაცებული ვიყავი მათი მეფური თავდაჭერით.

დღეს რაღაც ოცნებამ გამიტაცა. ყოველივე ეს დიდი ხანია უკან დარჩა. ნეტავ რა დაემართა იმ ორ ფერიას? ალბათ გათხოვდნენ. მაგრამ გამოიცვალნენ თუ არა? ქალწულობიდან გათხოვილი ქალის მდგომარეობაში გადასვლა, — ეს ხომ ისეთი მნიშვნელოვანი ამბავია! ნეტავ როგორ ცხოვრობენ ახალ სახლში? ძველებურად მეგობრობენ ველურ ბალახებთან და გველებთან? ისინი ხომ სამყაროს ცხოვრებას იყვნენ ნაზიარები! მაგრამ აი დგება ჟამი და ქალწულში იღვიძებს ქალი. იგი ოცნებობს, ბოლოს და ბოლოს დაუსვას ვისმე `ცხრამეტი~. ეს `ცხრამეტი~ მძიმე ტვირთად აწევს გულზე. და

აი, შემოეყრება რომელიმე თავქარიანი ჭაბუკი და ქალწულის თვალები, მანამდე ეგზომ გამჭრიახნი, პირველად ტყუვდებიან და ყველა ღირსებით ამკობენ მას. თუ თავქარიანი ჭაბუკი რითმავს სტრიქონებს, მას პოეტად მიიჩნევენ. სჯერათ, რომ მისთვის სასიამოვნოა ეს მორყეული პარკეტი, სჯერათ, რომ მას უყვარს მანგუსტი. სჯერათ, რომ მას ახარებს ნდობა გველებისა, რომლებიც სეირნობენ მაგიდის ქვეშ, მის ფეხთა შორის, და თავიანთ გულებს, — ამ ველურ ბაღს, — მიუძღვნიან კაცს, რომელსაც მარტოოდენ კეთილმოწყობილი პარკები უყვარს. და ამ კაცსაც მშვენიერი პრინცესა მიჰყავს თავისთან, რომ უღელი დაადგას და მონად გაიხადოს.

VI. უდაბნოში

1.

ეს ჩუმი სიხარული მიუწვდომელი იყო ჩვენთვის საჰარაში, — ჩვენ, სამოქალაქო მფრინავები, ქვიშათა პატიმრები, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე დავფრინავდით ფორტიდან ფორტში და იშვიათად თუ ვიმეორებდით მარშრუტებს. აქ, უდაბნოში, მსგავს ოაზისებზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა: ბაღები და ქალიშვილები, — ეს ხომ ზღაპარი იყო! რა თქმა უნდა, თუ ერთხელ და სამუდამოდ თავს დავანებებდით სამუშაოს და სადმე ახალ ცხოვრებას დავიწყებდით, იქ ჩვენ ათასობით ქალიშვილი დაგვხვდებოდა. რა თქმა უნდა, იქ, მანგუსტებსა და წიგნებთან ურთიერთობაში, მათი გრძნობები სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა... რა თქმა უნდა, ისინი სულ უფრო და უფრო მშვენიერდებოდნენ.

მაგრამ მე ვიცი, რა არის მარტოობა. უდაბნოში სამი წლის ცხოვრებამ მაგემა იგი. აქ ის კი არ გაშინებს, რომ შენი ახალგაზრდობა ქვებსა და ქვიშებს შორის იფერფლება, არამედ გეჩვენება, რომ იქ, სადღაც, შენგან შორს, მთელი ქვეყანა ბერდება. აი ხეები დაიხუნძლა ნაყოფით, დადგა პურის მკის დრო. აი გოგონები დაქალდნენ და დამშვენდნენ. დრო მიქრის, კარგი იქნებოდა აჩქარება შინ დასაბრუნებლად. დრო მიქრის... შენ კი აქ, ამ

სიშორეზე გაკავებენ და დედამიწის წყალობა ისე გიქრება თვალსა და ხელს შუა, როგორც დიუნების წმინდა სილა ჩამოიბნევა ხოლმე თითებს შორის.

ადამიანები, ჩვეულებრივ, ვერ გრძნობენ დროის სრბოლას. ისინი თითქოს მიყურსულნი ცხოვრობენ. აი ჩვენ კი დროის სრბოლას გაჩერებებზეც კი შევიგრძნობდით მარად წინ მქროლავი პასატების დაძლევისას. ჩვენ ვგავდით ჩქარი მატარებლის მგზავრს, ღამით ბორბლების ხმაურით გაბრუებულს, მგზავრს, რომელიც ფანჯარაში შემოჭრილი შუქის მიხედვით ხვდება, რომ გზის გასწვრივ მიქრიან მინდვრები, სოფლები, ჯადოსნური მშობლიური ადგილები, მაგრამ არ ძალუძს მათი შეჩერება, რადგან თვითონაც გზად მიმავალი მგზავრია მხოლოდ. ასევე ჩვენც, მიუხედავად გაჩერების ადგილზე გამეფებული სიჩუმისა, ფრენის ხმაური ჯერ კიდევ ყურებში გვედგა და თავი კვლავ გზაში გვეგონა. ჩვენ ყურს ვუგდებდით საკუთარი გულის ძგერას და ვგრძნობდით, როგორ მივქროდით ქარის საწინააღმდეგოდ უცნობი მომავლისაკენ.

ამბოხებული ტომების გამო უდაბნო კიდევ უფრო მტრულად გამოიყურებოდა. ღამეები კაპჯუბში მეოთხედ საათებად იყო დაყოფილი: წესდების თანახმად, გუშაგები აქეთიქიდან ერთმანეთს ხმას აძლევდნენ და ეს შეძახილები შუშების ურთიერთზე შენარცხების ხმას წააგავდა. ასე იცავდა თავს მოულოდნელი თავდასხმებისაგან ურჩ ტომთა რაიონში მიკარგული ესპანეთის ფორტი კაპჯუბი. ჩვენ კი, ამ ბრმა ხომალდის მგზავრები, ყურს მივაპყრობდით ხან აქ და ხან იქ გახშირებულ შეძახილებს, რომლებიც ზღვის ფრინველებივით დაგვტრიალებდნენ თავს. და მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვიყვარდა უდაბნო.

თუ თავდაპირველად უდაბნო მარტოოდენ სიცარიელე და მდუმარეაა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ ნებდება სასიყვარულოდ პირველივე შემხვედრს. უდაბნო კი არა, ჩვეულებრივი სოფელიც კი ძნელად გადაგიხსნის გულს და თუ მის გამო ხელს არ აიღებ ყველაფერზე ამქვეყნად, თუ არ შეესისხლხორცები მის ზნეჩვეულებებს, წესებს, სადავო საკითხებს, მაშინ ვერც დაინახავ მას იმათი თვალით, ვისთვისაც იგი სამშობლოა. უფრო მეტიც: აგერ, ჩვენგან ორ ნაბიჯზე, ადამიანს თავი მონასტრის სენაკში ჩაუკირავს და საკუთარი, მხოლოდ მისთვის ცნობილი წესებით ცხოვრობს. ეს ადამიანი უკვე ისე შორს

არის ჩვენგან, თითქოს ტიბეტის უდაბნოში იყოს, სადაც ვერავითარი თვითმფრინავით ვერ მივაღწევთ. რისთვის შევაღოთ მისი სენაკის კარი?! ის ხომ ცარიელია. ადამიანის სამყარო თვით მასშია. ასევეა უდაბნოც: იგი არ ამოიწურება არც ქვიშებით, არც ტუარეგებით და, თუ გნებავთ, არც შაშხანიანი არაბებით.

მაგრამ აი წყურვილმა აგვიტანა და მხოლოდ ახლა აღმოვაჩინეთ, რომ ჭა, რომლის არსებობა დიდი ხანია ვიცით, თურმე ყველაფერს აცოცხლებს ირგვლივ. ასევე შეიძლება არ ჩანდეს ქალი, მაგრამ მის მომხიბლაობაზე მეტყველებდეს მთელი სახლი. ჭა შორიდანვე გვიზიდავს, როგორც სიყვარული.

ქვიშები თავდაპირველად უდაბური გვეჩვენება, მაგრამ დგება ჟამი და მეამბოხეთა თავდასხმის შიში აღვიძებს ჩვენში უნარს — უდაბნოს უშველებელი მოსასხამის ნაკეცებში ჩვენთვის საჭირო ცნობები ამოვიკითხოთ. მეამბოხეთა თარეში სახეს უცვლის ქვიშებს.

ჩვენ ჩავებით თამაშში და მივიღეთ მისი წესები; თამაში თავის ყაიდაზე გვაყალიბებს, ამიერიდან საჰარა თვით ჩვენშია, მასთან დაახლოება როდი ნიშნავდა — ესტუმრო ოაზისს, ეს ნიშნავს, თაყვანი სცე წყალს, როგორც ღმერთს.

2.

პირველივე რეისზე შევიცანი უდაბნოს გემო. პატარა ფორტის — ნუატშოტის მახლობლად რიგელს, გიომესა და მე ავარია შეგვემთხვა.

დასავლეთ აფრიკის ეს პატარა სამხედრო პოსტი ისე იყო იმ დროს ცხოვრებისგან მოწყვეტილი, როგორც ზღვაში მიკარგული მცირე რამ კუნძული. მოხუცი სერჟანტი და მისი თხუთმეტი სენეგალელი ბერებივით ცხოვრობდნენ აქ. სერჟანტმა ზეციდან მოვლენილებივით მიგვიღო.

— ოჰ! რომ იცოდეთ, როგორ ვღელავ, თქვენი ხმა რომ მესმის... ოჰ! რომ იცოდეთ, როგორ ვღელავ!..

და, მართლაც, ისე ღელავდა, რომ ტიროდა.

— ამ ნახევარ წელიწადში თქვენ პირველები ხართ..... მე ნახევარ წელიწადში ერთხელ მაწვდიან სანოვაგეს. ზოგჯერ — ლეიტენანტი, ზოგჯერ — კაპიტანი. უკანასკნელად კაპიტანი იყო...

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვსულიყავით გონს. დაკარიდან, სადაც საუზმე გველოდა, ორი საათის საფრენზე ვიყავით, როცა საკისარის გატეხამ ჩვენი ბედი შეცვალა და მიწიდან ამოზრდილებივით უცებ მოხუცი, ატირებული სერჟანტის წინ გავჩნდით:

— დალიეთ, გეთაყვა!" რა ბედნიერებაა, რომ საშუალება მაქვს, ღვინით გაგიმასპინძლდეთ. წარმოგიდგენიათ? როცა კაპიტანმა ჩამომიარა, მე მას ვერაფრით ვასიამოვნე. უკანასკნელად ერთი ჭიქა ღვინო რა არის, ისიც კი აღარ მქონდა.....ისე შემრცხვა, ისე, რომ ჩემი აქედან გადაყვანაც

კი მოვითხოვე.

შესვა! ზეიმით შესვა იმასთან, იმ სხვასთან ერთად, რომელიც მთლად ოფლად დაღვრილი ჩამოხტება შენს კარიბჭესთან თავისი აქლემიდან. ნახევარი წელიწადი ცხოვრობს აქ ადამიანი სწორედ ამ წუთისთვის. წინასწარ მთელი თვის განმავლობაში აპრიალებენ იარაღს, სარდაფიდან სხვენამდე ყველაფერს ხეხავენ და უკვე რამდენიმე დღით ადრე, ამ კურთხეული წამის მოლოდინში, განუწყეტლივ გაჰყურებენ ჰორიზონტს ტერასიდან, რომ შორიდანვე დაინახონ ატარის მფრინავი ესკადრონის მიერ ადენილი მტვერი...

მაგრამ აი ღვინო გათავდა: შეუძლებელია იზეიმო შეხვედრა, შეუძლებელია ჭიქა ჭიქას ახალო, — და ადამიანი თავს პატივაყრილად გრძნობს.

— მე მოუთმენლად ველი მის დაბრუნებას. მე მოველი მას...

— სად არის იგი, სერჟანტო?

და სერჟანტი ქვიშებზე მიგვითითებს:

— ვინ იცის! ის ყველგანაა — ჩვენი კაპიტანი!...

ჩემს ცხოვრებაში იყოს ეს ღამეც, ტორფის ტერასაზე, ვარსკვლავებზე საუბარში გატარებული ღამე. ჩვენს ყურადღებას აღარაფერი იპყრობდა. ისევე როგორც ფრენის დროს, ვარსკვლავები უკლებლივ დაგვნათოდნენ თავს, ოღონდ აქ ისინი უძრავნი იყვნენ.

ფრენის დროს, როცა ღამე ასეთი კარგია, თავდავიწყებას ეძლევი, თავს ანებებ მართვას და თვითმფრინავი თანდათანობით მარცხნივ იხრება, გგონია, რომ იგი ისევ ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, მაგრამ უეცრად, მარჯვენა ფრთის ქვეშ სოფელს ამჩნევ. უდაბნოში სოფლები არ არის. მაშ, ეს მეთევზეთა ფლოტილია იქნება ზღვაში. მაგრამ საჰარის განედზე არც მეთევზეთა ფლოტილიებია. მაშინ? მაშინ შენს საკუთარ შეცდომაზე გეღიმება. ნელნელა ასწორებ თვითმფრინავს და სოფელიც თავის ადგილზე დგება. თითქოს კვლავ ცის გუმბათზე ამაგრებ მოწყვეტილ თანავარსკვლავედს. სოფელია? დიახ, ვარსკვლავთა სოფელია. მაგრამ ფორტის ტერასიდან ჩვენ ვხედავთ მხოლოდ უდაბნოს — ქვიშის გაყინულ, უძრავ ტალღებს. თანავარსკლავედები თავთავიანთ ადგილებზე კიდია და სერჟანტი მათ შესახებ გვესაუბრება.

— ფიქრი არ არის! მიმართულებებში კარგად ვერკვევი. კურსი, აგერ, იმ ვარსკვლავზე აიღეთ და პირდაპირ ტუნისში მოხვდებით.

— ტუნისიდან ხარ?

— მე არა, ჩემი კუზინაა ტუნისიდან.

ხანგრძლივი სიჩუმე მყარდება, მაგრამ სერჟანტს უნდა, გული გადაგვიხსნას:

— როდისმე წავალ ტუნისში.

რა თქმა უნდა, არა ამ გზით — არა პირდაპირ ვარსკვლავისკენ. შენი ამ მოგზაურობის ერთერთ ეტაპზე, სერჟანტო, დამშრალი ჭა ბოდვის პოეზიას გაზიარებს. მაშინ ყველაფერი ერთმანეთში აგერევა: ვარსკვლავიც, კუზინაც, ტუნისიც. მაშინ დაიწყება ის შთამაგონებელი გზა, რომელიც უმეცართ ტანჯვის გზად მიაჩნიათ.

— ერთხელ როგორღაც ვთხოვე კაპიტანს, შვებულებით გამიშვიმეთქი ტუნისში — აი ამ საქმესთან, კუზინასთან დაკავშირებით. მან კი მითხრა.....

— რაო, რა გითხრა?

— მან კი მითხრა: ქვეყანა სავსეა კუზინებითო, და, რადგან დაკარი უფრო ახლოს არის, აიღო და იქ გამგზავნა.

— ლამაზი იყო ის შენი კუზინა?

— რომელი, ტუნისელი? რა თქმა უნდა! ქერათმიანი იყო.

— არა, ის კი არა, დაკარელი.

გადაკოცნა მომინდა შენი, სერჟანტო, მაშინ იმ ოდნავ იმედგაცრუებული, ნაღვლიანი პასუხისათვის:

— ის ზანგი იყო...

შენთვის, სერჟანტო, საჰარა არის საუკუნო მოლოდინი ღმერთისა, რომელიც შენკენ მოდის, და მშვენიერება შენი ქერათმიანი კუზინასი, რომელსაც ხუთი ათას კილომეტრზე გადაჭიმული ქვიშა გაშორებს.

ჩვენთვის უდაბნო იყო ის, რაც იბადებოდა ჩვენში, ის, რასაც ვიგებდით საკუთარ თავზე. იმ ღამეს ჩვენც გვიყვარდა კუზინა და კაპიტანი...

3.

პორტეტიენი, რომელიც მეამბოხეთა რაიონის საზღვარზე მდებარეობს, ქალაქი არ არის. იქ მხოლოდ პატარა ფორტია, თვითმფრინავების ანგარი და ხის ბარაკი ჩვენი ეკიპაჟებისათვის. ირგვლივ უდაბნოს ისეთი სამეფოა, რომ მიუხედავად თავისი სუსტი სამხედრო შეიარაღებისა, პორტეტიენი თითქმის მიუდგომელია. ფორტზე იერიშის

მისატანად ქვიშისა და პაპანაქება სიცხის ისეთი ზოლია გადასალახავი, რომ მომთაბარეთა მებრძოლი რაზმები ფორტთან მიახლოებისას უკვე მთლად ქანცგაწყვეტილები არიან და წყლის მარაგიც გამოლეული აქვთ. და მაინც ხალხს არ ახსოვს ისეთი დრო, რომ ჩრდილოეთის რომელიმე მხრიდან პორტეტიენს ურჩ მომთაბარეთა რაზმი არ ეძალებოდეს. ფორტის კაპიტანკომენდანტი ყოველთვის, როცა კი ერთ ჭიქა ჩაიზე გვეწვევა, რუკაზე გვიჩვენებს, რა გზით მოდიან პორტეტიენისაკენ მეამბოხეთა რაზმები. ასე ჰყვებიან ხოლმე ლეგენდას მშვენიერ პრინცესაზე. მაგრამ ქვიშა, როგორც დიდი მდინარე ნაკადულებს, ისე ნთქავს ამ რაზმებს, და ისინი ვერასოდეს აღწევენ ჩვენამდე. ამიტომაც ჩვენ მათ მოჩვენებარაზმებს ვუწოდებთ. ყუმბარები და ვაზნები კი, რომლებსაც ყოველ საღამოს იძლევა საფრანგეთის მთავრობა, საწოლებქვეშ, ყუთებში განისვენებენ. მტრისგან ყველაზე უკეთ საკუთარი გაჭირვებით დაცულნი, იძულებულნი ვართ, მოვიგერიოთ მხოლოდ მდუმარება. ამიტომ ლუკას — აეროპორტის უფროსს — დღედაღამ გრამოფონი აქვს მომართული. ამ მიყრუებულ კუთხეში გრამოფონი ნახევრად დავიწყებულ ენაზე გველაპარაკება და თავს გვახვევს უმიზეზო სევდას, რომელიც რაღაც უცნაურად წააგავს წყურვილს.

დღეს საღამოს ფორტში ვსადილობდით და კაპიტანკომენდანტმა საშუალება მოგვცა მისი ბაღის ხილვით დავმტკბარიყავით, და მართლაც, მან საფრანგეთიდან მიიღო სამი ყუთი ნამდვილი მიწა, რომელმაც ოთხი ათასი კილომეტრი გამოიარა. მიწიდან სამ მწვანე ფოთოლს ამოუყვია თავი და ჩვენ მათ, როგორც ძვირფას ნივთებს, ისე ვუალერსებთ. კაპიტანი ამ ყუთებს `ჩემს პარკს~ უწოდებს. და როცა ფორტს თავს გადაუვლის ხოლმე ქვიშის ქარტეხილი, რომელიც ყველაფერს ფიტავს, `პარკი~ სარდაფში ჩააქვთ.

ფორტიდან ერთი კილომეტრის მოშორებით ვცხოვრობთ და სადილის შემდეგ მთვარის შუქზე ვბრუნდებით შინ. მთვარის სხივებში ქვიშა ვარდისფერია. ჩვენ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ ქვიშა მაინც ვარდისფერია. გუშაგი ხმას გვაძლევს და მიყუჩებულ

სამყაროში კვლავ მღელვარება შეაქვს. ჩვენი ლანდების ეშინია მთელ საჰარას და იძიებს ვინ ვართ, იმიტომ რომ სადღაც თავდასხმა მზადდება.

გუშაგის ძახილში უდაბნოს ყველა ხმა შერწყმულა. და უდაბნო უკვე აღარ წააგავს ცარიელ სახლს. ღამე არაბთა ქარავნით არის დამუხტული.

თითქოს არაფრის არ უნდა გვშინებოდა უდაბნოში. მაგრამ რა სათქმელია! ავადმყოფობები, ავარიები, დარბევები, რამდენი რამ გვემუქრება აქ! ადამიანი კარგი სამიზნეა ჩასაფრებული მსროლელისათვის და სენეგალელი გუშაგი წინასწარმეტყველივით მოგვაგონებს ამას.

`ფრანგები~. — ვპასუხობთ ჩვენ და წინ გავუვლით შავკანიან ანგელოსს. სუნთქვა გვიადვილდება. საშიშროების გახსენებამ ადამიანური ღირსება დაგვიბრუნა... ო! საშიშროება ჯერ კიდევ შორსაა, ჯერ კიდევ ბუნდოვანია, მისგან ქვიშის ვეებერთელა სივრცეებით ვართ დაშორებულნი, მაგრამ სამყარო უკვე ის აღარ არის, რაც იყო. უდაბნო კვლავ მშვენიერია. სადღაც იქ, თავისი გზით მიმავალი მეამბოხეთა რაზმი, რომელიც ვერასოდეს მოაღწევს ჩვენამდე, მას ღვთაებრივ მომხიბლაობას აძლევს.

საღამოს თერთმეტი საათია. ლუკა რადიოსადგურიდან ბრუნდება და გვატყობინებს, რომ თერთმეტ საათზე თვითმფრინავი მოფრინდება. ბორტზე — არავითარი ცვლილება. ნოლ საათსა და ათ წუთზე ფოსტას ჩემს თვითმფრინავში გადაიტანენ და მე ჩრდილოეთისკენ გავფრინდები. ფრთხილად ვიპარსავ წვერს გატეხილ სარკეში. დროდადრო, ყელზე ხაოიან პირსახოცშემოხვეული, მივდივარ კართან და ვაცქერდები შიშველ ქვიშას: ამინდი კარგია, მაგრამ ქარი თანდათან კლებულობს. ვუბრუნდები სარკეს. ვუფიქრდები მდგომარეობას. როცა ქარი, რომელიც მთელი თვეების განმავლობაში ერთნაირი ძალით ქროდა, უეცრად ყუჩდება, ამას ზოგჯერ მთელი ცა გამოჰყავს წონასწორობიდან. საჭურველს ვისხამ: ქამარზე სათადარიგო ლამპებს ვიმაგრებ, ვიღებ ალტიმეტრს, ფანქრებს. მივდივარ ნერისთან, რომელიც ამაღამ ჩემი ბორტრადისტი იქნება. ისიც წვერს იპარსავს. ვეკითხები: `ყველაფერი ნორმალურადაა?~ ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. ეს წინასწარი ოპერაცია ყველაზე მარტივია

ფრენაში. უეცრად ნელი ტკაცუნი მესმის: კალია ჩემს ლამპას აწყდება. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ხმის გაგონებაზე გული მეკუმშება.

ერთხელ კიდევ გავდივარ გარეთ და ვათვალიერებ ცას და მიწას: ირგვლივ ყველაფერი მოკრიალებულია. ველის განაპირას აღმართული კლდე ცის ფონზე ისე მოჩანს, როგორც დღისით. უდაბნოში სიჩუმე სუფევს, როგორც კარგად აწყობილ ოჯახში, მაგრამ აი მწვანე პეპელა და ორი კალია ისევ ჩემს ლამპას ეხეთქებიან. და მე ისევ რაღაც გაურკვეველი გრძნობა მიპყრობს: სიხარულია ეს თუ შეშფოთება, არ ვიცი. ეს გრძნობა ესეს არის გაჩნდა ჩემში, ის ჯერ კიდევ მთლად ბუნდოვანია, მაგრამ ჩემი არსების სიღრმიდან კი მოდის. ვიღაც მესაუბრება შორეთიდან. ინსტინქტია ეს თუ რა? ისევ გავდივარ გარეთ: ქარი მთლად ჩამდგარა. ჯერ ისევ გრილა. მაგრამ გაფრთხილება მივიღე. მე ვხვდები, მგონი, ვხვდები, რასაც უნდა მოველოდე, მაგრამ ვინც იცის, მართალი ვარ? არც ცას, არც ქვიშებს ნიშანი არ მოუციათ ჩემთვის, სამაგიეროდ, ორი კალია და პატარა მწვანე პეპელა გამომესაუბრნენ.

ავდივარ დიუნზე და ვჯდები პირით აღმოსავლეთისკენ. თუ მართალი ვარ, მაშინ `იგი~ დიდხანს არ გვალოდინებს. რას ეძებდნენ აქ შიდა ოაზისებს ასეული კილომეტრით დაშორებული კალიები? ტალღების მიერ ნაპირზე გადმოსროლილი უმნიშვნელო ნამსხვრევები იმაზე მეტყველებენ, რომ ზღვაზე ციკლონი მძინვარებს. ეს მწერებიც ასევე მანიშნებენ ქვიშის გრიგალის მოახლოებას, აღმოსავლეთის გრიგალის, რომელმაც მწვანე პეპლები პალმების შორეული ჭალებიდან აქეთ გადმოხვეწა. გრიგალი უკვე შემეხო მე. ფეხზე დგება აღმოსავლეთის ქარი ზეიმით, რადგან ის თვით არის ამის ნიშანი, ზეიმით, რადგან ის სავსეა მუქარით, ზეიმით, რადგან მას მოაქვს ქარიშხალი. მისი ცხელი სუნთქვა სულ ოდნავ შემეხო. მე უკანასკნელი ზღვარი ვარ, რომელსაც მისწვდა მისი ტალღა. ჩემ უკან, ოცი მეტრის მოშორებით, რაიმე ტილო რომ ყოფილიყო აჭიმული, იგი არც კი შეირხეოდა. ქარმა მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ ამიწვა სახე თავისი მთრთოლვარე ალერსით. მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ უახლოეს წამებში საჰარა სულს მოითქვამს და კვლავ მძლავრად ამოისუნთქებს. სამი წუთიც არ გავა, რომ ჩვენს ანგარზე დარჭობილი ქარის დროშა ფრიალს დაიწყებს. ათი წუთიც და ჰაერი ქვიშით აივსება. ჩვენ მოგველის აფრენა ამ საკირეში, ამ ცეცხლის ენებად ქცეულ უდაბნოში.

მაგრამ მე ეს კი არ მაღელვებს. დაუცხრომელი სიხარული მიპყრობს იმის გამო, რომ მსგავსად პირველყოფილი ველურისა, რომელიც სულ მცირე ნიშნებით ხვდება, თუ რას უმზადებს მას ბედისწერა, მეც უცებ ჩავწვდი უდაბნოს საიდუმლო ენას და მისი მძვინვარება უმწეო კალიის ფრთების ცემაში ამოვიკითხე.

4.

უდაბნოში ჩვენ ურთიერთობა გვქონდა ურჩ არაბებთან. ისინი გაჩნდებოდნენ ხოლმე მიუდგომელი რაიონების სიღრმიდან, რომელთა თავზეც ჩვენ დავფრინავდით, და შაქრის ან ჩაის საყიდლად ჯუბისა და სისნეროსის ფორტების მონახულებას ბედავდნენ. მერე კვლავ სადღაც უჩინარდებოდნენ. ჩვენ კი ამგვარი ვიზიტების დროს რომელიმე მათგანის მოშინაურებას ვცდილობდით.

თუ გავლენიანი ბელადი გვეწვეოდა, ჩვენ იგი, ადმინისტრაციის თანხმობით, ზოგჯერ თვითმფრინავითაც მიგვყავდა, რომ ქვეყანა გვეჩვენებინა. ზედმეტი არ იქნებოდა, მომთაბარეთა ქედმაღლობა მოგვეტეხა, რადგან ისინი ტყვეებს ხოცავდნენ არა იმდენად სიძულვილის, რამდენადაც მათდამი ზიზღის გამო. ფორტების მიდამოებში შეხვედრისას ისინი ჩვენთვის ლანძღვასაც კი ვერ იმეტებდნენ. უბრალოდ, ზურგს გვაქცევდნენ და განზე იფურთხებოდნენ. მათი სიამაყე საკუთარი ძლევამოსილების ცრუ წარმოდგენაზე იყო აგებული. რამდენ ისეთ ბელადს, რომელსაც სალაშქროდ მხოლოდ სამასკაციანი რაზმი ჰყოლია გამზადებული, უთქვამს ჩემთვის: `თქვენი ბედი, რომ აქედან საფრანგეთამდე ას დღეზე მეტი სავალია~...

და აი, ჩვენც ვასეირნებდით ხოლმე მათ თვითმფრინავით და ერთხელ მოხდა ისე, რომ სამი არაბი მათთვის უცნობ საფრანგეთს ეწვია. ეს სამი არაბი იმ ჯურის ადამიანებს ეკუთვნოდა, რომლებიც ერთხელ ჩემთან ერთად სენეგალში მოხვდნენ და ატირდნენ ხეების დანახვაზე.

როცა მცირე ხნის შემდეგ მათ კარავს ვესტუმრე, ისინი აღტაცებით ლაპარაკობდნენ მიუზიკჰოლებზე, სადაც შიშველი ქალები ყვავილებს შორის ცეკვავენ. ეს ხომ ის

ადამიანები იყვნენ, რომელთაც არასოდეს ენახათ არც ხე, არც შადრევანი, არც ვარდი, რომელთაც მხოლოდ ყურანიდან იცოდნენ, რომ არსებობს მოჩუხჩუხე ნაკადულებით სავსე ბაღები; — ყურანში ასეა აღწერილი სამოთხე. ამ სამოთხისა და მისი მშვენიერი ფერიების მოსაპოვებლად, ადამიანი ოცდაათი წლის ტანჯვის შემდეგ, სადღაც ქვიშებში მწარე სიკვდილით უნდა მოკვდეს ურჯულოს ტყვიით განგმირული. მაგრამ ღმერთი ატყუებს მათ, თუკი ფრანგებისგან, რომელნიც ყველა ამ საუნჯეს ფლობენ, იგი არავითარ სასყიდელს არ მოითხოვს — არც წყურვილსა და არც სიკვდილს. აი, რატომ ეძლევიან ახლა ეს მოხუცი ბელადები ოცნებას. აი რატომ გაჰყურებენ ასე საჰარას, — ამ უდაბნოს, რომელიც მათი კარვის ირგვლივ გადაჭიმულა და სიკვდილამდე მხოლოდ ერთი ბეწო სიხარულს თუ ჰპირდება მათ, გაჰყურებენ და ერთმანეთს თავიანთ გულისნადებს უზიარებენ.

— იცი... ფრანგების ღმერთი... ბევრად უფრო გულუხვია ფრანგებისთვის, ვიდრე არაბებისა — არაბებისთვის.

რამდენიმე კვირის წინ მათ სავოიაში ასეირნებდნენ. მეგზურმა ისინი მიიყვანა უშველებელ, მქუხარე წყალვარდნილთან, რომელიც ნაკადულთა წნულების კოლონადას წააგავდა.

— იგემეთ, — უთხრა მათ მეგზურმა.

და, მართლაც, წყალი მტკნარი აღმოჩნდა. წყალი! რამდენი დღის სავალზე უნდა იარო უდაბნოში, რომ უახლოეს ჭამდე მიაღწიო, — მერედა მიაგნებ კი მას? ახლა რამდენი საათი უნდა თხარო სილა, რომლითაც ამოვსებულია ჭა, რომ მისწვდე ჭუჭყიან, აქლემების შარდით დაბინძურებულ წუმპეს! კაპჯუბში, სისნეროსში, პორტეტიენში ადგილობრივი ბავშვები ფულს კი არა გთხოვენ — კონსერვის ქილას გიშვერენ და გთხოვენ წყალს:

— მომეცი ცოტა წყალი, მომეცი!..

— თუ გამგონი იქნები...

აქ წყალი წონა ოქროდ ფასობს, წყალი გამოაკვესებს ხოლმე ქვეშიდან მწვანე ნაპერწკალს — ბალახის ღეროს. საკმარისია სადმე ცოტა წამოწვიმოს, რომ საჰარაში დიდი გადასახლება დაიწყოს. მთელი ტომები აიყრებიან მაშინვე და სამასი კილომეტრის მანძილზე იწყებენ ბალახის ძებნას. აი ეს ძუნწი წყალი, რომლის ერთი წვეთიც კი არ ჩამოვარდნილა პორტეტიენში ათი წლის განმავლობაში, სავოიაში ისე მოქუხდა, თითქოს დაფაცხავებულ ცისტერნას მოსწოლია მთელი მსოფლიოს აზვირთებული წყალიო.

— განვაგრძოთ გზა! — სთავაზობდა მეგზური.

მაგრამ ისინი ადგილიდან არ იძვროდნენ.

— ცოტაც მოიცადე...

უსიტყვოდ, ჩაფიქრებულები, მთელი გულისყურით აკვირდებოდნენ ისინი ამ იდუმალი ძალის ზეიმს. ის, რასაც გაერღვია მთის მკერდი და აქ ასე ძალუმად მოედინებოდა, იყო ხალხის სიცოცხლე, მისი სისხლი. ერთ წამში გადმოდენილი წყლით შეიძლებოდა მთელი იმ ქარავნების მკვდრეთით აღდგენა, რომლებიც, წყურვილით გაბრუებულები, სამუდამოდ ჩაიძირნენ მლაშე ტბებისა და მირაჟების უსასრულობაში. აქ თვით ღმერთი მეტყველებდა და მათ არ შეეძლოთ ზურგი შეექციათ მისთვის. რაბების გახსნით ღმერთი თავის ძლიერებას ავლენდა და სამი არაბი გაოგნებული იდგა.

— რაღას უცდით? წავიდეთ...

— უნდა დავუცადოთ.

— რას უნდა დაუცადოთ?

— დასასრულს.

ისინი ელოდნენ იმ წამს, როცა ღმერთს მოქანცავდა თავისი უგუნურება. იგი მალე ვარდება ხოლმე სინანულში, იგი ძუნწია.

— კი მაგრამ, ეს წყალვარდნილი ხომ ათასი წელია, რაც მოჩქეფს!..

აი რატომ არის, რომ ამ საღამოს ისინი დაჟინებით აღარ მოითხოვენ წყალვარდნილზე ლაპარაკს. ზოგიერთ საოცრებაზე, უმჯობესია, არც ილაპარაკო. უკეთესია, არც კი ჩაუფიქრდე კარგად, თორემ შეიძლება სულ ვეღარაფერი გაიგო, შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროს ღმერთის არსებობაში.

— ფრანგების ღმერთი, ხედავ...

მე კარგად ვიცნობ ჩემს მეგობარ ბარბაროსებს. მათი რწმენა ამ წუთში შერყეულია, და, დაბნეულები, თითქმის მზად არიან დაგვმორჩილდნენ. მათი ოცნებაა — ფრანგულმა საინტენდანტო უწყებამ ქერით ამარაგოს ისინი, ხოლო ჩვენმა ჯარებმა მათი სიმშვიდე უზრუნველყონ საჰარაში. და, მართლაც, მატერიალურად ისინი მოგებულები დარჩებოდნენ, რომ დაგვმორჩილებოდნენ.

მაგრამ სამივე ბელადს ხომ იგივე სისხლი უდგას, რაც ელ მამუნს, ემირს ტრარზისას (შესაძლოა სახელი მეშლება კიდეც).

ეს ემირი მე გავიცანი მაშინ, როდესაც იგი ჩვენი ვასალი იყო. თავისი დამსახურებისათვის ოფიციალური ჯილდოებით სავსე, გუბერნატორების მიერ დასაჩუქრებული, ტომებისგან პატივცემული, თითქოს კმაყოფილი უნდა ყოფილიყო თავისი ბედით. მაგრამ ერთხელ, ღამით, ყველასათვის მოულოდნელად მან მიხოცმოხოცა თანმხლები ოფიცრები, ხელთ იგდო მათი თოფები და აქლემები და შეუერთდა ურჩ ტომებს.

ამიერიდან ლტოლვილი ბელადის ამ უეცარ ურჩობას, ამ გმირულ და, ამასთანავე, თავზეხელაღებულ გაქცევას, სიამაყის ამ აფეთქებას, რომელიც ატარის მფრინავ ესკადრონთან შეფეთებისთანავე შუშხუნასავით სწრაფად გაქრება, ჩვეულებრივ, ღალატს უწოდებენ. და აკვირვებთ ამ ადამიანთა მოულოდნელი და უგუნური გახელება.

ისე კი, ელ მამუნის ამბავი მრავალ არაბს ემართებოდა. ისინი ხანში შედიოდნენ. სიბერეში კი ყოველივეს უფიქრდები. და ერთ საღამოს ელ მამუნმა აღმოაჩინა, რომ ქრისტიანთა ხელის ჩამორთმევით მან ხელები გაიჭუჭყიანა და ისლამის ღმერთი გაყიდა.

და მართლაც, რა ფასი აქვს მისთვის ქერსა და მშვიდობიან ცხოვრებას? ოდესღაც მებრძოლს, ამჟამად კი მწყემსს, აგონდება, რომ ერთ დროს საჰარის ქვიშის ყოველი ნაოჭი რაღაც განსაცდელს უმზადებდა მას, რომ ღამღამობით მისი ყოველი დაბანაკება გუშაგების დაყენებას მოითხოვდა, რომ ღამის კოცონთან მიღებული ყოველი ცნობა მტრის გადაადგილების შესახებ გულის ცემას უჩქარებდა. ვინც ერთხელ იგემებს უკიდეგანო ზღვის მშვენიერებას, ვეღარასოდეს დაივიწყებს მას.

და აი ახლა ის შერცხვენილი დაძრწის გარინდებულ, აწ უკვე ღირსებააყრილ, თვალუწვდენელ ქვიშებზე და აი ახლა, მხოლოდ ახლა გადაიქცა მისთვის საჰარა უდაბნოდ.

შესაძლოა, იგი პატივსაც კი სცემდა ოფიცრებს, რომელთა დახოცვაც გადაწყვიტა. მაგრამ ალაჰის სიყვარული — უპირველეს ყოვლისა!

— ღამე მშვიდობისა, ელ მამუნ.

— გფარვიდეს ღმერთი!

ქვიშაზე, როგორც ტივზე, ისე გაჭიმულან ოფიცრები, საბნებში გახვეულან, პირი ვარსკვლავებისკენ უქნიათ. ნელა მოძრაობენ ვარსკვლავები — ცაზე დროის დინება აღინიშნება. აი მთვარეც ქვევით ეშვება, ქვიშებისკენ — ალაჰის სიბრძნით მარადისობისკენ მიმართული. ქრისტიანები მალე დაიძინებენ. რამდენიმე წუთიც და მხოლოდ ვარსკვლავები იბრწყინებენ. და მაშინ, იმისათვის, რომ ტომებს ძველი დიდება დაუბრუნდეთ, იმისათვის, რომ კვლავ დაიწყოს დარბევები, რომლებიც აჩირაღდნებდნენ ქვიშებს, საკმარისი იქნება ქრისტიანების სუსტი შეყვირება, შეყვირება, რომელიც მათსავე ძილში დაინთქმება. კიდევ რამდენიმე წამი და გამოუსწორებელი ამბიდან მთელი სამყარო წარმოიშვება...

და ელ მამუნი ხოცავს ღრმა ძილში წასულ ნატიფ ლეიტენანტებს.

5.

დღეს ქემალმა და მისმა ძმამ, მუიანმა, ჯუბში სტუმრად მიმიწვიეს და მე მათ კარავში ჩაის ვსვამ. მუიანი უსიტყვოდ მათვალიერებს. ტუჩებს ცისფერი თავსაბურავი უფარავს, მას პირქუშად და მიუდგომლად უჭირავს თავი, მხოლოდ ქემალი მესაუბრება და ყურადღებას არ მაკლებს.

— ჩემი კარავი, აქლემები, ცოლი, მონები, — ყველაფერი შენია.

მუიანი ძმისკენ იხრება, თან ძველებურად თვალს არ მაშორებს, რამდენიმე სიტყვას წარმოთქვამს და კვლავ დუმდება.

— რა თქვა?

— ის ამბობს: `ბონაფუსმა რ’გეიბატიდან ათასი აქლემი გარეკა~.

ეს ბონაფუსი ატარის მფრინავი ესკადრონების ოფიცერმეღარისტია. მე მას არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ არაბებში მას ლეგენდარული სახელი აქვს გავარდნილი. ისინი მას რისხვით ახსენებენ, მაგრამ ახსენებენ, როგორც ღმერთს. მისი არსებობა ალამაზებს ქვიშებს. არავინ იცის, საიდან და როგორ გაჩნდა იგი უეცრად და როგორ წამოეწია სამხრეთისკენ დაძრულ ურჩ ტომებს. მან მომთაბარეთა ასობით აქლემი გაირეკა და ტომები აიძულა, საკუთარი საუნჯის დაცვის მიზნით, მის წინააღმდგ მიემართათ იარაღი. და ახლა მთავარანგელოზივით, რომელმაც ატარი განსაცდლისგან იხსნა, იგი ყველას დასანახად კირნარ ზეგანზე დაბანაკებულა, როგორც სასურველი საალაფო. ბონაფუსის მიზიდულობის ძალა იმდენად დიდია, რომ ტომებს აიძულებს, მისი გაშიშვლებული ხმლისკენ ისწრაფოდნენ.

მუიანი კიდვ უფრო მკაცრად მიყურებს და კვლავ რაღაცას წარმოთქვამს:

— რა თქვა?

— ის ამბობს `ხვალ სამასი კაცი სალაშქროდ გავალთ ბონაფუსის წინააღმდეგ~.

მე აქამდეც ვხვდებოდი ზოგ რამეს. სამი დღეა, რაც აქლემები დაჰყავთ წყლის სასმელად, სულ რაღაცას თათბირობენ, აღგზნება უმაღლეს წერტილზეა მისული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უჩინარ იალქნიან ხომალდს ამზადებდნენ სანაოსნოდ და თითქოს კიდეც დაბერაო ზღვის ქარმა, რომელიც გაიტაცებს მას. ბონაფუსის გამოა, რომ სამხრეთისკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი დიდებისკენ გადადგმული ნაბიჯია. და მე ვერ გავრკვეულვარ, რა უფრო მეტია ამ ლაშქრობაში — სიყვარული თუ სიძულვილი.

ხომ დიდებულია — გქონდეს საშუალება, მოსპო ასეთი ზვიადი მტერი. იქ, სადაც იგი გამოჩნდება, ტომები მაშინვე აიკრავენ ხოლმე გუდანაბადს, მოაგროვებენ აქლემებს და შიშისაგან აკანკალებულები გარბიან, რათა არ შეხვდნენ ბონაფუსს პირისპირ, ხოლო იმ ტომებს, რომლებიც შორს არიან მისგან, სიყვარულის მსგავსი გაშმაგება იპყრობთ. ხალხი ტოვებს კარვებში გამეფებულ სიმშვიდეს, ცოლების მკლავებს, სიზმრებში განცდილ ბედნიერ თავდავიწყებას და უცებ იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამხრეთისკენ ორი თვის მომქანცველი ლაშქრობის შემდეგ, მტანჯველი წყურვილის შემდეგ, სილის გაუთავებელ ქარტეხილებში ლოდინის შემდეგ, მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია მიანიჭოს კაცს უდიდესი სიხარული: გათენებისას ატარის მფრინავ ესკადრონზე უეცარ თავდასხმას, და, თუ ღვთის ნებაც იქნება, კაპიტან ბონაფუსის მოკვლას.

— ბონაფუსი ძლიერია, — აღიარებს ქემალი.

ახლა ჩემთვის უკვე ცხადია მათი საიდუმლოება. მსგავსად იმ მამაკაცებისა, რომლებსაც ეზმანებათ, როგორ აუჩქარებლად ჩაივლის მათ გვერდით ქალი, ვისი დამორჩილებაც სწყურიათ, ჩაივლის გულგრილი და მიუწვდომელი; ეზმანებათ და მთელი ღამე ბორგავენ ლოგინში გულლახვარსობილნი, გულდაკოდილნი ამ ქალის სიამაყით, ძილშიც რომ მოსვენებას უკარგავს, — სწორედ ასევე აწამებს არაბებს ბონაფუსის შორეული ნაბიჯების ჩქამი. ამ არაბულ სამოსელში გამოწყობილმა ქრისტიანმა თავისი ორასი არაბი მეკობრით შემოუარა მის წინააღმდეგ ამხედრებულ რაზმებს და შეაღწია ურჩი ტომების რაიონში, იქ, სადაც, ფრანგების უღლისაგან განთავისუფლებულ მისი

რაზმის რომელიმე უკანასკნელ წარმომადგენელსაც კი, შეუძლია თავი დააღწიოს მონურ მორჩილებას და ქვის საკურთხეველზე მსხვერპლად მიუტანოს ეს ქრისტიანი თავის ღმერთს; ბონაფუსმა შეაღწია იქ, სადაც მხოლოდ მისი პრესტიჟი იცავს მას, იქ, სადაც მისი სისუსტეც კი შიშს იწვევს. ამ ღამეს იგი გულგრილად დააბიჯებს წინ და უკან მძიმე ძილით შეპყრობილ თავის ხალხში და მისი ფეხის ხმა თვით უდაბნოს გულამდე აღწევს.

კარვის სიღრმეში ჩაფიქრებული მუიანი კვლავ გაუნძრევლად ზის ცისფერი გრანიტიდან გამოკვეთილი ბარელიეფივით. ცეცხლს ყრიან მხოლოდ თვალები და ვერცხლის ხანჯალი, რომელიც უკვე დიდი ხანია სათამაშო აღარ არის. როგორ გამოიცვალა იგი მას შემდეგ, რაც ურჩ მომთაბარეთ შეუერთდა! ისე, როგორც არასდროს წინათ, მუიანი აღსავსეა ღირსების გრძნობით, და მე თავისი ზიზღით მიწასთან მასწორებს. მიწასთან მასწორებს იმიტომ, რომ იგი აპირებს ბონაფუსის წინააღმდეგ ამხედრებას, იმიტომ, რომ გათენებისას იგი უნდა დაიძრას სალაშქროდ, აღვსილი ისეთი სიძულვილით, რომელიც ყველა თავისი ნიშნით სიყვარულს წააგავს.

იგი კვლავ ძმისკენ იხრება, რაღაცას ეჩურჩულება და თან თვალს არ მაშორებს.

— რა თქვა?

— ის ამბობს, რომ გესვრის, თუ სადმე შორს შეგხვდა ფორტიდან.

— რატომ?

— ის ამბობს: `შენ გაქვს თვითმფრინავი და რადიო, შენ გყავს ბონაფუსი, მაგრამ შენ არ გაგაჩნია ჭეშმარიტება~.

ცისფერი მოსასხამის გაქვავებულ ნაკეცებში უძრავად მჯდომი მუიანი მსჯავრს მდებს მე:

ის ამბობს: `შენ ჭამ სალათას, როგორც თხა, და ჭამ ღორის ხორცს, როგორც ღორი. შენი ქალები სახეს არ მალავენ~; თავისი თვალით უნახავს ეს. იგი ამბობს: `შენ არასოდს არ ლოცულობ~. იგი ამბობს: რისთვის გინდა შენი თვითმფრინავები, შენი რადიო, შენი ბონაფუსი, თუკი არ გაგაჩნია ჭეშმარიტება? ~

და მე აღტაცებაში მოვყავარ ამ არაბს, რომელიც იცავს არა თავის თავისუფლებას, — უდაბნოში ადამიანი ყოველთვის თავისუფალია, — იცავს არა უხილავ საუნჯეს, — უდაბნო შიშველია, — არამედ იცავს თავის იდუმალ სამყაროს. ქვიშის ტალღების სიჩუმეში ბონაფუსს ძველ მეკობრესავით მოჰყავს თავისი ესკადრონი და მისი წყალობით, კაპჯუბის მახლობლად გაშლილი ეს ბანაკი აღარ არის მშვიდობიან მწყემსთ სამყოფელი. ბონაფუსის მიერ ატეხილი ქარიშხალი დაეძგერა ბანაკს და ამის გამოა, რომ საღამოობით ერთმანეთს ეკვრიან კარვები, თუ სამხრეთში გული დაგისერა მდუმარებამ, იცოდე, ეს ბონაფუსის მდუმარებაა! და ძველ მონადირე მუიანს ქარის ხმაურში მისი ნაბიჯების ხმა ესმის.

როცა ბონაფუსი საფრანგეთში დაბრუნდება, მისი მტრები არა თუ არ გაიხარებენ, დაღონდებიან კიდეც, — მათ მოეჩვენებათ, რომ ბონაფუსის წასვლასთან ერთად, უდაბნომ დაკარგა თავისი ერთერთი პოლუსი, ხოლო მათმა არსებობამ — თავისი შარავანდედის ნაწილი. და ისინი დამიწყებენ გამოკითხვას:

— რად მიდის ის შენი ბონაფუსი?

— რა ვიცი.....

მრავალი წლის განმავლობაში ბონაფუსი, ისევე როგორც ისინი, სიკვდილს ეთამაშებოდა, მათი წესები მის წესებად იქცა. მას მათ ქვებზე ედო თავი და ისე ეძინა. ურჩი ტომების დაუსრულებელ დევნაში მან, ისევე როგორც ამ ტომებმა, ვარსკვლავებითა და ქარით სავსე ბიბლიური ღამეები შეიცნო. და აი უდაბნოდან წასვლით იგი იმას ამტკიცებს, რომ ყოველივე ეს მისთვის მარტოოდენ თამაში იყო. ის დაუდევრად შორდება მაგიდას. და არაბები, თამაშში უპარტნიოროდ დარჩენილნი, რწმენას კარგავენ ამ ცხოვრების აზრისადმი, ცხოვრებისა, რომელიც, თურმე, მთლიანად როდი იტაცებს მოწინააღმდეგეს. და მაინც მათ უნდათ, სწამდეთ იგი:

— ის დაბრუნდება, შენი ბონაფუსი!

— რა ვიცი.

დაბრუნდება, — ფიქრობენ არაბები. ევროპული თამაშები — გარნიზონის ბრიჯი, სამსახურში დაწინაურება, ქალები — ვეღარ დააკმაყოფილებენ ბონაფუსს. დაკარგული ღირსების აღდგენის სურვილი არ მოასვენებს მას და იგი დაბრუნდება იქ, სადაც ყოველი ნაბიჯი გულს აჩქროლებს, როგორც სიყვარულის შესახვედრად გადადგმული ნაბიჯი. მას ეჩვენებოდა, რომ უდაბნოში განცდილი და გადატანილი მხოლოდ და მხოლოდ თავგადასავალია, მთავარი კი მოელის სამშობლოში, მაგრამ მალე იგი ზიზღით აღმოაჩენს, რომ ერთადერთ ნამდვილ სიმდიდრეს ფლობდა სწორედ აქ, უდაბნოში: ქვიშის დიდებულებას ღამით, მდუმარებას, ვარსკვლავებისა და ქარის სამყაროს. და თუ ბონაფუსი ოდესმე დაბრუნდება, ეს ამბავი პირველივე ღამეს მოედება ურჩ ტომებს. არაბებს ეცოდინებათ, რომ სადღაც საჰარაში, თავის არაბ მეკობრეთა შორის სძინავს ბონაფუსს. და მაშინ ისინი ჩუმად წაიყვანენ აქლემებს ჭისკენ, მოამზადებენ ქერის მარაგს, შეამოწმებენ ჩახმახებს, — მისი სიძულვილით თუ მისი სიყვარულით წაქეზებულნი.

6.

— დამმალე რა მარაკეშისკენ მიმავალ თვითმფრინავში!

ამ მოკლე მუდარით მომმართავდა ხოლმე ყოველ საღამოს არაბების მონა ჯუბში. და ამის მერე, რაკი ყოველ ღონეს იხმარდა სიცოცხლის მოსაპოვებლად, ფეხმორთხმით ჯდებოდა და ჩაის მიმზადებდა. რაკი მიენდობოდა, როგორც თვითონ ეჩვენებოდა, ერთადერთ მკურნალს, რომელსაც მისი მორჩენა შეეძლო, რაკი მოათავებდა ღაღადისს ერთადერთი ღმერთის მიმართ, რომელსაც მისი ხსნა შეეძლო, მას მთელი ერთი დღით სიმშვიდე ეუფლებოდა. ახლა ის, ჩაიდანზე დახრილი, გონების თვალით ათვალიერებდა თავისი ცხოვრების მარტივ სურათებს: მარაკეშის შავ მიწებს, ვარდისფერ სახლებს, უბადრუკ სარჩოსაბადებელს, რომელსაც აქ მოკლებული იყო. ბარკს არ სწყინდა არც ჩემი დუმილი, არც ის, რომ ასე ვაყოვნებდი მისთვის სიცოცხლის დაბრუნებას. ბარკისთვის მე ჩვეულებრივი ადამიანი კი არ ვიყავი, არამედ ვიყავი ძალა, რომელიც ამოქმედებას

საჭიროებდა, ვიყავი რაღაც ზურგის ქარის მსგავსი, რომელსაც შეეძლო როდისმე ადგილიდან დაეძრა მისი ბედი.

სინამდვილეში კი მე გახლდით ერთი უბრალო პილოტი, რომელიც სულ რამდენიმე თვით დანიშნეს კაპჯუბის აეროპორტის უფროსად. მთელ ჩემს ავლადიდებას შეადგენდა ესპანეთის ფორტთან მიყუჟული ბარაკი, პირსაბანი ტაშტი, ერთი სურა მლაშე წყალი და მეტისმეტად მოკლე რკინის საწოლი, — ამის მეტი არაფერი გამაჩნდა. ამიტომ მე არ ვიზიარებდი ამ მონის ილუზიებს ჩემს ყოვლისშემძლეობაზე.

— ვნახოთ, ბარკ, ვნახოთ, ბერიკაცო...

ყველა მონას აქ ბარკს უწოდებენ. მასაც ბარკი ერქვა. ოთხი წლის ტყვეობის მიუხედავად, იგი მაინც ვერ შერიგებოდა თავის ხვედრს: ყოველთვის ახსოვდა, რომ ოდესღაც მეფე იყო.

— რას აკეთებდი, ბარკ, მარაკეშში?

მარაკეშში, სადაც ალბათ ახლაც ცხოვრობდნენ მისი ცოლი და სამი შვილი, მას შესანიშნავი ხელობა ჰქონდა:

— მენახირე ვიყავი და მუჰამედს მეძახდნენ!

ადგილობრივი ყადები თავისთან იხმობდნენ:

— მუჰამედ, ხარები უნდა გავყიდო. ჩამომირეკე მთიდან.

ან:

— ათასი ცხვარი მყავს ბარში. არეკე ზევით, საძოვრებზე.

და ზეთისხილის კვერთხით ხელში ბარკი განაგებდა მათი გადასახლების საქმეს. მარტო ის აგებდა პასუხს ამოდენა ხალხზე — ცხვრებზე. იგი თავს უჭერდა უფრო ფიცხებს, — იმათ, რომლებსაც ბატკანი უნდა შესძენოდათ; ამხნევებდა ზარმაცებს და, მათი ნდობითა და მორჩილებით გარემოცული, მედიდურად მიუძღოდა წინ. მან ერთმა იცოდა გზა აღთქმული ქვეყნისაკენ, მან ერთმა იცოდა ვარსკვლავების ენა. სავსე სიბრძნით,

რომელიც მიუწვდომელია ცხვრებისათვის, იგი ბრძნულად საზღვრავდა ჟამს შესვენებისას და ჟამს წყურვილის დაოკებისას. და ღამით, მიძინებული ცხვრის ფარის შუა მდგარს, უდიდესი სინაზით ევსებოდა გული ამდენ უგუნურ არსებათა უსუსურობის გამო. და, მატყლის ტალღებში მობანავე ბარკი, ბარკიმკურნალი, წინასწარმეტყველი და მეფე, მხურვალედ ავედრებდა ღმერთს თავის სამწყსოს.

ერთხელ მას არაბებმა უთხრეს:

— წამო სამხრეთისკენ. საქონლისთვის მივდივართ.

მათი გზა გრძელი იყო და, როდესაც სამი დღის სიარულის შემდეგ ერთი მივარდნილი ბილიკით შუაგულ მთებში შევიდნენ, იქ, სადაც ურჩ ტომთა მიწები იწყებოდა, მას ხელი სტაცეს, ბარკად მონათლეს და მონად გაყიდეს.

მე ვიცნობდი სხვა მონებსაც. ყოველდღე რომელიმე არაბის კარავში ვსვამდი ჩაის. ფეხგახდილი ვწვებოდი აქ მატყლის ფაფუკ ნოხზე, — მომთაბარეთა ფუფუნების ამ ერთადერთ საგანზე, რომელზედაც ისინი მხოლოდ რამდენიმე საათით თუ აღმართავენ ხოლმე თავის სახლს, — და ვაკვირდებოდი, როგორ მიექანებოდა დღე საღამოსაკენ. უდაბნოში იგრძნობა დროის დინება. მცხუნვარე მზეში გეზი აღებული გაქვს საღამოსკენ, გამაგრილებელი ქარისაკენ, რომელიც ჩამოგბანს ტანს, ჩამოგრეცხავს ოფლს. მცხუნვარე მზეში ცხოველები და ადამიანები ისევე განუხრელად მიემართებიან ქარისა და ღამის ამ უდიდესი სარწყულებლისაკენ, როგორც სიკვდილისკენ. ეს უსაქმურობასაც კი აზრს აძლევს. და ყოველი დღე ზღვისკენ მიმავალი გზებივით მშვენიერი გეჩვენება.

მე ვიცნობდი მათ, ამ მონებს. ისინი შედიან კარავში, რაწამს ბელადი მაყალს, ჩაიდანს და ჭიქებს ამოალაგებს განძეულის სკივრიდან, იმ მძიმე სკივრიდან, რომელიც გაჭედილია რაღაც სულელური ნივთებით — უგასაღებო კლიტეებით, უყვავილო ლარნაკებით, იაფფასიანი სარკეებით, ძველი იარაღით, ნივთებით, რომლებიც ჩაძირული გემის თავზე წარმოშობილ ქაფს წააგვანან ამ ქვიშიან უდაბნოში.

და აი მონა პირის უჩუმრად ავსებს მაყალს გამხმარი ბალახით, აჩაღებს ცეცხლს, ავსებს ჩაიდანს და ამ ბავშვურ საქმიანობას ახარჯებს კუნთების ძალას, რომელსაც ძალუძს

ძირფესვიანად მოთხაროს კედრები. ის ბედს შერიგებულია. იგი შთანთქმულია თამაშით: ამზადოს ჩაი, უაროს აქლემს, ჭამოს, მცხუნვარე დღეს იაროს ღამისკენ, ხოლო ვარსკვლავების ყინულოვანი სუნთქვის ქვეშ იოცნებოს მზის მცხუნვარებაზე. ბედნიერები არიან ჩრდილოეთის ქვეყნები, სადაც წლის დროები ადამიანს ჩასჩურჩულებენ ზაფხულში — თქმულებას თოვლზე, ზამთარში — თქმულებას მზეზე; ნაღველი მეფობს ტროპიკებში, ამ გავარვარებულ საკირეში, სადაც თითქმის არაფერი იცვლება; ბედნიერია საჰარაც, სადაც დღე და ღამე ასე ადვილად ისვრიან ადამიანს ერთი იმედიდან მეორისკენ.

ხანდახან შავი მონა, კარვის შესასვლელთან ჩაცუცქული, ტკბება საღამოს სიგრილით. მის მოშვებულ სხეულში აღარ იღვიძებენ მოგონებები. მას ძლივსღა ახსოვს მოტაცების წამი, ცემა, ყვირილი, ხელები, რომლებმაც ძირს დასცეს იგი და მონობის წყვდიადში შეაგდეს. იმ წუთიდან მას ძილღვიძილი დაეუფლა, თითქოს დაბრმავდა, სენეგალის წყნარი მდინარეებისა და სამხრეთ მაროკოს თეთრი სახლების ხილვას მოკლებული; თითქოს დაყრუვდა, რადგან აღარ ესმის ახლობელთა ხმები. ეს ზანგი უბედური კი არა, ხეიბარია. ერთი და ერთი მომთაბარეთა მოხეტიალე ცხოვრებაში ჩათრეულს, სამუდამოდ მიჯაჭვულს იმ წრეებზე, რომლებსაც მისი პატრონები ხაზავენ მთელ უდაბნოში, — რაღა აქვს მას საერთო თავის წარსულთან, სახლთან, ცოლთან და შვილებთან? ეს წარსული ისე მკვდარია მისთვის, თითქოს მართლაცდა ყველა ერთიანად ამოწყვეტოდეს.

ადამიანები, რომლებიც ჩვეულნი არიან დიდ სიყვარულს და მერე კარგავენ მას, ზოგჯერ იღლებიან კეთილშობილური მარტოობით. მაშინ ისინი მორჩილად უბრუნდებიან ცხოვრებას და ბედნიერებას ყოველდღიურ გრძნობებში ეძებენ. ისინი სიტკბოებას პოულობენ თავგანწირვაში, ზრუნვაში, ოჯახური კერის სიმშვიდეში: პატრონის აბრიალებული მაყალი მონის სიამაყე ხდება.

— აჰა, აიღე. — ეუბნება ხანდახან ბელადი მონას.

ეს ის წუთია, როდესაც პატრონი კეთილად არის განწყობილი მონისადმი იმის გამო, რომ დაღლილობა თანდათან ქრება, პაპანაქება სიცხე კლებულობს. იმის გამო, რომ ორივენი ერთად იძირებიან სიგრილეში. და პატრონი ნებას აძლევს მონას, შესვას ერთი ჭიქა ჩაი.

ხოლო მადლიერებით სავსე მონა მზად არის, ამ ერთი ჭიქა ჩაისთვის მუხლები დაუკოცნოს თავის ბატონს. მონას არასოდეს ადებენ ბორკილებს. ეს სრულიად ზედმეტია. მონა ხომ ერთგულია თავისი პატრონისა! მან ხომ ასე ბრძნულად დათრგუნა თავის თავში ზანგთა დამხობილი მეფის ღირსება; ახლა იგი მხოლოდ ბედნიერი ტყვეა.

მაგრამ დადგება დღე და მას გაათავისუფლებენ. იმ დღეს როდესაც იგი მეტისმეტად დაბერდება და აღარ ეღირება საკვებისა და ტანსაცმლის ხარჯვად, მას მიანიჭებენ სრულ თავისუფლებას. ამაოდ ივლის იგი კარვიდან კარავში მომსახურების შესათავაზებლად; დღითი დღე დასუსტდება იგი და მესამე დღის ბოლოს იმავე მორჩილებით მიწვება სილაზე. მე ვნახე, როგორ კვდებოდნენ ჯუბში გაშიშვლებული მონები. არაბები თვალს ადევნებდნენ მათ ხანგრძლივ აგონიას და სისასტიკესაც კი არ იჩენდნენ, ხოლო ბავშვები თამაშობდნენ ამ შავი ნამუსრევის გვერდით და სისხამ დილით გარბოდნენ, რომ ენახათ — კიდევ ინძრევა თუ არა. მაგრამ ბავშვებიც კი არ დასცინოდნენ ამ მოხუც მსახურს. ყველაფერი ეს ისეთივე ჩვეულებრივი რამ იყო, როგორც, მაგალითად, ის, რომ ეთქვათ: `შენ კარგად იმუშავე; შენ უფლება გაქვს, დაისვენო, წადი, დაიძინე~. ის კი, ჯერ ისევ სილაზე გართხმული, გრძნობდა შიმშილს, — არა უსამართლობას, რომელიც აწამებს ადამიანს, არამედ მხოლოდ თავბრუსხვევას. — თანდათანობით იგი მიწას უერთდებოდა, მიწა იღებდა მას მზისგან გამხმარს. ოცდაათი წლის შრომა, მერე — უფლება ძილსა და მიწაზე!

პირველი ასეთი მოხუცი, რომელსაც მე შევხვდი, არც კი ჩიოდა. და მას არც შეეძლო დამდურებოდა ვისმე. მე შევნიშნე მასში ქვეშეცნეული თვინიერება განწირული, ღონემიხდილი მთიულისა, რომელიც თოვლზე წვება და უსიტყვოდ ემორჩილება თოვლსა და ზმანებებს. მე არც კი ამაღელვა მისმა ტანჯვამ. მე არ მჯეროდა ამ ტანჯვის, მაგრამ მომაკვდავ ადამიანში კვდება უცნობი სამყარო და მე ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნეტავ რა სახეები ქრება მასში, ნეტა სენეგალის რომელი პლანტაციები, სამხრეთ მაროკოს რომელი თეთრი ქალაქები იძირებიანმეთქი თანდათან მარადისობაში? მე ვერ გამეგო:Lამ შავ მასაში იფერფლებოდა სულ უმნიშვნელო საზრუნავი, ჩაის მომზადება, პირუტყვის წყალსალევზე წაყვანა.....იძინებდა მონის სული, თუ მოზღვავებულმა მოგონებებმა მასში ნამდვილი ადამიანი აღადგინა და იგი კვდებოდა მთელი თავისი სიდიადით. მისი თავის

ქალის მაგარი ძვლები მე მეჩვენებოდა ძველ, საუნჯით სავსე სკივრად. ვინ იცის, რა ფერადფერადი აბრეშუმი, რა სადღესასწაულო სურათები, რა გამოუსადეგარი და ამ უდაბნოსთვის სრულიად ზედმეტი წარსულის ნაშთი გადარჩენოდა ჩაძირვას. სკივრი აქ იყო, — მძიმე, ჩაკეტილი. ვინ იცის, სამყაროს რომელი ნაწილი ირღვეოდა ამ ადამიანში მისი უკანასკნელი დღეების დიადი თვლემის ჟამს; რა ირღვეოდა ამ ცნობიერებაში, ამ სხეულში, რომელიც თანდათანობით კვლავ ღამედ და ნიადაგად უნდა ქცეულიყო.

— მენახირე ვიყავი და მუჰამედს მეძახდნენ...

იმ მონათა შორის, ვინც კი შემხვედრია, ბარკი იყო პირველი, რომელიც არ ნებდებოდა ბედს. რა ვუყოთ, რომ არაბებმა ერთ დღეში მოუსპეს მას თავისუფლება და დოვლათი. იგი ახალშობილივით შიშველი იყო. ხდება ხოლმე: ღმერთი წარმოგზავნის ქარიშხალს, და იგი, ასევე ერთ საათში ანადგურებს ადამიანის ნამკალს. დოვლათის დაკარგვაზე საშინელი ბარკისათვის მისი პიროვნების მოსალოდნელი დაღუპვა იყო. მაგრამ მაშინ, როცა იმდენი ტყვე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იძლეოდა უფლებას, ჩაეკლათ მასში საწყალი მენახირე, რომელიც მთელი წელიწადი მხოლოდ ლუკმაპურისთვის შრომოდა, ბარკი მაინც არ ნებდებოდა ბედს!...

ბარკი ისე როდი შეეთვისა მონობას, როგორც მოლოდინით დაღლილი ადამიანი შეეთვისება ხოლმე ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ბედნიერებას. მას არ სურდა, სხვა მონებივით, სიხარულის წყაროდ თავისი მბრძანებლის გულკეთილობა გაეხადა. ის თავის გულში ინახავდა სახლს შინიდან წასული მუჰამედისათვის, სახლს, რომელშიც მას ოდესღაც ეცხოვრა, სახლს, უპატრონობით დასევდიანებულს, სახლს, რომელშიც სხვა აღარავინ იცხოვრებდა. ბარკი მაგონებდა ჭაღარა დარაჯს, რომელიც მიტოვებული პარკის ბალახებში, მის მოსაწყენ მდუმარებაში კვდება ერთგულების გამო.

იგი არ ამბობდა: `მე ვარ მუჰამედ ბენ ლხაუსინი~, იგი ამბობდა: `მე მუჰამედს მეძახდნენ~, და ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც დავიწყებული პიროვნება კვლავ

აღდგებოდა და ამ თავისი აღორძინებით წაშლიდა მეხსიერებაში იმას, რომ ოდესღაც მონა იყო. ხანდახან ღამის სიჩუმეში მას ბავშვის სიმღერასავით წარმტაცი მოგონებები იტაცებდა. `ღამღამობით, — გვიამბობდა არაბი თარჯიმანი, — ღამღამობით იგი ლაპარაკობდა მარაკეშზე და ტიროდა~. მარტო დარჩენილი ადამიანი ვერასოდეს აუქცევს გზას წარსულს და ყოველთვის მიუბრუნდება მას. ის, მისი ორეული, იღვიძებდა ბარკში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, იზმორებოდა, ეძებდა თავის გვერდით ცოლს, — აქ, ამ უდაბნოში, სადაც არც ერთი ქალი არ მიახლოებია მას; ყურს უგდებდა წყლის ჩხრიალს აქ, სადაც არასოდეს უდენია წყაროს. ბარკი ხუჭავდა თვალებს და სჯეროდა, რომ კვლავ ცხოვრობდა თეთრ სახლში, რომლის თავზე ყოველთვის ერთი და იგივე ვარსკვლავი ანთია, — და ეს აქ, სადაც ადამიანები ბინადრობენ მატყლის უხეში ქსოვილის სახლებში და უკან დასდევენ ქარს. როდესაც სადღაც, გულის სიღრმეში, მოულოდნელად გაცოცხლდებოდა ძველი სითბო და სიყვარული, რომელიც ბარკს ანდამატივით იზიდავდა, იგი ჩემკენ გამოსწევდა. მას უნდოდა ეთქვა ჩემთვის, რომ უკვე მზად არის, რომ მთელი მისი სინაზე მზად არის გადმოსაფრქვევად და საჭიროა მხოლოდ შინ დაბრუნდეს. ამისათვის კი საკმარისია ჩემი ერთი პატარა ნიშანი. და ბარკი ღიმილით მიხსნიდა, რა იოლია ეს ყველაფერი, — მე ჯერ, ეტყობა, უბრალოდ, არ მიფიქრია ამაზე:

— ხვალ სწორედ ფოსტა უნდა მოვიდეს. შენ მე აგადირის თვითმფრინავში დამმალავ.....

— საწყალო მოხუცო ბარკ!

ჩვენ ხომ ურჩ ტომებს შორის ვცხოვრობდით. როგორ შეგვეძლო დავხმარებოდით ბარკს გაქცევაში? ღმერთმა უწყის, მეორე დღესვე რა ხოცვაჟლეტით გადაგვიხდიდნენ სამაგიეროს არაბები ამ გაძარცვისა და შეურაცხყოფისათვის. მე, მართალია, ვეცადე, აეროპორტის მექანიკოსთა — ლობერგის, მარშალისა და აბგრალის დახმარებით მეყიდა ბარკი, მაგრამ არაბები ყოველდღე როდი ხვდებოდნენ მონების მუშტარ ევროპელებს. ამიტომაც ისინი მამასისხლად აფასებდნენ ბარკს.

— ოცი ათასი ფრანკი.

— შენ რა, დაგვცინი?

— ნახე, რა ღონიერი მკლავები აქვს!

და ასე გადიოდა თვეები.

ბოლოს არაბები დათმობაზე წავიდნენ და, ფრანგი მეგობრების დახმარებით, რომლებსაც წერილები დავუგზავნე, შევძელი ბებერი ბარკის ყიდვა.

ეს იყო შესანიშნავი ვაჭრობა. იგი გრძელდებოდა რვა დღე. ვვაჭრობდით თხუთმეტი არაბი და მე, სილაში წრედ ჩამსხდარნი. ბარკის პატრონის მეგობარი, ყაჩაღი ზინულდრხატარი, რომელიც, ამავე დროს, ჩემი მეგობარიც იყო, ფარულად მეხმარებოდა.

— გაყიდე, თორემ, სულ ერთია, დაკარგავ: ავად არის, — ჩემგან შეგულიანებული ეუბნებოდა იგი ბარკის პატრონს. — ავადმყოფობა ჯერ არა ჩანს, შიგნით არის დაბუდებული. დადგება დრო და იგი დასივებას დაიწყებს. საჩქაროდ მიჰყიდე ფრანგს.

მე საშუამავლოს დავპირდი მეორე ყაჩაღსაც, რაგის, თუ მორიგებაში დამეხმარებოდა, და რაგიც ცდილობდა დაეყოლიებინა ჯიუტი არაბი:

— ამ ფულით იყიდი აქლემებს, თოფებს, ვაზნებს. მაშინ თავდასხმის მოწყობასაც შეძლებ და ფრანგებსაც ეომები. ატარიდან სამოთხ ჯანღონით სავსე მონას წამოიყვან, მოიშორე თავიდან ეს ბებერი.

და მეც მომყიდეს ბარკი. მთელი ექვსი დღე ბარაკში მყავდა დამწყვდეული. მას რომ თავისუფლად ევლო თვითმფრინავის მოსვლამდე, არაბები ისევ დაიჭერდნენ და ხელმეორედ გაყიდიდნენ.

ყოველი შემთხვევისთვის, მე იგი მონობისგან გავათავისუფლე. ამან გამოიწვია კიდევ ერთი შესანიშნავი ცერემონია. მოვიდა მარაბუტი, ბარკის ყოფილი პატრონი, და ჯუბის ყადი იბრაჰიმი. ამ სამმა ყაჩაღმა, რომლებიც თუნდაც მხოლოდ ჩემს გამოსაჯავრებლად, სიამოვნებით წააცლიდნენ ბარკს თავს, ფორტიდან ოცი მეტრის მანძილზე რომ

შეხვედროდათ, ახლა მხურვალედ გადაკოცნეს იგი და ოფიციალურ აქტს ხელი მოაწერეს.

— დღეიდან შენ ჩვენი შვილი ხარ.

კანონის თანახმად, ის ჩემი შვილიც იყო.

და ბარკმაც გადაკოცნა ყველა თავისი მამა.

წასვლამდე გაგრძელდა მისთვის სასიამოვნო ტყვეობა ჩვენს ბარაკში. იგი დღეში ასჯერ გვაიძულებდა აგვეწერა მისი მომავალი, არცთუ ისე მძიმე მგზავრობა: იგი ჩამოვა აგადირში და აეროპორტშივე მიიღებს ავტობუსის ბილეთს მარაკეშამდე. ბარკი თავისუფლობანას თამაშობდა ისე, როგორც ბავშვი თამაშობს ხოლმე მოგზაურობანას: დაბრუნება ცხოვრებაში, ავტობუსი, ხალხის ბრბო, ქალაქები, რომლებსაც ის კვლავ ნახავს...

მარშალისა და აბგრალის სახელით, ჩემთან გამოცხადდა ლობერგი: — თვითმფრინავიდან გადმოსული ბარკი შიმშილით ხომ არ უნდა მოკვდესო, — და ბარკისათვის ათასი ფრანკი გადმომცა: ეს ეყოფა ცოტა ხანს, ვიდრე სამუშაოს იშოვისო.

გამახსენდა მოხუცი ქალები საქველმოქმედო საზოგადოებიდან, რომლებიც ოცი ფრანკის გაცემით `აკეთებენ კეთილ საქმეს~ და ამისათვის მადლობასაც მოითხოვენ. როცა ავიაციის მექანიკოსები — ლობერგი, მარშალი და აბგრალი ათას ფრანკს იძლეოდნენ, ისინი ამას არც ქველმოქმედებად თვლიდნენ და მადლობაზე ხომ სულაც არ ფიქრობდნენ. მათ არც სიბრალული ამოძრავებდათ იმ მოხუცი ქალებივით, რომლებიც მთელი სიცოცხლე სხვის გაბედნიერებაზე ოცნებობენ. ისინი, უბრალოდ, ეხმარებოდნენ ადამიანს მისი ადამიანური ღირსების აღდგენაში. მათაც, ისევე როგორც მე, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ გაივლის თუ არა დაბრუნების ციებცხელება, ბარკს კარგი ერთგული მეგობარივით სიღატაკე ამოუდგება მხარში და, სამი თვეც არ იქნება გასული, უკვე წელი ექნება მოწყვეტილი რომელიმე რკინიგზის ლიანდაგის გაყვანისას შპალების

აწევდაწევით. იქ იგი ნაკლებ ბედნიერი იქნება, ვიდრე აქ, უდაბნოში. მაგრამ მას აქვს უფლება — შეინარჩუნოს საკუთარი `მეობა~ და იცხოვროს თავის ახლობელთა შორის.

— ჰოდა, ასე, ჩემო ბარკ, წადი და იყავი ადამიანი.

გასაფრენად გამზადებული თვითმფრინავი შეტოკდა. ბარკმა უკანასკნელად მოავლო თვალი კაპჯუბის ნაღვლიან მიდამოებს. თვითმფრინავის წინ ორასამდე არაბს მოეყარა თავი, რომ ენახათ, როგორ გამოიყურებოდა სიცოცხლის კარიბჭესთან მდგარი მონა. ავარიის შემთხვევაში ისინი კვლავაც სიხარულით დაატყვევებდნენ ბარკს.

ჩვენ კი, დამშვიდობების ნიშნად, ხელს ვუქნევდით ჩვენს ორმოცდაათი წლის ახლად შობილს და ცოტა ვღელავდით კიდეც იმის გამო, რომ ასე გაბედულად გაგვყავდა იგი საზოგადოებაში.

— მშვიდობით, ბარკ!

— არა.

— როგორ თუ `არა~?

— არა. მე მუჰამედ ბენ ლხაუსინი ვარ.

უკანასკნელი ცნობები ბარკის შესახებ მოგვიტანა არაბმა აბდალაჰმა, რომელიც ჩვენი თხოვნით ეხმარებოდა მას აგადირში.

ავტობუსი მხოლოდ საღამოთი გადიოდა. ბარკს კიდევ მთელი დღე ჰქონდა წინ. ის კარგა ხანს დაეხეტებოდა ქალაქში ხმაამოუღებლად. აბდალაჰი მიხვდა, რომ ბარკს რაღაც საზრუნავი გასჩენოდა, და შეწუხდა.

— რა დაგემართა?

— არაფერი.

მეტისმეტად უსაზღვრო იყო ეს მოულოდნელი თავისუფლება და ბარკს ჯერ კიდევ კარგად ვერ შეეგრძნო თავისი ახლად დაბადება. ის მხოლოდ რაღაც გაურკვეველ სიხარულს გრძნობდა და სხვა ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა გუშინდელსა და დღევანდელ ბარკს შორის. ის კი იყო, რომ დღეიდან მას სხვებთან ერთად, როგორც თანასწორს, შეეძლო ესარგებლა ამ მზით, უფლება ჰქონდა, დანარჩენი ადამიანებივით დამჯდარიყო არაბების გადაჩარდახებულ კაფეში, ისიც დაჯდა და შეუკვეთა ჩაი აბდალაჰისათვის და თავისთვის. ეს იყო მისი პირველი ჟესტი, ჟესტი მასპინძლისა: ასეთ უფლებამოსილებას იქ მყოფთა თვალში თითქოს სულ სხვა იერი უნდა მიეცა მისთვის, მაგრამ მსახურმა ყოველგვარი გაკვირვების გარეშე დაუსხა მას ჩაი; ისე, თითქოს არაფერი უჩვეულო არ ხდებოდა. უსხამდა ჩაის და ვერ გრძნობდა, რომ ამით ადიდებდა თავისუფალ ადამიანს.

— წავიდეთ სხვაგან. — თქვა ბარკმა.

ისინი ავიდნენ კასბზე, რომელიც ამაყად გადაჰყურებდა აგადირს.

მათთან პატარა ბერერი მოცეკვავე ქალები მივიდნენ. ისინი ისეთი თავაზიანები და ალერსიანები იყვნენ, რომ ბარკს მოეჩვენა — ვცოცხლდებიო: მოცეკვავეებმა არც კი იცოდნენ, რომ ისინი ბარკის ცხოვრებაში ახლად ფეხის შედგმას ესალმებოდნენ. მათ ხელი მოჰკიდეს ბარკს და სიამოვნებით შესთავაზეს ჩაი, ისევე, როგორც სხვებს სთავაზობდნენ. ბარკმა მოისურვა ეამბა მათთვის თავისი მკვდრეთით აღდგომის ამბავი. ისინი ალერსიანად იცინოდნენ. მათ ახარებდათ ბარკის სიხარული, იმისათვის, რომ მეტი აღფრთოვანება გამოეწვია, ბარკმა დასძინა: მე მუჰამედ ბენ ლხაუსინი ვარ, მაგრამ მოცეკვავეებს ეს სულაც არ გაჰკვირვებიათ. ყველა ადამიანს აქვს თავისი სახელი და შორეული ადგილებიდანაც ბევრი ბრუნდება...

და ბარკმა კვლავ ქალაქისკენ წაათრია აბდალაჰი. იგი ებრაელთა პატარა დუქნების შორიახლო დაეხეტებოდა, გასცქროდა ზღვას და ფიქრობდა იმაზე, რომ აქვს უფლება, საითაც უნდა, იქით გასწიოს; რომ თავისუფალია... მაგრამ ეს თავისუფლება მას მწარე ეჩვენა, რადგან ახლა განსაკურებით ნათლად იგრძნო, რამდენად დაშორებოდა სხვებს...

ჩამოიარა ბავშვმა და ბარკმა ხელი მოუთათუნა ლოყაზე. ბავშვმა გაიღიმა. ეს არ იყო ბატონის შვილი, რომელსაც ელაქუცებიან. ეს იყო უღონო ბავშვი, რომელიც ბარკმა ალერსით დაასაჩუქრა და მის სახეზე ღიმილი გამოიწვია. ამ ბავშვმა გააღვიძა ბარკი და იმის გამო, რომ ეს სუსტი ბავშვი უღიმოდა, ბარკმა ოდნავ იგრძნო თავისი ყოფნის მნიშვნელობა მიწაზე. რაღაც მწიფდებოდა მის სულში და ახლა იგი გაბედულად მიაბიჯებდა ქუჩაში.

— რას ეძებ? — ეკითხებოდა აბდალაჰი.

—არაფერს, — პასუხობდა ბარკი.

მაგრამ როცა ქუჩის მოსახვევში თამაშში გართული ბავშვების გროვას წაწყდა, იგი შეჩერდა. აი, თურმე, რას ეძებდა! მან მდუმარედ მოავლო თვალი ბავშვებს. მერე ებრაელების დუქნებს მიაშურა და უკან საჩუქრებით დატვირთული დაბრუნდა. აბდალაჰი აღშფოთდა:

— აი სულელი. რაზე ხარჯავ ფულს!

მაგრამ ბარკი არ უსმენდა მას. მან მედიდური ჟესტით მოიხმო ბავშვები. პაპაწა ხელები ეპოტინებოდნენ სათამაშოებს, სამაჯურებს, ოქრომკედით ნაკერ ფეხსაცმელებს. მერე ველურებივით გარბოდნენ გულში ჩაკრული საუნჯით.

გაიგეს თუ არა ეს ამბავი, აგადირის სხვა ბავშვებიც მოცვივდნენ. ბარკმა ისინი ოქროს ფეხსაცმელებით შემოსა. ახლა უკვე აგადირის გარეუბნებსაც მისწვდა ხმა. ბავშვები ყიჟინით გამორბოდნენ შავი ღმერთისაკენ, ეჯაჯგურებოდნენ მას მონის ტანსაცმელზე და მოითხოვდნენ თავის წილს. ბარკის სიმდიდრე ნიავდებოდა.

აბდალაჰმა გადაწყვიტა, რომ `ბარკი სიხარულისაგან შეიშალა~. მე კი ვფიქრობ, ბარკის ეს მოქმედება სულაც არ იყო გამოწვეული იმით, რომ მას მოჭარბებული ბედნიერების განაწილება უნდოდა ვინმესთვის.

იგი კვლავ თავისუფალი იყო, ის ფლობდა ამ ქვეყნის თითქმის ყველა სიკეთეს:¨უფლებას — ისიც ჰყვარებოდათ, უფლებას — წასულიყო ჩრდილოეთისკენ თუ სამხრეთისკენ,

უფლებას — საკუთარი შრომით მოეპოვებინა ლუკმაპური... რისთვის უნდოდა მას ეს ფული!.. მას ხომ წყალივით სწყუროდა ადამიანად ყოფნა ადამიანთა შორის, სწყუროდა ხალხთან კავშირის აღდგენა. აგადირის მოცეკვავენი ალერსიანად მოექცნენ ბებერ ბარკს, მაგრამ ბარკი ისევე ადვილად დაშორდა მათ, როგორც შეხვდა: მათ არ სჭირდებოდათ ბარკი. არაბების კაფეს მსახურიც, გამვლელებიც — ყველა პატივს სცემდა ბარკში თავისუფალ ადამიანს და, როგორც თანასწორს, მასაც უნაწილებდა თავის მზეს, მაგრამ არც ერთს არ უგრძნობინებია მისთვის, რომ სჭირდებოდა ბარკი. იგი თავისუფალი იყო, მეტისმეტად თავისუფალი, და ნიავივით მსუბუქად მიაბიჯებდა მიწაზე. მაგრამ მას აკლდა ადამიანურ ურთიერთობათა სიმძიმე, რომელიც აძნელებს მოძრაობას, — ცრემლები, დამშვიდობება, საყვედურები, სიხარული, — ყველაფერი ის, რასაც ადამიანი განამტკიცებს ან ანადგურებს თავისი ჟესტით, — ის ათასი კვანძი, რომელიც აკავშირებს სხვა ადამიანთან და ამით ამძიმებს მას, ახლა კი ბარკთან დაკავშირებული იყო უკვე ათასობით იმედი...

და ასე, აგადირის მზის ჩასვლის მშვენიერებაში, საამო სიგრილეში, რომელიც მისთვის დიდი ხნის ნანატრი ალერსიც იყო და ერთადერთი თავშესაფარიც, დაიწყო ბარკის მეფობა. და, როდესაც დადგა გამგზავრების ჟამი, ბარკი ისევე მიაბიჯებდა მოზღვავებულ ბავშვებში, როგორც ოდესღაც მიაბიჯებდა ცხვრის ფარაში. ამით იგი პირველ კვალს ავლებდა თავის ახლად შეძენილ ქვეყანაში. ხვალ ბარკი დაუბრუნდება გაპარტახებულ მშობლიურ კერას, რომ მას დააწვება მრავალრიცხოვანი ოჯახის მძიმე ტვირთი — იმაზე მძიმე, რასაც შეიძლება გაუძლონ მისმა მოხუცმა მკლავებმა. მაგრამ მან უკვე აქ მოიპოვა თავისი ნამდვილი წონა. მსგავსად მთავარანგელოზისა, რომელსაც უწონობის გამო არ ძალუძს ადამიანივით ცხოვრება და ამიტომ იძულებულია იეშმაკოს და ქამარზე ტვირთი დაიკიდოს, ბარკიც ძლივს მიიწევდა წინ, რადგან მას მიწისკენ ეზიდებოდა ათასობით ბავშვი, რომელთაც ასე უჭირდათ ოქროს ფეხსაცმელი.

7.

ასეთია უდაბნო. ყურანი, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არ თამაშის წესი, უდაბნოს ქვიშებს თავისი საკუთარი კანონებით მცხოვრებ სამყაროდ აქცევს. საჰარის თითქოსდა ცარიელ სიღრმეში საიდუმლოდ თამაშდება დრამა, რომელიც აღვიძებს ადამიანის ვნებებს. უდაბნოს ნამდვილი ცხოვრება არის არა მომთაბარეობა და საძოვრების ძებნა, არამედ — თამაში, რომელიც ჯერ კიდევ არ გათამაშებულა. რაოდენ დიდი განსხვავებაა დამორჩილებული ქვიშების სამყაროსა და დაუმორჩილებელ ქვიშათა სამყაროს შორის! და განა ეს ყველა ადამიანს არ ეხება? მივჩერებივარ სახეშეცვლილ უდაბნოს და მაგონდება ჩემი ბავშვობის თამაშობანი — დაღვრემილი ოქროსფერი პარკი, რომელშიც ჩვენ მრავალი ღმერთი ჩავასახლეთ, დაუსაბამო სამყარო, ჩვენ მიერ შექმნილი იმ კვადრატული კილომეტრი ფართობისაგან, რომელიც არასოდეს შეგვიცნია ბოლომდე, არასოდეს გამოგვიკვლევია სავსებით. ჩვენ შევქმენით ჩაკეტილი ცივილიზაცია, სადაც ადამიანის ნაბიჯების ხმა თავისებურად გაისმოდა, სადაც საგნებს ისეთი შინაარსი ჰქონდათ, რომელიც სხვაგან ყველგან მიუწვდომელი იქნებოდა მათთვის. რაღა დარჩა ბავშვობის იმ ჯადოსნური, ხან ყინულოვანი, ხან მწველი აჩრდილებით სავსე პარკისაგან დღეს, როდესაც უკვე მოწიფულები ვართ და სულ სხვა კანონებით ვცხოვრობთ... უბრუნდები პარკს, სასოწარკვეთილი მიუყვები გარედან მის პატარა, რუხი ქვის კედელს და გიკვირს — რა ვიწრო გალავანში ყოფილა მოქცეული სამეფო, რომელიც უკიდეგანოდ გეჩვენებოდა. გრძნობ, რომ ვეღარასოდეს დაუბრუნდები იმ უსაზღვრო სამეფოს, რადგან ამისათვის საჭიროა შეხვიდე არა პარკში, არამედ — თამაშში.

მაგრამ აღარ არიან დაუმორჩილებელი ტომები. აღარ არის საიდუმლოება კაპჯუბში, სისნეროსში, პუერტოკანსადოში, ლა საგუეტელხამრაში, დორაში, სმარაში. ჰორიზონტები, რომლებიც გვიზიდავდნენ, ჩაქრნენ ერთიმეორის მიყოლებით, მსგავსად იმისა, როგორც თბილ ხელებში მომწყვდეული მწერები კარგავენ ხოლმე თავიანთ შეფერილობას. მაგრამ ის, ვინც მისდევდა მათ დასაჭერად, უნიადაგო ფანტაზიის ტყვე როდი იყო. არც ჩვენ ვცდებოდით, როდესაც აღმოჩენებისკენ მივისწრაფოდით. ისევე, როგორც არ ცდებოდა სულთანი `ათას ერთი ღამიდან~, რომელსაც სურდა იმდენად მიუწვდომელ ნივთიერებას დაუფლებოდა, რომ მის მკლავებში მოხვედრილი მზეთუნახავები მასთან შეხებისთანავე კარგავდნენ თავიანთი ფრთების ოქროს ვარაყს და

ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ. ჩვენ ქვიშების ჯადოსნურობა გვხიბლავდა. შესაძლოა, სხვებმა აქ ნავთობის ჭაბურღილები თხარონ და გამდიდრდნენ ვაჭრობით. მაგრამ მათ დაიგვიანეს, რადგან ნაკრძალმა პალმის ჭალებმა და ნიჟარების ქალწულებრივმა მტვერმა ჩვენ უკვე მოგვცა ის, რაც ყველაზე ძვირფასი იყო მათში: მათ შეეძლოთ მხოლოდ ერთსაათიანი აღტაცება ეჩუქებინათ და ეს ერთი საათი ჩვენ გვხვდა წილად.

უდაბნო? ერთხელ როგორღაც მე მის გულსაც კი მივადექი. 1935 წელს ინდოჩინეთში მივფრინავდი, მაგრამ ეგვიპტეში აღმოვჩნდი, ლიბიის საზღვართან; ქვიშაში, როგორც ფისში, ისე ჩავეფალი და ვფიქრობდი, რომ აქ დადგა ჩემი აღსასრულის დღე. გიამბობთ ამ ამბავსაც.

VII. უდაბნოს გულში

1.

ხმელთაშუა ზღვას რომ ვუახლოვდებოდი, დაბალ ღრუბლებს შევეჩეხე. ოცი მეტრით ქვევით ვეშვები. წვიმის წვეთები ზედ ემსხვრევა საქარე მინას და მეჩვენება, რომ ზღვა ბოლავს. მთელი ძალღონით ვცდილობ გავარჩიო რამე, რომ ხომალდის ანძას არ დავეჯახო.

ჩემი მექანიკოსი ანდრე პრევო წამდაუწუმ ცეცხლს უკიდებს ჩემს სიგარეტებს.

— ყავა...

იგი უჩინარდება თვითმფრინავის ბოლოში და უკან თერმოსით ბრუნდება. მე ვსვამ ყავას, დროგამოშვებით ოდნავი შეხებით ვარეგულირებ გაზის ბერკეტს, რომ დავიცვა ბრუნვის რეჟიმი — ორი ათას ასი. თვალს ვავლებ ციფერბლატებს: ჩემი ხელქვეითნი მორჩილნი არიან: თითოეული ისარი თავის ადგილზეა. გადავყურებ ზღვას, რომელსაც წვიმაში ორთქლი ასდის, თითქოს ცხელი წყლით სავსე გობიაო. ჰიდროპლანით რომ

ვყოფილიყავი, გული დამწყდებოდა, რომ ზღვა ასეთი `აქოჩრილია~, მაგრამ მე ჩვეულებრივი თვითმფრინავით ვარ. აქოჩრილია თუ არა, სულ ერთია, ვერ დავჯდები ზღვაზე. არ ვიცი რატომ, და ეს იწვევს ჩემში უშიშროების რაღაც უცნაურ გრძნობას. ზღვა ჩემთვის უცხო სამყაროს ნაწილია. ავარია აქ? ეს მე არც მეხება, ეს არც კი შეიძლება მოხდეს. მე არა ვარ აღჭურვილი საამისოდ.

საათნახევრის ფრენის შემდეგ წვიმა კლებულობს. ღრუბლები ისევ დაბლაა, მაგრამ სინათლე უკვე ღიმილით ატანს მათ შორის. მე ვტკბები გამოდარებისათვის ამ აუჩქარებელი სამზადისით. ვხვდები, რომ ჩემ ზევით თეთრი ბამბის თხელი ფენაღაა მხოლოდ. შემოვლით თავს ვარიდებ მორიგ ღვართქაფს: უკვე შეიძლება მისი შემოვლა. აი შუქის პირველი ზოლიც ღრუბლებში...

თუმცა ჯერ ვერ ვხედავ, მაინც ვხვდები, რომ ეს ზოლი არსებობს, რადგან ჩემ წინ, ზღვაზე, გრძელ, ბალახისფერ ბილიკს ვამჩნევ, იგი თითქოს მუქი მწვანე ფერის ოაზისია, იმ ქერის ყანების მსგავსი, რომელთა დანახვაზე ასე ტკბილად მეკუმშება გული, როცა სენეგალიდან მობრუნებული, ქვიშების თავზე სამი ათასი კილომეტრის ფრენის შემდეგ სამხრეთ მაროკოს მივაღწევდი. აქაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დასახლებულ რაიონს ვუახლოვდებოდე. ხალისი მემატება. პრევოსკენ ვიხედები:

— მორჩა, ყველაფერი რიგზეა!

— ჰო, რიგზეა...

ტუნისი. ვიდრე ბაკებს ბენზინით ავსებენ, ხელს ვაწერ საბუთებს. მაგრამ კანცელარიიდან გამოსვლისას უცნაური ხმა მესმის: თითქოს რაღაც ჩავარდაო წყალში ყრუდ, მოწყვეტით. იმავე წამს მახსენდება, რომ ერთხელ უკვე გაგონილი მაქვს ასეთი ხმა: გარაჟის აფეთქებისას. ორი ადამიანი დაიღუპა ამ ხრინწიანი ჩახველებისგან. ვიხედები გზისკენ, რომელიც აეროდრომის გასწვრივ გაჭიმულა: მტვრის კორიანტელი დგას, ორი სწრაფმავალი მანქანა დასჯახებია ერთმანეთს და ერთ ადგილზე გაქვავებულა, ზოგი იქით გარბის, ზოგი —აქეთ:

— დარეკეთ... ექიმი... თავი...

— გული მეკუმშება, წყნარი საღამოს ბინდბუნდში ბოროტმა ბედმა მოულოდნელი თავდასხმა მოაწყო: ვიღაცის სილამაზე, გონება თუ სიცოცხლე ნამსხვრევებად იქცა... ასე ეპარებიან ხოლმე ადამიანს უდაბნოში მეკობრეები და არავის ესმის ქვიშაზე მათი ნაბიჯების ხმა. აი სოფელს თავს გადაუარა რბევის ხმაურმა. და ყველაფერი კვლავ ოქროსფერ მდუმარებაში ჩაიძირა. ისევ ის სიმშვიდე, ისევ ის სიჩუმე... ჩემ გვერდით ვიღაც ახსენებს ჩამტვრეულ თავის ქალას, არაფერი მინდა ვიცოდე ამ უსიცოცხლო, სისხლიან შუბლზე, ზურგს ვაქცევ გზას და ჩემი თვითმფრინავისკენ მივდივარ. მაგრამ გული რაღაც მუქარას გრძნობს და ხმას, რომელიც ესეს არის მომესმა, მალე კვლავ გაიგონებენ ჩემი ყურები. როდესაც ორას სამოცდააათი კილომეტრი სიჩქარით გამოვედები ჩაშავებულ ზეგანს, მე გამახსენდება ეს ხრინწიანი ხველა, ეს `უჰ!~ ავი ბედისა, რომელიც გზაზე გვყავს ჩასაფრებული,

— წინ, კურსი ბენგაზისკენ!

2.

წინ! შებინდებამდე კიდევ ორი საათია. ვუახლოვდები ტრიპოლიტანიას. შემიძლია მოვიხსნა მზის სათვალეები. ქვიშა ოქროსფრად ბზინავს. ღმერთო, რა უდაბურია ეს პლანეტა! უკვე მერამდენედ ვფიქრობ იმაზე, რომ მდინარეები, ხეთა ჩრდილები, ადამიანთა საცხოვრებლები თავის არსებობას ალბათ მხოლოდ და მხოლოდ გარემოებათა ბედნიერ დამთხვევას უნდა უმადლოდნენ. პლანეტის რა უზარმაზარი ნაწილი უჭირავს კლდეებსა და ქვიშებს!

მაგრამ ეს ყველაფერი შორსაა ჩემგან: მე შთანთქმული ვარ ფრენით. ეშვება ღამე და ისეთი გრძნობა გიპყრობს, თითქოს შენსა და სამყაროს შუა ტაძრის კედლები იყოს აღმართული და გაშორებდეს მას; გაშორებდეს მას ტაძარში მიმდინარე ღვთისმსახურების იდუმალება, ფიქრთა ჭიდილი, რაშიც ვერავინ აღმოგიჩენს შემწეობას. მთელი ეს ამაოების ქვეყანა უკვე იძირება ბინდბუნდში და სადაც არის გაქრება. პეიზაჟი

ჯერ კიდევ განათებულია მკრთალი სინათლით, მაგრამ მას უკვე ბინდი ეპარება. არაფერი ვიცი ამ წუთზე უკეთესი. ის, ვისაც გამოუცდია ფრენის აუწერელი სიტკბოება, გამიგებს ამას.

ნელნელა ვეთხოვები მზეს. ვეთხოვები დიდ, ოქროსფერ ლაქებს, რომლებიც შემიფარებდნენ ავარიის შემთხვევაში... ვეთხოვები ორიენტირებს. ვეთხოვები ცის ფონზე გამოკვეთილ მთების სილუეტებს, რომლებიც მიშველიდნენ უსიამოვნებათა თავიდან აცილებაში. ვიძირები ღამეში. ბრმად მიმყავს თვითმფრინავი და მხოლოდ ვარსკვლავებისგან ველი შველას...

მიწიერი სამყარო ნელნელა კვდება. თანდათანობით სინათლე აღარ მყოფნის. ცა და დედამიწა თანდათანობით ერთდება. დედამიწა იზრდება და ორთქლის ღრუბელივით ფართოვდება. ზურმუხტისფერ წყალში ჩაძირულებივით ლივლივებენ პირველი ვარსკვლავები. კიდევ კარგა ხანს მომიხდება ლოდინი, ვიდრე ისინი მტკიცე ალმასებად იქცევიან. კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე მოწყვეტილ ვარსკვლავთა ჩუმი თამაშის მოწმე გავხდები. ხანდახან ღამღამობით ჩემ თვალწინ იმდენი ცეცხლოვანი ენა დაქროდა, რომ მეჩვენებოდა, თითქოს ქარიშხალი მძვინვარებდა ვარსკვლავებს შორის.

პრევო ცდილობს აანთოს ბორტისა და სამარქაფო ნათურები. ნათურებს წითელ ქაღალდს ვახვევთ.

— ერთი ფენაც...

იგი ამ ფენასაც უმატებს და შუქს ანთებს. სინათლე მაინც მეტისმეტად თვალისმომჭრელია. იგი მთლად აუფერულებს გარე სამყაროს ისედაც გაუფერულებულ სურათს, სპობს ბინდში საგანთა ჯერ კიდევ ოდნავ გასარჩევ უსწორმასწორობას.

დაღამდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ დაწყებულა ნამდვილი ცხოვრება. ცაზე ჯერ კიდევ მოჩანს ნახევარმთვარე. პრევო თვითმფრინავის სიღრმისკენ მიდის და უკან ბუტერბროდით ბრუნდება. ვწიწკნი ყურძნის მტევანს. არ მშია. არ მინდა არც ჭამა, არც სმა. არავითარ დაღლას არა ვგრძნობ. ასე მგონია, ვიფრენდი და ვიფრენდი ათეულწლობით.

მთვარე

მიიმალა.

ღამის წყვდიადიდან თავს გვამცნობს ბენგაზი. ბენგაზი უკუნითაა მოცული. სინათლის წერტილიც კი არსად კრთის. ქალაქს მაშინღა ვამჩნევ, როცა უკვე მის თავზე ვარ. უკვე აეროდრომის ძებნას ვიწყებ, რომ უეცრად დასაშვები მოედნის წითელი სინათლეები ინთება. სინათლეების მეშვეობით წყვდიადში შავი სწორკუთხედი იკვეთება. ცას დამიზნებული პროჟექტორის სხივი ხანძრის არილივით იჭრება ზევით, უკან ბრუნდება და მოედანზე ოქროსფერი გზა გაჰყავს. კიდევ ერთ წრეს ვაკეთებ, რომ კარგად გავარჩიო ყველა დაბრკოლება. ეს აეროდრომი მშვენივრად არის მოწყობილი თვითმფრინავის ღამით დასაშვებად. გაზს ვუკლებ და ისე მივდივარ ქვევით, თითქოს შავ წყალში ვყვინთავდე.

ადგილობრივი დროით ოცდასამ საათზე ძირს ვეშვები. თვითმფრინავი პროჟექტორისკენ მიმყავს. ძალზე გულთბილი და თავაზიანი ოფიცრები და ჯარისკაცები ხან გამოჩნდებიან მის მკვეთრ სინათლეში, ხან ისევ ქრებიან წყვდიადში. ვაფორმებ საბუთებს. იწყება თვითმფრინავის მომზადება. ოცი წუთი და ყველაფერი მოთავებულია.

— გააკეთეთ ჩვენს თავზე წრე და გვეცოდინება, რომ ყველაფერი რიგზეა!

წინ!

გავდივარ ოქროსფერ გზაზე. არავითარი დაბრკოლება არ მეღობება. მიუხედავად დამატებითი ტვირთისა, ჩემი `სიმუნის~ ტიპის თვითმფრინავი ადვილად წყდება მიწას, — ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ასაფრენი გზა დაილეოდეს. პროჟექტორი თავისი სხივებიდან არ გვიშვებს და ეს ხელს მიშლის მობრუნებისას. ბოლოს გაგვიშვა, — ქვევით მიხვდნენ, რომ სინათლე თვალს გვჭრიდა. ვაკეთებ ყულფს. პროჟექტორის შუქი ისევ სახეში მცემს, მაგრამ მას მაშინვე მარიდებენ და სხივების გრძელ ოქროსფერ კონას სადღაც სივრცეში მიმართავენ. ამაში არაჩვეულებრივ მოწიწებას და თავაზიანობას ვხედავ. ვაკეთებ წრეს და კურსს უდაბნოსკენ ვიღებ.

პარიზის, ტუნისისა და ბენგაზის მიერ მოწოდებული მეტეოროლოგიური ცნობები ზურგის ქარს გვპირდება. საათში ოცდაათიორმოცი კილომეტრი სიჩქარით. მე იმედი მაქვს, რომ ვიფრენ სამასი კილომეტრი სიჩქარით. კურსს ვიღებ მარჯვნივ, იმ სექტორის შუაგულისაკენ, რომელიც ალექსანდრიას კაიროსთან აერთებს. ამით, ჯერ ერთი, თავს ავარიდებ აკრძალულ სანაპირო ზონას, და მერე, თუნდაც გზას ვიყო აცდენილი, მაინც უნდა გამოჩნდეს მარცხნივ ან მაჯვნივ ერთერთი ქალაქის სინათლეები ან, ყოველ შემთხვევაში, ნილოსის ველის სინათლეები მაინც. თუ ქარი არ შეიცვალა, გზა სამ საათსა და ოც წუთს გაგრძელდება, ხოლო თუ შესუსტდა, — სამ საათსა და ორმოცდახუთ წუთს. ვიწყებ უდაბნოს ათას ორმოცდაათი კილომეტრის შთანთქმას.

მთვარე აღარ ჩანს. შავი ფისი მოღვრილა თვით ვარსკვლავებამდე. წინ, მთელ გზაზე, არ ჩანს არავითარი სინათლე, არავითარი ორიენტირი, რომელიც დახმარებას გამიწევდა. რადგან თვითმფრინავში რადიოც არა გვაქვს, მაშ, ნილოსამდე ვერავითარ სიგნალს ვერ მივიღებ ადამიანებისგან. არც კი ვცდილობ თვალყური ვადევნო რაიმეს, გარდა კომპასის და სპერის ალტიმეტრისა. მთელ ჩემს ყურადღებას იპყრობს ხელსაწყოს შავ ციფერბლატზე რადიუმის ვიწრო ზოლის ძიგძიგი. როცა პრევო თვითმფრინავში მიდიმოდის, ფრთხილად ვასწორებ მაჩვენებლის რხევას. ავდივარ ორი ათას მეტრ სიმაღლეზე, სადაც, პროგნოზის მიხედვით, ქარის ხელშეწყობას უნდა ველოდე. იმისათვის, რომ გავანათო ციფერბლატები, რომლებიც ძრავების რეჟიმს გვიჩვენებს, დროდადრო ვანთებ ნათურას. ნათდება მხოლოდ ზოგიერთი ხელსაწყო. მეტწილად დროს მაინც სიბნელეში ვატარებ, ჩემს პატარა თანავარსკვლავედებს შორის, რომლებიც ისეთსავე ულევ და იდუმალ მინერალურ სინათლეს აფრქვევენ, როგორსაც ნამდვილი ვარსკვლავები, და იმავე ენაზე მეტყველებენ. ასტრონომთა მსგავსად, ცაზე ცის მექანიკას ვკითხულობ. ასტრონომთა მსგავსად, მუყაითი და განდგომილი ვარ მიწიერ საზრუნავთაგან. გარე სამყაროში ყველაფერი ჩაქრა. პრევო დიდხანს უმკლავდება ძილს, მაგრამ ბოლოს მაინც იძინებს და მე კიდევ უფრო მწვავედ შევიგრძნობ ჩემს მარტოობას. მხოლოდ ძრავა ბუტბუტებს ნაზად და ჩემ წინ, ხელსაწყოს დაფაზე, მშვენივრად ციმციმებენ ვარსკვლავები.

ამასობაში ჩვენს მდგომარეობას ვუფიქრდები. მთვარე დღეს არ გვიშველის და რადიოც არა გვაქვს. ვიდრე ნილოსის სინათლეების ზოლს არ წავაწყდებით, ჩვენ მოკლებულნი ვართ ყოველგვარ, თუნდაც სულ უმნიშვნელო კავშირს სამყაროსთან. ჩვენ ყველაფერს მოწყვეტილები ვართ. ერთადერთი რამ, რაც გვაკავებს ამ ფისში ჩაძირვისაგან, ძრავაა. ვსერავთ შავ, ზღაპრულ ველს, განსაცდელთა ველს. აქ არსაიდან არის მოსალოდნელი რაიმე დახმარება. აქ არავინ გაპატიებს შეცდომას. ახლა ჩვენი სიცოცხლე განგების ხელშია.

დენის განმანაწილებლის შუასადენებიდან სინათლე გამოკრთის. ვაღვიძებ პრევოს, რომ მოსპოს სინათლის ეს ზოლი. პრევო დათვივით ტრიალებს სიბნელეში, თავს აღწევს ძილს, მოდის და ცხვირსახოცისა და შავი ქაღალდის რაღაც რთული მანიპულაციებით აქრობს ამ ზოლს, რომელიც თითქოს ბზარავდა სამყაროს. ეს სინათლე არ ჰგავდა რადიუმის მკრთალ და თითქოს შორეულ ციმციმს. ეს იყო ღამის უხამსი ბუნაგიდან გამოჭრილი სინათლე და არა ვარსკვლავების კიაფი და, რაც მთავარია, იგი მაბრმავებდა, ახშობდა სხვა სინათლეებს.

ფრენა უკვე სამი საათია გრძელდება. მეჩვენება, რომ მარჯვენა მხარეს უეცრად რაღაც ძალიან მკვეთრი ლაქა გაჩნდა. ვაკვირდები. ფრთის ბოლოში მოკიაფე პოზიციურ სინათლეს შუქის გრძელი კვალი მისდევს. აქამდე ამ სინათლეს ვერ ვხედავდი. სინათლის წყვეტილი ანარეკლი ხან მკვეთრია, ხან სუსტი. მე ღრუბლებში ვიჭრები. სწორედ ეს ღრუბელია, ფარნის სინათლეს რომ ირეკლავს. ასეთ ორიენტირებს, რა თქმა უნდა, უღრუბლო ცას ვარჩევდი. ფრთა განათებულია არეკლილი სხივებით. მასზე ნათელი ლაქა ჩნდება. ლაქა ლაპლაპებს და თითქოს ოქროსფერ თაიგულს ქმნის. ჰაერის ძლიერი დინება თვითმფრინავს წონასწორობას უკარგავს. მე მოვხვდი გაურკვეველი სისქის ღრუბელთა გროვაში. ავდივარ ორი ათას ხუთას მეტრზე და მაინც თავს ვერ ვაღწევ ღრუბლებს. ვეშვები ათასი მეტრით. ოქროსფერი თაიგული იმავე ადგილასაა, უძრავი და კიდევ უფრო მკვეთრი. იყოს, ჯანდაბას. ამას ეშველება როგორმე. ფიქრი სხვა რამეზე გადამაქვს. ვნახოთ, რა იქნება. მაგრამ მე რაღაც არ მომწონს ეს სამიკიტნოს შუქი.

ვვარაუდობ: `თვითმფრინავი აქ ცოტა ცეკვავს და ეს ნორმალურია, მაგრამ, მოწმენდილი ცისა და დიდი სიმაღლის მიუხედავად, ჰაერის დინებათა მოქმედება მთელ გზაზე არ შეწყვეტილა. ქარი არ ჩამდგარა და ამიტომაც სამას კილომეტრზე მეტი სიჩქარით უნდა მეფრინა. ერთი სიტყვით, რიგიანად არაფერი ვიცი. ვეცდები გავერკვე ადგილმდებარეობაში, როცა ღრუბლებს თავს დავაღწევ.

აი დავაღწიე კიდეც თავი. თაიგული უეცრად ჩაქრა. უკეთ რომ ვთქვათ, ღრუბლებიდან გასვლას მისი გაქრობა მამცნობს. ვიყურები წინ და, რამდენადაც სიბნელე ნებას მაძლევს, ვამჩნევ მოწმენდილი ცის ვიწრო ზოლსა და ღრუბელთა ახალ მასას, რომელიც გვიახლოვდება. თაიგული კვლავ გაცოცხლდა.

მხოლოდ ხანდახან რამდენიმე წამით ვაღწევ თავს ამ ჭაობს, სამსაათნახევრიანი ფრენის შემდეგ იგი უკვე საკმაოდ მაღიზიანებს, რადგან, თუ ჩემი ანგარიში სწორია, ნილოსს ვუახლოვდები. თუ ბედმა გამიღიმა, შესაძლოა შევნიშნო კიდეც ის რომელიმე გარღვეული ღრუბლიდან. თუმცა გარღვეული ღრუბელი ახლა ძალზე იშვიათად მხვდება. ქვევით დაშვებას ჯერ ვერ ვბედავ: თუ, ჩემდა უნებურად, მივფრინავ უფრო ნელა, ვიდრე ვვარაუდობდი, მაშინ ჩემ ქვემოთ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მაღლობები.

ჯერჯერობით მაინც არ ვღელავ. მხოლოდ დროის უბრალოდ დაკარგვა მაშინებს. მაგრამ მე ვიცი, რომ ჩემი სიმშვიდის ზღვარი ოთხი საათისა და თხუთმეტი წუთის ფრენაა. ეს დრო რომ ამოიწურება, უქარობის შემთხვევაშიც კი, — რაც ნაკლებ მოსალოდნელია, — ნილოსის ველი უკან დარჩება.

რაც უფრო ვუახლოვდებით ღრუბლებს, თაიგული მით უფრო ხშირად ინთება, მერე უეცრად სრულიად ქრება. არ მომწონს მე ეს დაშიფრული კავშირი ღამის დემონებთან.

ჩემ წინ ამოცურდა და შუქურასავით ანათებს მწვანე ვარსკვლავი. ვარსკვლავია ეს თუ შუქურა? არ მომწონს არც ეს არაბუნებრივი შუქი, არც ეს გრძნეული ვარსკვლავი, არც ეს სახიფათო მიპატიჟება.

პრევომ გაიღვიძა და ძრავების ციფერბლატებს აშუქებს ლამპით. თავის ლამპიანად ვაგდებ მას. ვუახლოვდები გამონაშუქს; ამით ვსარგებლობ და ვცდილობ ქვევით რამე გავარჩიო. პრევო ისევ იძინებს.

დასანახიც არაფერია.

უკვე ოთხი საათი და ხუთი წუთია, რაც ფრენა გრძელდება. პრევო გვერდით მომიჯდა:

— უკვე კაიროში უნდა ვიყოთ...

— რა თქმა უნდა...

— რა არის ეს: ვარსკვლავია თუ შუქურა?

მე გაზს მოვუკელი და ალბათ ამან თუ გააღვიძა პრევო. ის მაშინვე გრძნობს ფრენის დროს ხმაურის ყოველგვარ ცვლილებას. ნელნელა ვიწყებ დაშვებას, რომ როგორმე თავი დავაღწიო ღრუბლებს.

ვამოწმებ რუკას. ასეა თუ ისე, მივაღწიეთ ადგილებს, რომელთა სიმაღლე აღნიშნულია ციფრით 0, ამიტომ ქვევით არაფერი მელის სახიფათო. განვაგრძობ დაშვებას და ვბრუნდები ჩრდილოეთისკენ, რომ ქალაქების სინათლეებმა პირდაპირ თვითმფრინავის სარკმლებში შემოანათონ. როგორც ეტყობა, მე უკვე თავზე გადავუარე მათ და ახლა ისინი ალბათ მარცხნიდან გამოჩნდებიან. ღრუბლებს ქვემოდან მოვექეცი, მაგრამ მარცხნივ რომელიღაც ღრუბელი ჩემზე ქვევით დაშვებულა. რომ არ ჩამითრიოს, გეზს ვიცვლი და კურსს ჩრდილოაღმოსავლეთისკენ ვიღებ.

გაჯიქებული ღრუბელი კი უფრო ძირს ეშვება და ჰორიზონტს ფარავს. სიმაღლის შემცირებას ვბედავ. ჩემი ალტიმეტრი, მართალია, ოთხას მეტრს უჩვენებს, მაგრამ, ვინ იცის, აქ როგორი წნევაა. პრევო ჩემკენ იხრება, ვუყვირი: `როგორმე მივაღწევ ზღვას და იქ დავეშვები დაბლა. მეშინია, აქ არაფერს დავეჯახო!~

თუმცა, ვინ იცის, იქნებ უკვე ზღვაზე ვართ გასული. ღრუბლებქვეშ უკუნეთი წყვდიადია. კაბინის მინას ვეკვრები. ვცდილობ გავარჩიო რამე ქვევით. ვცდილობ აღმოვაჩინო სინათლის შუქი, რაიმე სახის ორიენტირი. ვემსგავსები ადამიანს, რომელიც

ნაცარს ქექავს და ცდილობს, კერის სიღრმეში სიცოცხლის პაწია, მიფერფლილი ნაკვერჩხალი მაინც იპოვოს.

— ზღვის შუქურა!

ჩვენ ერთდროულად შევნიშნეთ ეს მოციმციმე მახე! რა სისულელეა! აბა, სად არის იგი, ის შუქურამოჩვენება, ის ღამის ცთუნება? სწორედ იმ წამს, როცა მე და პრევომ თვითმფრინავიდან თავები გადმოვყავით, რომ ჩვენ ქვევით სამასი მეტრის მანძილზე შუქურა მოგვეძებნა, უცბად...

— უჰ!

მგონი, ესღა მოვასწარი. მგონი, არაფერი მიგრძვნია, გარდა შემზარავი ზრიალისა, რომელმაც ჩვენი სამყარო ძირიანად შეძრა. ჩვენ მიწაში შევიჭერით ორას სამოცდაათი კილომეტრის სიჩქარით.

მერე, წამის მეასედის განმავლობაში, მე, მგონი, არაფერს ველოდი, გარდა აფეთქებისა, გარდა ვეება ალისფერი ვარსკვლავისა, რომელსაც ორივე უნდა შთავენთქეთ. არც პრევო, არც მე არავითარ ღელვას არ განვიცდიდით. მე შევნიშნე ჩემში მხოლოდ უსაზღვრო მოლოდინი, მოლოდინი კაშკაშა გაელვებისა, რომელსაც ჩვენ იმავე წამს ფერფლად უნდა ვექციეთ. მაგრამ ალისფერი ვარსკვლავი არ აენთო. დარტყმას მოჰყვა რაღაც მიწისძვრის მსგავსი, რომელმაც მიანგრმოანგრია ჩვენი კაბინა, გაანგრია სარკმლები, ას მეტრზე ისროლა ფუზელაჟის რკინის ფურცლები და თავისი გრგვინვით შეარყია ყველაფერი, ჩვენი შიგნეულის ჩათვლით. თვითმფრინავი თრთოდა, როგორც შორიდან ნასროლი და მაგარ ხეში ჩასობილი დანა. მთელი ეს მრისხანება ჩვენ დაგვატყდა თავს. ერთი წამი, ორი... თვითმფრინავი სასიკვდილოდ დაჭრილივით ცახცახებდა. არაჩვეულებრივმა მოუთმენლობამ შემიპყრო. სულ ველოდი, რომ თვითმფრინავის მიერ დაგროვილი ენერგია მას ნაღმივით ააფეთქებდა. მაგრამ მიწისქვეშა ბიძგები გრძელდებოდა, აფეთქება კი არსად იყო. მე უკვე აღარაფერი მესმოდა ამ უხილავი შინაგანი მუშაობისა. აღარაფერი მესმოდა არც ამ თრთოლის, არც ამ გააფთრების, არც ამ დაუსრულებელი შეყოვნებისა. ხუთი წამი, ექვსი... უცებ ვიგრძენით, როგორ დაგვაბზრიალა რაღაცამ, როგორ ისროლა

ჩვენი სიგარეტები კაბინის სარკმლიდან ახალმა დარტყმამ და ნამსხვრევებად აქცია მარჯვენა ფრთა. მერე ყველაფერი მიწყნარდა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. მე პრევოს გავძახე:

— გადახტი! ცოცხლად!

იმავე წუთში შემომესმა მისი ხმა:

— ცეცხლი!

და ჩვენ რაღაც ძალამ გარეთ გაგვტყორცნა კაბინის განგრეული სარკმლებიდან. თვითმფრინავიდან ოცი მეტრის მანძილზე აღმოვჩნდით. მე ვკითხე პრევოს:

— ყველაფერი მთელი გაქვთ?

მან მიპასუხა:

— ყველაფერი!

მაგრამ მუხლს იზელდა.

მე ვუთხარი:

— მოისინჯეთ ყველაფერი! იმოძრავეთ, დაიფიცეთ, რომ არაფერი გაქვთ გატეხილი.

— ეს არაფერია, — მიპასუხა მან, — სათადარიგო ტუმბომ...

მე ველოდი, რომ ორად გახლეჩილი პრევო სადაცაა ძირს დაენარცხებოდა, ის კი თვალს არ აშორებდა თვითმფრინავს და გაუთავებლად იმეორებდა:

— სათადარიგო ტუმბომ... სათადარიგო ტუმბომ...

მე გავიფიქრე: მთლად შეიშალა. ალბათ ახლა ცეკვასაც დაიწყებს...

მაგრამ, როცა ბოლოს აფეთქებას გადარჩენილ თვითმფრინავს თვალი მოაშორა, შემომხედა და გაიმეორა:

— ეს არაფერია, სათადარიგო ტუმბომ ოდნავ გამკრა მუხლზე.

3.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ გადავრჩით. ჯიბის ფარნით გულმოდგინედ ვაკვირდები თვითმფრინავის მიერ გავლებულ კვალს მიწაზე. შეჩერების ადგილიდან ორას ორმოცდაათ მეტრზე ჩვენ ვპოულობთ გაღუნულ რკინას, მოგლეჯილ რკინის ფურცლებს, რომლებითაც მოფენილია თვითმფრინავის მთელი გზა ქვიშაზე. მერე, გათენებისას, ცხადი გახდა, რომ ჩვენ თითქმის მხების მიმართულებით შევიჭერით უდაბური ზეგანის დაქანებულ ფერდობში. ქვიშაში დედამიწასთან შეჯახების ადგილას წარმოშობილი ღრმულები გუთნით გატანილ კვალს წააგავს. თვითმფრინავი არ გადაბრუნდა და მთელი გზა მუცლით მიხოხავდა. გააფთრებისაგან თრთოდა, ქვეწარმავლის კუდივით იხლაკნებოდა და ისე მიხოხავდა წინ ორას სამოცდაათი კილომეტრის სიჩქარით. ჩვენს გადარჩენას, როგორც ჩანს, უნდა ვუმადლოდეთ მრგვალ, შავ ქვებს, რომლებიც ადვილად მიგორავენ ქვიშაზე. ჩვენ გავუგორებივართ მათ, როგორც საგორავებს.

პრევო თიშავს აკუმულატორებს, რომ მოკლე ჩართვამ დაგვიანებული ხანძარი არ გამოიწვიოს. ძრავას ვეყრდნობი და ფიქრს ვეძლევი: თუ დავუშვებთ, რომ მაღლა ქარი ქროდა ორმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით და ჩვენ აქეთიქით მივქონდმოვქონდით, მაშინ ოთხ საათსა და თხუთმეტ წუთში... ჰო, მაგრამ თუ, პროგნოზის მიუხედავად, ქარი შეიცვალა? მე ხომ არ ვიცი, რა მიმართულებისა იყო იგი... მაშასადამე, ჩვენ შეიძლება ვიყოთ იმ კვადრატის ნებისმიერ წერტილში, რომლის თითო გვერდს ოთხასი კილომეტრი სიგრძე აქვს.

პრევო ჩემ გვერდით ჯდება და ამბობს:

— სწორედ საოცარია, რომ ცოცხლები ვართ...

არ ვპასუხობ. არავითარ სიხარულს არა ვგრძნობ. ერთი აზრი მომივიდა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეუფლება და, ცოტა არ იყოს, მაღელვებს კიდეც.

პრევოს ვთხოვ, ჩემი ორიენტირებისათვის თავისი ფარანი აანთოს, მე კი საკუთარი ფარნით დასაზვერად მივდივარ. ყურადღებით ვათვალიერებ ნიადაგს. ნელა მივიწევ წინ ფართო ნახევარწრეებით, რამდენჯერმე ვიცვლი მიმართულებას, ქვიშაზე ისეთი დაჟინებით ვეძებ რაღაცას, თითქოს ბეჭედი დამკარგვოდეს. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ზუსტად ასევე ვცდილობდი მომეძებნა ღამეში მიფერფლილი ნაკვერჩხალი. განვაგრძობ მოძრაობას წყვდიადში; ვიხრები ფარნის ნათელი ლაქისაკენ, რომელიც წინ მიმიძღვის. ასეა, ასე... ნელა ვბრუნდები თვითმფრინავთან. ვჯდები კაბინის გვერდით და ფიქრს ვეძლევი. მე ვეძებდი იმედის მომცემ ნიშნებს და ვერ ვნახე ისინი. მე ვეძებდი სიცოცხლის ნიშნებს, — სიცოცხლემ კი არაფრით მამცნო თავისი თავი.

— პრევო, ბალახის არც ერთი ღერო არ შემხვედრია...

პრევო დუმს, არ ვიცი, მიმიხვდა თუ არა. ჩვენ ვისაუბრებთ ამაზე, როდესაც აიხდება ფარდა, როცა დადგება დღე. საშინელ მოქანცულობას ვგრძნობ მხოლოდ და ვფიქრობ: `ოთხასი კილომეტრი... აქეთაც და იქითაც... უდაბნოში!..~ უცბად წამოვვარდი:

— წყალი!

ბენზინისა და ზეთის ბაკები დამსხვრეულია. წყლის რეზერვუარებიც. ქვიშამ ყველაფერი შეისრუტა. დაჭეჭყილ თერმოსში ნახევარი ლიტრი ყავაღა დარჩენილა, მეორეში — ლიტრის მეოთხედი თეთრი ღვინო. მათ ერთმანეთში ვურევთ. მივაგენით აგრეთვე, ცოტა ყურძენსა და ერთ ფორთოხალს. მაგრამ მე ჩემთვის ვანგარიშობ: უდაბნოში, მზის გულზე ხუთი საათის გზა და — მთელი ეს მარაგიც გათავდება...

დილამდე კაბინაში ვეწყობით. ვწვები, დაძინება მინდა. ძილის წინ ყოველივეს ვაჯამებ: სრულიად გაურკვეველია, სადა ვართ. ერთი ლიტრი სასმელიც კი არა გვაქვს. პირდაპირი გზიდან თუ ძალიან არ გადავუხვიეთ, გვიპოვიან რვა დღის შემდეგ; ამაზე ადრე — ფიქრიც ზედმეტია. რვა დღე კი ძალზე ბევრია. თუ ქარმა გზიდან უფრო განზე გაგვიყვანა, ექვს თვეზე ადრე ვერავინ მოგვაგნებს. თვითმფრინავების იმედზე ყოფნა უაზრობაა: ჩვენ დაგვიწყებენ ძებნას სამი ათასი კილომეტრის რადიუსით.

— ეჰ! საწყენია... — ამბობს პრევო.

— რა?

— ჯობდა, ერთბაშად გათავებულიყო ყველაფერი...

მაგრამ არ ღირს ბრძოლაზე ასე მალე ხელის აღება. გულს ვიმაგრებთ. არ შეიძლება საბოლოოდ დავკარგოთ ჰაერიდან სასწაულებრივი ხსნის იმედი. არც ის შეიძლება, რომ ერთ ადგილზე ვისხდეთ: ვინ იცის, იქნებ სადმე ახლოს ოაზისი აღმოვაჩინოთ. მთელი დღე მის ძებნაში ვიქნებით, საღამოს კი თვითმფრინავთან მოვბრუნდებით. წასვლის წინ ქვიშაზე უზარმაზარი ასოებით აღვნიშნავთ ჩვენს მარშრუტს.

მე მოვიკუნტე და ძილს მივეცი თავი. მიხარია, რომ დაძინება შემიძლია. დაქანცულობას სიზმრებში გადავყავარ. მე მარტო არა ვარ უდაბნოში: ნახევრად ბურანში წასულს მესმის რაღაც ხმები, თავს მეხვევიან მოგონებები, ყურში ჩამესმის ნდობით სავსე ჩურჩული. ჯერ არა ვგრძნობ მტანჯველ წყურვილს, კარგად ვარ. ძილისკენ ისე ვისწრაფვი, როგორც თავგადასავლისაკენ. სინამდვილე ზმანებებს უთმობს ადგილს...

ეჰ! გათენებასთან ერთად ყველაფერი შეიცვალა!

4.

მე ძალიან მიყვარდა საჰარა. არაერთხელ გამიტარებია ღამე ურჩი ტომების რაიონში. არაერთხელ გამღვიძებია თვალუწვდენელ ოქროსფერ სივრცეებში, სადაც ქარი ისე მიერეკებოდა სილის ჭავლებს, როგორც მიერეკება ხოლმე ტალღებს ზღვაზე. წინათ, ჩემი თვითმფრინავის ფრთის ქვეშ მიძინებულს, ყოველთვის მქონდა მაშველის იმედი. მაგრამ განა შეიძლება ახლანდელი მდგომარეობის შედარება რაიმესთან?..

ჩვენ ციცაბო ფერდობებზე მივეხეტებით. ქვიშიანი ნიადაგი შავი პრიალა ქვებითაა დაფარული. ეს ქვები ლითონის ქერცლს მოგვაგონებს და ჩვენ გარშემო ყველა გორაკი მუზარადივით ელავს. ჩვენ მოვხვდით მინერალების სამყაროში. ირგვლივ ფოლადის ჯავშნის პეიზაჟია.

გადაივლი გორაკს და იქით ასეთივე ელვარე შავი თხემი დაგხვდება. მივდივართ და თან ფეხით მიწას ვხვეტთ, რომ უკან დასაბრუნებლად კვალი დავტოვოთ. პირდაპირ მზისკენ მივემართებით. ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ, მე გადავწყვიტე ვიაროთ აღმოსავლეთის მიმართულებით, თუმცა ყველაფერი — მეტეოროლოგიური მონაცემები, ფრენის ხანგრძლივობა —მაფიქრებინებს, რომ ნილოსი უკვე გადავკვეთეთ. ერთი პირობა შევეცადე, გეზი დასავლეთისკენ ამეღო, მაგრამ მაშინვე რაღაც გაურკვეველმა შიშმა შემიპყრო. ამიტომ დასავლეთისკენ წასვლა ხვალისთვის გადავდე. ჩრდილოეთის მიმართულება, თუმცა მას ზღვისკენ მივყავართ, ჯერჯერობით უკუვაგდე. სამი დღის შემდეგ, როცა ნახევრად გონდაკარგულები გადავწყვეტთ, საბოლოოდ დავტოვოთ თვითმფრინავი და ვიაროთ წინ, სანამ არ დავეცემით, ჩვენ კვლავ აღმოსავლეთისკენ ვიზამთ პირს. უფრო სწორად, აღმოსავლეთჩრდილოაღმოსავლეთისაკენ. და ეს გადაწყვეტილება მოკლებული იქნება ყოველგვარ ლოგიკას. უკვე სამშვიდობოს გასულები დავრწმუნდებით, რომ თურმე ვერც ერთი სხვა მიმართულება ვერ გვიხსნიდა, რადგან ჩვენ მეტისმეტად მოქანცულები ვიყავით იმისათვის, რომ ჩრდილოეთით წასულებს ზღვისთვის მიგვეღწია. შეიძლება ეს ახირებულობაც იყოს, მაგრამ ახლა მეჩვენება: რაკი არ გაგვაჩნდა არავითარი მონაცემი, რომელსაც შეეძლო ჩვენს გადაწყვეტილებაზე ემოქმედა, აღმოსავლეთის მიმართულება ავირჩიე მხოლოდ იმის გამო, რომ მან გადაარჩინა ჩემი მეგობარი გიომე ანდებში, სადაც მე ასე დაჟინებით ვეძებდი მას. ეს მიმართულება ქვეშეცნეულად ჩემი ცხოვრების მიმართულებად იქცა.

ხუთი საათის სიარულის შემდეგ ლანდშაფტი იცვლება. ველის სიღრმეში თითქოს ქვიშის ნიაღვარი მოედინება. ვეშვებით ველზე. მივაბიჯებთ სწრაფად. უნდა წავიდეთ რაც შეიძლება შორს და, თუ ვერაფერს ვიპოვით, უნდა მოვასწროთ დაბრუნება დაღამებამდე. ერთბაშად ვჩერდები:

— პრევო!

— რა?

— კვალი...

ნეტა რამდენი ხანია, რაც ასე მივაბიჯებთ და გვავიწყდება, რომ კვალი უნდა დავტოვოთ? თუ კვალს ვერ ვიპოვით, დავიღუპეთ!

ვბრუნდებით უკან და ვუხვევთ მარჯვნივ. კარგა მანძილის გავლის შემდეგ ჩვენი ახლანდელი მიმართულების პერპენდიკულარულად შემოვტრიალდებით და გადავკვეთთ ჩვენ მიერ ადრე დატოვებულ კვალს.

ამ ყულფის შეკვრის შემდეგ კვლავ გზას განვაგრძობთ. სიცხე მატულობს, ჩნდება მირაჟები, ჯერ — სულ მარტივი მირაჟები: დიდი ტბები, რომლებიც ჩვენი მიახლოებისთანავე ქრებიან. ვიღებთ გადაწყვეტილებას — გადავჭრათ ქვიშის ველი და ავიდეთ ყველაზე მაღალ გუმბათზე, რომ თვალი მოვავლოთ მიდამოს. ექვსი საათია, რაც გზაში ვართ, ასეთი ნაბიჯით ალბათ უკვე ოცდათხუთმეტი კილომეტრი გავიარეთ. ავდივართ შავი გორაკის წვერზე და ჩუმად ვსხდებით. ჩვენ ქვემოთ ქვიშის ნაკადი ეშვება ქვიშის ზღვაში, რომელშიც ერთი ქვაც კი არ ურევია და თვალისმომჭრელად თეთრად ელვარებს. მზერა უდაბურ სივრცეებში იკარგება. მაგრამ ჰორიზონტზე სინათლის თამაში წარმოშობს ამაღელვებელ მირაჟებს: ციხესიმაგრეებს, მინარეთებს, ვერტიკალურ ხაზებიან გეომეტრიულ ფორმებს. ვამჩნევთ, აგრეთვე, მუქ ლაქას, რომელიც მცენარეულ საფარს წააგავს. მაგრამ მის თავზე ჩამოწოლილა ერთი იმ ღრუბელთაგანი, რომლებიც დღისით იშლებიან და საღამოსათვის ისევ გროვდებიან. ცხადია, ეს მხოლოდ ბოლქვა ღრუბლების ჩრდილია.

აღარ ღირს წინ წასვლა: ეს გზა არაფერს გვპირდება. უნდა დავბრუნდეთ თვითმფრინავთან, ჩვენს თეთრწითელ ტივტივასთან. ვინ იცის, იქნებ შეამჩნიონ ამხანაგებმა. და თუმცა ჩვენი მოძებნის იმედი ნაკლებად მაქვს, მაინც იგი მეჩვენება ხსნის ერთადერთ საშუალებად. მთავარი კი ის არის, რომ თვითმფრინავთან დავტოვეთ სასმელის უკანასკნელი წვეთები, ჩვენთვის კი სრულიად აუცილებელია რაიმეს დალევა. უნდა დავბრუნდეთ იმისათვის, რომ ვიცოცხლოთ. ჩვენ გარშემო შეკრულია რკინის სალტე, ჩვენ ვსარგებლობთ მხოლოდ წამიერი თავისუფლებით, — ჩვენ წყურვილის ტყვეები ვართ.

მაგრამ რა ძნელია უკან დაბრუნება მაშინ, როცა შეიძლება წინ სიცოცხლე გელოდეს! იქ, მირაჟების მიღმა, სივრცე შეიძლება სავსე იყოს ნამდვილი ქალაქებით, მტკნარი წყლის არხებითა და მდელოებით. მე ვიცი, რომ ყველაზე გონივრულია უკან დაბრუნება. და მაინც, როცა საჭის ასეთ საშინელ შეტრიალებას ვბედავ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ფსკერისაკენ ვეშვებოდე.

თვითმფრინავის გვერდით ვწევარ. უკვე სამოცი კილომეტრი მოვიარეთ და გავანადგურეთ სასმელის უკანასკნელი მარაგი. ავარიის ადგილიდან აღმოსავლეთით ვერაფერი აღმოვაჩინეთ და არც ერთ ამხანაგს არ გადაუფრენია ჩვენს თავზე. ნეტავ კიდევ რამდენ ხანს გავძლებთ? ჩვენ უკვე ისე საშინლად გვწყურია...

დიდი კოცონის გასაჩაღებლად დამტვრეული ფრთის ნამსხვრევები მოვაგროვეთ, მოვამზადეთ ბენზინი და მაგნეზიის ფურცლებიც, რომლებიც თეთრი, კაშკაშა ალით იწვის. კოცონის დასანთებად სრულ სიბნელესღა ველოდებით. მგარამ სად არიან ადამიანები?

კოცონის ალი ცასა სწვდება. სასოებით შევყურებთ ჩვენი სასიგნალო ცეცხლის ენებს უდაბნოში. ვუმზერთ, როგორ იფურჩქნება ღამეში ჩვენი გასხივოსნებული, უხმო სიგნალი, და ვფიქრობ, რომ იგი მხოლოდ სასოწარკვეთილ ძახილს კი არ გამოხატავს, არამედ გამოხატავს სიყვარულსაც. ჩვენ, მართალია, ვთხოულობთ წყალს, მაგრამ ვთხოულობთ ჩვენთან კავშირის დამყარებასაც. დაე, სხვა ცეცხლიც აენთოს ღამეში. მხოლოდ ადამიანები ფლობენ ცეცხლს, — დაე, გვიპასუხონ მათ!

მე თვალწინ მიდგას ცოლის თვალები. მე ვხედავ მხოლოდ ამ თვალებს. ისინი მევედრებიან. მე თვალწინ მიდგას ყველა იმათი თვალები, რომლებისთვისაც მე ალბათ ძვირფასი ვარ. თვალები მევედრებიან. მზერათა მთელი გუნდი მსაყვედურობს დუმილისათვის. მე ვპასუხობ! მე ვპასუხობ! მე ვპასუხობ, როგორც შემიძლია. მე არ ძალმიძს ამაზე მეტად გავაცხოველო ეს ცეცხლი ღამეში!

მე გავაკეთე, რაც კი შემეძლო. ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შეგვეძლო: ვიარეთ სამოცი კილომეტრი თითქმის უწყლოდ. ახლა უკვე წვეთსაც ვეღარ დავლევთ. განა ჩვენი

ბრალია, რომ არ შეგვიძლია დიდხანს ლოდინი? აქედან დაძვრა ფიქრადაც არ მოგვივიდოდა, მათარაში რომ რაიმე გვეგულებოდეს. მაგრამ იმ წამიდან, როცა ჭიქა ძირამდე დავცალე, საათმა დროის ჩამომარცვლა დაიწყო. იმწამსვე, როგორც კი უკანასკნელი წვეთი გამოვსრუტე, დაქანებულ ზედაპირზე დავგორდი. განა დამნაშავე ვარ, თუ დრო, როგორც მჩქეფარე ნაკადი, ისე მიმაქანებს? პრევო ტირის. დასამშვიდებლად მხარზე ხელის დაკვრით ვეუბნები:

— ვიღუპებით და დავიღუპოთ...

იგი მპასუხობს:

— ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე საკუთარ თავს დავტირი?

ო, რა თქმა უნდა, მე უკვე აღმოვაჩინე ეს ჭეშმარიტება: ყველაფრის ატანა შეიძლება. ხვალ და ზეგ მე საბოლოოდ დავრწმუნდები, რომ ნამდვილად ყველაფრის ატანა შეიძლება. მე მხოლოდ ნახევრად მჯერა, რომ ტანჯვა არსებობს. ეს აზრი ადრეც მომსვლია. ერთხელ თვითმფრინავის კაბინიდან ვეღარ გამოვედი და მეგონა, ვიხრჩობოდი. ტანჯვით კი მაინცდამაინც არ ვიტანჯებოდი. რამდენჯერ კინაღამ კისერი მომიტეხავს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ტოვებდა ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. არც ახლა მივცემივარ სასოწარკვეთილებას. ამ განცდასთან დაკავშირებით ხვალ კიდევ უფრო უცნაურ ამბებს აღმოვაჩენ. თუმცა მე აქ ამოდენა კოცონი გავაჩაღე, ღმერთია მოწამე, ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი, რომ ჩემით მივაღწევ ადამიანებამდე.

`ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე საკუთარ თავს დავტირი?..~ დიახ, დიახ, სწორედ ეს არის აუტანელი. საკმარისია, დავინახო მოლოდინით სავსე თვალები, რომ თითქოს გახურებული შანთი მომადესო, მინდა წამოვხტე და გავიქცე იქით, სადაც შველას თხოულობენ, სადაც იხრჩობიან.

აქ ადგილი აქვს როლების საოცარ შენაცვლებას. მართალია, პირადად მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ ამაში მაინც პრევომ დამარწმუნა. გამოდის, რომ არც პრევო განიცდის სიკვდილის პირისპირ

შეხვედრისას იმ საშინელ ძრწოლას, რომლითაც ასე გამოგვიჭედეს ყურები. და მაინც არის რაღაც ისეთი, რომლის ატანა არც მას შეუძლია და არც მე.

ო! მე თანახმა ვარ დავიძინო, დავიძინო ერთი ღამით ან საუკუნოდ. როცა იძინებ, არავითარ განსხვავებას აღარ გრძნობ დროში. და მერე რად ღირს ეს სიმშვიდე! მაგრამ კივილი, რომელიც გააპობს სივრცეს იქ, ის საშინელი სასოწარკვეთილება... არ შემიძლია ამ სურათის ატანა. არ შემიძლია გულხელდაკრეფილი ვუყურებდე, როგორ მიდიან ფსკერისაკენ! ჩემი დუმილის ყოველი წამი მომაკვდინებელია მათთვის, ვინც მიყვარს. ბრაზი მერევა: რატომ ვარ ასე შებოჭილი, რატომ არ შემიძლია მივეშველო მათ, ვინც იხრჩობა? რატომ არ მოჰფენს ეს ცეცხლი ჩვენს ძახილს მთელს ქვეყანას? მოითმინეთ! ჩვენ მოვდივართ!.. ჩვენ მოვდივართ!.. ჩვენ გიხსნით თქვენ!

მაგნეზია დაიწვა და ჩვენი კოცონი წითელ ფერს იღებს. დარჩა მხოლოდ მიფერფლილი ნაკვერჩხლების პაწია გროვა და ჩვენ ვთბებით მასთან. ჩვენი სასიგნალო ცეცხლი ჩაქრა. რა გამოძახილი ჰპოვა მან სამყაროში? ო! ვიცი, არავითარი გამოძახილი მას არ გამოუწვევია. ეს იყო ვედრება, რომლის გაგონებაც არავის შეეძლო.

კეთილი. დავიძინებ მაინც.

5.

გათენებისას ფრთიდან ძონძით ზეთსა და საღებავში არეული ცოტაოდენი ნამი მოვაგროვეთ და გულისრევით დავლიეთ. ესეც კარგი იყო, ტუჩები მაინც გავისველეთ. ამ `წაქეიფების~ შემდეგ პრევომ მითხრა:

— საბედნიეროდ, რევოლვერი მაინც გვაქვს.

მე უეცარი გაღიზიანება ვიგრძენი და მწყრალად შევხედე. ესღა მაკლდა, გული ასჩუყებოდა. ჩემთვის ახლა აუცილებელია იმის შეგნება, რომ ყველაფერი უბრალოდ ხდება. უბრალოდ იბადებიან. უბრალოდ იზრდებიან. უბრალოდ კვდებიან წყურვილისგან.

შეუმჩნევლად ვადევნებ თვალყურს პრევოს. მზად ვარ, თუკი დამჭირდა, მის თავმოყვარეობასაც კი შევეხო, რომ გავაჩუმო. მაგრამ პრევო მელაპარაკება სრულიად მშვიდად, თითქოს მხოლოდ ჰიგიენის საკითხს ეხებოდეს, თითქოს უბრალოდ ამბობდეს: `კარგი იქნებოდა, ხელები დაგვებანა~. მაშასადამე, არაფერი გვაქვს სადავო. ის, რაც პრევომ აღნიშნა, მე თვითონაც ვიფიქრე გუშინ, როცა რევოლვერის ბუდე მომხვდა თვალში. მე ვფიქრობდი ამაზე სრულიად მშვიდად, აუღელვებლად. მაღელვებს მხოლოდ ის, რაც დაკავშირებულია სხვა ადამიანებთან. მაღელვებს ჩვენი უძლურება — დავამშვიდოთ ისინი, ვისდამი პასუხისმგებლობაც გვაკისრია, რევოლვერი კი სრულიად არ მაღელვებს.

ჩვენ ჯერ კიდევ არ გვეძებენ ან გვეძებენ იქ, სადაც არ უნდა გვეძებდნენ; შესაძლოა, არაბეთში. ყოველ შემთხვევაში, მეორე დღემდე ჩვენ არც ერთხელ არ გაგვიგონია მოტორის ხმა. ამასობაში კი უკვე მივატოვეთ ჩვენი თვითმფრინავი და, როცა სადღაც შორს ერთადერთმა თვითმფრინავმა გადაიფრინა, მას ჩვენში არავითარი გრძნობები არ აღუძრავს. ჩვენ, ამ შავ წერტილებს უდაბნოს მრავალ შავ წერტილს შორის, არ შეგვეძლო იმედი გვქონოდა, რომ შეგვამჩნევდნენ. შემდგომში მე მომაწერეს რაღაც მტანჯველი ფიქრები ამ ამბის გამო. არ არის მართალი, არავითარი ტანჯვა არ განმიცდია. მე მეჩვენებოდა, რომ ჩვენი მძებნელი თვითმფრინავები სადღაც სხვა სამყაროში იყვნენ.

იმისათვის, რომ უდაბნოში იპოვო თვითმფრინავი, საჭიროა თხუთმეტი დღე — ისიც მაშინ, თუ იცი, რომ მისი ადგილსამყოფელი დაახლოებით სამი ათასი კილომეტრის ფარგლებშია. ჩვენ ალბათ გვეძებენ ყველგან — ტრიპოლიტანიიდან ირანამდე. მიუხედავად ამისა, დღეს მე ჯერ კიდევ მაქვს მცირე იმედი, მეტი რა გზაა! ვცვლი ტაქტიკას და გადაწყვეტილებას ვიღებ — მარტო წავიდე დასაზვერად. თუ ჩემს აქ არყოფნაში ვინმე გამოჩნდება, პრევო კოცონს დაანთებს. მაგრამ ვინ უნდა გამოჩნდეს!

ამგვარად, მივდივარ და არც კი ვიცი, მეყოფა თუ არა ძალა უკან დასაბრუნებლად. ვიხსენებ ყველაფერს, რაც კი ვიცი ლიბიის უდაბნოზე. საჰარაში ჰაერის ტენიანობა ორმოც პროცენტს აღწევს, აქ კი იგი თვრამეტამდე ეცემა. და სიცოცხლეც ორთქლივით

ტოვებს სხეულს. ბედუინები, მოგზაურები, კოლონიალური ჯარების ოფიცრები ირწმუნებიან, რომ უწყლოდ გაძლება მხოლოდ ცხრამეტ საათს შეიძლება. ოცი საათის შემდეგ თვალების ბრჭყვიალი იწყება და დგება აღსასრული. წყურვილი ელვისებურად სპობს ადამიანს.

მაგრამ ჩრდილოაღმოსავლეთის ქარი, ეს არაჩვეულებრივი ქარი, რომელმაც ასე მოგვატყუა და სრულიად მოულოდნელად ზეგანს მიგვაჯაჭვა, ახლა სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს. ნეტავ რამდენი ხნით გადასწევს იგი იმ დროს, როცა თვალები პირველად აგვიბრჭყვიალდება.

ამგვარად, მივდივარ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ნავით ოკეანეში შეცურებას ვაპირებდე.

და მაინც, მზის ამოსვლის წყალობით, გარემო ნაკლებ პირქუში მეჩვენება. მე ჯერ უსაქმურივით ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მივდივარ. გუშინ საღამოს რაღაც უცნაურ სოროებთან რამდენიმე მახე დავაგეთ და ჩემში ბრაკონიერმა გაიღვიძა. ახლა, პირველ ყოვლისა, მახეების დასათვალიერებლად მივდივარ: ისინი ცარიელია.

როგორც ჩანს, სისხლის დალევის საშუალებაც კი არ მოგვეცემა. სიმართლე რომ ითქვას, ამის იმედი არცა მქონდა.

და მაინც ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ: პირიქით, თავში ერთი კითხვა მიტრიალებს: ნეტავ რით ცხოვრობენ ცხოველები ამ უდაბნოში? ეს ალბათ `ფენეკებია~, პატარა, ბოცვერისოდენა, დიდყურა, ხორციჭამია ქვიშის მელიები. არ შემიძლია წინ აღვუდგე სურვილს და არ გავყვე ერთერთი მათგანის კვალს. მას მივყავარ ქვიშის არცთუ ისე ფართო ნაკადთან, რომელზეც მკვეთრად არის აღბეჭდილი ნაკვალევი. ვტკბები პალმის ამ ლამაზი ფოთლით — სამი, მარაოსავით გაშლილი თითის ანაბეჭდით. წარმომიდგენია, განთიადისას როგორ მოცუნცულებდა აქ ის ეშმაკი და თან ქვებზე ნამს ლოკავდა. უეცრად მანძილი ნაკვალევთა შორის იზრდება. ჩემი ფენეკი გაქცეულა. აქ კი ის თავის ნათესავს შეხვედრია და მათ ერთად გაუგრძელებიათ გზა. უცნაური

სიამოვნებით ვადევნებ თვალყურს ამ დილის გასეირნებას. სიცოცხლის ნიშნები მახარებს და ცოტათი მავიწყებს წყურვილს...

მაგრამ აი ბოლოს ვუახლოვდები ჩემი მელიების სურსათის საწყობებს. ისინი ოდნავ ასცილებიან ქვიშას და ასასი მეტრით თუ იქნებიან ერთმანეთისგან დაშორებული. ეს საწყობები ერთი ციცქნა, ჯამისტოლა ხმელი ბუჩქებია, რომლებსაც ზედ ოქროსფერი ლოკოკინები ჰკიდია. განთიადისას ფენეკი პროდუქტისთვის მიდის ხოლმე და აი აქ წავაწყდი ბუნების კიდევ ერთ დიდ საიდუმლოებას.

ჩემი ფენეკი ყოველ ბუჩქთან როდი ჩერდება. იგი უგულებელყოფს ზოგიერთ მათგანს, თუმცა მათზეც ლოკოკინები ჰკიდია. ზოგიერთ ბუჩქს ფრთხილად უქცევს გვერდს, ზოგთან ახლოს მიდის, მაგრამ კი არ აცარიელებს: შეაცლის ორსამ ნიჟარას და სხვა რესტორანში გადაინაცვლებს.

რატომ სჩადის ამას ფენეკი — შიმშილს ეთამაშება? იქნებ არ უნდა, ერთბაშად დანაყრდეს, რომ დილის ეს სასიამოვნო გასეირნება გაიხანგრძლივოს? არა მგონია. მისი თამაში მეტისმეტად შეესაბამება აუცილებლობას. ფენეკი რომ პირველივე ბუჩქთან იკლავდეს შიმშილს, იგი მას ორსამ გზობაზე გაწმენდდა ცოცხალი ტვირთისაგან და ასე — ბუჩქიდან ბუჩქამდე — იგი მთლიანად გაანადგურებდა თავის სანერგეს. მაგრამ ფენეკი გაურბის ყველაფერს, რაც კი ხელს უშლის გამრავლებას. ამიტომ იგი დაახლოებით ასი ყავისფერი ბუჩქიდან ღებულობს საკვებს ყოველი ტრაპეზისათვის, და ამავე დროს, არასოდეს აძრობს ერთბაშად ორ ლოკოკინასაც კი, თუკი ისინი ერთ ტოტზე სხედან ერთმანეთის გვერდით. ყველაფერი ხდება ისე, თითქოს ფენეკს ესმოდეს, რას აკეთებს. მართლაც, ხომ საკმარისი იქნებოდა მისი ერთი ხეირიანი გაძღომა წინასწარი ზომების მიუღებლად, რომ ლოკოკინების სინსილა გამქრალიყო. ლოკოკინებთან ერთად კი დაუყოვნებლივ მოისპობოდნენ ფენეკებიც.

ნაკვალევით ისევ სოროს ვუბრუნდები. ფენეკი ახლა იქაა და ალბათ შეძრწუნებული უგდებს ყურს ჩემი ნაბიჯების ხმას. მე კი ვეუბნები მას: `ჩემი საქმე ხომ გათავებულია, მელიკო. მაგრამ აი, რა არის უცნაური: ამან მაინც არ შემიშალა ხელი, რომ შენი საქციელით დავინტერესებულიყავი...~

მე ვუფიქრდები ამ ამბავს და მეჩვენება, რომ შეგუება ყველაფერთან შეიძლება. ადამიანის ბედნიერებას ხომ არ ჩრდილავს ის აზრი, რომ შეიძლება ოცდაათიოდე წლის შემდეგ მოკვდეს. ოცდაათი წელი თუ სამი დღე... ეს მხოლოდ პერსპექტივის საკითხია.

მაგრამ უკეთესია, ზოგიერთი რამ არც წარმოიდგინო...

განვაგრძობ გზას, ჩემში რაღაც შეიცვალა, — დაღლილობას თავისი გააქვს. თუმცა მირაჟები არ არის, მაგრამ მე მათ თვითონ ვიგონებ...

— ჰეჰეჰეჰეი!

ვყვირი ხელებაწეული, მაგრამ ადამიანი, რომელიც იქ, ჩემ პირდაპირ, თითქოს ხელებს იქნევდა, შავი კლდე ყოფილა. თითქოს ყველაფერი გამოცოცხლდა უდაბნოში. ის იყო, ბედუინის გაღვიძება დავაპირე, რომ იგი გარუჯულ ხედ იქცა. ხე? მისი აქ ყოფნა გასაოცარია. ვიხრები, მინდა ავიღო მოტეხილი ტოტი, — იგი მარმარილოსია! ვსწორდები და ირგვლივ ვიყურები; ყველგან შავ მარმარილოს ვხედავ. ჩემ გარშემო დედამიწა ადამისდროინდელი ტყის ნაჩეხი ხეებითაა დაფარული. ეს ტყე ასეული ათასი წლის წინ გაანადგურა პირველადქმნილმა გრიგალმა და იგი ტაძარივით ჩამოიმზღვლა. საუკუნეებმა ჩემამდე მოაგორეს ეს გიგანტური, მელნისფერი სვეტების ნამსხვრევები, — ფოლადივით პრიალა, გაქვავებული, მინად ქცეული. მე მათ ჯერ კიდევ ვამჩნევ განტოტების ადგილებს, ჯერ კიდევ ვხედავ სიცოცხლის თრთოლას და შემიძლია დავითვალო ხის წლიური რგოლები. ამ ტყეს, ოდესღაც ჩიტების გამაყრუებელი ჭიკჭიკით სავსეს, ეტყობა, უეცრად თავს დაატყდა თავზარდამცემი წყევლა და გააქვავა იგი. მე ვგრძნობ, როგორ მტრულად შემხვდა ეს ლანშაფტი. ვგრძნობ, რომ არ შემივრდომებენ ამ გორაკთა რკინის ჩაჩქნებზე უფრო ჩაშავებული ეს დიდებული ნაშთები. ან კი ვის ვჭირდები მე, ცოცხალი ადამიანი, ამ უბერებელ მარმარილოთა შორის? ვის ვჭირდები აქ ჩემი მოკვდავი სხეულით, რომელიც, სადაც არის მტვრად იქცევა? ვის ვჭირდები აქ, მარადიულობის ამ ძეგლთა შორის?

გუშინდელს აქეთ უკვე ოთხმოცამდე კილომეტრი გავიარე. წყურვილისაგან თუ მაქვს ასეთი თავბრუსხვევა, ან შეიძლება მზისგან. მზე იწვის ამ თითქოს მომინანქრებულ, გაქვავებულ ხეებზე. იგი იწვის სამყაროს ამ ჯავშანზე, აღარ არის აქ აღარც ქვიშა, აღარც მელიები. არის მხოლოდ ერთი გიგანტური გრდემლი. მივჩანჩალებ ამ გრდემლზე და ვგრძნობ, როგორ მიხვრეტს მზე თავის ქალას. აგერ იქ...

— ჰეჰეჰეჰეი!

— ნუ ღელავ, იქ არაფერი არ არის. ეს მხოლოდ ბოდვაა.

ასე ველაპარაკები საკუთარ თავს, მოვუხმობ ჩემს საღ გონებას. რა ძნელია, არ უჯერებდე შენსავე თვალებს. რა ძნელია, თავი შეიკავო და არ დაედევნო ქარავანს, რომელიც მიდის იქ... აგერ იქ... ხედავ?!

— სულელო, შენ მშვენივრად იცი, რომ ყველაფერი ეს თვითონვე მოიგონე...

— მაშასადამე, ქვეყნად არაფერი ყოფილა რეალური.

არა, არაფერია ისე რეალური, როგორც ის ჯვარი, აი იმ გორაკზე, ჩემგან ოცი კილომეტრის მოშორებით რომ მოჩანს! ჯვარი თუ შუქურა...

მაგრამ ზღვა ხომ იქით არ არის. მაშ, შუქურა კი არა, ჯვარი უნდა იყოს. წუხელ მთელი ღამის განმავლობაში რუკას ვსწავლობდი. ეს უშედეგო შრომა იყო, რადგან არ ვიცოდი, სად ვიმყოფებოდი. და მაინც ყურადღებით ვაკვირდებოდი რუკაზე ყველა წერტილს, რომელიც კი ადამიანის სამყოფელზე მიმანიშნებდა. ერთგან პატარა წრე შევამჩნიე და მის თავზე — აი ასეთივე ჯვარი. მაშინვე ცნობარში ჩავიხედე და ამოვიკითხე: `რელიგიური დაწესებულება~. ჯვრის გვერდით შავი წერტილი შევნიშნე. ერთხელ კიდევ ჩავიხედე ცნობარში და წავიკითხე: `მუდმივი ჭა~. გულმა ბაგაბუგი დამიწყო და მე ხელახლა წავიკითხე, ახლა უკვე ხმამაღლა: მუდმივი ჭა... მუდმივი... მუდმივი... რა მოსატანია ალიბაბა, თავისი უთვალავი საუნჯით, მუდმივ ჭასთან? ცოტა უფრო ქვემოთ ორი თეთრი წრე შევამჩნიე და ცნობარში ამოვიკითხე: `დროდადრო მოქმედი ჭა~. ეს უკვე აღარ იყო ისეთი ბრწყინვალე რამ. ირგვლივ კი არაფერი ჩანდა, არაფერი.

აი ის რელიგიური დაწესებულებაც! ბერებს გორაკზე დიდი ჯვარი დაუდგამთ, რომ ხიფათში ჩავარდნილთ გზა მიასწავლონ! მე მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ მისკენ გავეშურო. ისღა დამრჩენია, რომ ამ დომინიკელებამდე მივაღწიო...

— მაგრამ ლიბიაში ხომ მხოლოდ კოპტთა მონასტრები არსებობს!

— ოღონდ კი მივაღწიო ამ თადარიგიან დომინიკელებს... მათ შესანიშნავი, წითელი ფილებით მოპირკეთებული გრილი სამზარეულო აქვთ, ეზოში კი წყლის მშვენიერი დაჟანგული საქაჩი. ხოლო დაჟანგული საქაჩის ქვეშ, დიახ, დაჟანგული საქაჩის ქვეშ, — ო, თქვენ ამას ვერასოდეს მიხვდებით... — დაჟანგული საქაჩის ქვეშ კი — მუდმივი ჭა! ოჰ, ღმერთო! რა ამბავი შეუდგებათ, როცა კარზე მივადგები, როცა მათი კარის ზარს ჩამოვკრავ ხელს...

— სულელო, შენ აღწერ პროვანსის ერთერთ სახლს, სადაც, თუ გახსოვს, მუდმივ კარზე არავითარი ზარი არ არის!

— ... და როცა ჩამოვკრავ ზარს, მეკარე ხელებს ზეცისკენ აღაპყრობს და შესძახებს: `თქვენ ზენაარისაგან ხართ წარმოგზავნილი!~ მაშინვე მოუხმობს მთელ ბერებს, რომლებიც მომცვივიან და აღტაცებით მიმიღებენ მე, როგორც საბრალო ბავშვს. ისინი შემიყვანენ სამზარეულოში და მეტყვიან:

`ერთი წუთი, მხოლოდ ერთი წუთი მოითმინე, შვილო ჩემო... ახლავე მუდმივ ჭაზე ჩავირბენთ...~

მე კი ბედნიერების თრთოლა ამიტანს...

მაგრამ არა, არაფრით ავტირდები მხოლოდ იმის გამო, რომ გორაკზე ჯვარი უკვე გაქრა.

დასავლეთის დაპირებები მტკნარი სიცურეა. პირდაპირ ჩრდილოეთისკენ ვიღებ გეზს.

ჩრდილოეთი, ყოველ შემთხვევაში, ზღვის სიმღერებით მაინც არის სავსე. ახლა, როცა ის ჯვრის მწვერვალი უკან მოვიტოვე, მე ვხედავ, რომ ჰორიზონტი ფართოვდება. აი ყველაზე მშვენიერი ქალაქიც მსოფლიოში!

— შენ შესანიშნავად იცი, რომ ეს მირაჟია...

ჰო, მე შესანიშნავად ვიცი, რომ ეს მირაჟია. მე თვალს ვერ ამიხვევ. მაგრამ თუკი მინდა ამ მირაჟით თავი მოვიტყუო? თუკი მინდა იმედი მქონდეს? თუკი მინდა მიყვარდეს ეს მზისგან აფერადებული ქალაქი თავისი დაკბილული კედლებით? თუკი მინდა პირდაპირ მისკენ ვიარო მტკიცე ნაბიჯით, მინდა იმიტომ, რომ აღარ ვგრძნობ დაღლილობას, იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ... პრევო თავისი რევოლვერით... რა სასაცილოა! მის რევოლვერს მე ჩემს გაბრუებას ვამჯობინებ. მე მთვრალი ვარ. მე წყურვილისგან ვკვდები!

ბინდმა გამომაფხიზლა. შეშინებული, რომ ასე შორს წავედი, უეცრად ვჩერდები: ბინდში მირაჟი დნება. ჰორიზონტმა დაკარგა მთელი თავისი დიდებულება, თავისი სასახლეები, თავისი სამოსელი. ახლა ეს უდაბნოს ჰორიზონტია.

— აბა, რას მიაღწიე ამ სიარულით? ღამე შთანგთქავს შენ და გათენებამდე მოგიხდება ლოდინი. ხვალისთვის კი შენი ნაკვალევი წაიშლება და ვეღარ გაარკვევ, სადა ხარ.

— ასეთ შემთხვევაში სჯობს პირდაპირ განვაგრძო სიარული... რაღა საჭიროა უკან გაბრუნება? აღარ მინდა საჭის მოტრიალება იმ მომენტში, როცა შესაძლოა უნდა მივდგომოდი... როცა უკვე ხელებს ვუწვდიდი ზღვას...

— აბა სად არის ზღვა? ზღვას შენ ვერასოდეს მიაღწევ. სამასამდე კილომეტრი მაინც გაშორებს მას. პრევო კი `სიმუნთან~ გელის! და ის შესაძლოა შენიშნა კიდეც რომელიმე ქარავანმა...

ჰო, დავბრუნდები, მაგრამ ჯერ ვეცდები, ხმა მივაწვდინო ადამიანებს.

— ჰეჰეჰეჰეი!

დალახვროს ეშმაკმა, რაც უნდა იყოს, ეს პლანეტა ხომ მაინც დასახლებულია!..

— ჰეჰეჰეჰეი! ადამიანებო!

ყელი ჩამეხლიჩა. ხმა აღარ მყოფნის. ვგრძნობ, რომ სასაცილო ვარ, როცა ასე ვყვირი... და მაინც თავიდან ვიწყებ:

— ადამიანებო!

ეს მაღალფარდოვნად და პრეტენციოზულად ჟღერს.

უკან ვბრუნდები.

ორი საათის სიარულის შემდეგ მე ვხედავ ცისკენ ავარდნილ ალს. ეს პრევოს სიგნალია, — ეშინია, არ დავიკარგო. ო! ჩემთვის კი ყველაფერი იმდენად სულელურია!..

კიდევ ერთი საათის სიარული. კიდევ ხუთასი მეტრი. კიდევ ასი. კიდევ ორმოცდაათი.

— ოო!

მეხდაცემულივით ვჩერდები. სიხარული მჩქეფარე ნიაღვარივით აწყდება გულს და ლამის გაანგრიოს. ცეცხლის ალით განათებული პრევო ესაუბრება ორ არაბს, რომლებიც ძრავას მიყრდნობიან. მას ჯერ კიდევ არ შევუმჩნევივარ. იგი მთლიანად შთაუნთქავს საკუთარ სიხარულს. ეჰ! მასავით რომ დავრჩენილიყავი და დავლოდებოდი... ახლა ტანჯვა უკვე დავიწყებულიც მექნებოდა! გახარებული ვყვირი:

— ეჰეეი!

ორივე ბედუინი წამოხტა და მიყურებს. პრევო თავს ანებებს მათ და მარტო მოდის ჩემს შესახვედრად. გაშლილი მკლავებით ვეგებები. პრევო ხელს მაშველებს. წავბარბაცდი თუ რა მომივიდა? ვეუბნები:

— როგორც იქნა!

— რაზე ამბობთ?

— არაბები!

— რომელი არაბები?

— აგერ ისინი, იქ რომ დგანან!

პრევო რაღაც უცნაურად შემომყურებს და, თითქოს თავისდა უნებურად არასასიამოვნო საიდუმლოს მიმხელსო, ისე მეუბნება:

— იქ არავითარი არაბები არ არიან...

ახლა კი ნამდვილად ავტირდები.

6.

აქ მხოლოდ ცხრამეტი საათი შეიძლება გაძლო უწყლოდ. ჩვენ კი აბა რა დავლიეთ გუშინდელ საღამოს აქეთ? — მხოლოდ რამდენიმე წვეთი დილის ნამი! მაგრამ ისევ ჩრდილოაღმოსავლეთის ქარი ქრის და სხეულის გამოფიტვას ცოტათი აფერხებს. იგი ღრუბლების წარმოშობას უწყობს ხელს მაღლა ცაში. ო! ღრუბლები რომ დაშვებულიყვნენ ქვევით, წვიმა რომ წამოსულიყო! მაგრამ უდაბნოში არასოდეს წვიმს.

— პრევო! პარაშუტი სამკუთხედებად დავჭრათ და მიწაზე ქვებით დავამაგროთ. დილას, თუ ქარი არ შეიცვალა, ტილოებს ბენზინის ბაკში ჩავწურავთ და ნამს შევაგროვებთ.

ვარსკვლავებქვეშ ექვსი თეთრი ტილო გავშალეთ. პრევომ თვითმფრინავს ბაკი მოგლიჯა. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ გათენებას დაველოდოთ.

თვითმფრინავის ნამსხვრევებს შორის პრევომ რაღაც სასწაულით ფორთოხალი იპოვა. შუაზე ვიყოფთ. მე აღტაცებული ვარ, მაგრამ სინამდვილეში ეს ხომ სულ უმნიშვნელო რამაა: ერთი ფორთოხალი მაშინ, როცა, სულ ცოტა, ოციოდე ლიტრი წყალი მაინც გვჭირდება!

ღამის კოცონთან წამოწოლილი, მე შევყურებ ამ სხივოსან ნაყოფს და ჩემთვის ვამბობ: `ადამიანებს არ ესმით, რა არის ფორთოხალი...~ და ვუმატებ: `ჩვენ, მართალია, განწირულები ვართ, მაგრამ ეს სრულიადაც არ მიკარგავს სიხარულის უნარს. ხელში

ჩაბღუჯული ფორთოხლის ნახევარი უდიდეს სიტკბოებას მანიჭებს...~ ვწვები ზურგზე, ვწუწნი ნაყოფს და ვითვლი მოწყვეტილ ვარსკვლავებს. და მთელი ერთი წუთის განმავლობაში მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. თან ვფიქრობ: `სანამ თვითონ არ გადაეყრები რაიმეს, ვერ მიხვდები, რა კანონები ამოძრავებენ ამ სამყაროს. მხოლოდ დღეს გავიგე, რას ნიშნავს სიკვდილმისჯილისთვის სიგარეტი და ერთი ჭიქა რომი. წინათ არ მესმოდა, როგორ შეუძლია სასიკვდილოდ განწირულ კაცს ამ უბადრუკი მოწყალების მიღება. თურმე ამაში ის დიდ სიამოვნებას პოულობს. და თუ ამ დროს იღიმება კიდეც, ფიქრობენ, ეს ვაჟკაცობით მოსდისო. სინამდვილეში კი მას ეღიმება მხოლოდ იმის გამო, რომ რომსა სვამს. ადამიანებმა არ იციან, რომ ამ კაცს თვალთახედვის კუთხე შეეცვალა და ამ უკანასკნელ ერთ საათში მან ადამიანის მთელი ერთი ცხოვრება მოათავსა.

ჩვენ აუარება წყალი შევაგროვეთ, თითქმის ორ ლიტრამდე. წყურვილს ბოლო მოეღო! გადავრჩით, წყალი გვექნება!

ბაკიდან ჭიქით წყალს ვიღებ. მას საუცხოო მოყვითალომომწვანო ფერი აქვს და პირველივე ყლუპს ისეთი საშინელი გემო აქვს, რომ, მტანჯველი წყურვილის მიუხედავად, ძალა არ შემწევს, ერთბაშად გადავკრა და ჭიქის დაცლამდე სულს ვიბრუნებ. ახლა მე ტალახსაც კი დავლევდი, მაგრამ ეს მოწამლული ლითონის გემო მაინც მეტისმეტია.

შევყურებ პრევოს, რომელიც დაბორიალებს და თან დედამიწას ისე ჩასჩერებია, თითქოს ეძებდეს რამეს. უეცრად ძირს იხრება და ღებინება ეწყება. ნახევარი წუთის შემდეგ ჩემი რიგი დგება. ისეთი გულისრევა მაქვს, რომ მუხლებზე ვეცემი და ხელებით სილას ვებღაუჭები. ხმას ვეღარ ვიღებ. თხუთმეტი წუთის განმავლობაში განუწყვეტელი სპაზმები გვტანჯავს და ნაღველს გვარწყევინებს.

გათავდა. გული ოდნავღა გვერევა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ უკანასკნელი იმედიც დაგვეკარგა. არ ვიცი, ამ მარცხის მიზეზი ბაკის კედლებზე დალექილი ოთხქლორიანი ნახშირბადია, თუ რაიმე შედგენილობა, რომლითაც გაჟღენთილი იყო პარაშუტი. კარგი იქნებოდა, სხვა ჭურჭელი და სხვა ტილო გვქონოდა.

რას ვიზამთ, უნდა ვიჩქაროთ! უკვე ინათა. უნდა გავუდგეთ გზას! უნდა დავტოვოთ ეს წყეული ზეგანი და ვიაროთ სულ წინ და წინ, ვიდრე არ დავეცემით. ვბაძავ გიომეს მაგალითს ანდებში მომხდარი ავარიის დროს; გუშინდელს აქეთ ბევრს ვფიქრობ მასზე. ჩვენი წასვლით მე ვარღვევ ინსტრუქციას, რომელიც გვავალებს, დავრჩეთ თვითმფრინავის ნამსხვრევებთან. მაგრამ აქ ჩვენ უკვე აღარ დაგვიწყებენ ძებნას.

ახლა უფრო ნათელი ხდება ჩემთვის, რომ ჩვენი ხომალდი კი არა, იმათი ხომალდი ჩაიძირა, ვინც გველის! იმათი ხომალდი, ვისაც ჩვენი დუმილი ემუქრება; იმათი, ვისაც გული უკვდება ამ საშინელი შეცდომის გამო. არ შეიძლება არ ვიჩქაროთ მათკენ. ანდებიდან დაბრუნების შემდეგ გიომეც მიამბობდა, როგორ მიიჩქაროდა იგი კატასტროფაში მოხვედრილთა საშველად! ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა.

— მარტო რომ ვიყო ქვეყანაზე, — ამბობს პრევო, — დავწვებოდი და აღარც გავინძრეოდი.

და ჩვენ მივდივართ აღმოსავლეთჩრდილოაღმოსავლეთისაკენ. თუ ნილოსს უკვე გადავუფრინეთ, მაშინ ყოველ ნაბიჯს მივყავართ უფრო და უფრო შორს, არაბეთის უდაბნოს გულისაკენ.

ამ დღის ამბები ჩემს მეხსიერებაში არ დარჩენილა. მახსოვს მხოლოდ, რომ ვჩქარობდი, რისკენაც გნებავთ, თუნდ — სიკვდილისაკენ. მაგონდება, რომ მივდიოდი მიწაზე თვალმიბჯენილი, რადგან თავი მომაბეზრეს მირაჟებმა. დროდადრო გეზს კომპასის მიხედვით ვასწორებდით. ზოგჯერ ვწვებოდით სულის მოსათქმელად. სადღაც მივაგდე ლაბადა, რომელსაც ღამისთვის ვუფრთხილდებოდი. ამის მერე ჩემს მეხსიერებაში უკვე ხარვეზია. მე შემიძლია თანმიმდევრულად გავიხსენო მხოლოდ ის, რაც მოხდა საღამოს

აგრილების შემდეგ. ყველაფერი, რაც იყო მანამდე, ქვიშაზე დატოვებული კვალივით წაიშალა.

მზის ჩასვლისას ვბედავთ შესვენებას. მე კარგად ვიცი, რომ გზის განგრძობა გვმართებს: ეს უწყლოდ გატარებული ღამე მთლად ბოლოს მოგვიღებს. მაგრამ ჩვენ თან პარაშუტის ნაჭრები წამოვიყოლეთ. თუ შედგენილობა, რომლითაც გაჟღენთილია პარაშუტი, საწამლავს არ შეიცავს, იქნებ ხვალ დილას წყურვილი მოვიკლათ. ვარსკვლავებქვეშ ერთხელ კიდევ უნდა დავუგოთ მახეები ცის ნამს.

მაგრამ ამ საღამოს ცა ჩრდილოეთის მხარეს მთლად მოწმენდილია. ქარის გემო შეიცვალა. შეიცვალა მისი მიმართულებაც. უდაბნოს ცხელი სუნთქვა უკვე შეგვეხო. მტაცებელი იღვიძებს! უკვე ვგრძნობ, როგორ გვილოკავს იგი ხელებსა და სახეს...

მაგრამ მე ათი კილომეტრის გავლაც კი აღარ შემიძლია. სამი დღის განმავლობაში ას ოთხმოც კილომეტრზე მეტი გავიარე უწყლოდ.

უეცრად, სწორედ იმ წამს, როცა შესვენება დავაპირეთ, პრევო ამბობს:

— ღმერთმანი, ტბაა!

— ხომ არ შეიშალეთ!

— განა შეიძლება ასეთ ბინდში მირაჟი იყოს?

არ ვპასუხობ. უკვე დიდი ხანია აღარ მჯერა ჩემი თვალებისა. შესაძლოა ეს მირაჟი არც არის, მაგრამ მაშინ იგი ჩვენი სიგიჟის ნაყოფია. როგორ შეუძლია პრევოს კიდევ სჯეროდეს ასეთი რამ?

პრევო ჯიუტობს:

— ოცი წუთის სავალზეა! წავალ ვნახავ...

მისი სიკერპე მაცოფებს:

— წადით, ნახეთ, გაისეირნეთ... ეს ძალზე სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. მაგრამ თუნდაც არსებობდეს ის თქვენი ტბა, გაიგეთ და შეიტყვეთ, — სულ ერთია, მლაშე იქნება. თუმცა, მლაშეა თუ არ არის მლაშე, სადღაც ეშმაკებშია გადაკარგული და, თუ სიმართლე გინდათ იცოდეთ, არც არსებობს.

პრევო კი მაინც მიდის და თან თვალს არ აშორებს თავის მიზანს. მე ვიცნობ ამ მიზიდულობის დაუძლეველ ძალას და ვფიქრობ: `არსებობენ მთვარეულები, რომლებიც აი ასევე უცვივდებიან ქვეშ მატარებელს~. მე ვიცი, რომ პრევო არ დაბრუნდება. ეს უსაზღვროება თავბრუს დაახვევს მას და ვეღარ შეძლებს უკან გამობრუნებას. ცოტა მოშორებით დაეცემა და ის იქით მოკვდება, მე — აქეთ. თუმცა ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!..

ეს ჩემი გულგრილობა არცთუ ისე კარგის ნიშანია. ერთხელ, როცა თითქმის ვიხრჩობოდი, ასეთივე სიმშვიდე განვიცადე. და მაინც ახლა ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ქვებზე გაშხლართულმა სიკვდილის წინ ანდერძი შევადგინო. ძალიან ლამაზი ანდერძი. ფრიად ღირსეული. სავსე ბრძნული დარიგებებით. გადაკითხვისას განვიცდი დაკმაყოფილებული პატივმოყვარეობის ბუნდოვან სიხარულს. მასზე იტყვიან: `რა შესანიშნავი ანდერძია! რა საწყენია, რომ მოკვდა!~

მინდა მაინც ვიცოდე, რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა. ვცდილობ, ნერწყვი შევაგროვო პირში: რამდენი ხანია უკვე აღარ გადამიფურთხებია. ნერწყვი აღარა მაქვს. პირს როცა ვკუმავ, ტუჩები რაღაც ლორწოთი ერთმანეთს ეწებება. ლორწო შრება და გარედან მაგარ ნაწიბურს ქმნის. მაგრამ ყლაპვას ჯერჯერობით მაინც ვახერხებ. თვალები ჯერ არ მიბრჭყვიალებს. როცა თვალები ამიბრჭყვიალდება, როცა თვალწინ დამიდგება ელვარე შარავანდედი, — ეს საუცხოო სანახაობა, — ორი საათის სიცოცხლეღა მექნება დარჩენილი.

ბნელა. წუხანდელს აქეთ მთვარე გაიზარდა. პრევო არ ბრუნდება. ვწევარ ზურგზე და ღრმად ვუფიქრდები აშკარა ჭეშმარიტებებს. ჩემში რომელიღაც შორეული შეგრძნება ცოცხლდება. ვცდილობ ჩავეჭიდო მას. მე ვიმყოფები... მე ვიმყოფები... მე ვიმყოფები ხომალდზე! მე სამხრეთ ამერიკისკენ გავემართე და ახლა გემბანზე ვწევარ. ანძის წვერი

ნელა ქანაობს ვარსკვლავებს შორის. ანძა აქ არ არის, მაგრამ მე მაინც მივცურავ რომელიღაც მიზნისაკენ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. მონებით მოვაჭრეებმა შემბოჭეს და ხომალდზე შემომაგდეს.

მე ვფიქრობ პრევოზე, რომელიც არ ბრუნდება. იგი არც ერთხელ არ დამდურებია ბედს. ეს ძალიან კარგია. ვერ ავიტანდი წუწუნს. პრევო ნამდვილი ადამიანია.

აა! აი, ის ჩემგან ხუთასი მეტრის მოშორებით ფარანს აქნევს! მან კვალი დაკარგა! მე ფარანი არა მაქვს, რომ ვუპასუხო; ფეხზე ვდგები, ვყვირი, მაგრამ მას არ ესმის...

აგერ, მეორე, აგერ მესამე ფარანი ინთება პირველისგან ორასი მეტრის მოშორებით. ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ძებნაა, ეს ხომ მე მეძებენ.

მე ვყვირი:

— ჰეჰეჰეჰეი!

მაგრამ არ ესმით.

სამი ფარანი კვლავ ნიშანს მაძლევს.

მე არ შევშლილვარ. მე თავს კარგად ვგრძნობ. მე მშვიდად ვარ. ისევ ვაცქერდები — ხუთასი მეტრის მოშორებით სამი ფარანი ანთია.

— ჰეჰეჰეჰეი!

მაგრამ მაინც არ ესმით.

მცირე ხნით პანიკა მიპყრობს, — ერთადერთხელ მთელი ამ დროის განმავლობაში. აა! მე კიდევ შემწევს სირბილის ძალა. `მოიცადეთ! მოიცადეთ!..~ ისინი გაბრუნდებიან! ისინი დამშორდებიან, წავლენ ჩემს საძებნელად სხვაგან, მე კი დავეცემი! დავეცემი სიცოცხლის ზღურბლზე, როცა უკვე მკლავებია გაშლილი ჩემს შესაგებებლად.

— ჰეჰეჰეჰეი!

— ეჰეი!

მათ გაიგონეს. სუნთქვა მეკვრის, სუნთქვა მეკვრის, მაგრამ მაინც გავრბივარ. გავრბივარ ხმების მიმართულებით. `ეჰეი!~ ვამჩნევ პრევოს და ძირს ვეცემი.

— ო, როცა მე შევნიშნე ეს ფარნები!..

— რომელი ფარნები?

და, მარლაც, ის მარტოა.

ამჯერად მე იმედის გაცრუებას კი არა, გაბოროტებას ვგრძნობ.

— თქვენი ტბა სადღაა?

— რაც მეტს მივდიოდი, მით უფრო მშორდებოდა. ნახევარი საათი ვიარე, მაინც კიდევ ძალიან შორს იყო, და გამოვბრუნდი. მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ის ტბაა.

— თქვენ შეიშალეთ, მთლად შეიშალეთ! ოჰ! რა გააკეთეთ ეს, რა?..

რა გააკეთა? რისთვის გააკეთა? სადაც არის ავტირდები აღშფოთებისგან, თუმცა არ ვიცი, რა მაშფოთებს. პრევო კი ნაწყვეტნაწყვეტ მიხსნის:

— მე ისე მინდოდა წყლის პოვნა... თქვენ მთლად გაგითეთრდათ ტუჩები!

ეჰ! ჩემი გაბოროტება მინელდა. თითქოს, ვიღვიძებო, ისე ვისვამ შუბლზე ხელს. სევდა მეუფლება. ძლივს ვამბობ:

— მე დავინახე, — ისევე ცხადად, ისევე აშკარად, როგორც ახლა გხედავთ თქვენ, — სამი სინათლე... გეუბნებით, მე დავინახე ისინი, პრევო!

პრევო ჯერ დუმს.

— ჰო, — აღიარებს ბოლოს, — საქმე ცუდადაა.

ტენიანობას მოკლებულ ამ ატმოსფეროში მიწა ძალიან სწრაფად კარგავს სითბოს. აცივდა. ვდგები და ვიწყებ სიარულს. მაგრამ ძალიან მალე აუტანელი თრთოლა

მიპყრობს. ჩემი გაუწყლოებული სისხლი ძლივძლივობით მოძრაობს ძარღვებში და მარტო ღამის სუსხი კი არა, ყინულოვანი სიცივე ძვალსა და რბილში მიჯდება. კბილს კბილზე ვაცემინებ და მთელი სხეულით ვთრთი. ხელი ისე მიკანკალებს, რომ ფარნის ხმარებასაც ვერ ვახერხებ. მე ყოველთვის კარგად ვიტანდი სიცივეს, ახლა კი ნამდვილად სიცივისგან მოვკვდები. რა უცნაურად მოქმედებს წყურვილი.

ლაბადა სადღაც დავტოვე, რადგან დავიღალე სიცხეში მისი თრევით. ქარი კი ძლიერდება და ძლიერდება. და მე ვრწმუნდები, რომ უდაბნოში ვერაფერს შეეფარები. უდაბნო მარმარილოს ფილასავით გლუვია. დღისით ჩრდილს ვერ იპოვი აქ, ღამე კი, მიუსაფარი, ქარის ლუკმა ხდები. არც ხეა, არც ბუჩქი, არც ქვა, რომელსაც შეიძლებოდა მოფარებოდა კაცი. ქარი ისეთი იერიშით მოდის ჩემზე, როგორც ცხენოსანი ჯარი — გაშლილ ველზე. ბზრიალასავით ვტრიალებ, რომ თავი ავარიდო მას. ხან ვწვები, ხან ვდგები. ვწევარ თუ ვდგავარ, ყოველი მხრიდან ყინულივით ცივი წკეპლები მისხეპავენ სახესა და ტანს. აღარ შემიძლია სირბილი, ძალა აღარ შემწევს. აღარ შემიძლია გავექცე მკვლელებს, მუხლებზე ვეცემი და თავს ხმალს ვუშვერ, თან ხელებს ვიფარებ ზედ.

ცოტა ხნის შემდეგ სრულიად ცხადად ვგრძნობ, რომ ავმდგარვარ და სიცივისაგან აკანკალებული მივდივარ, თვითონაც არ ვიცი საით. სადა ვარ? აჰ, თურმე კარგა შორს წავსულვარ და ახლა პრევოს ხმა მესმის. ეს მისმა ძახილმა გამომაფხიზლა...

ვბრუნდები მასთან. ისევ მიკანკალებს მთელი სხეული, სლოკინისაგან ვთრთი და ჩემთვის ვამბობ: `ეს სიცივის ბრალი არ არის. ეს რაღაც სხვაა. ეს აღსასრულია~. ჩემი ორგანიზმი უკვე მეტისმეტად გამოიფიტა. მე იმდენი ვიარე გუშინ და გუშინწინ, აი მაშინ, მარტო რომ წავედი!

საცოდაობაა, სიცივისაგან კვდებოდე კაცი. ამ მდგომარეობას მე წინა დღეების მირაჟებს ვამჯობინებდი... ჯვარი ბორცვზე, არაბები, ფარნები. ეს, ყოველ შემთხვევაში, საინტერესო მაინც იყო. პირდაპირ აუტანელია, რომ წამდაუწუმ მონასავით მროზგავენ...

კვლავ მუხლებზე ვეცემი.

ჩვენ თან წამოღებული გვაქვს ჩვენი აფთიაქის ნაწილი: ასი გრამი სუფთა ეთერი, ასი გრამი ოთხმოცდაათგრადუსიანი სპირტი და ერთი პატარა შუშა იოდი. ორსამ ყლუპ სუფთა ეთერს ვსვამ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს დანებს ვყლაპავდე. აბა ვნახოთ, ოთხმოცდაათგრადუსიანი სპირტი როგორიღაა. მან ყელში წამიჭირა.

ვთხრი ქვიშას, ვწვები ორმოში და ზემოდანაც ქვიშას ვიყრი. მხოლოდ სახე მიჩანს. პრევომ რაღაც ჩხიმლები იპოვა და ანთებს ცეცხლს, რომელიც მალე ჩაქრება. პრევოს არ უნდა ქვიშაში ჩაწოლა. ის ფეხების ბაკუნს ამჯობინებს. მაგრამ ამაოდ.

ყელში წაჭერამ არ გამიარა, ეს ცუდის ნიშანია. თავს კი უკეთ ვგრძნობ. მშვიდად ვარ. არ ველოდი, რომ მშვიდად ვიქნებოდი. მონათა ხომალდის გემბანზე მწოლი, ხელფეხშეკრული, მართალია, ჩემი სურვილის წინააღმდეგ მივეშურები ვარსკვლავთქვეშ სამოგზაუროდ, მაგრამ შესაძლოა არცთუ ისე უბედური ვიყო...

როცა არც ერთი კუნთი არ ინძრევა, სიცივეს აღარ ვგრძნობ. და აი მე მავიწყდება ქვიშის ქვეშ ამოფარებული, გაბუჟებული ჩემი სხეული. აღარ ვიმოძრავებ და აღარც დავიტანჯები. სიმართლე რომ თქვას კაცმა, არცთუ ისე ძალიან ვიტანჯები... მთელი ეს ტანჯვა დაღლილობითა და ბოდვითაა ორკესტრირებული. იგი გადაქცეულია სურათებიან წიგნად, ცოტა არ იყოს მკაცრ ზღაპრად. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ქარი მიმწარებდა სიცოცხლეს და მისგან თავის დასაღწევად დაფეთებული ნადირივით ვტრიალებდი. მერე სუნთქვა გამიძნელდა: ვიღაც მუხლს მაბჯენდა მკერდზე. მუხლს. მე თავს ვიცავდი სიკვდილის ანგელოზისგან, რომელიც ზედ მაწვებოდა მთელი ძალით. წინათ არასოდეს დავრჩენილვარ უდაბნოში მარტო. ახლა, როცა ყველაფერი ირგვლივ არარეალურად მეჩვენება, საკუთარ სულიერ სამყაროში ვიძირები და თვალებსაც კი აღარ ვახამხამებ. ღვარად მოხეთქილ წარმოსახვათა ნაკადს ბურანში შევყავარ; მდინარეები ზღვის უბეში პოულობენ სიმშვიდეს.

მშვიდობით თქვენ, ვინც მიყვარდით. ჩემი ბრალი არ არის, თუკი ადამიანი უწყლობას სამ დღესაც ვერ უძლებს. არ მეგონა, თუ იგი ასე ჰყავდათ დატყვევებული წყაროებს. ფიქრადაც არ მომსვლია, თუ მისი თავისუფლება ესოდენ შეზღუდული იყო. ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ ადამიანს შეუძლია წავიდეს საითაც უნდა, რომ ის

თავისუფალია... და იმ თოკს კი ვეღარ ამჩნევენ, რომლითაც ჭებზე არიან გამობმულნი, რომლითაც, ჭიპლარის მსგავსად, დედამიწის საშოზე მიბმულან. გადადგამს ადამიანი ზედმეტ ნაბიჯს და კვდება.

მე გულს მწყვეტს მხოლოდ ერთი რამ — თქვენი ტანჯვა. საბოლოო ანგარიშში, მე ყველაზე უკეთესი ბედი მერგო. რომ დავბრუნებულიყავი, ისევ ჩემს ძველ საქმეს მოვკიდებდი ხელს. მე ცხოვრება მინდა, ქალაქებში კი ნამდვილი ცხოვრება აღარ არის.

და საქმე ავიაციაში როდია. თვითმფრინავი საშუალებაა და არა მიზანი. სიცოცხლეს თვითმფრინავისთვის როდი სწირავ ისევე, როგორც გუთნისთვის არა ხნავს გლეხი. საქმე იმაშია, რომ თვითმფრინავის შემწეობით ტოვებ ქალაქს თავისი მოანგარიშეებით და გლეხურ სიმართლეს უბრუნდები.

აქ ნამდვილ ადამიანურ შრომას ეწევი და ადამიანურ ზრუნვას შეიცნობ. უშუალოდ ეხები ქარს, ვარსკვლავებს, ღამეს, ქვიშას, ზღვას. მახვილგონიერებაში ეჯიბრები ბუნების ძალებს, ელი გათენებას, როგორც მებაღე ელოდება გაზაფხულს. ელი მორიგ აეროდრომს, როგორც აღთქმულ მიწას, და ვარსკვლავებში ეძებ შენს სიმართლეს.

მე ბედს არ ვემდური. სამი დღე დავეხეტებოდი უდაბნოში, წყურვილისაგან ვიტანჯებოდი, მივუყვებოდი საკუთარ კვალს ქვიშაზე და ჩემს ერთადერთ იმედად ნამი იქცა. მე ვცდილობდი მიმეღწია ჩემი გვარისა და ტომის არსებებამდე, რომლებიც დამავიწყდა კიდეც, დედამიწის რომელ ნაწილში ბინადრობენ. ასეც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი. მე ეს უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვიდრე ყოველ საღამოს იმაზე ფიქრი, რომელ მიუზიკჰოლში წახვიდე.

მე უკვე ვეღარ გავუგებ საგარეუბნო მატარებლის მგზავრებს, რომლებიც თავს ადამიანებად თვლიან და ვერც კი ამჩნევენ, რომ სინამდვილეში ჩაგვრამ მათი როლი ჭიანჭველების როლამდე დაიყვანა. რითი ავსებენ ისინი თავიანთ მოცლილობის წუთებს, თავიანთ უაზრო, უბადრუკ კვირადღეებს?

ერთხელ, რუსეთში, მე გავიგონე, როგორ უკრავდნენ ერთ ქარხანაში მოცარტს. დავწერე ამის შესახებ და ორასამდე ლანძღვის წერილიც მივიღე. მე სრულიადაც არ მძულს ისინი, ვისაც მოცარტს საბაზრო ბალაგანი ურჩევნია. მათ ხომ სხვა მუსიკა არ სმენიათ. მე მძულს ბალაგანის პატრონები, — არ მიყვარს, როცა ამახინჯებენ ადამიანებს.

მე კი ჩემმა ხელობამ ბედნიერება მომანიჭა. მე აეროდრომების გლეხკაცად ვგრძნობ თავს. საგარეუბნო მატარებლებში სული მეხუთება, აქ კი თავისუფლად ვსუნთქავ. საბოლოო ანგარიშში, აქ ყოფნა ფუფუნებაა!

მე არაფერს ვნანობ. მე ვთამაშობდი და წავაგე. ასეთია ჩემი ხელობა. სხვა არა იყოს რა, ზღვის ჰაერით მაინც ვსუნთქავდი!

ვინც ერთხელ მაინც იგემა იგი, აღარ დაავიწყდება ეს საკვები! ხომ ასეა, ჩემო მეგობრებო? და საქმე ის არ არის, რომ სულ განსაცდელში ცხოვრობდე. ეს ფორმულირება პრეტენციოზულია. ტორეადორები სულაც არ მიზიდავენ. მე სწორედ სიცოცხლე მიყვარს და არა განსაცდელი.

მგონი, ინათა. ქვიშიდან ხელს ვყოფ. ჩემ გვერდით პარაშუტის ტილოა გაფენილი. ვსინჯავ — მშრალია. ნამი გათენებისას ჩნდება. მაგრამ უკვე განთიადია და ტილოები კი არ დანამულა. აზრები მერევა და ყურში ჩამესმის საკუთარი სიტყვები: `აქ მშრალი გულია... მშრალი გული, მშრალი გული, რომელშიც არ არის ცრემლები!..~

— გავუდგეთ გზას, პრევო! ყელი ჯერ მთლად არ გაგვშრობია, უნდა ვიაროთ.

7.

ახლა სწორედ იმ დასავლეთის ქარმა დაუბერა, რომელიც ადამიანს ცხრამეტ საათში ფიტავს. ხორხი ჯერ მთლად არ გამშრობია, მაგრამ გახევდა და მტკივა. ყელში უკვე ქავილს ვგრძნობ. მალე დამეწყება ხველა. ის ხველა, რომელზეც ამდენი საშინელება

მსმენია. ველი მას. ენა მიშლის, მაგრამ ყველაზე საზარელი მაინც ის არის, რომ თვალებში ბრჭყვიალა სხივები მიჩნდება, აალდებიან თუ არა ეს სხივები, მაშინვე დავეცემი.

ვსარგებლობთ დილის სიგრილით და სწრაფად მივაბიჯებთ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით: როგორც კი მზე მთელი ძალით დააცხუნებს, სიარულს ვეღარ შევძლებთ. მთელი ძალით...

ჩვენ უფლება არა გვაქვს არამცთუ გაოფლიანების, — დასვენებისაც კი. ეს სიგრილე მხოლოდ თვრამეტ პროცენტ ტენს შეიცავს. ქარი უდაბნოს სიღრმიდან უბერავს. მისი თვალთმაქცი და ნაზი ალერსი აორთქლებს ჩვენს სისხლს.

პირველ დღეს ცოტაოდენი ყურძენი ვჭამეთ, უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში — ნახევარნახევარი ფორთოხალი და თითო ნაჭერი კექსი. საიდან უნდა გვქონოდა ნერწყვი, საკვების დაღეჭვა რომ დაგვჭირვებოდა? მაგრამ შიმშილს სრულიადაც არა ვგრძნობ. ვგრძნობ მხოლოდ წყურვილს, და მეჩვენება, რომ წყურვილზე მეტად მისი შედეგები მტანჯავს. ხორხი გამიხევდა, ენა თაბაშირივით გამიხდა, ყელი მეფხაჭნება, პირში საზიზღარი გემო მაქვს. ეს შეგრძნებები ჩემთვის სრულიად ახალია. წყალი ალბათ განმკურნავდა, მაგრამ ვერაფერს ვიხსენებ ისეთს, რაც ჩემს ახლანდელ შეგრძნებებს ამ წამალს დაუკავშირებდა. წყურვილი სულ უფრო და უფრო მეტად იქცევა ავადმყოფობად და სულ უფრო და უფრო ნაკლებ — სურვილად.

წყაროები და ხილი აღარ მაღელვებენ. მე მავიწყდება ფორთოხლის სხივოსნობა, როგორც მავიწყდება, მგონი, ჩემი ადამიანური ურთიერთობანი. მე ალბათ უკვე ყველაფერი მავიწყდება.

ახლა ჩვენ ვსხედვართ, მაგრამ საჭიროა კვლავ ვიაროთ. დიდხანს სიარული კი აღარ შეგვიძლია. ხუთასი მეტრის გავლის შემდეგ დაქანცულობისგან ვეცემით. უზარმაზარ სიამოვნებას განვიცდი, როცა ვწვები, მაგრამ საჭიროა სიარული.

პეიზაჟი იცვლება. ქვები უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება. ახლა ქვიშაზე მივდივართ. წინ, ორი კილომეტრის მანძილზე დიუნებია. დიუნებზე დაბალი

მცენარეულის რამდენიმე ლაქაა. იმ ფოლადის ჯავშანს ამ ქვიშას ვამჯობინებ. ეს ნათელი უდაბნოა. ეს საჰარაა. ვფიქრობ, რომ ვცნობ მას.

ახლა ჩვენ ყოველი ორასი მეტრის მანძილზე გვეცლება ძალა.

— ბუჩქებამდე მაინც მივიდეთ.

ეს უკვე უკანასკნელი საზღვარია. რვა დღის შემდეგ, როცა `სიმუნის~ წამოსაღებად მანქანით მივყვებოდით ჩვენს ნაკვალევს, დავრწმუნდით, რომ სულ ბოლოს ოთხმოცი კილომეტრი გაგვევლო. მე გავიარე უკვე ორასამდე კილომეტრი. შევძლებღა წინ წასვლას?

გუშინ სრულიად უიმედოდ მივდიოდი. დღეს თვით ამ სიტყვებსაც კი დაეკარგა აზრი. დღეს მივდივართ იმიტომ, რომ მივდივართ. ასე მიდიან ალბათ გუთანში შებმული ხარები. გუშინ ფორთოხლის სამოთხისებურ ჭალებზე ვოცნებობდი. მაგრამ დღეს ჩემთვის უკვე აღარ არსებობს სამოთხე. მე აღარ მჯერა ფორთოხლების არსებობა.

მე ვერაფერს ვგრძნობ ჩემში, გარდა გულის უსაზღვრო სიმშრალისა. ახლა დავეცემი, მაგრამ სასოწარკვეთილება არ მიპყრობს. მწუხარებასაც კი არ განვიცდი და ეს მწყინს: მწუხარება წყალივით სანუკვარად მომეჩვენებოდა. შეიძლება გეცოდებოდეს და დასტიროდე საკუთარ თავს, როგორც ამას მეგობარი იზამდა. მაგრამ მე ამქვეყნად მეგობრები აღარა მყავს.

როცა მიპოვიან ჩაშრეტილი თვალებით, წარმოიდგენენ, რომ დიდხანს ვიტანჯებოდი, დიდხანს ვუხმობდი საშველად. მაგრამ სწრაფვა, სინანული, გულისამაჩუყებელი ტანჯვა — ყოველივე ეს ჯერ კიდევ სიმდიდრეა. მე კი აღარა მაქვს უკვე სიმდიდრე. ქალწულნი სიყვარულის პირველ ღამეს სევდამორეულნი ტირიან. ტანჯვა სიცოცხლის ფეთქვასთანაა დაკავშირებული. მე კი აღარ ვიტანჯები უკვე...

უდაბნო — ეს მე ვარ. ნერწყვი დაილია, მაგრამ დაილია ის ნათელი სახეებიც, რომლებსაც მოვუხმობდი. მზემ დააშრო ჩემში ცრემლების წყარო.

და მაინც, რა არის ეს? რაღაც იმედის სიო შემეხო, როგორც ზღვის ნიავი. რამ გააღვიძა ჩემი ინსტინქტი, ვიდრე ის ცნობიერებამდე მიაღწევდა? თითქოს არაფერი შეცვლილა და, ამავე დროს, ყველაფერი შეიცვალა. ქვიშის ხალიჩა, ბორცვები, ღია მწვანე ლაქები უცბად პეიზაჟად კი არა, სცენად იქცა; ჯერ კიდევ ცარიელ, მაგრამ უკვე სავსებით მომზადებულ სცენად. ვუყურებ პრევოს. ის ჩემზე ნაკლებად არ არის განცვიფრებული და თავის შეგრძნებებში ისიც ვერ გარკვეულა.

ღმერთმანი, ახლა რაღაც მოხდება...

ღმერთმანი, უდაბნო გაცოცხლდა. ღმერთმანი, ამ სიცარიელემ და მდუმარებამ ერთბაშად უფრო მეტად ამაღელვა, ვიდრე ამაღელვებდა ხალხით სავსე მოედნის გუგუნი...

ჩვენ გადავრჩით: ქვიშაზე კვალია!..

ო! ჩვენ კინაღამ დავკარგეთ ადამიანთა მოდგმის კვალი, ჩვენ მოწყვეტილნი ვიყავით ჩვენს ტომს, ჩვენ აღმოვჩნდით მარტონი ამქვეყნად, დავიწყებულნი რომელიღაც მსოფლიო გადასახლების ჟამს, — და აი, ჩვენ წავაწყდით ქვიშაზე აღბეჭდილ ადამიანის შესანიშნავ კვალს.

— აი აქ, პრევო, ორი ადამიანი გაიყარა...

— აქ კი აქლემმა ჩაიჩოქა...

— აქ...

გადარჩენაზე ფიქრი კი ისევ შორსაა. ლოდინი აღარ შეიძლება; რამდენიმე საათის მერე ველარავინ გვიხსნის. როცა იწყება ხველა, მაშინ წყურვილი უკვე ძალზე სწრაფად მოქმედებს. ხოლო ყელი...

მაგრამ მე მჯერა ქარავნის, რომელიც სადღაც უდაბნოში დაეხეტება.

ჩვენ კვლავ განვაგრძეთ გზა და უეცრად მამლის ყივილი გავიგონე. გიომე მიამბობდა: `სულ ბოლოს მე მამლების ყივილი მესმოდა ანდებში. მესმოდა, აგრეთვე, მატარებლის ხმაური...~

მე მისი სიტყვები გამახსენდა, როგორც კი მამლის ყივილი გავიგონე, და ვიფიქრე: `პირველად თვალებმა მომატყუეს. ესეც ალბათ წყურვილის ბრალია. ყურებმა უფრო მეტს გაუძლეს...~ მაგრამ პრევო მკლავში ხელს მტაცებს:

— გაიგონეთ?

— რა?

— მამალი!

— მაშინ... მაშინ...

მაშინ, რაღა თქმა უნდა, შე სულელო, ეს სიცოცხლეა...

მე მაინც მქონდა კიდევ ერთი უკანასკნელი ჰალუცინაცია: მომეჩვენა, რომ სამი ძაღლი ერთიმეორეს მისდევდა. პრევოც იყურებოდა იქით, თუმცა ვერაფერს ხედავდა. მაგრამ აი, ჩვენ, ორივენი, ბედუინისკენ ვიწვდით ხელებს. ჩვენ, ორივენი, სუნთქვაშეკრულნი გავრბივართ მისკენ. ჩვენ, ორივენი, ბედნიერებისაგან ვიცინით!..

და ბედუინი, რომელიც ბორცვს იქიდან გამოჩნდა, თავის აქლემიანად თანდათანობით გვშორდება. შესაძლოა ეს ადამიანი აქ მარტოა. სასტიკმა დემონმა დაგვანახვა იგი და უკვე მიჰყავს...

ჩვენ კი გაქცევა აღარ შეგვიძლია!

ჩვენკენ პროფილით მობრუნებული მეორე არაბი ჩნდება დიუნზე. ჩვენ ვღრიალებთ, მაგრამ უხმოდ. მაშინ ხელების ქნევას ვიწყებთ და გვეჩვენება, რომ მთელი ცა ჩვენი სიგნალებით ივსება. ბედუინი კი ისევ მარჯვნივ იყურება.

და აი იგი აუჩქარებლად იწყებს შემობრუნებას. როგორც კი ჩვენკენ მოაბრუნებს სახეს, ყველაფერი დასრულდება. როგორც კი ბედუინი ჩვენკენ მოიხედავს, იგი ერთი ხელის მოსმით ხაზს გადაუსვამს წყურვილს, სიკვდილს, მირაჟებს. მან დაიწყო შემობრუნება და უკვე სახე ეცვლება სამყაროს. თავის მხოლოდ ერთი მობრუნებით, მხოლოდ ერთი შემოხედვით იგი ქმნის სიცოცხლეს. და მე ის ღვთისდარად მეჩვენება.

ეს სასწაულია... იგი ჩვენკენ მოემართება ქვიშაზე, როგორც ღვთაება რამ — ზღვაზე.

არაბმა ერთი შემოგვხედა, ხელები მხრებზე დაგვაწყო და ჩვენც დავმორჩილდით. ჩვენ დავწექით... აღარ არის აქ არც განსხვავება რასათა შორის, არც განსხვავება ენათა შორის, არც უთანხმოება... არის მხოლოდ საწყალი მომთაბარე, რომელმაც მხრებზე დაგვალაგა თავისი მთავარანგელოზის ხელები.

ჩვენ ქვიშაში თავწარგულები ვიცდიდით. ახლა კი პირქვე წაწოლილებს თავი ბოჩოლებივით ტაშტში გვაქვს წაყოფილი და ვსვამთ. ბედუინს ეშინია, არაფერი დაგვემართოს, და ყოველ წუთს გვაიძულებს თავი ავიღოთ წყლიდან. მაგრამ, როგორც კი ხელს გვიშვებს, მაშინვე ისევ ვეწაფებით წყალს.

წყალი!

წყალო, შენ არა გაქვს არც გემო, არც ფერი, არც სუნი. შენი აღწერა შეუძლებელია. შენით ტკბებიან ყველანი და არ იციან, რა ხარ შენ! ცოტაა ითქვას, რომ აუცილებელი ხარ სიცოცხლისათვის: შენ თვითონ სიცოცხლე ხარ. შენ გვავსებ ჩვენ სიხარულით, რომელსაც ენა ვერ გამოთქვამს. გვიბრუნებ ძალებს, რომელთაც უკვე გამოვეთხოვეთ. შენი წყალობით ჩვენში კვლავ იწყებენ ჩუხჩუხს ჩვენი გულის დამშრალი წყაროები.

შენ ყველაზე დიდი სიმდიდრე ხარ ამქვეყნად, მაგრამ ყველაზე უკარებაც — შენ უბიწო ხარ დედამიწის წიაღში. შეიძლება მოკვდე წყაროსთან, რომელიც მაგნიუმის მჟავითაა მოწამლული. შეიძლება მოკვდე მლაშე ტბასთან იქვე, ორ ნაბიჯზე. შეიძლება მოკვდე, თუნდაც ორი ლიტრი ნამი გქონდეს მოგროვილი, თუკი იგი ზოგიერთი მარილის ნალექით არის შებილწული.

შენ ვერ იტან ვერავითარ შენარევს, შენ ვერ იტან შებღალვას; შენ მფრთხალი ღვთაება ხარ...

მაგრამ შენთან ერთად ჩვენში უსასრულო ბედნიერება იღვრება.

შენ კი, ჩვენო მხსნელო ლიბიელო ბედუინო, უნდა გითხრა, რომ შენი სახე სრულიად წაიშლება ჩემს მეხსიერებაში. მე ვეღარასოდეს შევძლებ შენი სახის გახსენებას. შენ

ადამიანი ხარ და ყველა ადამიანის სახით მეხატები. შენ არასოდეს შემოგიხედავს ჩვენთვის და მაშინვე კი გვიცანი. შენ საყვარელი ძმა ხარ ჩემი. და მე, ჩემ მხრივ, ყოველ ადამიანში გცნობ შენ.

მე გხედავ შენ სულგრძელობისა და სიკეთის შარავანდედით მოსილს; შენ ხარ ძლევამოსილი მბრძანებელი, რომელიც ფლობს ნიჭს წყურვილის დაოკებისას. შენი სახით, ყველა ჩემი მეგობარი, ყველა ჩემი მტერი მიწვდის ხელს და ამქვეყნად აღარც ერთი მტერი აღარა მყავს.

VIII. ადამიანები

1.

კიდევ ერთხელ შევეხე ჭეშმარიტებას და ვერ ჩავწვდი მას. ვფიქრობდი, რომ ვიღუპებოდი, ვფიქრობდი, რომ მივაღწიე სასოწარკვეთის უკანასკნელ საზღვარს, და, უკვე ბედს შერიგებულმა, მოვიპოვე სულის სიმშვიდე. ასეთ წუთებში გეჩვენება, რომ აღმოაჩინე საკუთარი თავი, გახდი საკუთარი თავის მეგობარი. ყველაფერი გეჩვენება არარაობად, შედარებით ამ ახლად მოპოვებულ შინაგანი სისავსის გრძნობასთან, რომელიც აოკებს ჩვენში რაღაც უდიდეს მოთხოვნილებას, რის სახელიც არ ვიცით. მე ვფიქრობ, ბონაფუსმა, რომელმაც მთელი თავისი ძალა ქართან შეჯიბრში დახარჯა, შეიცნო ეს სულიერი სიმშვიდე. შეიცნო თოვლით გარშემორტყმულმა გიომემაც. და განა შემიძლია დავივიწყო, თვითონ მე როგორ ვიგრძენი გულში რაღაც სითბო ვარსკვლავიანი ცის საფარქვეშ, როცა ყელამდე ქვიშაში ვიყავი ჩაფლული და წყურვილისაგან სული მეხუთებოდა?

როგორ შეიძლება მიაღწიო ამ შინაგან თავისუფლებას? ხომ კარგად არის ცნობილი, რარიგ წინააღმდეგობრივია ჩვენში ყოველივე. მისცემ, მაგალითად, ადამიანს პურს იმისათვის, რომ შექმნას რამე, ის კი იძინებს; დამპყრობელი, რომელმაც გაიმარჯვა, კარგავს სიმტკიცეს; გამდიდრებული გულუხვი ძუნწდება. რა ყრია პოლიტიკურ

მოძღვრებებში, რომლებიც მიზნად ისახავენ პიროვნების აღორძინებას, თუკი არ შეიძლება წინასწარ ვიცოდეთ, რა ტიპის ადამიანთა აღორძინებას უწყობენ ხელს ეს მოძღვრებანი, როგორი იქნება ის, ვინც ჩვენ შემდეგ დაიბადება? ჩვენ ხომ გასასუქებელი საქონელი არა ვართ! და ღატაკი პასკალის დაბადება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რამდენიმე ქველმოქმედი არარაობის გაჩენა ამქვეყნად.

ჩვენ სწორედ მთავარი რამ არ ძალგვიძს წინასწარ განვჭვრიტოთ. თითოეულ ჩვენგანს ჰქონია შემთხვევა, ყველაზე მწველი სიხარული ეგრძნო იქ, სადაც ამას სრულიად არ მოელოდა. და ეს სიხარული ტოვებდა ისეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას, რომ ზოგჯერ მივტიროდით სამწუხარო ამბებსაც კი, თუკი ამ სამწუხარო ამბებთან იყო დაკავშირებული ჩვენი სიხარული. ჩვენ ყველას გვქონია შემთხვევა, ამხანაგებთან შეხვედრისას გვეგრძნო მძიმე მოგონებების ჯადოსნური ძალა. არაფერი ვიცით ჩვენ იმის გარდა, რომ არსებობს რაღაც გამოუცნობი პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენს ზრდას. რაში მდგომარეობს ადამიანის ჭეშმარიტება?

ჭეშმარიტება არ დევს მოვლენათა ზედაპირზე. თუ სწორედ ამ, და არა სხვა ნიადაგში, იდგამენ თავიანთ მაგარ ფესვებს და მოაქვთ ნაყოფი ფორთოხლის ხეებს, — მაშასადამე, ეს ნიადაგია ჭეშმარიტება ფორთოხლის ხეებისათვის. თუ ეს რელიგია, ეს კულტურა, ღირებულებათა ეს საზომი, მოღვაწეობის ეს ფორმა — სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი — აგრძნობინებს ადამიანს სულიერ სისავსეს, იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს მასში სიდიადე, რომელიც მას მანამდე ფიქრადაც კი არ გაუვლია, — მაშასადამე, ღირებულებათა ეს საზომი, ეს კულტურა, მოღვაწეობის ეს ფორმა წარმოადგენს ადამიანის ჭეშმარიტებას. ლოგიკა? ლოგიკა, როგორც უნდა, ისე გამოვიდეს მდგომარეობიდან, რათა ახსნას ცხოვრება.

ამ წიგნში მე მოვიგონე ზოგიერთი ადამიანი, რომელიც დაემორჩილა თავისი შინაგანი მოწოდების ძლიერ ძახილს და აირჩია უდაბნო ან სამოქალაქო ავიაცია, ისე როგორც სხვები აირჩევდნენ მონასტერს. მაგრამ მე ვუღალატებდი ჩემს მიზანს, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ვცდილობ გამოვიწვიო თქვენი აღტაცება, პირველ რიგში, ამ

ადამიანებით. უწინარეს ყოვლისა, აღტაცების ღირსია ნიადაგი, რომელზეც ისინი აღიზარდნენ.

სწრაფვა უეჭველად თამაშობს გარკვეულ როლს. ერთნი იკეტებიან თავიანთ ნაჭუჭში, მეორენი — შეუსვენებლივ მიისწრაფვიან წინ, თავიანთი მიზნისაკენ. ბავშვობისას შეიძლება იმ მისწრაფებათა ჩანასახის შემჩნევა, რაც განსაზღვრავს მათ შემდგომ ბედს, მაგრამ თუ ამ ისტორიას დასაწყისში გავეცნობით, შეიძლება მოვტყუვდეთ. და მართლაც, მსგავსი მისწრაფებანი ხომ თითქმის ყველა ადამიანს ახასიათებს. ჩვენ ყველას შეგვხვდერია მედუქნეები, რომელთაც ერთხელ, ღამით, ხანძრისას ან ხომალდის დაღუპვის დროს, საუკეთესო თვისებები გამოუვლენიათ. და ისინი არავითარ ილუზიებს არ აგებენ ამ სულიერ სისავსესთან დაკავშირებით: ის ღამე მწვერვალადვე დარჩება მათ ცხოვრებაში. მაგრამ იმის გამო, რომ არ ეძლევათ ახალი შემთხვევა, იმის გამო, რომ არ არის შესაფერისი ნიადაგი, ან ამისკენ არ მოუწოდებს მათ რელიგია, ისინი კვლავ იძინებენ, ისე რომ, თვითონაც ვერ ასწრებენ დარწმუნდნენ საკუთარ სიდიადეში. რა თქმა უნდა, შინაგანი მოწოდება ხელს უწყობს ადამიანს, მოიპოვოს თავისუფლება, მაგრამ არანაკლებ აუცილებელია, რომ ადამიანს შეეძლოს თავისუფლად გაჰყვეს მოწოდებას.

ფრენა ღამით, ღამეები უდაბნოში... ასეთი რამ ყველა ადამიანისთვის როდია ხელმისაწვდომი. მაგრამ, ამავე დროს, როცა გარემოება შთააგონებს ადამიანებს, აღმოჩნდება, რომ მათ, ყველას, ერთი და იგივე მოთხოვნები აქვთ. მე ოდნავადაც არ გადავუხვევ ჩემს თემას, თუ გიამბობთ ესპანეთში გატარებული ერთი ღამის შესახებ; ღამისა, რომელმაც აშკარად დამანახვა ყოველივე ეს. მე იმდენი გესაუბრეთ რამდენიმე ადამიანზე, რომ ახლა მინდა ვილაპარაკო ყველაზე.

ეს იყო მადრიდის ფრონტზე. მე ვეწვიე მას, როგორც ჟურნალისტი. იმ საღამოს მიწისქვეშა თავშესაფარში ერთ ახალგაზრდა კაპიტანთან ერთად ვსადილობდი.

2.

ვსაუბრობდით. უეცრად ტელეფონმა დაიწკრიალა. ამას მოჰყვა ხანგრძლივი ლაპარაკი: საკომანდო პუნქტიდან ბრძანებას გადმოსცემდნენ. იგი ეხებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშს, უაზრო, თავგანწირულ იერიშს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მუშათა გარეუბანში ბეტონის სიმაგრედ ქცეული რამდენიმე სახლის აღება. კაპიტანი მხრებს იჩეჩს და მაგიდას უბრუნდება: `პირველი ჩვენგანი, რომელიც თავს გაყოფს აქედან...~ — იგი თითო ჭიქა კონიაკს გვისხამს სერჟანტს და მე.

— მე და შენ პირველები გავდივართ, — ეუბნება სერჟანტს. — დალიე და დაიძინე.

სერჟანტი დასაძინებლად მიდის. ჩვენ ვფხიზლობთ, მაგიდასთან ათამდე კაცი ვსხედვართ. საგულდაგულოდ დაგმანულ ოთახში, საიდანაც არც ერთი სხივი არ გადის გარეთ, ისეთი მკვეთრი სინათლეა, რომ თვალებს ვჭუტავ. ხუთი წუთის წინ სათოფურში გავიხედე. გადავწიე ჭუჭრუტანაზე აფარებული ნაჭერი და დავინახე მთვარის უსიცოცხლო სხივებში გახვეული და ლანდებით დასახლებული სახლის ნანგრევები. როცა ჭუჭრუტანას კვლავ ნაჭერი ჩამოვაფარე, მომეჩვენა, რომ ერთი ხელის მოსმით წავშალე მთვარის შუქით განათებული ხედი, მაგრამ მოცისფრომწვანე ფერის სიმაგრეები კვლავ თვალწინ მედგა.

ჯარისკაცები, რომლებიც ახლა აქ არიან, ალბათ აღარ დაბრუნდებიან, მაგრამ ამის შესახებ ისინი თავშეკავებულად დუმან. ასეთი იერიში ჩვეულებრივი რამ არის. ასეთი იერიშისათვის ადამიანები გამოჰყავთ სამარქაფო ნაწილიდან. ამოაქვთ თესლი ხაროდან. ერთ მუჭა თესლს მიწაში ყრიან, რათა შემდეგ აღმოცენდეს იგი.

ვსვამთ კონიაკს. ჩემს მარჯვნივ ჭადრაკში ეჯიბრებიან ერთმანეთს. მარცხნივ — ხუმრობენ. სადა ვარ? ოთახში ნახევრად მთვრალი კაცი შემოაბოტებს. იგი ყალყზე შემდგარ წვერს იწვალებს და ნაზად გვიყურებს ყველას. მისი მზერა კონიაკზე ჩერდება, შემდეგ შორდება მას, ისევ უბრუნდება და მერე მუდარით სავსე თვალებს მიაპყრობს კაპიტანს. კაპიტანი ჩუმად იცინის. იცინის იმედმიცემული მთვრალიც. ჩუმად იცინიან დანარჩენებიც. კაპიტანი ნელნელა განზე სწევს ბოთლს, — მთვრალის თვალებში სასოწარკვეთილება იხატება; და აი იწყება ბავშვური თამაში, — თავისებური უხმო

პანტომიმა, რომელიც სიგარეტების ამ სქელ ბოლში, უძილო ღამის დაქანცულობასა და ხვალინდელი იერიშის მოლოდინში, ზმანებას წააგავს.

და ჩვენ ვთმაშობთ, ჩვენი ხომალდის თბილ ტრიუმში გამოკეტილნი. გარეთ კი უფრო და უფრო ხშირდება აფეთქება, რომელიც ტალღათა ტყლაშუნს მოგვაგონებს.

მალე ეს ადამიანები თავისი სხეულიდან გამოდევნიან ოფლს, ალკოჰოლს, ჟანგს და ყოველივე ამას საბრძოლო ღამის თეზაფში გახსნიან. მე ვგრძნობ, რარიგ ახლოს არიან ისინი განწმენდასთან. ჯერ კი ისევ ცეკვავენ და, როგორც შეუძლიათ, აჭიანურებენ ლოთისა და ბოთლის ბალეტს. არა და არ ამთავრებენ ჭადრაკის ამ პარტიას და, როგორც შეუძლიათ, იხანგრძლივებენ სიცოცხლეს. მაგრამ, ამავე დროს, უკვე მომართული აქვთ მაღვიძარა საათი, რომელიც ბატონობს მათზე და რომელიც უსათუოდ დაიწკრიალებს. და მაშინ წამოდგებიან ეს ადამიანები, გაიზმორებიან და შეიკრავენ ქამრებს. კაპიტანი ჩამოხსნის ლურსმნიდან თავის რევოლვერს. მთვრალიც გამოფხიზლდება. და ყველანი აუჩქარებლად გავლენ გასასვლელში, რომელიც ზევით მიემართება მთვარის შუქის ცისფერი სწორკუთხედისაკენ, ავლენ მაღლა და წარმოთქვამენ რაიმეს, სრულიად ჩვეულებრივს: `ეშმაკსაც წაუღია იერიში...~ ანდა: `ცივა!~ და ასე გადაეშვებიან საერთო ორომტრიალში.

დრო მოახლოვდა და მე ვიხილე სერჟანტის გამოღვიძება. მას დანაგვიანებულ სარდაფშუა რკინის საწოლზე ეძინა. ვუცქერდი, როგორ ეძინა, და მეჩვენებოდა, რომ მეც ვგრძნობდი ამ უდარდელი და ბედნიერი ძილის გემოს.

ამ ძილმა გამახსენა ის პირველი დღე ლიბიის უდაბნოში, როცა მე და პრევომ, ცხელ ქვიშაზე გადმოსროლილებმა, უწყლოდ განწირულებმა — ვიდრე საშინელი წყურვილი აგვიტანდა, შევძელით ერთხელ კიდევ დაგვეძინა, მხოლოდ ერთხელ — მთელი ორი საათით. მაშინ, ჩაძინების წინ, ვიგრძენი, რომ ვფლობ რეალური სამყაროს უკუგდების შესანიშნავ ძალას. სხეული ჯერ კიდევ არ მაწუხებდა და, როგორც კი ხელები თავქვეშ ამოვიდე, მაშინვე მივხვდი, რომ ის ღამე ჩემთვის არაფრით იქნებოდა განსხვავებული ჩვეულებრივი ბედნიერი ღამისაგან.

ამგვარად ეძინა სერჟანტსაც და ისე იყო მოკუნტული, თითქოს ადამიანი არც კი წევსო საწოლზე. და, როდესაც მათ, ვინც მოვიდა გასაღვიძებლად, ანთებული სანთელი ბოთლში ჩაარჭეს, ამ უფორმო მასაში მე თავდაპირველად, გარეთ გამოყოფილი ფეხსაცმელების გარდა, ვერაფერი გავარჩიე. ვერაფერი გავარჩიე მოჯამაგირისა თუ დოკერის უშველებელი, ლურსმნებითა და ნალებით დაჭედილი ფეხსაცმლის გარდა.

ეს ადამიანი შრომის იარაღში იყო ჩამჯდარი და იარაღის მეტი არც არაფერი გააჩნდა: ჩანთები, რევოლვერები, თასმები, ქამარი. მას უნაგირი ედგა და ამოდებული ჰქონდა აღვირიც. სასაპალნე ცხენივით იყო შეკაზმული. მაროკოს სარდაფებში მე მინახავს ბრმა ცხენები, რომლებიც დოლაბებს აბრუნებენ. აქ, სანთლის ამ მთრთოლვარე, მოწითალო შუქზე აღვიძებდნენ ისეთივე ბრმა ცხენს, რათა ებრუნებინა თავისი დოლაბი.

— ჰეი! სერჟანტო!

იგი ნელა გაინძრა და რაღაც ჩაიბურტყუნა. გამოჩნდა მისი ნამძინარევი სახე. მაგრამ გაღვიძება არ ეწადა, კედლისაკენ გადაბრუნდა და კვლავ ჩაიძინა ისე, თითქოს წყლის სიღრმეში გადაეშვა ანდა დედის უბეს მიაგნოო. მისი მაგრად მოკუმშული ხელები თითქოს რაღაც შავ წყალმცენარეებს ეჭიდებოდნენ. თითები გავუშალეთ, საწოლზე ჩამოვუსხედით, ერთმა ჩვენგანმა კისერში ამოსდო ხელი და ღიმილით წამოუწია დამძიმებული თავი. ეს ჰგავდა ცხენების ალერსს, ცხენებისა, რომლებიც ფაფრებით ეხახუნებიან ერთმანეთს თბილ თავლაში. `ეი! მეგობარო!~ ამაზე დიდი სინაზე არასოდეს მინახავს. სერჟანტი უკანასკნელად შეეცადა დაბრუნებოდა თავის ბედნიერ სიზმრებს, უკუეგდო ჩვენი სინამდვილე — დინამიტის, გამომფიტველი ძალდატანებისა და სუსხიანი ღამის სინამდვილე. მაგრამ გვიანღა იყო. კვირა დღეს ასე აღვიძებს კოლეჯის ზარი დასჯილ მოწაფეს. ბავშვს უკვე დავიწყებული ჰქონდა მერხი, საკლასო დაფა და თავისი სასჯელი. მას ეზმანებოდა სოფლის თამაშობანი. ამაოდ. ზარი განაგრძობს რეკვას და შეუბრალებლად აბრუნებს ბავშვს ადამიანური უსამართლობის სამყაროში. ამ მოწაფის მსგავსად, სერჟანტი ნელნელა ეჩვევა დაქანცულობისაგან მოთენთილ თავის უსარგებლო სხეულს, რომელიც სულ მალე, გაღვიძებისას შემცივნების გარდა, იგრძნობს სახსრების მწვავე ტკივილს, იარაღის სიმძიმეს, სულმოუთქმელად სირბილისა და

სიკვდილის საშინელებას. და იგრძნობს სიკვდილს იმდენად არა, რამდენადაც წებოვან სისხლს, რომელშიც ააფათურებს ხელებს, რომ წამოდგეს; და იმდენად სიკვდილს არა, რამდენადაც სულის ხუთვას, რამდენადაც სიკვდილის ყინულოვან სუნთქვას ირგვლივ და მიუსაფრობას კვდომისას. სერჟანტის ყურებაში მე კვლავ მახსენდება ჩემი საკუთარი უსიხარულო გამოღვიძება უდაბნოში და კვლავ მაწვება წყურვილის, მზისა და ქვიშის ტვირთი, ტვირთი სიცოცხლისა — ამ სიზმრისა, რომლის არჩევა შენზე არ არის დამოკიდებული.

მაგრამ აი სერჟანტი წამოდგა და გვიყურებს პირდაპირ თვალებში:

— დროა?

და აი სწორედ აქ ვლინდება ადამიანი, სწორედ აქ უსხლტება იგი ხელიდან ლოგიკის ყოველგვარ კანონებს. სერჟანტი იღიმებოდა. რა ხიბლავდა მას?

მაგონდება ერთი ღამე პარიზში. მე და მერმოზი ვიღაცის დაბადების დღეს ვზეიმობდით მეგობართა წრეში და საკუთარ თავზე გაჯავრებულები იმის გამო, რომ ამდენი ღვინო ვსვით, ამდენი ვილაპარაკეთ და ასე უაზროდ დავიქანცეთ, გათენებისას ბარის კართან აღმოვჩნდით. ცა უკვე იცრიცებოდა. უეცრად მერმოზმა ხელი ხელზე მომიჭირა ისე მაგრად, რომ მისი ფრჩხილებიც კი ვიგრძენი. `იცი, ეს არის წუთი, როცა დაკარში...~ ეს იყო წუთი, როცა მექანიკოსები თვალებს იფშვნეტენ და საბურველს ხსნიან თვითმფრინავს, როცა მფრინავი მიდის ამინდის გასაგებად, როცა დედამიწა მხოლოდ მეგობრებითაა დასახლებული. ცა უკვე წითლად იღებებოდა, უკვე იწყებოდა სადღესასწაულო მზადება, მაგრამ ჩვენთვის კი არა, — სხვებისათვის, უკვე იშლებოდა საზეიმო სუფრა, ჩვენ კი მოწვეულთა შორის არ ვიყავით. ჩვენ კი არა, სხვებს უნდა გაეწირათ სიცოცხლე...

`აქ კი რა ჭაობია...~ — დაასკვნა მერმოზმა.

და, სერჟანტო, ღირდა კი სიკვდილი იმ ბანკეტისთვის, რომელზეც შენ იყავი მიწვეული?

შენ უკვე გადამიშალე გული და მიამბე შენი ამბავი. სადღაც ბარსელონაში პატარა ბუღალტერი იყავი და, რიცხვების დაანგარიშებით გართულს, მაინცდამაინც როდი გაინტერესებდა პოლიტიკური ბრძოლა. მაგრამ აი ერთი ამხანაგი მოხალისედ წავიდა ჯარში, მას მიჰყვა მეორე, მესამე, და შენ გაოცებით შენიშნე შენში რაღაც უჩვეულო და ახალი. თანდათან შენი საქმიანობა არარაობად მოგეჩვენა. შენი სიხარული, შენი ზრუნვა, შენი პატარა კეთილდღეობა, — ყოველივე ეს აღარ შეესაბამებოდა დროს. მთავარი ეს აღარ იყო. და აი, სწორედ ამ დროს გაიგე, რომ მალაგის მახლობლად ერთი შენი ამხანაგი მოეკლათ. ეს არ იყო ისეთი მეგობარი, რომ მის მოკვლას შენში შურისძიების გრძნობა აღეძრა, არც პოლიტიკა გაღელვებდა როდისმე და მაინც, ამ ცნობამ ზღვიდან მონაბერი ნიავივით გადაუარა თქვენს შეზღუდულ არსებობას. ერთმა ამხანაგმა შემოგხედა იმ დილას და გკითხა:

— წავიდეთ?

— წავიდეთ.

და თქვენ `წახვედით~.

თვალწინ მეხატება იმ ჭეშმარიტების ამხსნელი სურათები, რომლის სიტყვებით გამოსახვა შენ ვერ შეძელი, მაგრამ რომელიც, უეჭველია, განსაზღვრავდა შენს ქცევას.

ფრინველთა გადაფრენის დროს, იმ რაიონებში, რომლებსაც გარეული იხვები გადაუვლიან ხოლმე, ბევრი საინტერესო რამ შეიძლება შენიშნოთ. შინაურ იხვებს თითქოს იზიდავს ზეცაში გაკრული სამკუთხედი და მოუხეშავად ცდილობენ თვითონაც მოწყდნენ დედამიწას. ველური ძახილი აღვიძებს მათში მივიწყებული ინსტინქტების რაღაც ნაშთებს. და აი შინაური იხვები ერთი წუთით გადამფრენ ფრინველებად იქცევიან. მათ პატარა და მაგარ თავებში, სადაც მხოლოდ გუბეების, ჭიაღუას, საფრინველეს ხატები ბუდობდნენ, უეცრად იშლება კონტინენტთა სურათები, ზღვების გეოგრაფია, იღვიძებს ცის უსასრულო სივრცეებისადმი სწრაფვა. ფრინველს აქამდე აზრადაც არ მოსვლია, რომ მის გონებას ამდენი სასწაულის ჩატევა შეეძლო, ახლა კი

არავითარ ყურადღებას აღარ აქცევს მის წინ დაყრილ საკენკს, ყურადღებას აღარ აქცევს ჭიაღუას, მძლავრად სცემს ფრთებს და სურს, გარეულ იხვად იქცეს.

კიდევ უფრო ნათელია ჩემი ქურციკების მაგალითი. ჯუბში ქურციკები მყავდა. იქ ჩვენ ყველას გვყავდა ქურციკები. გვყავდა ღია ცის ქვეშ, ლითონის ბადით შემოღობილ ბაკში, რადგან ქურციკებისათვის აუცილებელია მონაბერი ქარის სინოტივე, — ისინი ხომ ძალზე ნაზი არსებები არიან! და მაინც, თუ მთლად ახალგაზრდა ასაკში დაიჭერთ, მათ შეუძლიათ ტყვეობის ატანა და თქვენი ხელიდან საკვების მიღება. ისინი არ უარობენ ალერსს და სველი დრუნჩით ხელისგულებზე გელაციცებიან. გგონიათ, რომ ისინი უკვე მოშინაურებულები არიან, გგონიათ, რომ ააცილეთ მათ ის გამოუცნობი სევდა, რომელიც ჩუმად ხოცავს ქურციკებს და ესოდენ გულსაკლავს ხდის მათ სიკვდილს... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უეცრად ხედავთ, როგორ უწყებენ რქენას იმ ღობეს, რომლითაც უდაბნოსაგან არიან გამიჯნულნი. უდაბნო ანდამატივით იზიდავს მათ. მათ ჯერ თვითონაც არ იციან, რომ უკვე გაქცევა უნდათ თქვენგან. მათ ესეს არის დალიეს თქვენი მიტანილი რძე, ალერსის ნებასაც იძლევიან და კიდევ უფრო ნაზად გიყოფენ დრუნჩს ხელისგულებში. მაგრამ საკმარისია გაუშვათ ხელი, რომ იმავე წუთს ადგილიდან მოწყდნენ და, ბედნიერებისაგან დაოთხილებმა, კვლავ ბაკის ლითონის ბადეს მიაშურონ. და თუ საქმეში არ ჩაერევით, ასე თავჩაქინდრულები დარჩებიან ამ ბადესთან და წინააღმდეგობის გადალახვასაც კი არ შეეცდებიან, ისე იდგებიან სიკვდილამდე ბადეზე რქებმიბჯენილები. სიყვარულის ჟამი ხომ არ დაუდგათ? თუ, უბრალოდ, გაუჩნდათ მოთხოვნილება გამალებული, სულმოუთქმელი სრბოლისა? თვითონაც არ იციან ეს. მათ ჯერ თვალებიც არ ახელოდათ, როცა ტყვედ მოხვდნენ, მათთვის უცნობია უდაბნოს თავისუფლებაცა და მამალი ქურციკის სუნიც. მაგრამ თქვენ ხომ მათზე ჭკვიანი ხართ. თქვენ იცით, რომ მხოლოდ სივრცეებს ძალუძთ მათი სრულყოფა. მათ სურთ იქცნენ ნამდვილ ქურციკებად და იცეკვონ თავიანთი ცეკვა. მათ სურთ გაიჭრან წინ და იქროლონ სწორხაზოვნად ას ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით საათში, დროდადრო განზე გახტომით, თითქოს ქვიშა ცეცხლს აფრქვევდეს ადგილადგილ. და დაე, იქვე სადღაც არსებობდნენ ტურები, თუკი ქურციკთა ჭეშმარიტებაა — შიშის განცდა, რომელიც აიძულებს მათ, ისეთი კამარები შეკრან, რომ საკუთარ შესაძლებლობასაც კი

გადააჭარბონ. და დაე, იქვე სადღაც არსებობდეს ლომი, თუკი ქურციკთა ჭეშმარიტებაა — დაგლეჯილ იქნან მისი ბრჭყალებით მზის ელვარებაში. უყურებ ქურციკებს და ფიქრობ: მათ სევდა ღრღნის. სევდა — ეს რაღაც იდუმალის წყურვილია... ის, რაც გწყურია, არსებობს, მაგრამ სიტყვებით ამას ვერ გამოხატავ.

ჩვენ? ჩვენ რაღა გვაკლია?

აი შენ, სერჟანტო, საიდან გაგიჩნდა, მაგალითად, რწმენა, რომ აქ, ფრონტზე, შენი ყოფნა შენი ბედის გარდუვალობაა? იქნებ ეს გაგრძნობინა ძმურმა ხელმა, რომელმაც თავი წამოგიწია მძინარეს, იქნებ შთაგაგონა ნაზმა ღიმილმა, აღსავსემ არა თანაგრძნობით, არამედ საერთო ხვედრის შეგნებით? `ჰეი, ამხანაგო!..~ როცა ერთი თანაუგრძნობს მეორეს, ისინი ჯერ კიდევ ორნი არიან. ისინი ჯერ კიდევ გაყოფილნი არიან, მაგრამ არსებობს ურთიერთობა, როდესაც მადლიერება, ისევე როგორც სიბრალული, კარგავს აზრს. და აი, სწორედ აქ იწყებ სუნთქვას ისე ღრმად, როგორც ციხიდან ახლად განთავისუფლებული ტუსაღი.

ჩვენ ვიცოდით, რას ნიშნავდა ასეთი ურთიერთობა, როცა ორი თვითმფრინავით ვკვეთდით რიოდეოროს ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ რაიონებს. მე არასოდეს მსმენია, რომ ავარიაში მოხვედრილს მადლობა ეთქვას თავისი მხსნელისათვის. თვითმფრინავიდან თვითმფრინავში ფოსტის დამქანცველი გადატანისას ჩვენ უფრო ხშირად ვილანძღებოდით კიდეც: `არამზადავ! სულ შენი ბრალია, რომ ავარია მომიხდა! სულ შენი ბრალია, გადარეულივით ორი მილის სიმაღლეზე რომ დაფრინავ ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით! მე რომ მომყოლოდი, აქამდე პორტეტიენში ვიქნებოდით! და მხსნელს, რომელიც ხიფათში აგდებდა საკუთარ სიცოცხლეს, სირცხვილი სწვავდა, რომ არამზადულად მოიქცა. და მართლაც, რისთვის უნდა ეთქვათ მისთვის მადლობა? მას ხომ ისევე ეკითხებოდა ჩვენი სიცოცხლე, როგორც ჩვენ — მისი, ჩვენ ხომ ერთი ხის რტოები ვიყავით. და მე ვამაყობდი შენით, ჩემო მხსნელო!

რატომ უნდა შებრალებოდი, სერჟანტო, მას, ვინც სიკვდილისათვის გამზადებდა? თქვენ ხომ ყველანი ერთნაირად აგდებდით საფრთხეში საკუთარ სიცოცხლეს ერთმანეთის გულისათვის. სწორედ ასეთ წუთებში იგრძნობა ერთობა, რომელსაც არ სჭირდება სიტყვები. მე მესმის, რატომ წახვედი ჯარში. თუ ბარსელონაში იყავი ღარიბი, თუ იქ მუშაობის შემდეგ სიმარტოვეს გრძნობდი, თუ იქ შენს სხეულსაც კი ვერ ეპოვა თავშესაფარი, აქ შენ იგრძენი, რომ ახორციელებ საკუთარ მოწოდებას, სრულყოფ საკუთარ თავს და თითქოს უერთდები რაღაც ყოვლისმომცველს, — ბოლოს და ბოლოს, შენ, პარიას, ახლა უკვე მიგიღებს სიყვარული.

მიმიფურთხებია იმისთვის, გულწრფელი იყო თუ არა, ლოგიკური იყო თუ არა პოლიტიკოსთა ის მაღალფარდოვანი სიტყვები, რომლებიც შესაძლოა გულში ჩაგივარდა. თუ მათ ფესვი გაიდგეს შენში, თუ თესლივით აღმოცენდნენ, მაშასადამე, ისინი პასუხობდნენ შენს მოთხოვნილებებს. შენ ერთს შეგიძლია ამის განსჯა. ყველა ნიადაგს თავისი თესლი სჭირდება.

3.

ჩვენ მხოლოდ მაშინ ვსუნთქავთ თავისუფლად, როცა ჩვენს ძმობას საფუძვლად უდევს ჩვენ გარეშე არსებული საერთო მიზანი. გამოცდილებით ვიცით, რომ სიყვარული ნიშნავს არა ერთმანეთის ყურებას, არამედ ყურებას ერთად და ერთი მიმართულებით. ამხანაგები მხოლოდ ისინი არიან, რომელნიც ერთ ბაგირს ეჭიდებიან, საერთო ძალით ადიან მწვერვალზე და ამგვარად აღწევენ ურთიერთსიახლოვეს. თუ ეს ასე არ არის, მაშ რატომ იყო, რომ ამ კომფორტის საუკუნეში ჩვენ სრულ ბედნიერებას ვგრძნობდით, როცა უდაბნოში უკანასკნელ ლუკმას ვუყოფდით ერთმანეთს? რა ფასი აქვს, ამასთან შედარებით, სოციოლოგთა განჭვრეტებს? ვისაც კი უგრძვნია ის უზარმაზარი ბედნიერება, რომელსაც იძლევა ავარიაში მოყოლილთა გადარჩენა საჰარაში, ყველა სხვა სიხარულს არარაობად მიიჩნევს.

იქნებ სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენ გარშემო არსებული სამყარო ლამის მთლად დაირღვეს. თითოეული მიმდევარია იმ მოძღვრებისა, რომელიც მას სულიერ სისავსეს ჰპირდება. ყველა ჩვენგანის წინააღმდეგობრივ სიტყვებში ერთი და იგივე მისწრაფება იმალება, ჩვენ ერთმანეთისაგან გვყოფს მეთოდები — მსჯელობის ნაყოფი, და არა მიზნები: მიზანი ყველასი ერთია.

ამიტომ გასაოცარიც არაფერია, იმ კაცისათვის, რომელმაც თუნდაც ერთხელ ბარსელონაში, ანარქისტთა სარდაფში, დაინახა მათი თავგანწირვა, მათი ურთიერთდახმარება, მათი მკაცრი სამართლიანობა, და იგრძნო, როგორ გაიღვიძა მასში მანამდე მთვლემარე რაღაც იდუმალმა. ასეთი კაცისთვის არ არსებობს და არც იარსებებს სხვა სიმართლე, გარდა ანარქისტების სიმართლისა. ის კი, რომელსაც თუნდაც ერთხელ წილად ხვდომია დაეცვა ესპანეთის რომელიმე მონასტრის პატარა, შიშისაგან გულგახეთქილი, მუხლმოდრეკილი მონაზვნები, — ყოველთვის მზად იქნება, შეეწიროს ეკლესიას.

ჩილის ანდებისკენ გადაშვებული და გამარჯვების გრძნობით შეპყრობილი მერმოზისთვის რომ გეთქვათ: ამაოა შენი შრომა, რომელიმე ვაჭრის წერილები საეჭვოა, ღირდეს იმად, რომ მათი გულისთვის თავი საფრთხეში ჩაიგდოო, — იგი სიცილს დაგაყრიდათ. ჭეშმარიტება იმაშია, რომ ანდებზე გადაფრენის ჟამს მასში ადამიანი იბადებოდა.

თუ გინდათ დაარწმუნოთ ომის მომხრე, რომ ომი საშინელებაა, ნუ უწოდებთ მას ბარბაროსს. ვიდრე განსჯიდეთ, ეცადეთ, გაუგოთ მას.

აბა დაფიქრდით, მაგალითად, ერთი სამხრეთელი ოფიცრის ამბავზე. რიფის ომის დროს ეს ოფიცერი ხელმძღვანელობდა გამაგრებულ პუნქტს, რომელიც ამბოხებულთა მიერ დაკავებულ ორ მაღლობს შორის იყო შეჭრილი. ერთ საღამოს იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა დასავლეთის მთის წარმომადგენლებთან. როგორც წესია, ჩაის სვამდნენ. უცბად ატყდა სროლა: აღმოსავლეთის მასივის ტომები იერიშზე გადმოსულიყვნენ. იმისათვის, რომ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღოთ, კაპიტანმა წარმომადგენლებს პუნქტიდან წასვლა შესთავაზა, მათ კი უპასუხეს: `დღეს ჩვენ შენი სტუმრები ვართ.

ღმერთი ნებას არ გვაძლევს, დაგტოვოთ~... ისინი შეუერთდნენ მასპინძლის მეომრებს და გადაარჩინეს პოსტი, მერე თავიანთ არწივის ბუდეში დაბრუნდნენ.

მაგრამ იმის წინა დღეს, როცა მათ, თავის მხრივ, პოსტზე თავდასხმა გადაწყვიტეს, კაპიტანს მოციქულები გაუგზავნეს.

— იმ ღამეს ჩვენ გიშველეთ...

— მართალია...

— ჩვენ სამასი ვაზნა დავხარჯეთ...

— მართალია.

— სამართლიანობა მოითხოვს, ვაზნები დაგვიბრუნო.

და სულგრძელ კაპიტანს არ ძალუძს ისარგებლოს უპირატესობით, რომელსაც იგი მტრის კეთილშობილებას უნდა უმადლოდეს. იგი უბრუნებს მათ ვაზნებს, რომლებსაც ისინი მის წინააღმდეგ გამოიყენებენ. როცა კაცი, რომელმაც შეიცნო ასეთი კეთილშობილება ადამიანთა ურთიერთობაში, ასეთი პატიოსნება თამაშში, ასეთი ურთიერთპატივისცემა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში — სიცოცხლე იქნება ეს თუ სიკვდილი — მთელ ამ სიდიადეს ადარებს უბადრუკ გულმოწყალებას დემაგოგისა, რომელიც თავის ძმურ დამოკიდებულებას, ვთქვათ, იმავე არაბებისადმი, გამოხატავს მხარზე ხელის დაკვრით, რითაც ერთსა და იმავე დროს კიდეც აამებს და კიდეც ამდაბლებს მათ, — ასეთი კაცი, თუკი შეეკამათებით მას, მხოლოდ ზიზღნარევ სიბრალულს იგრძნობს თქვენდამი და ის მართალი იქნება.

მაგრამ თქვენც მართალი იქნებით ომისადმი თქვენს სიძულვილში.

იმისათვის, რომ შეიცნოთ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი, რომ გაიგოთ, რაში მდგომარეობს ადამიანის არსი, არ არის საჭირო ერთმანეთს დაუპირისპიროთ თქვენი ჭეშმარიტებანი. დიახ, თქვენ მართალი ხართ. თქვენ ყველანი მართალნი ხართ. ლოგიკის

ხერხებით ყველაფრის დამტკიცება შეიძლება. ისიც კი მართალია, ვინც სამყაროში არსებულ ყველა უბედურებას კუზიანებს აბრალებს. საკმარისია, ომი გამოვუცხადოთ კუზიანებს და ჩვენ მაშინვე ვისწავლით მათ სიძულვილს. ჩვენ დავიწყებთ კუზიანების დასჯას მათი დანაშაულისათვის. დანაშაულს კი, რა თქმა უნდა, კუზიანებიც სჩადიან.

იმისათვის, რომ სცადო ადამიანის არსის გამოვლენა, საჭიროა ერთი წუთით დაივიწყო მასთან უთანხმოება, რადგან, როცა მოკამათენი ჯიუტობენ, თითოეული მათგანი წამოაყენებს ურყევ ჭეშმარიტებათა მთელ ყურანს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ფანატიზმს წარმოშობს. ადამიანები შეიძლება დაიყვნენ მემარჯვენეებად და მემარცხენეებად, კუზიანებად და უკუზოებად, ფაშისტებად და დემოკრატებად, და ასეთი დაყოფის საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყვი. მაგრამ ჭეშმარიტებას, როგორც მოგეხსენებათ, სამყაროში შეაქვს სიმარტივე და არა ქაოსი, ჭეშმარიტება — ეს არის ენა, რომელიც გამოავლენს საყოველთაო კანონზომიერებებს. ნიუტონს რებუსის ამოხსნის მსგავსად როდი `აღმოუჩენია~ კანონი, რომელიც ყველასათვის უცნობი იყო დიდი ხნის მანძილზე. ნიუტონმა შემოქმედებითი აქტი აღასრულა. მან შექმნა ისეთი ენა, რომლის შემწეობითაც შეიძლება აიხსნას მინდორში ვაშლის ჩამოვარდნაც და მზის ამოსვლაც. ჭეშმარიტება სრულიადაც არ არის ის, რაც შეიძლება დამაჯერებლად დაამტკიცო; ჭეშმარიტება არის ის, რაც ყოველივეს უბრალოსა და გასაგებს ხდის.

რა საჭიროა კამათი იდეოლოგიათა შესახებ? მართალია, მათი დებულებები საბუთდება, მაგრამ ამავე დროს ხომ ყველა ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. იდეოლოგიური უთანხმოებანი ადამიანს ხსნის იმედს უკარგავენ, მაშინ, როცა ყველას ჩვენ ირგვლივ ერთი და იგივე სწყურია.

ჩვენ განთავისუფლება გვინდა. მას, ვინც წერაქვით მუშაობს, უნდა, რომ აზრს ხედავდეს წერაქვით მუშაობაში. კატორღელი მუშაობს წერაქვით და ასეთი შრომა ამცირებს კატოღელს; მადნეულის მაძიებელიც წერაქვით მუშაობს და ეს შრომა ამაღლებს მას. წერაქვით მუშაობა სრულიადაც არ ნიშნავს კატორღაში ყოფნას. კატორღის საშინელებანი მატერიალური ხასიათისა როდია. კატორღა არის იქ, სადაც წერაქვით მუშაობა

მოკლებულია ყოველგვარ აზრს, სადაც შრომა არ აკავშირებს მშრომელს ყველა სხვა ადამიანთან.

და ჩვენ გვინდა, გავიქცეთ კატორღიდან.

ევროპაში ორასი მილიონი ადამიანია, რომელთა არსებობა მოკლებულია აზრს და რომელთაც უნდათ ნამდვილი ცხოვრება იგემონ. მრეწველობამ გაწყვიტა მათი კავშირი გლეხთა მთელი თაობების ცხოვრებასთან და გამოკეტა ისინი ვეებერთელა გეტოებში, რომლებიც გამჭვარტლული ვაგონებით გაჭედილ დამხარისხებელ სადგურებს ჰგვანან. მუშათა ახალშენების მოსახლეობას გაღვიძება სურს. არიან სხვაგვარი ადამიანებიც — ჩაფლულნი სხვადასხვა პროფესიის ჭაობში, ადამიანები, რომელთათვისაც მიუწვდომელია გამომგონებლის სიხარული, რწმენის სიხარული, მეცნიერის სიხარული. ზოგიერთის აზრით, საკმარისია ჩააცვა, კვებო, დააკმაყოფილო ყველა მათი საარსებო მოთხოვნილება, რომ ისინი სულით აამაღლო. და აი ასეთებისაგან თანდათანობით შეიქმნენ კურტელინის მიერ აღწერილი მეშჩანები, სოფლის პოლიტიკოსები, ტექნიკოსები, რომლებიც მოკლებულნი არიან შინაგან ცხოვრებას. მათ საკმაო განათლებასაც აძლევენ, მაგრამ ეს ხომ კულტურა არ არის. ის, ვინც ფიქრობს, რომ კულტურა გაზეპირებული ფორმულების კომპლექტია, მაღალი აზრის არ ყოფილა კულტურაზე. ლიცეუმის სპეციალური კლასის საშუალო მოწაფემ უფრო მეტი იცის ბუნებისა და მისი კანონების შესახებ, ვიდრე დეკარტემ და პასკალმა, მაგრამ განა ასეთ მოწაფეს შეუძლია მათსავით იაზროვნოს?

ადამიანები — ზოგი მეტი, ზოგი ნაკლები ბუნდოვანებით — ხელმეორედ დაბადების მოთხოვნილებას გრძნობენ. მაგრამ არსებობს ამ პრობლემის მოჩვენებითი გადაწყვეტა. რა თქმა უნდა, შეიძლება ადამიანები აღაფრთოვანო იმით, რომ ჩააცვა სამხედრო ფორმა. ისინი იმღერებენ სამხედრო ჰიმნებს და თავიანთ თანამებრძოლებს პურს უწილადებენ. ისინი მოიპოვებენ იმას, რასაც ეძიებენ, და იგრძნობენ, რომ ეზიარნენ რაღაც ზოგადადამიანურს. მაგრამ ამ პურისათვის ეს ადამიანები ხომ სიცოცხლეს სწირავენ.

შეიძლება ხელახლა მზის სინათლეზე გამოიტანოთ ხის კერპები და აღადგინოთ ძველი მითები, რომელთაც ავად თუ კარგად უკვე გამოავლინეს თავიანთი ძალა; შეიძლება

ააღორძინოთ პანგერმანიზმის ბანგი და რომის იმპერიის მისტიკა. შეიძლება გააბრუოთ გერმანელები იმის ძახილით, რომ ისინი გერმანელები და ბეთჰოვენის თანამემამულენი არიან. ამით შეიძლება გააბრუოთ ყველა მათგანი, — უკანასკნელი შავი მუშის ჩათვლით. ეს, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ის, რომ ამ მუშაში ბეთჰოვენი გააღვიძოთ.

მაგრამ ყველა ეს კერპი ავხორცი კერპია. ის, ვინც კვდება იმისათვის, რომ ჩვენი ცოდნა წინ წასწიოს, ან იმისათვის, რომ მოგვცეს საშუალება — ადამიანები ავადმყოფობისაგან განვკურნოთ, ის თავისი სიკვდილითაც სიცოცხლეს ემსახურება. შესაძლოა ძალიანაც ლამაზი იყოს ტერიტორიის დაპყრობისათვის სიკვდილი, მაგრამ ახლანდელი ომი ანადგურებს ყოველივე იმას, რასაც კი იგი ვითომდა ემსახურება. დღეს უკვე ლაპარაკი აღარ არის იმ რამდენიმე წვეთ სისხლზე, რომელიც საჭიროა მსხვერპლად შეეწიროს მთელი რასის აღორძინებას. მას აქეთ, რაც თვითმფრინავებისა და იპრიტის საშუალებით ომობენ, ომი სისხლიან ქირურგიად იქცა. თითოეული მოწინააღმდეგე ბეტონის კედელს ეფარება, თითოეული, უფრო ძლიერი საშუალების უქონლობის გამო, ყოველ ღამე ესკადრილიებს გზავნის მეორის დასაბომბად, მახვილს სცემს შიგ გულში, აფეთქებს მის სასიცოცხლო ცენტრებს, ადამბლავებს მის მრეწველობასა და ტრანსპორტს. გაიმარჯვებს ის, ვინც გაიხრწნება უკანასკნელი. ორივე მოწინააღმდეგე კი ერთდროულად იხრწნება.

ამ უდაბნოდ ქცეულ სამყაროში ჩვენ ამხანაგების პოვნა გვწყურია; და იმ პურის გემომ, რომელსაც ამხანაგს ვუნაწილებთ, გვიკარნახა ომი მიგვეღო. მაგრამ იმისათვის, რომ იგრძნო სითბო, იმისათვის, რომ ერთი მიზნისაკენ სწრაფვისას იგრძნო ამხანაგის იდაყვის შეხება, არ არის საჭირო ომი. ომი მოტყუებაა. სიძულვილი არაფერს მატებს სწრაფვის აზარტს.

რა საჭიროა გვძულდეს ერთმანეთი? ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს, ჩვენ ყველანი ერთი და იგივე პლანეტით მივექანებით სივრცეში, ჩვენ ერთი და იგივე ხომალდის ეკიპაჟი ვართ. ცუდი როდია, როდესაც სხვადასხვა ცივილიზაცია ერთიმეორეს

უპირისპირდება და ამით ხელს უწყობს ახალი, საერთო ცივილიზაციის განვითარებას; შემაძრწუნებელია, როცა ისინი ნთქავენ ერთმანეთს.

თუ ჩვენი განთავისუფლებისათვის საკმარისია ვიპოვოთ საერთო მიზანი, რომელიც შეგვაკავშირებს ჩვენ ყველას, განა უკეთესი არ იქნება, ვეძებოთ ეს მიზანი იმაში, რაც ჩვენ ყველას გვაერთიანებს? ავადმყოფის გასინჯვისას ქირურგი ყურადღებას არ აქცევს მის კვნესას; მისთვის სულ ერთია ვინ კვნესის, — იგი მკურნალობს ადამიანს. ქირურგის მოქმედება საყოველთაოს გამოხატულებაა, ისევე, როგორც საყოველთაოს გამოხატულებაა ფიზიკოსის თითქმის ღვთაებრივი განტოლებები, რომლებიც მოიცავენ ატომის არსსაცა და ციური ნისლოვანებების არსსაც. საყოველთაოს გამოხატულებაა ჩვეულებრივი მწყემსის შრომაც, ვინაიდან, საკმარისია, ადამიანმა, რომელიც ვარსკვლავებქვეშ თავმდაბლად დარაჯობს რამდენიმე ცხვარს, შეიგნოს თავისი როლი, რომ მაშინვე უბრალო მსახურად კი არა, გუშაგად იგრძნოს თავი. და ყოველი გუშაგი ხომ პასუხისმგებელია მთელი იმპერიის ბედისათვის.

ნუთუ თქვენ შეგიძლიათ დაიჯეროთ, რომ მწყემსს არ სურს შეიგნოს თავისი როლი? მადრიდის ფრონტზე ყოფნისას მე ერთ სკოლას ვეწვიე. იგი თხრილების ხაზიდან ხუთასიოდე მეტრით მოშორებულ ბორცვზე იდგა მაღალ ქვის გალავანს თავშეფარებული. ამ სკოლაში ბოტანიკას კაპრალი ასწავლიდა. იგი დაკოჟრებული თითებით ასწორებდა ყაყაჩოს ნაზ ფურცლებსა და მტვრიანებს და თავისკენ იზიდავდა წვერმოშვებულ ადამიანებს, რომლებიც ყუმბარების გრიალში მისკენ ისწრაფოდნენ. როგორც კი მიაღწევდნენ კაპრალამდე, ჩამოსხდებოდნენ მის გარშემო მკერავებივით და, ხელებზე ნიკაპდაყრდნობილნი, ჩუმად უსმენდნენ. წარბებს იჭმუხნიდნენ, თავს ძალას ატანდნენ და მასწავლებლის ახსნაგანმარტებიდან ბევრს მაინც ვერაფერს იგებდნენ. მაგრამ მათ უთხრეს: `თქვენ უმეცრები ხართ, თქვენ ესეს არის გამოძვერით ბუნაგებიდან, უნდა დაეწიოთ კაცობრიობას~! და ისინიც ჩქარობდნენ დასწეოდნენ მას თავიანთი მძიმე ნაბიჯებით.

ჩვენ ბედნიერები ვიქნებით მხოლოდ მაშინ, როცა შევიცნობთ ჩვენს თუნდაც მცირე როლს ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვიცხოვროთ და მოვკვდეთ მშვიდად, რადგან ის, რაც აზრს აძლევს სიცოცხლეს, აზრს აძლევს სიკვდილსაც.

სიკვდილი ისე ჩუმია, რომ იგი ბუნებრივია! როცა ბებერი პროვანსელი გლეხი თავისი მეფობის დასასრულს თავის თხებს, თავის ზეთისხილის ხეებს დასაცავად უტოვებს ვაჟიშვილებს, რათა თავის დროზე მათაც დაუტოვონ ისინი თავიანთ შვილებს და შვილთაშვილებს, გლეხის მოდგმაში მხოლოდ ნახევრად კვდებიან. დგება ჟამი და გლეხის სიცოცხლე სკდება ცერცველასავით, რომელიც მარცვლებს აქეთიქით ისვრის.

ერთხელ სამი გლეხი ვნახე დედის სასიკვდილო სარეცელთან. რა თქმა უნდა, ეს მეტად მტკივნეული იყო. ხელმეორედ წყდებოდა ჭიპლარი, ხელმეორედ იხსნებოდა კვანძი, რომლითაც ერთი თაობა მეორეს უკავშირდება. სამმა ვაჟიშვილმა უეცრად იგრძნო თავისი სიმარტოვე, ცხოვრების უცოდინარობა, დაინახა, რომ აღარ არის ოჯახური სუფრა, რომლის გარშემოც ასე სასიხარულო იყო თავის მოყრა უქმე დღეებში, აღარ არის მიზიდულობის პოლუსი, რომელიც მათ ყველას აერთიანებდა. მე კი ჭიპლარის ამ გაწყვეტამ დამანახვა რაღაც სხვა, — ის, რომ სიცოცხლე მეორდება და მეორდება. თავის მხრივ, ეს ვაჟიშვილები სათავეში ჩაუდგებიან გვარს, იქცევიან მიზიდვის ცენტრებად და პატრიარქებად და ასე იქნება იქამდე, ვიდრე ისინიც ძალაუფლებას არ გადასცემენ პატარებს, რომლებიც ახლა ეზოში თამაშობენ.

მე დავყურებდი დედას, ამ მშვიდი და მკაცრი სახის მოხუც გლეხის ქალს, მის მაგრად მოკუმულ ტუჩებს, მის ქვის ნიღბად ქცეულ სახეს, და მასში ვაჟიშვილების სახეებს ვხედავდი. მათი სახეები ამ ნიღბის მიხედვით იყო ჩამოსხმული. მათი სხეულები, — ვაჟკაცურობის ეს მშვენიერი ნიმუშები, დედის ყალიბისა იყვნენ. მაგრამ ახლა ის გულამოცლილი ნაჭუჭივით იწვა. თავის მხრივ, მისი ვაჟები და ქალიშვილები შექმნიან თავიანთი სისხლისა და ხორცისაგან ადამიანთა მართვეებს. ამ კარმიდამოში არავინ კვდებოდა. დედა მოკვდა, გაუმარჯოს დედას!

რა სამწუხაროა და თან რა უბრალო გლეხთა თაობების ცხოვრება, თაობებისა, რომლებიც იდუმალი ჭეშმარიტებისკენ, გარდაქმნიდან გარდაქმნისკენ მიაბიჯებენ და გზადაგზა ჭაღარათმიან მიცვალებულებს ტოვებენ!

აი რატომ მეჩვენებოდა იმ საღამოს, რომ სამგლოვიარო ზარის რეკვა სოფელში გამსჭვალული იყო არა სასოწარკვეთილებით, არამედ თავშეკავებული, ალერსიანი აღტაცებით. ზარი, რომელიც ერთნაირად რეკავდა დაკრძალვისა თუ ნათლობის დროს, ერთხელ კიდევ გვამცნობდა თაობათა შეცვლას. და არაჩვეულებრივი სიმშვიდე ეუფლებოდა ყველას, ვისაც კი ესმოდა, როგორ ადიდებდნენ ზარები მოხუცი გლეხი ქალის დაწინდვას დედამიწასთან. და სიცოცხლე ვითარდებოდა ნელა, როგორც ხე, გადაეცემოდა თაობიდან თაობას და თაობიდან თაობაზე გადადიოდა არა მარტო სიცოცხლე, არამედ ცნობიერებაც. რა საოცარი ევოლუციაა! გამდნარი ლავიდან, ციურ სხეულთა ნივთიერებიდან, სასწაულებრივ წარმოქმნილი ცოცხალი უჯრედიდან გავჩნდით ჩვენ, ადამიანები, და თანდათანობით მივაღწიეთ იმას, რომ შეგვიძლია ვწეროთ კანტატები და დავადგინოთ შორეულ მნათობთა წონა.

დედამ შვილებს მისცა არა მარტო სიცოცხლე, არამედ ასწავლა ენა, გადასცა საუკუნეების მანძილზე თანდათანობით დაგროვილი ცოდნა, წინაპართაგან მიღებული სულიერი მემკვიდრეობა, ტრადიციების, წარმოდგენებისა და მითების მცირედი მარაგი, ყოველივე ის, რაც აშორებს ნიუტონსა და შექსპირს გამოქვაბულის ადამიანისაგან.

ჩვენში აღძრული შიმშილის გრძნობა, იმ შიმშილისა, რომელიც ჯარისკაცებს ბრძოლის ცეცხლშიც კი ბოტანიკის გაკვეთილებისკენ ეწეოდა, შიმშილისა, რომელიც მერმოზს სამხრეთ ატლანტიკის ცისკენ მიაქანებდა, ხოლო სხვებს — პოეზიისაკენ, მიგვითითებს იმაზე, რომ ადამიანის შექმნის პროცესის დასრულებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია, ჩვენ ჯერ კიდევ უნდა შევიცნოთ ჩვენი საკუთაარი თავი და უნდა შევიცნოთ სამყარო. უნდა გავდოთ ხიდები ღამეზე. ეს არ სურთ გაიგონ მხოლოდ იმათ, ვისი სიბრძნეც მდგომარეობს გულგრილობაში, რასაც თვითონ ეგოიზმს უწოდებენ, მაგრამ ამ სიბრძნეს

თვით ცხოვრება უარყოფს! მეგობრებო, ჩემო მეგობრებო, გთხოვთ დამემოწმოთ, გთხოვთ თქვათ: როდის გვიგრძვნია თავი ბედნიერად?

4.

და აი ამ წიგნის უკანასკნელ გვერდზე მე კვლავ ვიგონებ დაბერებულ მოხელეებს, — ჩვენს კორტეჟს იმ გარიჟრაჟზე, როცა პირველი საფოსტო რეისი ჩაგვაბარეს და როდესაც ჭაბუკობიდან მამაკაცობაში გადავაბიჯეთ. ეს მოხელეები ჩვენისთანა ადამიანები იყვნენ, მაგრამ მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ თავიანთ სულიერ შიმშილზე.

მეტისმეტად ბევრ ადამიანს აძლევენ დაძინების საშუალებას!

რამდენიმე წლის წინ, რკინიგზით ხანგრძლივი მგზავრობის დროს, მომინდა ჩამომევლო ჩემი თვლებზე შემდგარი სახლი, რომელშიც სამი დღით ვიყავი ჩაკეტილი, და რომლის ხმაური მაგონებდა ზღვის ტალღებისაგან აგორებული კენჭების შხუილს. ავდექი და ღამის პირველი საათისთვის მატარებლის ერთი ბოლოდან მეორეში გავედი. საძილე ვაგონები ცარიელი იყო. ცარიელი იყო პირველი კლასის ვაგონებიც.

მაგრამ მესამე კლასის ვაგონებში იყო ასობით საფრანგეთიდან გასახლებული პოლონელი მუშა, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ. კორიდორებში ჩავლისას, იძულებული ვიყავი ადამიანებისთვის გადამებიჯებინა. მე შევჩერდი და ნათურის შუქზე დაკვირვებით მიმოვიხედე. უტიხრო ვაგონში, რომელიც საერთო საცხოვრებელს უფრო მოგაგონებდათ და რომელიც ყაზარმის სუნით იყო გაჟღენთილი, მე თვალში მეცა ერთად შექუჩებული სხეულები. მათ მატარებელი ხან ერთ მხარეს ახეთქებდა, ხან მეორეს. კოშმარული ძილით შეპყრობილი მთელი ეს ხალხი თავის ჭირვარამსა და სიღარიბეს უბრუნდებოდა. ხის სკამებზე დიდი გაპარსული თავები გორავდა. მამაკაცები, ქალები და ბავშვები ისე ბორგავდნენ ძილში, თითქოს ამ თავდავიწყების სამყაროში ყოველ წუთს მუქარით იჭრებოდა ეს განუწყვეტელი ზათქი და ხმაური და ალყას არტყამდა მათ. ძილიც კი ვერ ანიჭებდა მათ მოსვენებას. და მომეჩვენა, რომ

სხვადასხვა ეკონომიკურ მიმდინარეობათაგან ევროპის ერთი კიდიდან მეორე კიდეში გადასროლილებს, მოწყვეტილებს ნორის დეპარტამენტის პატარა სახლებისაგან, ერთი ციცქნა ბაღებისა და სამი ქოთანი ნემსიწვერასაგან, რომელიც ოდესღაც დამინახავს პოლონელ მაღაროელთა ფანჯრებში, მათ უკვე ნახევრად დაუკარგავთ ადამიანური სახე. ცუდად შეკრულ, მოფუტკნულ ბოხჩებში მხოლოდ სამზარეულო ნივთების, საბნებისა და ფარდების ჩაყრა მოეხერხებინათ. მათ, ეტყობა, მოუხდათ ყოველივე იმის დატოვება, რაც კი გულით უყვარდათ, რასაც მიეჩვივნენ საფრანგეთში გატარებული სამიოთხი წლის მანძილზე, — მოუხდათ დატოვება კატის, ძაღლის, ნემსიწვერასი, — და ახლა თან მხოლოდ ქვაბები მიჰქონდათ.

დედა ძუძუს აწოვებდა ჩვილს; ისეთი დაღლილი იყო, რომ მძინარე გეგონებოდათ. ამ გადასახლების უაზრობასა და ქაოსში სიცოცხლე მაინც გადადიოდა დედიდან შვილში. თვალით მამა მოვძებნე და დავინახე მძიმე და რიყის ქვასავით შიშველი თავის ქალა. მუშის ტანისამოსით შეზღუდული სხეული ძილში ისე უხერხულად მოკრუნჩხულიყო, თითქოს უჟეჟიათო. ეს ადამიანი თიხის გუნდას წააგავდა. ასე მძიმე ტომრებივით ყრიან ღამღამობით უსახლკარონი ცენტრალური ბაზრის სკამებზე, და მე ვიფიქრე: პრობლემას არ ქმნის არც ეს სიღატაკე და ჭუჭყი, არც მათგან წარმოშობილი სიმახინჯე. აი ეს მამაკაცი და ეს ქალი ხომ შეხვდნენ ერთმანეთს ოდესღაც, და კაცმა ალბათ გაუღიმა ქალს, მუშაობის დამთავრების შემდეგ ალბათ ყვავილებიც მიართვა. მორცხვსა და მოუხეშავს, შესაძლოა ეშინოდა კიდეც, რომ უარყოფდნენ. ქალს კი, უთუოდ სიამოვნებდა, რომ აღელვებდა მას. და მამაკაცი, ახლა უკვე მანქანად ქცეული იმისათვის, რომ წერაქვით თხაროს და ჩაქუჩით ანგრიოს მთის ქანები, მაშინ ტკბილ მღელვარებას განიცდა. რას უნდა წარმოადგენდეს ის საიდუმლო ძალა, რომელმაც თითოეული მათგანი თიხის გუნდად აქცია და რაღაც საშინელ ყალიბში ჩაჭედა, რომ ერთი წნეხით დაეტვიფრა? სიბერეში შესული პირუტყვიც კი ინარჩუნებს გრაციას. ეს მშვენიერი ადამიანის თიხა რაღამ დაასახიჩრა ასე?

მე განვაგრძობდი ხეტიალს ამ ადამიანთა შორის, რომელთა ძილი სამიკიტნოს ჰაერივით იყო დამძიმებული. ირგვლივ გაურკვეველი ხმაური იდგა. ხრინწიან ხვრინვასა და ყრუ კვნესას უერთდებოდა ხეზე ფეხსაცმლის გახახუნების ხმა, როცა ერთ გვერდზე წოლით

დაქანცული ადამიანები მეორე გვერდზე ბრუნდებოდნენ და თითქოს ყოველივე ამას ერთვოდა ზღვის ტალღებისგან აგორებული კენჭების განუწყვეტელი ყრუ შხუილი.

რომელიღაც ოჯახის წინ ვჯდები, ბავშვი ძლივძლივობით მოწყობილა კაცსა და ქალს შორის და სძინავს. აი იგი გადმობრუნდა ძილში და ნათურის შუქზე მისი სახე დავინახე... ო, რა მშვენიერი იყო ეს სახე! ამ წყვილმა სიცოცხლე მისცა ოქროსფერ ნაყოფს. ამ ნამუსრევის გროვამ წარმოშვა გრაციითა და მომხიბლაობით სავსე შესანიშნავი არსება. მე დავიხარე გადატკეცილი შუბლისკენ, ნაზად ამობურცული ტუჩებისკენ და გავიფიქრე: აი მუსიკოსის სახე, აი ჩვილი მოცარტი, აი მრავალი იმედის მომცემი ნაყოფი სიცოცხლისა, რით სჯობიან ამას პატარა ზღაპრული უფლისწულები. მისგან შეიძლება გამოვიდეს რაც გნებავთ, თუკი მოუვლიან, მოეფერებიან, გაანათლებენ. როცა ბაღში ახალი ვარდის გამოყვანა ხერხდება, ყველა მებაღეს მღელვარება ეუფლება. ამ ვარდს გამოაცალკევებენ, თავს ევლებიან, ყოველნაირად ხელს უწყობენ მის განვითარებას. მაგრამ ადამიანებს არა ჰყავთ მებაღეები. ჩვილ მოცარტს, ისევე როგორც სხვებს, იმავე ყალიბის წნეხებში გაატარებენ. მოცარტის ყველაზე დიდ სიხარულად იქცევა კაფეშანტანის მყრალ ჰაერში მოსმენილი დამპალი მუსიკა. მოცარტი განწირულია.

მე დავუბრუნდი ჩემს ვაგონს. თან ვფიქრობდი: ამ ადამიანებს არც კი აწუხებთ თავიანთი ხვედრი. და აქ მთავარი ის კი არ არის, რომ მე გულმოწყალეობის საკითხი მტანჯავს! რა აზრი აქვს მოურჩენელი წყლულის დანახვისას გულის აჩუყებას, თუკი თვით ავადმყოფი არც კი გრძნობს ამ წყლულს. ცალკეულ ადამიანს კი არა, ადამიანთა მთელ მოდგმას აქვს ეს წყლული. არა, არ მჯერა მე თანაგრძნობის. ყოველივე ეს მტანჯავს მაშინ, როცა ირგვლივ მებაღის თვალებით ვიყურები. და მტანჯავს არა ეს სიღატაკე, — ადამიანები, ბოლოს და ბოლოს, ისევე ეთვისებიან სიღატაკეს, როგორც სიზარმაცეს. აღმოსავლეთში მთელი თაობები ცხოვრობენ ჭუჭყში და მშვენივრად გრძნობენ თავს. — მე მტანჯავს ის, რასაც ვერაფერს უშველის ღარიბთათვის განკუთვნილი მუქთა შეჭამანდი. და მტანჯავს არა ეს ნაჟეჟები, არა ეს კოპები, არა ეს სიმახინჯე... მე მტანჯავს ის, რომ თითოეულ მათგანში შესაძლოა ჩაკლულია თითო მოცარტი.

და მხოლოდ სული აქცევს თიხას ადამიანად.